აკაკი მახარაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იდუმალი ფრონტის რაინდი

ტრილოგია

აკაკი მახარაძე

იდუმალი ფრონტის რაინდი

ტ რ ი ლ ო გ ი ა

ბათუმი-2020

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი აკაკი მახარაძე ამჯერად მკითხველს ტრილოგიას „იდუმალი ფრონტის რაინდი“ სთავაზობს.

ეს ნაწარმოები ჩეკისტთა რთულ საქმეებს, ფათერაკებს, ცალკეულ პირთა ავაზაკობას, გამყიდველობას ეძღვნება.

ავტორი სიღრმისეულად გადმოგვცემს გასული საუკუნის პირველი ნახევრის ისტორიულ მოვლენებს, ოსტატურად წარმოაჩენს ალალი, სამშობლოსა და ჯიშ-ჯილაგზე თავდადებული პიროვნების ცხოვრებას.

რედაქტორი: **ოთარ ცინარიძე**

©

ISBN 978-9941-8-2072-4 (ტრილოგია)

ISBN 978 -9941-8-2075-5 (მესამე წიგნის)

ტრილოგია ეძღვნება ძმის პროფესორ
შოთა მახარაძის ნათელ ხსოვნას



იღბალა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი I

ბოლო მივლინება

1944 წლის ოქტომბრის დამდეგს ქალაქ არტაანში ჩატარებული ოპერაციის შემდეგ, ერთი კვირაც არ იქნებოდა გასული, სამეულის თურქეთში მორიგი გადასხმის დრო ისევ დადგა. გერმანია - საბჭოთა კავშირის ფრონტებზე ჩვენი არმიების წარმატებების კვალდაკვალ საბჭოთა კავშირ - თურქეთს შორის სამხედრო-პოლიტიკური მდგომარეობა უფროდაუფრო მწვავდებოდა, განსაკუთრებით საზღვარზე და საზღვრისპირა რეგიონებში. თურქეთმა საგრძნობლად გააძლიერა სახელმწიფო საზღვრის საჯარისო დაცვა და ოპერატიული კონტროლი. ეტყობა ამანაც განაპირობა ჩვენი სადაზვერვო ორგანოების მიერ კურიერთა გადასხმის ტაქტიკაში ცვლილებების შეტანა. სახელდობრ, კურიერთა „სამეული“ სახელმწიფო საზღვარს ჯგუფურად კვეთს, მეზობელი ქვეყნის საზღვრის მიმდებარე ტერიტორიაზე წინასწარ შეგულებულ უსაფრთხო ადგილებში აწყობს სამალავს, რწმუნდება საზღვრის გადაკვეთის გაუთქმელობასა და უსაფრთხოებაში და სწორედ ამის შემდეგ მიდის ოპერატიული დავალების შესასრულებლად მეზობელი ქვეყნის ტერიტორიის სიღრმეში. საზღვრის ჯგუფური გადაკვეთის აუცილობლობა მოდიოდა ურთიერთდაზღვევისა და საცეცხლე მხარდაჭერის აღმოჩენის აუცილებლობით თურქ მესაზღვრეებთან ან ჟანდარმებთან უნებ-

ლიეთ შეხვედრის პირობებში, განსაკუთრებით უკან დაბრუნებისას.

მორიგი დავალების შესასრულებლად თურქეთის ტერიტორიაზე ჩემი „სამეული“ გოდერძის უღელტეხილის მიმდებარედ, სოლიფერდის ხევით გადაგვსხეს. ღამე, ირიმჭალის მიმდებარედ, ისტორიული ქართული ციხე-სიმაგრის ნანგრევებში გავათიეთ. იქვე მოვაწყეთ საგულდაგულო, მაგრამ საიმედო სამალავი. შევფუთეთ სნაიპერის შაშხანა და ხელის ტყვიამფრქვევი, შპაგინის პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი, ხელყუმბარები და პროვიზიის ნაწილი. თურქეთის ტერიტორიაზე გადაადგილებისთვის ეკიპირება სადა და მოხერხებული გვაქვს - სამი დღის მშრალი საგზალი, თითო-თითო პისტოლეტი ათ-ათი ვაზნით და საწვიმარი ლაბადები.

ყველას ინდივიდუალური დავალება გვაქვს. დავალებათა არსი არ ვიცოდით, არც გვაინტერესებდა, ეს ხომ მზვერავის უპირველესი, დაუწერელი კანონია. საბჭოთა უშიშროების ორგანოებთან მრავალწლიანმა თანამშრომლობამ და პრაქტიკამ გვასწავლა სხვის კომპეტენციასა თუ დანიშნულებაში, გასაკეთებელ საქმეში ცხვირის ჩაყოფის და ჩარევის მიუღებლობა. არც არასდროს მიცდია სხვათა საიდუმლოს გაგება, არც მე ვამხელდი, ვიცოდი, საიდუმლოების განუხრელ დაცვასა და ზემდგომი ხელმძღვანელობის ინსტრუქტაჟის უპირობო შესრულებაზე იყო დამოკიდებული არა მარტო დავალების წარმატებით შესრულება, არამედ კურიერის პირადი უსაფრთხოება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინსტრუქციისამებრ სამი დღის თავზე, დათქმულ დროს ვხვდებით ირიმჭალის ციხე-სიმაგრის ნანგრევებში მოწყობილ სამალავში. დაგვიანების შემთხვევაში, ერთმანეთს ველოდებით თორმეტი საათის განმავლობაში, ვადის გასვლის ან საგანგებო სიტუაციის შექმნისას სამალავს ვტოვებთ და დამოუკიდებლად ვბრუნდებით საქართველოში. ჩვენი მესაზღვრეები გაფრთხილებული არიან ვიზუალური და საცეცხლე მხარდაჭერისა თუ დაზღვევისთვის.

ამჟამად მე შედარებით იოლი დავალება მერგო - ქალაქ ფოცხოვის მიმდებარედ, კლდეში მოწყობილ სამალავში, ახალი კონტეინერის ჩატვირთვა, კორესპონდენციის ამოღება და საქართველოში უვნებლად გადმოტანა. სოფელ ერიმში მცხოვრებ აგენტთან კონტაქტი და მასთან მიბარებული ცხენის გამოყენება მეკრძალებოდა. რა გაეწყობა, ანდაზის არ იყოს - ზოგი ჭირიც მარგებელიაო, მთვარიან ღამეში ფეხით გადაადგილება უფრო მოსახერხებელიცაა და უსაფრთხოც!.. ერთიც მამშვიდებს - მოძრაობის მარშრუტზე განლაგებული ყიშლები (პირუტყვის საშემოდგომო სადგომი) და საზაფხულო საძოვრები დაცლილია. შემოდგომის სიცივეების დაჭერის შემდეგ მოიალაღეები ბარის სოფლებში დაბრუნდნენ.

დავალება პირნათლად შევასრულე და დათქმულ დროს დავბრუნდი ირიმჭალის სამალავში. მინდა ავღნიშნო, რომ ირიმჭალის ციხე-სიმაგრის ტერიტორია, როგორც სახელმწიფო საზღვრის არალეგალურად გადაკვეთის ადგილი, საგანგებოდ იქნა შერჩეული: საბჭოთა კავშირ - თურქეთს შორის სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების უკიდურესად გამწ-

ვავებისა და ფაქტობრივად საომარი მდგომარეობის დონემდე დაძაბვისა და მოსალოდგელი საომარი მოქმედებების რეალურად დაწყების საშიშროების გამო. საბჭოთა სარდლობამ შეიმუშავა სამი სტრატეგიული - ბათუმის, ახალციხე-ახალქალაქისა და ლენინაკან-ერევნის, მიმართულება. მთავარი ტანკსახიფათო და შეტევითი საომარი მოქმედებებისთვის ხელსაყრელ მარშრუტებსა და გადასასვლელებზე მოეწყო ტანკსაწინააღმდეგო და საბრძოლო ტექნიკის გადაადგილების შემაფერხებელი საინჟინრო-საფორთიფიკაციო ზღუდეები და დაბრკოლებები. მოწინააღმდეგის დივერსიულ-სადაზვერვო ჯგუფებისა და ცალკეული დივერსანტების გადმოსხმისა და მათი ქყეყნის ტერიტორიის სიღრმეში შეღწევა-გადაადგილების შეფერხების მიზნით, საზღვარზე გადასვლელი ყველა ბილიკი და მათ შორის ტყიან მასივებში, დაინაღმა ქვეითთა საწინააღმდეგო ნაღმებით. ერთი სიტყვით, შეიქმნა საზღვრის მიმდებარე ტერიტორიებზე დანაღმული ველების მთელი სისტემა. ერთ-ერთი მათგანი იყო სოლიფერდის მიმართულება, რომელიც თითქმის გოდერძის უღელტეხილამდე აღწევდა. ჩვენი ხელმძღვანელობა არ გამორიცხავდა, რომ დანაღმული ველებისა და ბილიკების არსებობა და მათი სავარაუდო საზღვრები, ადრე თუ გვიან, მოწინააღმდეგისთვისაც გახდებოდა ცნობილი. სწორედ ამიტომ შეირჩა ჩვენი სასაზღრო უშიშროების ორგანოების მიერ სოლიფერდის მიმართულება. დანაღმული ველები და უღრანი ტყეები, ერთის მხვრივ მოწინაღმდეგის მიერ ნაკლებად განიხილებოდა სახიფათო მიმართულებად, მეორე მხვრივ კი, მათში დატანებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

და საგანგებოდ მონიშნული ბილიკებით, ჩვენი აგენტებისა და საზღვარგარეთის კურიერების საზღვარზე უსაფრთხო და შეუფერხებელ გადასხმას და გადაადგილებას უზრუნველ-ყოფდა.

დანაღმულ ველებსა და მიმდებარე ტყეებში უშიშროების ორგანოების მითითებითა და უშუალო მონაწილეობით შეირჩა და აღიჭურვა საიდუმლო გასასვლელები. ყველა, ვინც ფლობ-და ამ გასასვლელების არსებობის შესახებ ინფორმაციას, მათ შორის აგენტები და კურიერები, ხელწერილის დადებით იღებდნენ ვალდებულებას გაუთქმელობის შესახებ. მე ასეთი სამი გასასვლელით ვსარგებლობდი...

დანაღმულ ველებზე საგანგებო გასასვლელები და სპეცია-ლური ბილიკები შეირჩა და მომზადდა უბრალო, პრაგმატული ლოგიკით: მოწინააღმდეგე მხარე დანაღმულ ველებსა და საინჟინრო-ფორთიფიკაციული თვალსაზრისით მომზადებულ და აღჭურვილ მიმართულებას ნაკლებად მიიჩნევდა დი-ვერსიულ-სადაზვერვო ჯგუფებისა თუ ცალკეული აგენტების გადმოსხმის თუ მოქმედების არეალად, ამიტომაც ეს მიმართუ-ლებები საჯარისო თუ ოპერატიული თვალსაზრისით ნაკლებად იცვებოდი, ეს გარემოება კი ჩვენს წისქვილზე ას-ხამდა წყალს.

ირიმჭალის ციხე-სიმაგრის ნანგრევებში მოწყობილ სამა-ლავში ჩემი „სამეულის“ წევრები - გენჯი აბაშმაძე და ჯივან მი-ქელთაძე არ დამხვდნენ. ყველა დათქმული თუ სხვა საგანგა-შო ნიშანი მოვჩხრიკე და შევისწავლე, მაგრამ მათ დაბრუნების

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესახებ ინფორმაცია ვერ მოვიპოვე. საგანგაშო განცდები არ მასვენებნენ - ბიჭები ხომ არ ჩავარდნენ?..

ბიჭების მოძებნა და დახმარება მომინდა, მაგრამ ასეთ ვითარებაშიც კი ინსტრუქციას ვერ დავარღვევდი. სამალავიდან ამოღებული საიდუმლო პაკეტი უვნებლად უნდა ჩამომეტანა. დათქმულ დრომდე ლოდინიც სახიფათო იყო, ვაითუ ჩავარდნენ და მუქარისა და წამების შემდეგ მეც გამთქვეს?!. მაგრამ ინსტრუქციის დარღვევა აზრადაც არ მომსვლია, დათქმული თორმეტი საათის განმავლობაში ეგებ დაბრუნდნენ, ვინ იცის რა დონისა თუ სახის დახმარების აღმოჩენა დასჭირდებათ!.. მთელი დღე არ მომისვენია: საგანგებო სათვალთვალო პუნქტი მოვაწყე და გაფაციცებით, მისხალ-მისხალ შევისწავლე თვალთახედვის არეში მოხვედრილი თურქეთის ტერიტორია. ქვემოთ, ხევში თურქი მესაზღვრეების განწესი შევნიშნე, გაძლიერებული შეიარაღებითა და შემადგენლობით. არ მომეწონა. ადრე თურქული სასაზღვრო განწესი სამი-ხუთი კაცის შემადგენლობით, მხოლოდ ძველი შაშხანებით შეიარაღებულები, უწესრიგოდ და უყურადღებოდ, ვალის მოხდის მიზნით, თვეში ორჯერ თუ ჩამოივლიდა სოფელ-სოფელ, ახლა კი მთელი ათეული, კბილებამდე შეიარაღებულები, მათ შორის ორი ტყვიამფრქვევით, უშუალოდ საზღვრის მიმდებარე ბილიკებით გადაადგილდებოდნენ და საგულდაგულოდ სწავლობდნენ ყველა ქოხსა თუ მიტოვებულ ნანგრევებს... ციხისკენ არ გადმოუხვევიათ. ჯერ ერთი ციხე უშუალოდ საზღვრისპირსაა, თანაც უღრან ტყეში მიუვალ მაღლობზე. როგორც იქნა ბილიკს გადაუხვიეს და სოფელ ერიმში შევიდნენ. შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბინდებამდე ველოდე ბიჭების დაბრუნებას, მაგრამ ამაოდ, ისინი, არ გამოჩნდნენ...

დათქმული დრო ამოიწურა. ლოდინს აზრი აღარ ჰქონდა. მთელი იარაღი ავისხი და სამალავიდან გამოვედი. მხოლოდ ჩვენთვის ცნობილი ბილიკით სამშვიდობოს გამოვაღწიე.

მთელი არსებით ვგრძნობდი ჩვენი მესაზღვრეების მობჯენილ მზერას, სასხლეტზე მიხორცებული თითის სითბოს, გამალებულ გულისფანცქალს და მთელი არსებით მზადყოფნას, რომ საჭიროების შემთხვევაში დროულად დამაზღვიონ და უზრუნველყონ ჩემი სახელმწიფო საზღვარზე ქვეყნისთვის ეგზომ საჭირო და აუცილებელი საიდუმლო ინფორმაციით დახუნძლული, უვნებელი და უსაფრთხო გადმოსვლა!

განთიადისას გადმოვლახე გოდერძის უღელტეხილი... თეთრობის ტყეში, მეტყევის ქოხში მელოდა ლეიტენანტი ვერნიგარა ჩემთვის უცნობ ტყავისქურთუკიან ახალგაზრდა ოფიცერთან ერთად. საიდუმლო პაკეტი და შეიარაღება ჩავაბარე. ჩემი მეწყვილე ბიჭების ამბავი ვიკითხე. არ დაბრუნებულანო, - სინანული და გულისტკივლი ვერ დამალა ლეიტენანტმა. ჩემთვის უჩვეულო წინათგრძნობა და საგანგაშო მოუსვენრობა დამეუფლა!.. ისიც არ მომეწონა, თუ რატომ არ დამხვდა მაიორი ტრაპიზონიანი, თანაც, ლეიტენენტმა ვერნიგარამ ჩემთვის უცნობი ახალგაზრდა ოფიცერი არ გამაცნო. ჩემი ეჭვების შესახებ ლეიტენანტ ვერნიგარასთვის აღარც მიკითხავს, რატომღაც მეუხერხულა, თანაც არ მჩვევია უცბად ამჩატება და მიამიტური მითირამბები. ერთმანეთს უგემურად და ტრაფარეტულად დავემშვიდობეთ. ისეთ ბითურ და მუავე გან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყობა-ხასიათზე ვიყავი, დანა პირს არ მიხსნიდა. სახლში ტყე-ტყე ფეხით დაბრუნება ვირჩიე, ასე მირჩევნია, მეთქი - და-ვამშვიდე ლეიტენანტი. მე კი ჩემთვის ვიაზრე - ჯერ კიდევ გაუთვითცნობიერებულ, დამთრგუნავ დარდსა და სულისშემ-ძვრელ, მტანჯველ ფიქრებს გზას გადავაყოლებ და გავი-ქარვებ,-მეთქი. თანაც არავისთან უნებლიე გადაყრა და იძუ-ლებითი საუბრები არ მსურდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი II

„ვაჰ სოფელო, რა შიგან ხარ,
რას გვაბრუებ, რა ზნე გჭირსა!“
შოთა რუსთაველი

მივლინებიდან დაბრუნების ათი დღის თავზე, სრულიად საქართველოს მეხივით დაატყდა ფრიად უსიამო და შემზარავი ამბავი - 1944 წლის 15 ნოემბერს, ღამით, სრულიად საიდუმლოდ და მოულოდნელად დედაბუდიანად გაასახლეს აჭარისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონების მუსლიმური აღმსარებლობის თურქმანული წარმომავლობის მოსახლეობა.

აღნიშნული დეპორტაცია განხორციელდა სსრკ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის 1944 წლის 31 ივლისის N 6279-სს დადგენილებისა და 1944 წლის 20 სექტემბრის სსრკ შსს N 00117 ბრძანების საფუძველზე, რომელიც ინსტრუქციით ადგენდა თურქების, ქურთების, ჰემშილების, აზერბაიჯანლების, იეზიდების, ბოშების და თათრების საქართველოს სსრ-ის საზღვრისპირა რაიონებიდან, კერძოდ ახალციხის, ადიგენის, ახალქალაქის, ასპინძის, ბოგდანოვკის (ამჟამად ნინოწმინდის), აგრეთვე - აჭარის ასსრ ქ. ბათუმის, ბათუმის, ქობულეთის, ქედისა და ხულოს რაიონებიდან სპეცგადასახლების წესსა და რიგს.

შუა აზიის რესპუბლიკებში ყაზახეთში, უზბეკეთში და ყირგიზეთში საქართველოდან, საბჭოთა კავშირის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის 1944 წლის 31 ივლისის N 6279-სს

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილების საფუძველზე სპეცგადასახლებაში გადაიყვანეს 19 818 ოჯახი. მათ შორის:

- თურქი-მესხები (თურქმანული თარაქამას და ე.წ. „იერ-ლი“-ს ტომთა წარმომადგენლები/„იერლი“ თურქულად მკ-ვიდრ მოსახლეს ნიშნავს) - 14 493 ოჯახი;

- ქურთები - 1 830 ოჯახი;

- აზერბაიჯანელები - 3 058 ოჯახი;

- იეზიდები - 7 ოჯახი;

- თათრები - 126 ოჯახი;

- ჰემშილები / გამუსლიმანებული სომხები/ - 304 ოჯახი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკიდან გადაასახლეს 1764 ოჯახი.

კერძოდ:

- თურქები - 668 ოჯახი;

- ქურთები - 792 ოჯახი;

- ჰემშილები - 304 ოჯახი.

სულ საქართველოდან გადაასახლეს 125 000 ადამიანზე მე-ტი!..

1944 წლის 21 დეკემბერს მეხი ჩემს ოჯახსაც დაატყდა, რი-თაც საბედისწეროდ და რადიკალურად შეიცვალა ჩემი ოჯახის ბედ-იღბალი და მომავალი.

სისხამ დილით, მზის შემოცინებამდე, ძილ-ღვიძილში მყო-ფს, ჩვენი სოფლის შარაგზაზე სამხედრო ცხენების მყარად ნაჭედი ფლოქვების მონოტონური თქარათქური შემომესმა. უცნაურად მეჩვენა. სასაზღვრო საგუშაგოსკენ მიმავალი გზა სოფელს გვერდს უვლიდა, მესაზღვრეები არ უნდა ყოფილი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყვნენ. მილიციელები ან ჩეკისტები თუ იქნებოდნენ, მაგრამ უთენია, სისხამ დილით?! - მათ ხელწერას არ ჰგავდა, ისინი ხომ ღამით მოქმედებდნენ. არასტანდარტული ვითარება ცუდად მენიშნა. გულმა რეჩხი მიყო. ისედაც მოუსვენარი, შფოთიანი ძილი დამჩემდა, ბოლოდროინდელმა აკვიატებულმა უსიამო, შემზარავმა სიზმრებმა ხომ სულ მომასავათა... ამას ადრე ჩემი ქურთი ნათლიის ოჯახის გასახლებით გამოწვეული ტანჯვა-დარდის გამონაყოლ ფიქრებს ვაბრალებდი, ახლა კი სულ სხვა შეგრძნებამ გამკრა გულში, ავისმომასწავებელმა აზრმა კი გონებაში მწველად გამიელვა...

სამი ცხენოსანი ჯიქურ შემოიჭრა ჩვენს ეზოში. ჩემთვის უცნობი პირი მყივანა ხმით გარეთ გასასვლელად მიხმობდა. სახელდახელოდ, ნაჩქარევად ჩაცმული გამოვლასლასდი აივანზე. ორი მილიციელი და ერთი ტყავისქურთუკიანი მამაკაცი მედიდურად და აუჩქარებლად ცხენებიდან ჩამოქვეითნენ.

- ვამეხ ბაქრაძე თქვნ ბრძანდებით? - მკითხა ტყავისქურთუკიანმა, თანაც გაფაციცებით, თავიდან ფეხებამდე მათვალიერებდა. ალბათ იმის გაგებას ლამობდა, შეიარაღებული ხომ არ ვიყავი.

- სახლში შემობრძანდით, სტუმარი ღვთისაა, - თავაზიანობის საბურველში მსურდა გამეხვია გაკვირვება და მოულოდნელობისაგან გამოწვეული უსიამო გრძნობა.

- მოპატიჟებისათვის დიდი მადლობა, მაგრამ დროში შეზღუდული ვართ, წინ გრძელი გზა გველის. შენ ჩვენთან ერთად უნდა წამოხვიდე. ათი წუთი გაქვს მოსამზადებლად. მხოლოდ გადაუდებლად საჭირო ნივთები წამოიღე, მეტი იქ არც

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაგჭირდება, - მითხრა და ერთ მილიციელს აივანზე ასვლა ანიშნა, მეორეს კი სახლიდან მეორე გასასვლელის, სასტუმრო ოთახის კართან მიდგმული კიბის დარაჯობა დაავალა. თვითონ კი ეზოს მოხერხებულ კუთხეში გადაინაცვლა, პაპიროსი გააბოლა და ბოლთას ცემას მოჰყვა.

გამოცდილებისა და გონება-გამჭრიახობის კვალობაზე მაშინვე ვიგუმანე - დამდგარა ჩემი აღსასრული და ეგაა... მაშ, მაპატიმრებენ?!

ასეც აღმოჩნდა. ჩოჩქოლზე მთელი ჯალაბობა ფეხზე დადგა. დედაჩემის აწეწილი თმა-სახე, გაოგნებული, ბოლომდე გაუთავისებელი მოულოდნელად თავსდამტყდარი უბედურებისაგან გაფითრებული სახე და ცრემლიანი, გაფართოებული თვალები... მეუღლის შეშლილი მზერა და ათრთოლებული მხრები... დედის კალთას განწირულად ჩაფრენილი ბიჭები და ცნობისმოყვარე, აკიაფებული, შეშინებული თვალები... მამა-ჩემი, აივნის მოაჯირის საყრდენ ბოძზე მითიური ამირანივით მიჯაჭვული, განუყრელ კომბალზე უსუსურად დაყრდნობილი, სასოწარკვეთილი სევდიანი თვალები... ყოველივე ამან, ცალკ-ცალკე და ერთობლიობაში აღქმულმა, შემძრა და წუთიერად გამაოგნ-გამაქვავა, მაგრამ მალევე გონს მოვეგე, უნდა მემოქმედა. სიტყვიერი პროტესტი გამომეხატა მაინც. რამე მეკითხა... ეს ოჯახის წევრებისა და ახლობლების გამხნევებისთვის იყო საჭირო, თორემ მშვენივრად ვხვდებოდი, რომ უკვე განწირული ვიყავი. ჩემი ცნობისწადილის დასაკმაყოფილებლადაც იყო გათვლილი, ისედაც ვიცოდი, ისინი არცერთ კითხვაზე პასუხისგამცემლები არ იყვნენ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

- უკაცრავად თუ არ ვიქნები, რა მოხდა, რა დანაშაულს მედავებით? - წყალწაღებულივით გამომივიდა უსუსური შეკითხვა.

- სადაც საჭიროა იქ თავის დროზე ყველაფერს გეტყვიან, ჩვენი ამოცანაა დროზე და უვნებლად მიგიყვანოთ დანიშნულების ადგილას, ზედმეტი, უაზრო შეკითხვებით თავს ნუ მოგვაბეზრებ, ნურც შენ შეწუხდები, დრო მიდის, სწრაფად მოემზადე! - შემომაფეთა ჩეკისტმა გველის თვალებით ცივი და გამჭოლი მზერა და განზე გააფურთხა...

დედა და მეუღლე დაფაცურდნენ. ბაბუაჩემის ნაჩუქარ საგვარეულო სკივრს უმალ მოხადეს თავი... მამაჩემმა ძველი, მაგრამ საკმაოდ კარგად შენახული გამძლე ხურჯინი მოიძია. მეც სამგზავროდ გამოვეწყე, ოღონდ ამჯერად ჩემი ბებუთისა და განურელი თოფ-დამბაჩის გარეშე... ვინ მომცემდა მისი ტარების უფლებას, უაზროდ ჩამორთმევისთვის კი როგორ გავიმეტებ, თანაც ორი ვაჟკაცი მეზრდება, ისინი მაინც გამოიყენებდნენ ღირსეულად, გავიფიქრე უნებლიედ.

ათი წუთიც და მზად ვიყავი. მამამ მოასწრო „ყარაგიოზას“ ეზოში გამოყვანა და მორთვა-მოკაზმვა... სიმართლე გითხრათ, ისე ვიყავი გაოგნებული და გაბრუებული მოულოდნელად თავსდამტყდარი უბედურებითა და გაურკვეველი, ჯანსაღი გონებისთვისაც კი შეუცნობადი სიტუაციით, ყველაფერს მექანიკურად, ყოველგვარი ფიქრისა და აზრის დატანების გარეშე ვაკეთებდი.

დედას გადავეხვიე, მამას ვეამბორე, შვილებს გადავეკონე, მეუღლეს ჩავეხვიე და სრულიად მექანიკურად, ძლივს ავბობ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღდი ცხენზე, მგონი ერთმა მილიციელმა ხელიც კი შემაშვე-ლა... შუაში ჩამიყენეს და ჩორთით დავუყევით ჩვენი ბექობიდან ქვევით მიმავალ გზას.

ხულომდე ისე ვიარეთ, ჩემთვის რამე არც უკითხავთ, ჩემი მისამართით კრინტიც არ დაუძრავთ. ერთმანეთს თუ გადაუ-ძახებდნენ მოკლე ფრაზებით, ისიც ვიწრო გზებზე სიფრთხი-ლის გამოჩენისკენ თუ იყო მიმართული.

ხულოში, შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების შენობასთან შინსახკომის ხუთკაციანი ბადრაგი გველოდა. ცხენი მილიციის თანამშრომლებმა ჩამომართვეს, ოჯახს დავუბრუნებთო, - მო-მაძახეს და მილიციის საჯინიბოსკენ წაიყვანეს. ბადრაგის უფროსმა ორი ბადრაგის დაცვის ქვეშ საქართველოს სახელმ-წიფო უშიშროების სახალხო კომისარიატის ხულოს რაიონუ-ლი განყოფილების უფროსის კაბინეტში ამიყვანა. რაიგანყო-ფილების უფროსმა ცეცხლგამძლე სეიფის მასიური კარი გა-მოაღო, ყვითელი საქაღალდე გადმოიღო და საწერ მაგიდას მიუჯდა.

- ესე იგი თქვენ ხართ ვამეხ ბაქრაძე? ყოვლისშემძლე „იღ-ბალა“?!

- გახლავართ ბატონო, ოღონდ ერთი რამ მინდა შეგახსე-ნოთ - მე უბრალო აჭარელი კაცი ვარ, ჯერ ჭიანჭველაზეც ფეხი არ დამიდგამს უბატონოდ, - მრავლისმეტყველად ჩავიდუდუნე და მოვავლე თვალი იქაურობას, ჩემთვის კი მოვინიშნე - ჩემი ოპერატიული ფსევდონიმი საჯაროდ და უაპელაციოდ რატომ წამოისროლა, ნეტავ?!. მისი პროფესიონალიზმი და ტაქ-ტიანობა მომეწონა - ჩეკისტმა ერთი სიტყვით, ზედმეტი ახსნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

განმარტების გარეშე, მანიშნა, რომ ჩემი პიროვნებისა და უშიშროების ორგანოებთან საიდუმლო თანამშრომლობის შესახებ საქმის კურსში იყო, ხოლო ბადრაგს მიანიშნა, რომ გამოცდილ და საშიშ - „კლიჩკიან“ / კრიმინალური ჟარგონით ზედმეტი სახელი, რაღაც თიკუნის გვარი/ პერსონასთან ექნებოდათ საქმე, რაც ავტომატურად მიანიშნებდა ჩემს მიმართ განსაკუთრებული სიფრთხილისა და ყურადღების გამოჩენის აუცილებლობაზე.

- ვამეხ, მე ახალს ვერაფერს გეტყვი, შენი ჯიბრი და პირადი ინტერესი არ მაქვს, ვალდებული ვარ გაგაცნო საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომისარიატის საგამოძიებო სამმართველოს უფროსის განკარგულება თქვენი დაპატიმრებისა და ბათუმში, უშიშროების საგამოძიებო იზოლატორში გადაყვანის შესახებ. მეტს ვერაფერს გეტყვი, ზედმეტი კითხვებით ნუ შემაწუხებ, ნამდვილად მეტი არაფერი ვიცი, იმედია დანარჩენს გამომძიებელი აგიხსნის, - უფროსი პატიოსანი კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა, შევნიშნე ისიც გაოცებული და გაოგნებულიც კი იყო ამგვარი გადაწყვეტილებით, მასაც სმენოდა ჩემი საიდუმლო მივლინებებისა და უშიშროების სამსახურისთვის ეგზომ საჭირო და საგანგებოდ ფასეული ოპერაციების განხორციელების შესახებ. თვალი ამარიდა, ბადრაგის უფროსს ანიშნა წაიყვანეთო, თვითონ კი საჩქაროდ სათადარიგო კარიდან მეორე ოთახში გავიდა.

ბადრაგის უფროსის ბრძანებით ჯარისკაცებმა თავიდან ფეხებამდე საგანგებოდ გამჩხრიკეს, ჯიბეები გადმომიტრიალეს, პასპორტი და დაბადების მოწმობა „ჩემს“ საქაღალდეს დაურ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თეს და ხელბორკილები დამადეს. უსიტყვოდ გამიგდეს წინ და საბადრაგო მანქანის გისოსებიან სათავსოში ამომაყოფინეს თავი. მე არც გავძალიანებულვარ და არც ისტერიკა შემყრია - ჯერ ერთი, საკუთარ თავში დარწმუნებული ვიყავი, რომ ცამდე მართალი ვარ, მეორეც, თავის მართლებასა და რაიმე სახის პროტესტს ბადრაგთან აზრი არ ჰქონდა, უბრალოდ მათ ნამდვილად მეტი არაფერი იცოდნენ, ზედმეტობით მხოლოდ სახელს გავიტეხდი და ღირსებას შევილახავდი... რეალობა კი ისედაც ნათელი იყო. სულის შეძვრამდე აღშფოთებული და გულგატეხილი ვიყავი. რის გამო ვისჯებოდი! ნამდვილად გაუგებრობას ექნებოდა ადგილი!.. განა ჩემი ოპერატიული ხელმძღვანელობა საქმის კურსში არ ჩაუყენებიათ?!.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი III

ბათუმამდე თითქმის შეუჩერებლად ვიარეთ, თუ არ ჩავთვლით აჭარისწყლისა და მახუნცეთის მიმდებარედ განლაგებულ მესაზღვრეთა შიდა კონტროლის გამშვებ პუნქტებს. ეს პუნქტები განა სახელმწიფო საზღვრის გადასასვლელებს აკონტროლებს, არამც და არამც - სასაზღვრო ზონასა და სასაზღვრო ზოლში მოქცეულ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ტერიტორიაზე მოსახლეობის გადაადგილებაზე კონტროლს ახორციელებს, რათა არ დაუშვან სახელმწიფო საზღვრის მიმდებარე რაიონების ტერიტორიაზე უცხო და არასასურველ ელემენტთა მოხვრდრა, მათი გადაადგილება და ცხოვრება. ამისათვის სათანადო ორგანოების მიერ გაცემული სპეციალური საშვია საჭირო.

ბათუმში შებინდებისას შევედით. როგორ უცბად დაპატარავდა ჩემი თვალთახედვის სივრცე. საბადრაგო მანქანის ცხაურიანი სარკმელია გარესამყაროსთან შეხების ერთადერთი საშუალება. ზღვიდან მონაბერი მარილიანი სიოთი ვხვდები, რომ ქალაქში ვარ, უფრო სწორედ ზღვასთან ახლოს რომელიღაც უბანში. მანქანამ სვლას უკლო. ბოლოს გაჩერდა. ბადრაგის უფროსმა რაღაც მოახსენა უშიშროების საგამოძიებო იზოლატორის მორიგე ოფიცერს. მძიმე ჭიშკრის ძალუმი ჭრიალი მამცმობს, რომ ჩემი პატიმრომაში აყვანა უკვე სრული რეალობაა. მანქანა უკუსვლით მიდის და მკვეთრად ჩერდება. ცოტა ხნის შემდეგ ცხაურიანი კარები იხსნება და ისმის ბრძანებაც: მკვრცხლად გადმოდით და ჩქარი ნაბიჯით იარეთო. სამ-

ხედროფორმიანი ბადრაგი, იმის დასტურად, რომ ბრძანების შესრულებისას შეუვალი და მკაცრია, ხიშტიან შაშხანას მიღერებს, მეორე კი კონდახის ჩარტყმით მემუქრება.

საგამოძიებო იზოლატორის მორიგე ჩემს მონაცემებს იწერს, თანაშემწე ხელის ფათურით საგანგებოდ მჩითავს, მამოწმებს და უფროსს ომახიანად ახსენებს, პატიმრის სხეულზე და თანსაცმელში საეჭვო ან აკრძალული ნივთი არ აღმოჩენილაო. ჩამომართვეს საათი, თუთუნის ქისა და ასანთი. სხვა პირადი ნივთები. ჯიბის საათი, ადრე, ჯერ კიდევ ხულოს უშიშროების განყოფილებაში ჩხრეკისას ჩამომართვეს. როგორც იქნა ჩემი მიღება - ჩაბარების ოქმზე ბადრაგის უფროსმა და იზოლატორის მორიგემ რიგრიგობით მოაწერეს ხელი და ერთადგილიან კამერაში გამამწესეს. ორმა მებადრაგემ წინ გამიგდეს გაიარეო, - მიბრძანეს. დერეფნის ბოლოს მოწყობილი სპეციალური კიბით სარდაფში ჩამიყვანეს და ერთ-ერთ საკანთან კედელს მიმაყენეს. კონტროლიორმა საკნის კარები გახსნა, ბორკილები მომხსნა და ბიძგით საკანში შემაგდო. წამიც და მასიური კარი მიიხურა. კლიტის მჭახე ჩხაკუნმა საბოლოო წერტილი დაუსვა თავისუფლებას. ჩემი ცხოვრების ერთი ეტაპი დასრულდა. დაიწყო მეორე, სრულიად შეუცნობადი, არანაკლებ მძიმე და ფათერაკიანი...

კედელზე, მერცხლის ბუდესავით მიყუჟული, რკინის ცხაურიანი ნათურა ძლივს ბუუტავდა, საკნის ისედაც რუხ ფერებსა და გაქუცულ კედლებს უფრო ამუქებდა და აუჟმურებდა. რეტსა და გაოგნებას როგორც იქნა, ვძლიე და ჩემი საკნის დათვალიერება-შესწავლა გადავწყვიტე. ოთახის ერთ კედელს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასიური რკინის ნარა გასდევს, რომელიც მიჯრით პატარა რკინისავე მაგიდას ემიჯნება, გვერდით მიდგმული პატარა ძელსკამით. ოთახის შორეულ კუთხეში საპირფარეშოა მოწყობილი სანახევროდ ამოყვანილი აგურის კედლებითა და ღია საკარე ღიობით. იქვეა ჩაჟანგულ-ჩაყვითლებული პირსაბანი გაქუცული ონკანით. წყალი გრაფიკით მიეწოდებაო საკანს, - თავიდანვე მითხრა კონტროლიორმა. ონკანი ძლივს დამნებდა. ჟანგიანმა წყალმა ჩიფჩიფ-თქრიალით ატყაპუნდა რკინის პირსაბანში. დაველოდე, როგორც იქნა წყალი დაიწმინდა. პეშვით მოვსვი. უგემური ჭაობის სადარი გემო და სუნი დაჰკრავდა. ეეხ, მთაში ლაღად გაზრდილი შვილი, ანკარა ნაკადულებით ნასაზრდოები მთიელი განა შეეგუება ჭაობისგემოიან შმორიან წყალს?!. ეეჰ, ჯერ სადა ხარ ვამეხ, ვინ იცის ბედი რას გიმზადებს!..

რაღა გზა იყო, რკინის უქვეშაგებო ნარზე მოვკალათდი. ერთი კითხვა მაწვალებდა: რატომ დამაპატიმრეს, არაფერს მეუბნებიან... ხულოს უშიშროების განყოფილების უფროსის ნათქვამია მხოლოდ - დაპატიმრებული ხარ საქართველოს უშიშროების კომისარიატის საგამოძიებო სამმართველოს მიერ გაცემული ბრძანების საფუძველზეო. ნეტა რა დავაშავე, რას მედავებიან, რა ბრალეულობა უნდა წამომიყენონ... მთელმა შეგნებულმა ცხოვრებამ კინოფირივით თვალწინ გაირბინა. ვერაფერი საეჭვო და საგანგაშო ვერ აღმოვაჩინე. გაურკვევლობა უფრო მტანჯავდა, ვიდრე იმის შეგნება, რომ უკვე დაპატიმრებული ვარ და საკნის შმორიანი სივრცის განუყოფელი ნაწილი გავხდი. არანაკლებ მაწვალებდა მეორე კითხვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

- თუ არიან საქმის კურსში ჩემი ოპერატიული ხელმძღვანელობა, პოლკოვნიკი კარაბელნიკოვი, თითქმის რვა წელია მისი ოპერატიული დაქვემდებარების ქვეშ ვარ, განა მან არ იცის რისი გამკეთებელი ან მაქნისი ვარ? მე ხომ საიდუმლო თანამშრომლობის დღიდან კონსპირაციას არ ვარღვევდი, მიღებულ დავალებებს პირნათლად და თავის დროზე ვასრულებდი, ამ ხნის განმავლობაში ჩავარდნა ან რაიმე იაღლიში არ მქონია... ახლა რა მოხდა? კითხვები, მხოლოდ კითხვები და არც ერთი პასუხი. როგორც იქნა ქანცგაწყვეტილსა და ნერვებდაგლეჯილს ჩამძინებოდა... ამას თუ ძილი ქვია კოშმარების ლაბირინთებში გაბლანდულ ძილ-ბურანს. მართლა, კინაღამ დამავიწყდა, სარკმელი... უფრო სწორად ცხაურიანი, პატარა კვადრატებად დაყოფილ-დანაწევრებული ცის ნაფლეთი... სარკმელი შემინული არ იყო, მისი გამოისობით საკანში იღვენთებოდა მკრთალი სინათლე, ზღვიდან მონაბერი სიოს ერთი უმნიშვნელო ნაკადი და გვიანი შემოდგომის სუსხი. არც ქვეშაგები, ზეწარი თუ საბანი... მხოლოდ რკინის ნარი. მორიგე კონტროლიორის ხრინწიანმა, მჭახე ხმამ გამომიყვანა ძილ-ბურანიდან. ადექითო, - რუსულად გაჰკიოდა საცოდავი. თავი მისკდება. თითქოს პატრა, მაგრამ აბეზარი, ჯუჯა მჭედლები, პატარა მაგრამ წვეტიანი ჩაქუჩებით შეწყობილად მირტყამენ საფეთქლებში... სახსრების ტკივილიც ვიგრძენ, მარჯვენა ფერდისაც... ეტყობა ერთ გვერდზე გაუნძრევლად მეძინა. ზლაზნვით წამოვდექი. დავბარბაცდი, მაგრამ დროზე შევიკავე თავი, რამეთუ კედელს მივენარცხებოდი. შმორიანმა, მაგრამ ცივმა ონკანის წყალმა, მაცოცხლებლად იმოქმედა. უგემურად

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვიბანე პირ-სახე და თმები თითებით შევისწორე. ამასობაში კარში ჩატანებული რკინის პატარა სანათურის ჩხაკუნიც მომესმა, კონტროლიორმა რკინის მისკა შემოდგა, ხელი-სოდენა, შავი, ტალახისდარი პურით... არაფერი არ მინდოდა, პირს დანაც ვერ გამიხსნიდა, მაგრამ კუჭი თავისას მოითხოვდა - უკვე დღეღამეზე მეტია ყელში ნამცეციც კი არ გადამსვლია. უგემურად მოვწიწკნე შავი პური და რამდენიმე კოვზი ბალანდა მოვხრიპე. ვერც გემო ჩავაყოლე და ვერც წარმომავლობისა გავიგე რა... ვინ იცის რამდენ ხანს ვიქნები ბალანდის მხვრეპავი?..

მთელი დღე მარტოობასა და გაურკვევლობაში გავატარე. ათასი აზრი და ეჭვი მიტრიალებდა თავში, მაგრამ რაციონა-ლური აზრის გორგალი ისევ უთავბოლოდ ბორიალობდა და მის წვერს ვერა და ვერ მივაგენი. რა არ ვიფიქრე და რას არ ვუკირკიტე, მაგრამ ჩემი დაკავების თუ დაჭერის მიზეზს ვერ მი-ვაგენი. შებინდებისას ჩამძინებოდა. არ ვიცი რამდენ ხანს მეძინა, ერთი კია, კარებზე გულისწამღებმა ბრაგუნმა გამომაფ-ხიზლა. დენნაკრავივით წამოვვარდი და მივაყურადე. ჟანგიან ბოქლომში კლიტის ღრჭიალმა კარისკენ მიაჯაჭვა ჩემი ურადღება. ამასობაში კარიც გაიღო, კონტროლიორმა ბანჯგვ-ლიანი დაუვარცხნელი თავი შემოყო და მკივანა ხმით გამოაც-ხადა: - ბაქრაძე, გამომძიებელთან, დაკითხვაზე, ცოცხლად! მე აღარ დამიყოვნებია, მაშინვე კარისკენ გავქანდი, ცნობის-წადილი მკლავდა, ნეტა რაზე დამიჭირეს, ახლა ხომ მეტყვიან, მაინც...

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი IV

კონტროლიორმა, კარებთან მომლოდინე ორ ბადრაგს გადამცა და განზე გადგა. სახით კედლისკენ დგომა და ხელების ზურგზე შემოჭდობა მიბრძანეს და შუაში მოქცეულ გზას გამიყენეს. სარდაფს რამდენიმე გასასვლელი ჰქონდა. უფრო ჯურღმულს მოგაგონებდა, ვიდრე ცივილური ორგანიზაციის საგამოძიებო დაწესებულებას. რამდენიმე გადასასვლელი და კიბე ამატარ-ჩამატარეს და ბოლოს გრძელი კორიდორის ბოლოში რკინის მასიური კარების წინ ისევ კედლისკენ სახით დგომა მიბრძანეს, მე უგემურად და უნებისყოფოდ, უფრო რობოტივით ვასრულებდი მათ ბრძანებებსა თუ მოკლე კომანდებს. ერთ ერთი ბადრაგი ხიშტიანი სასხლეტფეხზეშეყენებული შაშხანით მე მომებჯინა, მეორემ კი რკინის კარზე მოწიწებით, უფრო კი მორიდებით დააკაკუნა. ჩამი-ჩუმი არ ისმოდა. რამდენიმეჯერ სცადა კაბინეტის მესვეურის ყურადღების მიქცევა, მაგრამ უშედეგოდ. ბოლოს, ეტყობა მასაც მოსწყინდა გაურკვევლობა, კარი ფრთხილად შეაღო და თავი შერგო. გამომძიებელი სადღაც გასულა - უფრო თავისთვის ჩაილაპარაკა, კარები ფართოდ გამოაღო და შესვლა მიბრძანა. მე უსიტყვოდ დავმორჩილდი. თვითონ შაშხანამომარჯვებული შემყვა, მეორე კი ძველებურ პოზაში ადგილზე დარჩა.

დაკითხვის ოთახი დიდად არ განსხვავდებოდა საკნისაგან, თუ არ მივიღებთ სათვალავში საპირფარეშოსა და პირსაბანს ჟანგიანი ონკანით. გაქლექილი მასიური მაგიდა, ნახევრადრბილი გაქუცული გამომძიებლისთვის განკუთვნილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზურგიანი სკამი და მის მოპირდაპირედ, მოყვითალო-ყავისფრად შეღებილი, ესეც არანაკლებ გაცრეცილი და გაქუცული, იატაკზე საგულდაგულოდ დაჭედილი ტაბურეტი... ერთი შვება იყო. ეზოს მხარეს ჩატანებული გისოსებიანი შემინული ფანჯარა უფრო დიდი ზომის იყო, სინათლეც შესაბამისად მეტი. უჰ, რა დახუთული ჰაერია, კაცი პირდაპირ გაიგუდება, - თავისთცის ჩაილაპარაკა ბადრაგმა, ფანჯრის სახელურს სწვდა და ფართოდ გამოაღო. დასაკითხი ოთახის კარი ღია იყო. ორპირი ნიავი შემოსისინდა ოთახში და შემოიტანა ზღვის მლაშე და ნესტიანი ჰაერი. მეამა, ღრმად ჩავისუნთქე და ცოტა შვება ვიგრძენი. ამასობაში გამომძიებელიც შემოვიდა. ხელის აქნევით ბადრაგს გასვლა ანიშნა. მანაც ჩექმების ქუსლები ერთმანეთს მხედრულად მიარტყა, მხედრულადვე შებრუნდა, უსიტყვოდ გააბიჯა ოთახიდან და რკინის მასიური კარებიც ფრთხილად მიიხურა.

გამომძიებელი მხედრულად იყო გამოწყობილი. გიმნასტიურითა და პორტუპეით, რომელზედაც მასიური კობურა, რევოლვერით გაძეძგილი ეკიდა. თავზე ჟოლოსფერარშიანი სამხედრო ქუდი ეხურა. კაპიტნის სამხრეები ჟოლოსფერიანი ზოლით მიუთითებდა მის უშიშროების ორგანოებთან წილნაყრობას. გამომძიებელი ფანჯარასთან მივიდა, ზღვაური ღრმად ჩაისუნთქა, ფანჯარა სანახევროდ მოხურა, სკამზე დაჯდა, იღლიაში ამოდებული საქაღალდე მაგიდაზე დადო. ზონარი აუჩქარებლად გახსნა, გადაფურცლა, თითქოს საჭირო ფურცელს ეძებსო, ქუდი მოიხადა, მაგიდის კუთხეში დადო და მხოლოდ ახლა შემომხედა. საშუალოზე მაღალი, მხარ-

ბეჭიანი, შავთვალწარბა, მხედრულად შეკრეჭილი, გამელოტებადაწყებული წაგრძელებული თავი. გამჭოლი მზერა და დანაკვთული სახე მის ნებისყოფასა და ხასიათის სიმტკიცეზე მეტყველებდა. გამოცდილ ჩეკისტს ესეც არ გამომპარვია. ხელით მანიშნა დაჯექიო და წელში მხედრულად გასწორდა.

- მაშ, ბაქრაძე ვამეხ ოსმანის ძე, თქვენ ბრძანდებით?

- გახლავართ ბატონო! შევატყვე სიტყვა „ბატონი“ ეხამუშა, არ მოეწონა.

- მოდი თავიდანვე შევთანხმდეთ, ბატონი არ ვარ, ამხანაგი გამომძიებელი ვარ, გასაგებია სამართალში მიცემულო ბაქრაძე?!

- ბოდიში ამხანაგო გამომძიებელო, მე ქართული ტრადიციული მიმართვა მერჩივნა, მაგრამ რა გაეწყობა.

- კარგი. კარგი... ლირიკა გვერდზე გადავდოთ. საქმეს შევუდგეთ. მაშ ასე, თქვენ ბრალი გედებათ ძალიან მძიმე დანაშაულში, რომელიც ისჯება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით... იცით ეს რას ნიშნავს: უვადო პატიმრობას ან სოციალური დასჯის უმაღლეს ზომას. მოდი თავიდანვე შევთანხმდეთ, ითანამშრომლე გამოძიებასთან, დანაშაულის გულახდილი აღიარება შესაძლოა შეამსუბუქებს შენს სასჯელს. თითქოსდა თავში ურო დამკრესო, დავრეტიანდი, საღი აზროვნებისა და მეტყველების უნარი წამერთვა. ერთხანს უაზროდ დავცქეროდი საღებავაქერცლილ იატაკს და გაბრუებულს თავი კოშმარულ სიზმარში მეგონა. ასე ვიყავ ერთხანს. ბოლოს საღმა აზრმა იმარჯვა და აზროვნების უნარი ნელ-ნელა დამიბრუნდა. საღი აზრი და ცივი გონება უარს ამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბობდა წაყენებული ბრალის აღქმაზე... 58-ე მუხლი?! ეს ხომ ღალატის მუხლია, შესაბამისად „ხალხის მტრის“ უცილობელი იარლყი. ვაიმე, მე და მოღალატე? სამშობლოს გამყიდველი? რეტი ცოტა რომ გადამივიდა, დასაკლავად განწირული ხარივით უაზრო და დაბრეცილკითხვიანი მზერა გამომძიებელს მივაპყარ...

- ამხანაგო გამომძიებელო, მგონი ვინმეში შეგეშალეთ! მე და მოღალატე? ხალხის მტერი?! ნამდვილად აქ დიდ გაუგებრობასთან გვაქვს საქმე. მე მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება დიადი საბჭოეთის სამსახურსა და კეთილდღეობას შევწირე! ეს გაუგებრობაა... გემუდარებით სიმართლე დაადგინოთ. ნუ დამღუპავთ, ნუ შებღალავთ ჩემს პატიოსან სახელს, ცოცხლად ნუ დამიმარხავთ ხანდაზმულ, პატიოსან მშობლებს, ნუ ამიტირებთ ცოლ-შვილს... საქვეყნოდ მოღალატედ და გამყიდველად ნუ გამომაჭენებთ, გემუდარებით უფროსო!, - ჩავიბღავლე და ავქვითინდი. აქეთ სიმწრის ოფლი, იქით ვაუკაცის სპეტაკი ცრემლი გამომძიებლისთვის რაღაცას უნდა ნიშნავდეს უცილობლად...

- დაწყნარდი ბაქრაძე. ესე იგი შევთანხმდით, გამოძიებასთან თანამშრომლობთ?

- დიახ ამხანაგო გამომძიებელო! - იმედის ნაპერწკალი გამიკრთა სიმწრისგან ჩასისხლიანებულ თვალებში.

- მაშ აღიარებთ დანაშაულს?

- რომელ დანაშაულზე მელაპარაკებით? მე ერისა და ქვეყნის წინაშე რამე დანაშაული არ მიმიძღვის, პირიქით, მთელი შეგნებული ცხოვრება მის იდეებსა და მიზნებს ვემსახუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებოდი... რამდენჯერ გადამიდვია თავი, რამდენი საფრთხე თუ ფათერაკი გამომივლია, რამდენჯერ სიკვდილს ჩავხედე თვალებში!

- ამხანაგო ბაქრაძე ასე არაფერი გამოვა ან აღიარებთ დანაშაულს ან სხვა ზომებს მივმართავთ, მაგრამ აღიარებით ჩვენებას მივიღებთ უცილობლად.

- რომელი დანაშაული, რომელი აღიარებითი ჩვენება? მე უდანაშაულო ვარ. იცით მე ვინ ვარ? გაქვთ ამის კომპეტენცია? დაშვებული ხართ სპეციფიურ თემებთან, რაც საბჭოთა საასაზღვრო ჯარების სადაზვერვო ორგანოების საქმიანობას ეხება?

- თქვენ რა მოქალაქევ ჩემს კომპეტენციებში ეჭვი გეპარებათ! მე ვარ საბჭოთა სახელმწიფო უშიშროების კაპიტანი კოხრეიძე, საგანგებო საქმეთა უფროსი გამომძიებელი. მე თქვენს შესახებ იმაზე მეტი ვიცი, ვიდრე ეს თქვენ წარმოგიდგენიათ...

- მაშინ ისიც გეცოდინებათ, რომ მე გაუთქმელობის ხელწერილი მაქვს დადებული და ჩემი კონკრეტული საქმიანობის შესახებ მხოლოდ ჩემს ოპერატიულ ხელმძღვანელობას ვაბარებ ანგარიშს. თქვენ იცნობთ ბათუმის სასაზღვრო რაზმის დაზვერვის განყოფილების უფროსს პოლკოვნიკ კარაბელნიკოვს? უმორჩილესად გთხოვთ, შემახვედრეთ მასთან, გაესაუბრეთ მას, ის გეტყვის სიმართლეს ჩემს შესახებ!

- პოლკოვნიკი კარაბელნიკოვი? სად ვნახავ მას ?აა, ის ხომ მოსკოვშია უკვე, დააწინაურეს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

- მაშინ ჩემი უშუალო ხელმძღვანელი მაიორი ტრაპიზონიანი შემახვედრე ან თქვენ შეხვდით. კიდევაა ლეიტენანტი ვერნიგარა, მისი თანაშემწე. ჩემი ყოფილი ოპერატიული ხელმძღვანელები მაიორი ტულაშვილი და მაიორი ჯაიანი...

- მაიორი ტრაპიზონიანი?! მოიცა, მოიცა... ორაზროვნად გაიღიმა, თავისთვის რაღაცა ჩაილაპარაკა უშიშროების კაპიტანმა და გამალებით საქაღალდის ფურცვლა დაიწყო. ბოლოს, ეტყობა, მიაგნო მისთვის საინტერესო ჩანაწერს და გათვაციცებითა და ერთი ამოსუნთქვით წაიკითხა. საუბედუროდ მე საკმაოდ შორს ვიჯექი და ვერანაირად ვერ წავიკითხავდი აღნიშნულ საბუთს.

- ჰმ, მაიორი ტრაპიზონიანი... ტრაპიზონიანი, - ისევ ორაზროვნად ჩაიღიმა, თავი გააქნია და, - ისიც საგანგებო ბრძანებით სამსახურის გასაგრძელებლად, სომხეთში, მეგრის სასაზღვრო რაზმში გადაიყვანეს... ასე რომ, შენთვის საუბედუროდ და სავალალოდ ვერავის ვერ შეგახვედრებ, დაპირისპირებაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია. მე და შენ ვართ მხოლოდ პირისპირ...

- ღმერთო დიდებულო! რა მემართება! ნუთუ ვერავინ დამიცავს, ნუთუ ვერავინ იტყვის სიმართლეს ჩემი საქმიანობისა თუ სამშობლოსათვის უმწიკვლო წვა-დაგვის შესახებ... განა მე მარტოსულსა და განწირულს ვინმე მენდობა, ვინმე დამიჯერებს?!. - ახლა კი ბოლომდე გავითავისე ჩემი უმწეო, გამოუვალი მდგომარეობა და ცხოვრებაში პირველად სასოწარკვეთილმა ავქვითინდი... გამომძიებელმა ალბათ იგუმანა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ჩემი დაკითხვის გაგრძელებას აზრი აღარ ჰქონდა, ბად-
რაგი იხმო და ჩემი საკანში გადაყვანა უბრძანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი V

ბადრაგმა, უმწეობისა და გამოუვალობის შეგნებითა და გააზრებით განადგურებული, საკანში შემაბრუნა. მთელი ღამე თეთრად გავათენე. საღი აზრი ვერა და ვერ დავიჭირე. დილით ჩამთვლემოდა. კონტროლიორის ბრახუნმა გამაღვიძა. ხემსი გადმომცა. საჭმელს პირს როგორ დავაკარებდი, დარდმა და გაურკვევლობამ, ხომ მორალურად, სრულიად მომითავა. მადა წამერთვა. მხოლოდ წყალი მოვსვი. გამოსავალი უნდა მეძებნა, საღ აზრს უნდა ემარჯვა. სწორი დასკვნები გამეკეთებინა და შექმნილი მძიმე სიტუაციიდან გამოსავალი მომეძებნა. ერთი რამ ნათელი იყო - მოხდა ის, რასაც ყველაზე მეტად ვუფრთხოდი. თავიდანაც, ხომ საიდუმლო თანამშრომლობაზე იმიტომ დავთანხმდი, რომ თავი გადამერჩინა და ოჯახი არ დამეობლებინა. რა გამოდის - თითქმის რვა წელი საიდუმლოდ ვითანამშრომლე სადაზვერვო ორგანოებთან, ფირალივით დავეხეტებოდი ტყე-ღრეში, ჩემი სიცოცხლისა და თავისუფლების ფასად ვრისკავდი მტრულად განწყობილ ქვეყანაში საზღვარზე არალეგალური გადასხმისა თუ საიდუმლო სადაზვერვო დავალების შესრულების, სულ ვფრთხილობდი, კონსპირაციის წესებსა და მოთხივნებს ზედმიწევნით ვიცავდი, ყველა დავალებას გულმოდგინედ და შედეგიანად ვასრულებდი და მაინც ბოლომდე ნდობა ვერ დავიმსახურე. მადლობას ვინ ჩივის, სამშობლოს ღალატს მედავებიან და ყველაზე საშინელი 58-ე მუხლით ჩემს წინააღმდეგ აღძრეს სისხლის სამართლის საქმე. ნეტავი ვინ გამიჩალიჩა, ვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადავეღობე გზაზე, ვის არ მოსწონდა ჩემი პატიოსნება და თავგანწირვა, ვინ შეიტანა ეჭვი ჩემს პატიოსნებასა და ერთგულებაში და ჩამიშვა. ისიც ყურადსაღებია, რომ უბრალო პირს არ უდანოსია ჩემზე, ის უფრო მაღალი რანგის ჩინოსანი უნდა იყოს, ჩემს არალეგალურ საქმიანობაში ჩახედული, ყოველ შემთხვავში ის ამის შესახებ ინფორმაციას უნდა ფლობდეს. ვის შეეძლო ჩემში ეჭვის შეტანა და სამშობლოს ღალატში ბრალის წაყენება? აუ... გამახსენდა - მაიორი ტრაპიზონიანის ხსენებისას გამომძიებელი შეცბა, სასწრაფოდ საქაღალდეში რაღაც საბუთი მოძებნა, ერთი ამოსუნთქვით წაიკითხა და გაკვირვებითა და თანაც დაუფარავი ირონიით შემათვალიერა... ნუთუ ტრაპიზონიანი?!.

თავი მისკდება. თითქოს უროს მირტყამენ საფეთქლებში... ტანშიც მამატვრევს. არ ვიცი რამდენ ხანს ვიყავი ამ მდგომარეობაში, ბოლოს გონება გამინათდა - ძველი ხალხური შეგონება გამახსენდა: წყალში ჩავარდნილი კაცი იხრჩობა და ღმერთს შესთხოვს დახმარებას, ამ დროს კი იდუმალი ხმა ჩაესმის - გაანძრიე ხელი და მოგეშველებიო. თავის კვლა, ბნედა და ცრემლების ღვრა საქმეს არ და ვერ უშველის. თავი ხელში უნდა ავიყვანო, ყველაფერი უნდა დავალაგო და გავიაზრო, სწორი გზა და გეზი გავიგნო და ჩემს თავს მე ვუპატრონო. როგორც ჩანს არც კარაბელნიკოვს, ტულაშვილს, ჯაიანს და მით უმეტეს ტრაპიზონიანს არავინ გამოიძახებს, გამოკითხავს ან შემახვედრებს... განა ცოტა რამ მსმენია სახელმწიფოსა და მისი სამართალდამცავი ორგანოების რეპრესიული მანქანის შესახებ. უბრალო დანოსით - თუ გინდ პოლიტიკურ თემაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

უაზრო და შეუგნებელი ლაყბობის გამო ხალხს ხვრეტენ და აციმბირებენ, მე კი ამ საშინელ ბრალდებას ვინმე მაპატიებს, ჩემს გულწრფელობასა და სიმართლეს ენდობა და დღეს ან ხვალ კონტროლიორი გაცისკროვნებული თვალებით შემოაღებს საკნის კარს და საზეიმოდ რუსულად წამოიძახებს - „ბაქრაძე სვეშამი“! არა! ჩემს თავს მე უნდა მივხედო, უნდა გავმართლდე, უნდა გადავრჩე და ადრე თუ გვიან დავუბრუნდე ოჯახსა და ცოლ-შვილს. ყურების ჩამოყრითა და ვაი-ვიშით არაფერი გამოვა. ჩემს თავს შევუძახე, ლოყებზე ხელი შემოვირტყი, ცივი წყლით დავიზილე კისერი და სახე, ჩემს თავს პირობა დავუდე - არავითარი სასოწარკვეთილება, მხოლოდ უკეთესი მომავლის რწმენა და გადარჩენის გზების ძიება. ერთი შეგონება მომაგონდა „ვინც ეძებს, ის ყოველთვის პოულობს!“

საჭმელი უგემურად მივირთვი. მე ძალ-ღონე, რკინისებური ნებისყოფა და გამოსავლის დაუდგრომელი ძიება თუ გადამარჩენს. სხვისი იმედი, უეცარი ხსნა ან სასწაულების არ უნდა მჯეროდეს, ფარ-ხმალი არ უნდა დავყარო, არც ყურები, არც ცხვირი და არც ხელები არ უნდა ჩამოვუშვა ან ჩამოვყარო... მოხდეს მოსახდენი!

დავმშვიდდი. აწეწილი ნერვები დავიმშვიდე, აბურდული ფიქრები და გრძნობა-გონება მოვთოკე, დავაწყნარ-დავალაგე და ნარზე მოსასვენებლად მივწექი. კაზე ბრახუნმა გამაღვიძა. ისევ გამომძიებელთან მიხმობდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამომძიებელი უფრო თავაზიანი და კეთილგაწყობილი მეჩვენა - მომესალმა და სკამზე მიმითითა, დაჯექიო. სალამი ჩამოვართვი, სკამზე მოვკალათდი და სმენად ვიქეცი.

- მაშ ასე, სამართალში მიცემულო ბაქრაძე, როგორც გავიგე, ბრალს არ აღიარებთ, არ გინდათ გამოძიებასთან ითანამშრომლოთ და თქვენი ისედაც სავალალო მდგომარეობა და ხვედრი შეიმსუბუქოთ, რა გაეწყობა შენი ნებაა, - უემოციოდ წარმოთქვა და ჩემს რეაქციას დაელოდა.

- ამხანაგო გამომძიებელო, ვინ თქვა უარი გამოძიებასთან თანამშრომლობაზე, დიდი სიამოვნებით, მაგრამ იმას, რაც არ ჩამიდენია ვერ დავიბრალებ - ჩემი ერისა და ქვეყნისთვის არ მიღალატია, უფრო მეტიც, არასდროს გულშიც კი არ გამვლია.

- ეეხ, ბაქრაძე, არ გინდა აღიარო დანაშაული, შენც მოისვენე და მეც დამასვენე, თავის მხრივ გპირდები სასამართლოსთან გიშუამდგომლო სასჯელის შემცირებისა და სასჯელაღსრულების დაწესებულებაში შედარებით იოლი რეჟიმის დაწესების შესახებ. არ გინდა და რა გაეწყობა. მაშინ მივყვეთ ქრონოლოგიურად გამოძიების მსვლელობას და გასარკვევი საკითხვების თანმიმდევრობას.

- მზად ვარ ნებისმიერ კითხვას გავცე ამომწურავი პასუხი. მზად ვარ სიმართლე დადგინდეს და სამართალმა პური ჭამოს.

- ბაქრაძე, დამიჯერე მე შენი ჯიბრი არ მაქვს, არც მტრობა, არც რაიმე ინტერესი... უახლოეს დრომდე შენი პიროვნების შესახებ არც კი ვიცოდი, მაგრამ შენზე წაყენებული ბრალდება ძალიან მძიმეა და გულგრილად, ჰარი-ჰარად ამ საქმეს ვერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მივუდგები... მეც მაკონტროლებენ და რაც მთავარია, სამართალმა ნამდვილად უნდა ჭამოს პური. პირველი კითხვა - შენი პირველი ცოლის ნათესავებთან როგორი ურთიერთობები გაქვს, არის თუ არა მათ შორის ვინმე თურქეთის სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელი ან სამხედრო მოსამსახურე?

- ამხანაგო გამომძიებელო, ჩემი ბორჩხელი მეუღლე და მისი მშობლები დიდი ხანია აღარ არიან, მეუღლეს დარჩა ორი ძმა, რომლებიც მესაქონლეობასა და მიწათმოქმედებას მისდევენ, წერა-კითხვაც კი არ იციან. მათთან ბოლო შეხვედრა ხუთი წლის წინ მქონდა, მათთან სოფელში, ისიც მიღებული დავალებიდან გამომდინარე ინფორმაციის დაზუსტების მიზნით გამოვკითხე, იმ ვარაუდით, რომ იმ მოვლენის შესახებ მათ უნდა სცოდნოდათ. ამის შესახებ ანგარიშშიც მიუთითე... მას შემდეგ მათთან არავითარი კავშირი და კონტაქტი აღარ მქონია...

- გასაგებია. ქალაქ არტაანში რა ვითარებაში გაეცანით ცხვარაძეს, ეჭვი ხომ არ გაჩენიათ მის გულწრფელობასა და სანდოობაში?

- გოჩა ცხვარაძეს შვიდი წლის წინ შემთხვევით შევხვდი არტაანის ბაზარში. მისმა ქართულ ორნამენტიანმა დოქებმა და სურებმა მიიპყრო ჩემი ყურადღება. ამის შესახებ მე დაუყოვნებლივ ვაცნობე ხელმძღვანელობას. მათივე დავალებით გადმოვიბირე და ჩავაყენე ჩვენი უშიშროების ორგანოების სამსახურში ის ყველა მითითებასა და დავალებას პირნათლად ასრულებდა. ამჟამად საქართველოშია, თქვენი შესაძლებ-

ლობის კაცს არ გაგიჭირდებათ მისი მონახვა და გამოკითხვა... იმედია სრულ სიმართლეს იტყვის.

- გასაგებია. თქვენ საკმაოდ კარგად იცნობდით არტაანის ბიზნესწრეებში ცნობილ ქალს - ფატმას, თუ მეხსიერება არ მღალატობს, მასთან ინტიმური ურთიერთობებიც კი გქონდა. ეჭვი არ გაგჩენია, რომ ის თურქეთის კონტრდაზვერვის საიდუმლო თანამშრომელი იყო ან არ შეგინიშნავთ მისი კონტაქტები საეჭვო პირებთან?

- ფატმა გავიცანი ცხვარაძის მეშვეობით, საქმის ინტერესებიდან გამომდინარე, ჩემი ოპერატიული ხელმძღვანელობის დავალებით დავამყარე მასთან ურთიერთობა, ერთი პერიოდი მის ფირმაში ვმუშაობდი. ინტიმური ურთიერთობებიც საქმის ინტერესებიდან იყო გამომდინარე... საეჭვო კონტაქტების შესახებ არაფერი მსმენია, მისი თანამშრომლობის შესახებ ჩვენ ინფორმაცია გვექნებოდა ან დავეჭვდებოდით მაინც. მსგავსი რამ არც ცხვარაძეს არც ცხოვრებაშვილს ან იქ ჩანერგილ სხვა აგენტებსაც არ შეუნიშნავთ და არც უეჭვიანიათ...

- ტყუი ბაქრაძე, შენ ყველაფერი შესანიშნავად იცოდი. სწორედ ფატმამ გაგშიფრა: მან პირველმა გაიგო, რომ არანაირი ბორჩხელი სალიხი არ იყავი, მან პირველმა შენიშნა და გაშიფრა შენი იდუმალებით მოცული უეცარი გაუჩინარება-გამოჩენის შესახებ, მან დაგაშანტაჟა და დაგაკავშირა არტაანის კონტრდაზვერვის სამმართველოს მაღალჩინოსანთან, რომელთანაც დადე ხელწერილი საიდუმლო თანამშრომლობის შესახებ, მათი დავალებით აწვდიდი ჩვენს ორგანოებს დეზინფორმაციას. ერთი სიტყვით, ორმაგ თამაშს თამაშობდი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამას ოპერატიულ ენაზე ორმაგი აგენტი ქვია... სიმწრის ოფლმა დამასხა. ყველაფერს ვიეჭვებდი, ოღონდ ამას არა! მე და ორმაგი აგენტი? მე და თამაში? მე და ღალატი?.. მაგრამ სხვა გამოსავალი არაა, თავი უნდა ვიმართლო!

- უკაცრავად კადნიერებისთვის, მაგრამ ასეთი რამ როგორ მოგივიდათ აზრად... რა ფატმას საიდუმლო აგენტობა, რა გადაბირება, რა ხელწერილი, რა დეზინფორმაცია, რა ორმაგი თამაში თუ აგენტობა... გამორიცხულია. ეს შეუძლებელია, ეს გამორიცხულია, - მეტი მღელვარების გამო, აფექტის მდგომარეობაში თავი ვეღარ მოვთოკე და გამომძიებლის მაგიდას მთელი ძალით მუშტი ვთხლიშე. რკინის მაგიდა შეზანზარდა, ხოლო გამომძიებლის საქაღალდე ბუსავით გადაფრინდა იატაკზე, კოხრეიძე ჩემს ასეთ რეაქციას არ ელოდა, ცოტა დაიბნა, შემდეგ აენთო, სათხლეშად მუშტი მომიღერა, მაგრამ ბოლო მომენტში თავი ხელში აიყვანა. წამოდგა, ბოლთის ცემას მოჰყვა, შემდეგ ფანჯარასთან მივიდა, შორეთს უყურა ერთ ხანს, შემდეგ მაგიდასთან დაბრუნდა, საქაღალდე ძველ ადგილს დაუბრუნა, პაპიროსის კოლოფი ამოიღო, ერთი მისრისა, მოუკიდა, გააბოლა და ვაი საოცრებავ - პაპიროსი მეც გამომიწოდა. თვალებს არ ვუჯერებდი. ჩემმა თავშეუკავლობამ და თავხედობამ ისე აანთო, რომ მოსაკლავადაც კი გამიმეტებდა და სიგარეტის შეთავაზება?.. მე თან მომერიდა, თან ვერ გავბედე, მამოწმებს და რაიმე არ დამმართოს, მეთქი...

- აიღე პაპიროსი, აიღე, მე გამომძიებელი ვარ, ჯალათი კი არა... მეორეჯერ აღარ მიქარო, ნუ გგონია მხოლოდ შენ გაქვს აწეწილი ნერვები, უნებლიეთ ცოდვა არ ჩამადენინო. ესე იგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კატეგორიულად უარყოფ ჩემს ნათქვამს: ფატმა აგენტი არ ყოფილა, არ გაშანტაჟებდა, არ შეგახვედრა კონტრდაზვერვის მაღალჩინოსანს?

- არამც და არამც, ამხანაგო გამომძიებელო, ასეთი რამ ბუნებაში არ ყოფილა. მასე რომ ყოფილიყო ჩვენი რეზიდენტი გაიშიფრებოდა, აგენტურული ქსელი მოიშლებოდა... ბოლოს-დაბოლოს დაპატიმრებულ ცხოვრებაშვილს ვინ მომატაცებინებდა ციხის საკნიდან და ვინ მომცემდა საშუალებას, რომ ის, საქართველოში უვნებლად გადმოგვეყვანა, ჩემი მეწყვილეებიც ხომ უნდა გაშიფრულიყვნენ. გაქვთ ასეთი ინფორმაცია?

- ჯერ ერთი, შენი საქამე არაა ჩვენ რა ინფორმაცია გვაქვს, მეორეც, ცხოვრებაშვილისა და ცხვარაძის საქმითაც დაინტერესდებიან, იმედია. შენ თავს მიხედე და შენს მიმართ დასმულ კითხვებზე გამეცი სწორი და ამოამწურავი პასუხები. კარგი... მოდი დეტალებში შევიდეთ: გავიხსენოთ 1942 წლის აგვისტო. მაშინ შენ, შენი „სამეულის“ წევრები - მიქელთაშვილი და ფუტურიშვილი ვითომ შემთხვევით გადაეყარეთ ჟანდარმებს? - ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით ეს ყველაფერი წინასწარ იყო დაგეგმილი და შენთან შეთანხმებული - თურქეთის სპეცსამსახურებს არ სჭირდებოდათ შენი მეწყვილეები, ზედმეტი მოყურადეები, ისინი რომ დაეჭირათ და შენ არა, მაშინ ჩვენები შენში ეჭვს შეიტანდნენ, ასე გადაწყდა მათი ლიკვიდაცია და ამიტომ გათამაშდა ვითომ შემთხვევით გადაყრა ჟანდარმებთან და ორმხვრივი სროლა. თურქები ერთი გასროლით ორ კურდღელს კლავდნენ: ორი აგენტი იქნებოდა ლიკვიდირებული, შენთვის, როგორც ორმაგი აგენტის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვის, კი - უნაკლო, ნაღდი, გარანტირებული ალიბი. შედგომში ფუტურიშვილის საზღვარგარეთ მორიგ მივლინებაზე უარის თქმამ რაც გამოიწვია კი იცი...

- ვიცი და ძალიან განვიცდი. ჯერ ერთი, მაიორი ტულაშვილი დახეიბრდა და ეგზომ გამოცდილი და ადამიანური თვისებებით დაჯილდოვებული ჩეკისტი ჩამოწერეს და ნაადრევად პენსიაზე გაუშვეს, მეორე, მაიორი ჯაიანი ფაქტიურად სადაზვერვო საქმიანობას ჩამოაშორეს და მესამე, ფუტურიშვილმა თვითონაც სულელურად გაწირა თავისთავი და უღიმღამოდ დაასრულა სიცოცხლე. ზებურ ფუტურიშვილმა ჩვენს მიმართაც არაკაცურად მოიქცა, თავისი სიმხდალე და უტიფრობა რომ დაეფარა, ჩვენ აუგად მოგვიხსენია, არაპროფესიონალიზმში დაგვდო ბრალი, ჩვენში ეჭვი შეიტანა, უდისციპლინობასა და სიმხდალეში დაგვადანაშაულა. თურმე, იმის მაგივრად, რომ ერთად მედგრად და ერთიანი ძალით შევბმოდით მოწინააღმდეგეს - თურქ ჟანდარმებს, ჩემი ბრძანებით გავიფანტეთ და ყველა თავის გადარჩენას ვცდილობდით. მართალია, გაფანტვის და ცალკ-ცალკე საქართველოში დაბრუნების გადაწყვეტილება მე მივიღე. არ შეიძლებოდა ჟანდარმებთან ღიად ბრძოლაში ჩართვა, რამდენიმე მიზეზის გამო: ჯერ ერთი - ჩვენ ვიყავით უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე შეზღუდული საბრძოლო შეიარაღებითა და ტყვია-წამალით; მეორე - ჩვენ თურქეთში საომრად, ტერორისტული თუ დივერსიული აქტის ჩასატერებლად ან შაჰიდებივით თავგასაწირად კი არ მიგვავლინეს, აქაოდა, ძალა აჩვენეთ და მაქსიმალური ზარალი მიაყენეთ თურქებსო, ჩვენ კონკრეტული, ოპე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რატიული დავალების შესასრულებლად გადაგვისროლეს საზღვრის გადაღმა, რაც უნდა გაგვეკეთებინა კონსპირაციისა და უსაფრთხოების მოთხოვნათა სრული დაცვით და რაც მთავარია, მესამე - სამალავიდან ამოღებული ფასდაუდებელი სადაზვერვო მასალა უვნებლად და უსაფრთხოდ უნდა გადმოგვეტანა. საბუთები კი მე მქონდა ქურთუკის სარჩულში ჩაკერებული. ორი დღე-ღამე ხიდის ქვეშ ლატანზე გაკრული მშიერ-მწყურვალი ველოდი ჟანდარმების ცეცხლის შეწყვეტას და ვითარების ჩაწყნარებას. უკან დაბრუნებულმა აღმოვაჩინე რა ომარ მიქელთაშვილის გვამი კი არ მივატოვე, არამედ ხოხვა-ცოცვით გადმოვიტანე ჩვენს ტერიტორიაზე და მისმა ჭირისუფალმა წესის აგებით მიაბარა მიწას. მე შემეძლო ეს არ გამეკეთებინა, უპატიოსნოდ მოვქცეულუყავი, გვამის პოვნა დამემალა, ადრე თუ გვიან გვამს ნადირ-სვავი დაგლეჯდა და მორჩა... უფროსობამ მაშინ ეს ყველაფერი დაწვრილებითა გაანალიზა და წამახალისა კიდეც. მე ფუტურიშვილზე პასუხისმგებლობა არ ამიღია და არც არავის დაუვალებია. ვმოქმედებდით ინსტრუქციის მიხედვით. ლოგიკურადაც ასეა - ცალკ-ცალკე მეტი შანსი იყო შენიღბვისა და თავი გადარჩენისა. კიდევ ერთხელ ვიმეორებ - ვერ დავუშვებდი ჩვენს გაშიფვრას და სადაზვერვო მასალების თურქეთის სპეცსამსახურების ხელში ჩავარდნას. ამ საქმეში ჩვენი იაღლიში მხოლოდ იმაში იყო, რომ ინსტრუქციის ერთი მოთხოვნა დავარღვიეთ: წარმატებული ოპერაციით წათამამებულებმა, საზღვრის მიმდებარედ სპეციალურად აღჭურვილ სამალავში კი არ დაველოდეთ ღამის დადგომას, არამედ, წინასწარ დაუთქმელ

ეროვნული ბიბლიოთეკა

და შეუსწავლელ-დაუზვერავ, საზღვრიდან საკმაო მანძილით დაშორებულ ტყეში გადავწყვიტეთ მოსვენება.

- დავუშვათ ამ ეპიზოდში დაგიჯერე. იმაზე რას მეტყვი: დაჟინებით, რატომ მოითხოვე, თითქმის ულტიმატუმის ფორმით, პოლკოვნიკი კარაბელნიკოვისაგან შენი „სამეულიდან“ გაყვანა და დამოუკიდებლად მოქმედება. ამით სხვა კურიერების მხრიდან თვალთვალის თავიდან აცილება გინდოდა, რათა უფრო იოლად შეგძლებოდათ ორმაგი თამაშის გაგრძელება?

- ამხანაგო გამომძიებელო, არაადამიანურად გულს მიკლავთ და უსაფუძვლო ეჭვებით მამცირებთ. მე ხომ „დიდ მიწასთან“ ჩვენი რეზიდენტის ერთადერთი კურიერი და მეკავშირე ვიყავი. როგორ წარმოგიდგენიათ, ჩემი ჩავარდნა ან ლიკვიდაცია როგორ სიტუაციაში ჩააგდებდა სიმწრით აწყობილ საქმეს, მეორეც სადაზვერვო ინფორმაციას მაშინ აქვს ფასი თუ ის უტყუარია, დროული და წინმსწრები. მე სადაზვერვო საქმის გამოცდილი პროფესიონალი ვარ, არაერთწლიანი გამოცდილების მქონე კურიერი და რაც მთავარია, როგორც ჩვენს, ასევე თურქეთის საზღვრისპირა რეგიონებს ხუთი თითივით ვიცნობ, ყოველთვის დამოუკიდებლად ვმოქმედებდი და ყველა შესაძლო შემთხვევათა ვარიაციები დაღეჭილ-დახვეწილი მქონდა. მეწყვილეები და ჯგუფური მოქმედება კი პირიქით, ჩვენი რეზიდენტურის ერთადერთ კურიერს უფრო მოწყვლადს ხდიდა...

- ვაა, ეს რა დახვეწილი არამზადა შემხვდა კაცო! ყველა კითხვაზე წინასწარ აქვს მომზადებული და დამუშავებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისთვის ალიბიანი და სარფიანი პასუხები! - გამომძიებელი გაბრაზდა. მაგიდიდან მთელი ტანით გადმოიწია, ეროსავით დიდი მუშტი თავში უნდა ედრუზა, მაგრამ რატომღაც გადაიფიქრა, გაბრაზებული წამოვარდა და ბოლთას ცემას მოჰყვა. ბოლოს ფანჯარასთან მივიდა და პაპიროსი გააბოლა. პაპიროსი აღარ შემომთავაზა... ხმაგაკმენდილი, თითქმის გაუნძრევლად ვიჯექ ტაბურეტზე და მის დამშვიდებას ველოდებოდი. როგორც იქნა გამომძიებელი დამშვიდდა და მის ადგილს დაუბრუნდა. მორიდებთ ჩავახველე, უფრო მინდოდა ყურადღება მოექცია ჩემთვის, ვიდრე ამას ფიზიოლოგიური თუ ჯანმრთელობის მდგომარეობის თავისებურება მოითხოვდა.

- ამხანაგო გამომძიებელო, მესმის თქვენი გამოუალი მდგომარეობის, მაგრამ მინდა ჩემი სავალალო მდგომარეობაც გაითვალისწინოთ: მართალმა კაცმა, ვიღაც არაადამიანის შეთითხნილი დანოსის საფუძველზე დაპატიმრებულმა და განწირულმა, როგორ ვაღიარო არარსებული დანაშაული, სამშობლოს ღალატი დავიბრალო და ჩემი ფეხით მივიდე გილიოტინაზე ან ცხვარივით უდრტვინველად მივუშვირო უგულო ჯალათს კეფა-კისერი... როგორ მოვიქცე, გულწრფელად, დედას გაფიცებთ, მირჩიეთ!...

- ვაა, რა ვქნა კაცო! ვამეხ, ერთადერთი გამოსავალია ბრალის აღიარება. მხოლოდ ამით თუ შეიმსუბუქებ სასჯელის ზომას, თორემ ამ ბრალდებას შენ არავინ მოგიხსნის, შენს არგუმენტებს უბრალოდ არც შეისმენენ, კოლეგიის მოსამართლეთა „სამეული“ საქმეში არსებულ ჩვენებებსა და ბრალდებებს მაინც

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარწმუნოდ მიიჩნევს და მაშინ ნამდვილად არ აგცდება სასჯელის უმაღლესი ზომა!..

- ვაიმე, ღმერთო, რომელ წყალში გადავვარდე ან რა მოვიმოქმედო, რომ სიმართლეში დაგარწმუნოთ!.. გამწარებულმა მჯიღზე ვიკბინე და სიმწრის ოფლმა ხერხემლის გავლით საცვლებს უწია...

- კარგი, კარგი დამშვიდდი, გავაგრძელოთ - საქმის მასლეებიდან ირკვევა, რომ შენს თურქეთის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობაზე და ორმაგი თამაშის გაბმაზე ეჭვი ადრეც ყოფილა. კერძოდ, ფუტურიშვილი დაეჭვებულა და გამოუთქვამს მოსაზრება, რომ ჟანდარმებთან გადაყრა და საცეცხლე კონტაქტი შემთხვევითი არ ყოფილა. 1943 წლის მარტში, მორიგ გადასხმაზე უარის თქმაც იმით აუხსნია, რომ ჟანდარმები, როგორც ჯაშუშობაში შემჩნეულს, ხელმეორედ შეეცდებიანო მის ლიკვიდაციას.

- სრული სიცრუეა. ჩვენი ჟანდარმებთან გადაყრა და საცეცხლე კონტაქტი სრულიად შემთხვევითი იყო. მე ოპერატიული ხელმძღვანელობის დავალებით გადავამოწმე მომხდარი. მაშინ ჟანდარმებმა დევნის შედეგად ალყაში მოაქციეს თურქ ყაჩაღთა ერთი ჯგუფი, რომლებიც ძარცვავდნენ და ავიწროვებდნენ მოიალაღეებს. მე რომ ორი ჟანდარმი შემომაკვდა, ისიც ყაჩაღებს დააბრალეს. მაშინ ორმხვრივი სროლის შედეგად ყველა ყაჩაღი მოკლეს. ფუტურიშვილი მკვდარია, მისი ეჭვების საფუძვლიანობას ან რეალურ განზრახვას ვინღა გადაამოწმებს, - სასოწარკვეთილმა წამოვიძახე და ხელები თავზე შემოვიჭდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

- მესმის, მაგრამ საქმეში არსებული საბუთი ამას სრულად ხსნის და ჩვენში არავითარ ეჭვს არ იწვევს. კარგი, გავარძელოთ: შენ და ჩვენმა რეზიდენტმა ცხოვრებაშვილმა რატომ დაუმალეთ მაიორ ტრაპიზონიანს, შენს უშუალო ხელმძღვანელს, რეზიდენტურის შესაძლო ჩავარდნის საფრთხის შესახებ?! თქვენ ამის შესახებ პოლკოვნიკ კარაბელნიკოვს, ტრაპიზონიანის გვერდის ავლით, მეორე, საიდუმლო პაკეტით მოახსენეთ. საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ თქვენ ბოროტად გამოიყენეთ ცხოვრებაშვილის თქვენდამი უზომო, ფაქტობრივად უპირობო ნდობა, უარყოფიდად დაუხასიათეთ მაიორი ტრაპიზონიანი და ფაქტიურად მორალური ზეწოლის შედეგად მიაღებინეთ გადაწყვეტილება გვერდი აევლო მისთვის. შენ ისიც გაითვალისწინე, რომ მაიორი ტრაპიზონიანი შენდამი უარყოფიდად არის განწყობილი, ეჭვის თვალით უყურებს შენს ერთგულებასა და გულწრფელობას. იმიტომ ხომ არა, რომ ტრაპიზონიანი უფრო კრიტიკულად აღიქვამდა ამ ინფორმაციას, სიღრმისეულად ჩაწვდებოდა საქმის არსში, ყოველმხვრივ გაანალიზებდა შექმნილ გარემოებას, დაეჭვდებოდა შენს ნეგატიურ როლზე რეზიდენტურის შესაძლო ჩავარდნის მომზადების საქმეში, ეჭვს შეიტანდა შენში, როგორც ორმაგ აგენტზე და ოპერატიული თამაშის მონაწილეზე, მის დასკვნებსა და მოსაზრებებს მოახსენებდა ზემდგომ ორგანოებს, შენს წინააღმდეგ დაიწყებოდა საქმის წარმოება, გადამოწმება და გამოძიება. ეს რომ თავიდან აგეცილებინა, შეგნებულად დაარწმუნე რეზიდენტი, გვერდი აევლო ტრაპიზონიანისთვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

- ამხანაგო გამომძიებელო, მე მაიორმა ტრაპიზონიანმა შემიძულა არა იმიტომ, რომ ჩემს ერთგულებასა და პატრიოტიზმში ეჭვი შეეპარა, როგორც სანდო და პატიოსან თანამშრომელზე, არამედ იმიტომ, რომ მე მუსლიმური აღმსარებლობის ვიყავი, თანაც აჭარელი. მოგეხსენებათ ტრაპიზონიანის წინაპრები წარმოშობით თურქეთიდან, კერძოდ ერზრუმის ოლქიდან არიან, როგორც საყოველთაოდ ცნობილია, რუსეთ-ოსმალეთის ომის (1929-1930 წ.წ.) დროს, რუსეთი ოსმალეთის წინააღმდეგ ორ - კავკასიისა და ბალკანეთის ფრონტებზე აწარმოებდა საომარ მოქმედებებს. რუსეთის გაერთიანებულმა არმიამ კავკასიის ფრონტზე ხელშესახებ წარმატებას მიაღწია და ოსმალეთის ტერიტორიის სიღრმეში, კერძოდ აღმოსავლეთ ანატოლიაში, მნიშვნელოვნად წაიწია და დაიკავა მთელი რიგი პროვინციები. მათ შორის ერზრუმის ოლქი, სადაც კომპაქტურად სახლობდნენ სომხები. სომხური მოსახლეობა რუსულ არმიას შეხვდა როგორც ოსმალეთისაგან განმათავისუფლებელს და მის მხარეზე გადავიდა. სახელდახელოდ შექმნილი სომხური რაზმები და მოსახლეობის დიდი ნაწილი გადავიდნენ რუსების მხარეს, ესე იგი ოსმალეთის წინააღმდეგ. სამწუხაროდ, რუსეთის არმიამ მეორე - ბალკანეთის ფრონტზე წარმატებებს ვერ მიაღწია, ფაქტიურად დამარცხდა.

ომის დამთავრების შემდეგ, მოლაპარაკების შედეგად, რუსეთის იმპერიას გადაეცა ქართული მიწების ნაწილი - სამცხე-ჯავახეთი, ხოლო რუსეთის არმიის მიერ დანარჩენი, ადრე დაკავებული ტერიტორიები უნდა დაებრუნებინა ოსმალეთისთვის. ოსმალეთის იმპერიის ქვეშევრდომ სომეხთა ცნობილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქმედებების პასუხად, ოსმალეთის მთავრობის მხრიდან მათ გარდაუვალი რეპრესიები ელოდათ. ეს გარემოება მაშინდელ სომხურ ელიტასაც ჰქონდათ გათვითცნობიერებული. რუსი გენერალიტეტისა და სომეხთა სამღვდელოების ძალისხმევით, ევროპის წამყვანი სახელმწიფოების მხარდაჭერით, რუსეთ-ოსმალეთს შორის ამ საკითხზე მოლაპარაკება შედგა. რუსეთის მთავრობას, მისთვის გადაცემული, ადრე ოსმალეთის შემადგენლობაში არსებული, ტერიტორიებიდან მუსლიმი მოსახლეობისთვის ოსმალეთში გადასახლებისთვის ხელი არ უნდა შეეშალა. შესაბამისად, ოსმალეთის მთავრობა ვალდებულებას იღებდა რუსეთის არმიის მიერ ადრე დაკავებული ტერიტორიებიდან ქრისტიანი მოსახლეობის გადასახლებისთვის ყოველმხვრივ შეეწყო ხელი. ქრისტიანულ რუსეთს ნაკლებად აწყობდა ახალ მიერთებულ ტერიტორიებზე მუსლიმური აღმსარებლობის მოსახლეობა, ისევე როგორც მუსლიმურ ოსმალეთს - ქრისტიანი მოსახლეობა. რეპრესიების თავიდან აცილების მიზნით, სომხური მოსახლეობა, სხვებთან ერთად, მასიურად გადმოსახლდა რუსეთის იმპერიის მფლობელობაში არსებულ ტერიტორიებზე.

კავკასიის მთავარმმართებლის გადაწყვეტილებით, ქართველი თავად-აზნაურების ერთი ნაწილის ნებართვა-დასტურით, სომეხ და ბერძენ ლტოლვილთა დიდი ნაწილი ჩამოასახლეს საქართველოში და კომპაქტურად გაამწესეს სამცხე-ჯავახეთსა და თრიალეთის ზეგანზე. მაიორი ტრაპიზონიანი ძირძველი ისტორიული სამშობლოდან მისი წინაპრების აყრას და სხვა მიწებზე განსახლებას უსამართლოდ მიიჩნევს, გა-

ნიცდის, როგორც პირწავარდნილი ნაციონალისტი, ამიტომ გენეტიკურად უკიდურესად სძულს თურქები და საერთოდ მუსლიმური აღმსარებლობის მრევლი. სხვათა შორის ის ამას არც მალავდა, არაერთხელ უთქვამს და დამმუქრებია კიდეც. კი ბატონო, ეს მისი ნებაა ვინ სძულდეს ან ვინ უყვარდეს, მაგრამ სამსახურებრივი ურთიერთობები აქ რა შუაშია. მას ჩემში, როგორც საიდუმლო თანამშრომელში, არავითარი საბაბი არ გააჩნდა, რომ ეჭვი შეპაროდა ჩემს სანდოობასა და ერთგულებაში. მისი ეჭვიანობა მისი ფსიქოლოგიურ-მორალურ-ნაციონალისტური აზროვნებისა და მდგომარეობის პირდაპირი გამოძახილია და მეტი არაფერი. რაც შეეხება რეზიდენტის უპირობო ნდობის ბოროტად გამოყენებას, ესეც სრული აბსურდი და სისულელეა. ხელმძღვანელობის მითითებითა და ინსტრუქციით მოხდა ჩვენი შეხვედრა-დაახლოება. რეზიდენტურის აგენტურულ ქსელში რიცხული აგენტების უმეტესობა ადრე ჩემთან იყვნენ ოპერატიულ კავშირზე, მე უშუალო მინაწილებას ვიღებდი მომავალი აგენტების შერჩევა-შემოწმებასა და გადაბირებაში. ამ და სხვა დამსახურებისთვის, სათანადო განათლების არქონის მიუხედავად, ოფიცრის ჩინიც მიბოძეს. მე ვიყავი რეზიდენტის თანაშემწე, თანამოაზრე და კურიერი „დიდ მიწასთან“. ახლაც, მხოლოდ ჩვენ ორმა ვიცით სამალავის არსებობის შესახებ და მხოლოდ მე - მისი ადგილმდებარეობა, სადაც ჩვენს მოქმედ აგენტებზე საიდუმლო მასალები ინახება და სხვა, კიდევ ბევრი რამ!.. მე არ მჭირდებოდა მისი ნდობის ბოროტად გამოყენება, მე მხოლოდ მის მოსაზრებას დავეთანხმე, რათა ზედმეტი აჟიტირება და უაზრო მითმა-მოთქმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ გამოეწვია ამ თემას. მეორეცაა, - რეზიდენტი პირადად იცნობდა ტრაპიზონიანს, მის კაცთმოძულე, ქსენოფობიურ მიდრეკილებას მუსლიმანების მიმართ, მათთან მიმართებაში მის ველურ ბუნებას. ამის შესახებ ჩვენ ღიად გვისაუბრია არაერთჯერ... დიახაც, მისი კაცთმოძულე, ველური ბუნებიდან გამომდინარე, კაპიტანი ცხოვრებაშვილი ლეგიტიმურად თვლიდა, რომ ტრაპიზონიანი შანსს არ გაუშვებდა ხელიდან, რეზიდენტურის შესაძლო ჩავარდნის საფრთხე სათავისოდ რომ არ გამოეყენებინა, შემდეგ ყოველივე ჩვენს უნიათობაზე, საქმისადმი ზერელე მიდგომისა თუ არაპრო-ფესიონალიზმისთვის დაებრალებინა. ამ ფონზე კი თავისი პერსონის განსაკუთრებულობას უსვამდა ხაზს და უფროსობის თვალში წარმოჩნდებოდა როგორც პროფესიონალი და საქ-მისადმი უერთგულესი. რეზიდენტმა სწორედ ამიტომ მიიღო გადაწყვეტილება შექმნილი ვითარების შესახებ მოეხსენებინა ხელმძღვანელობისათვის ტრაპიზონიანის გვერდის ავლით, მით უმეტეს, რომ რეზიდენტისა და რეზიდენტურის საქმიანობა ტრაპიზონიანის სამსახურებრივ კომპეტენციაში არ შედიოდა. რეზიდენტურა მას არ ეხებოდა და არავინ აპირებდა მისთვის ანგარიშის ჩაბარებას. მაიორი ტრაპიზონიანი მხოლოდ ჩემს ოპერატიულ ხელმძღვანელად ითლებოდა, ისიც ნომინალურად.

- რატომ გაჩნდა ლეგიტიმური ეჭვი, რომ ჩვენს რეზიდენ-ტურას ჩავარდნა ემუქრებოდა?

- თქვენთვის უკვე კარგად ცნობილ ფატმა ხანუმთან ჩემი ურთიერთობიდან გამომდინარე, მისი კავშირების წყალობითა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და უშუალო მეცადინეობით მოხერხდა ჩვენი რეზიდენტის ლეგალიზაცია. მან რეკომენდაცია გაუწია რეჯებ დინდარს, ესე იგი მალხაზ ცხოვრებაშვილს მისი მეუღლის მეგობართან და პარტნიორთან - რაშიდ ბეისთან, რომლის კომპანია ამარაგებდა არტაანისა და ყარსის რეგიონებში განლაგებულ კავალერიის ნაწილებს თივითა და ფურაჟით. კომპანიის არ-ტაანის წარმომადგენლობის ხელმძღვანელად, ისევ ფატმა ხანუმის მეცადინეობით, დაინიშნა „ჩემი ბიძაშვილი“ - რეჯებ დინდარი, სტამბოლში განათლებამიღებული გამოცდილი ახალგაზრდა კაცი. ეს გარემოება ჩვენ მოხერხებულად გამო-ვიყენეთ და რიგი სამხედრო მოსამსახურის გადმობირება მო-ვახერხეთ, შეხებითობის პრინციპით - საინტენდანტო სამსახუ-რის თანამშრომლები. მაგრამ მოხდა გაუთვალისწინებელი რამ: რაშიდ ბეის კომპანიის მიერ მიწოდებული ფურაჟი გაფუ-ჭებული აღმოჩნდა, - რის შედეგად რამდენიმე სამხედრო ნა-წილში ადგილი ჰქონდა პირუტყვის, უმეტესად სამხედრო ცხე-ნების მასიურ დაცემას. სამხედრო პროკურატურამ ფაქტზე დაიწყო გამოძიება, საიდენდანტო სამსახურის თანამშრომ-ლები, მათ შორის რამდენიმე ჩვენი აგენტიც დააპატიმრეს. სწორედ მაშინ გაჩნდა საშიშროება, ვაითუ რომელიმემ ვერ გაუძლოს წამებას ან სასჯელის შემსუბუქების მიზნით პირადი ინიციატივით გამოტყდეს საბჭოთა დაზვერვასთან საიდუმლო თანამშრომლობის შესახებო. ამას რომ ჩვენი დაპატიმრება მოჰყვებოდა, მგონი უტყუარი ფაქტია...

- საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ გარკვეული შეხები-თობა ამ საქმეში შენც გქონდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

- ამხანაგო გამომძიებელო, დახვრეტაზე უფრო იოლად მოვაწერ ხელს, ვიდრე მაგ ცოდვას ავიღებ თავზე. ამ საკითხზე მეტს ვერაფერს ვიტყვი, გარდა იმისა, რომ სრული აფსურდია და ბოდვა.

- 1944 წლის ოქტომრის შუა რიცხვებში შენი ხელმძღვანელობით მოხერხდა ჩვენი რეზიდენტის არტაანის ციხიდან გამოხსნა და საქართველოში უვნებელი გადმოყვანა. საქმის მასალების მიხედვით, ესეც შენი თურქეთის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობის წყალობით მოხდა...

- ამხანაგო გამომძიებელო, დიდი მოწიწებით ბოდიშს გიხდით, ერთი შეკითხვა თუ შეიძლება?!

- კი. ყურადღებით გისმენ.

- საქმის მასალებით ირკვევა ან თუ არის რაიმე მტკიცებულება, რომ ჩვენი რეზიდენტი ან რომელიმე დაპატიმრებული აგენტი თურქის სპეცსამსახურებმა გაშიფრეს და ბრალი წაუყენეს შპიონაჟში?

- ჰმ! ნამდვილად ჭკვიანი და საზრიანი ყოფილხარ. შენ წარმოიდგინე, არა...

- აი ხომ ხედავთ, რომ ჩემს წინააღმდეგ საქმე უნიჭოდ და დაუდევრად შეთითხნილია. ჯერ ერთი, თურქეთში მე მიცნობენ როგორც სალიხ დინდარი, რეზიდენტს კი როგორც ჩემს ბიძაშვილს - რეჯებ დინდარს. თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქეებს, ბორჩხის მაზრის მკვიდრებს, წარმოშობით გურჯებს. მეტი არაფერი. საქმის მასალებში არ არსებობს საბუთი ჩვენი რეზიდენტისა თუ სხვა პირების, თურქეთის მოქალაქეების, მათ შორის სამხედრო მოსამსახურეების, საბჭოთა დაზვერვასთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხილების შესახებ. რა დაინტერესება მქონდა, როგორც საბჭოთა დაზვერვის აგენტს, თურქების მიერ გაშიფრულსა და ორმაგ აგენტს, ოპერატიულ თამაშში ჩართულს, თურქეთის მოქალაქის ციხიდან გაპარვის ორგანიზება რომ ვიკისრე. დოკუმენტალურად დადასტურებულად დაინტერესებულმა ორგანოებმა იცოდნენ, რომ რეჯებ დინდარი ჩემი ბიძაშვილია. აზრს არ აყოლებენ ვინც მაგ ზღაპრებს თხზავენ - სად საბჭოთა აგენტი და სად ბორჩხელი რეჯება... და თუ მე გაშიფრული ვარ და არავითარი სალიხ დინდარი არ ვარ, მაშინ როგორ იქნება საბჭოთა აგენტი ბორჩხელი რეჯებ დინდარის ბიძაშვილი... კარგი, ვინც შემითხზა ეს საქმე გასაგებია, მაგრამ თქვენ, გამოძიებას ეს ეჭვი არ გაგიჩნდათ ან ნამდვილად თვლით, რომ დიდი ოსმალეთის იმპერიის სამართალმემკვიდრე სპეცსამსახურები ერთუჯრედიანი ბრიყვებითა და სულელი უნიჭოუწიგნურებით არიან დაკომპლექტებული.

- აბა, აბა, ფრთხილად, დაუკრეფავში არ შეტოპო, მე საქმის მასალებს ვეყრდნობი მხოლოდ.

- კეთილი და პატიოსანი. რაღა მეთქმის... სარკასტულ-დამცინავი ღიმილი შემეყინა გაფითრებულ ტუჩებზე და უმწეოდ თავი ჩავკიდე. ბოლომდე გავისიგრძეგანე, რომ განწირული ვარ, რომ გამოძიება მხოლოდ ფარსია, ჩემი ბედი უკვე გადაწყვეტილია. სამართლიანობისა და კანონის დაცვის იმიტაციაა მხოლოდ. ჩემს თავზე გამოვცადე რას ნიშნავს უდანაშაულო ადამიანის განწირვა. მთავარი მისი უდიდებულესობა დანოსია!!!

ეროვნული ბიბლიოთეკა

- ბატონო გამომძიებელო, დიდ ბოდიშს გიხდი, მაგრამ როგორც კაცმა კაცს ერთი შეკითხვა და დავამთავროთ. მე გავითავისე, რომ განწირული ვარ და არაფერი მეშველება. არც თავის მართლებას და აღარც თავის დაცვას აზრი აღარ აქვს...

-კი ბატონო, ბრძანე! - სიტყვა „ბატონში“ იმდენი სარკაზმი და ქილიკი იგრძნობოდა, მე სერიოზულად დავვეჭვდი გამომძიებლის ქართველობაში! ამნაირად და ამ დონეზე გადაგვარება და კომუნისტური იდეოლოგიის შესრუტვა-გათავისება? ვაი ჩვენო საქართველო! ვაი ჩვენო გმირო წინაპრებო! ვაი მე!!! დიდი ძალისხმევა დამჭირდა გაოგნება, ემოციები და ურთიერთგამომრიცხავი აზრები მომეთოკა, მაგრამ უნდა მეკითხა...

- ამხანაგო გამომძიებელო, ისე ნუ მომკლავთ ჩემი ბოლო მეწყვილეების - გენჯი აბაშმაძის და ჯივან მიქელთაძის ბედი ვერ გავიგო!

- ერთი წუთით, - გეგონება მომიბოდიშაო, საქაღალდე გულდასმით მოჩხრიკა, კმაყოფილების ნიშნად ტუჩები ააწკლაპუნა და, - გასაგებია. აბაშმაძე და მიქელთაძე ბოლო მივლინებიდან საქართველოში აღარ დაბრუნებულან. არის ეჭვი, რომ თურქეთის სპეცსამსახურების მიერ დაგებულ მახეში გაებნენ... სხვათა შორის აქაც შენ გივაუკაცია. ყოელ შემთხვევაში ძიების მასალებში ასეა... მის ტონში ვერც ირონია შევნიშნე ვერც სერიოზულობა. სიტყვა ითქვა სიტყვისთვის... მხოლოდ!

- გმადლობთ. ბარემ ლონდონიდან დელიმდე გვირაბის გაყვანაც დამაბრელეთ! კმარა! მორჩით მასკარადს! გააკეთეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც გადაგიწყვეტიათ. დაკითხვაზე ნუღარ დამიბარებთ. მე დუ-მილის უფლებას გამოვიყენებ!

გამომძიებელმა მგონი კმაყოფილებაც კი იგრძნო, რახან დავნებდი, ხმაურით დახურა საქაღალდე, ფაქიზად განასკვა ზონარი, საქმიანად იღლიაში ამოიდო და ბადრაგი იხმო. იმ-წამსვე ხელის აქნევით აღნიშნა, გაიყანეთო და ჩქარი ნაბიჯით დატოვა დაკითხვის ოთახი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი VI

დაკითხვიდან მესამე დღეს, გვიან ღამით, სხვა საკანში გადამიყვანაეს. საკანი ორადგილიანი იყო. პირვანდელ საკანთან შედარებით უფრო ფართე და ნათელი, თორემ ინტერიერით არაფრით განსხვავდებოდა. ისეთივე რუხი და უღიმღამო იყო. ცარიელ საწოლზე, ნარზე დავაწყე ჩემი ნივთები: ლეიბი, ბალიში, ზეწარი და პირსახოცი. ესენი ახალ საკანში გადმოყვანის წინ მომცეს. პატარა თორბაში ჩემი პირადი ნივთები მელაგა. სათანადო პატივის გაღების შემდეგ ერთმა ჩვენებურმა კონტროლიორმა ქალაქში შეიძინა და მალულად გადმომცა, თორემ სახლიდან ისე ნაჩქარევად და ნაუცბადევათ გამომიყვანეს, ქვედა საცვალში საგანგებოდ გამოკერებული გარკვეული ფულადი თანხის გარდა, რომელსაც შავი დღისთვის ვინახავდი, თითზე შემოსახვევი ძაფიც კი ვერ წამოვიღე. მეორე საწოლზე, უფრო სწორედ ნარზე ერთ ბრგე, თმაგაჩეჩილ მამაკაცს ზურგშექცევით ეძინა და ხვრინავდა.

აქ გადმოყვანამდე, ორი დღე-ღამის განმავლობაში, დაკითხვაზე აღარ გავუყვანივარ. ვიწექი ჩემთვის და ცხოვრების მუხანათობასა და ავბედითობაზე ვფიქრობდი. არანაირი კონტაქტი გარე სამყაროსთან არ მქონია. მხოლოდ უშიშროების საგამოძიებო ოზოლატორის კონტროლირების გულგრილი, ცივი და ზოგჯერ უხეში რამდენიმე სიტყვიანი მონოლოგი და ციხის ბალანდისა და შავი პურის იძულებითი თქვლეფა, რამე თუ გავითავისე - თავბედის წყევლა-კრულვა, სხეულის გვემა, ვიშვიში, შიმშილი ან სხვა პროტესტის რადიკალური, თუნდაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკიდურესი ფორმა უაზრობაა და მეტი არაფერი. დავუძლურდები, მორალურად, ზნეობრივად და ფიზიკურად დავძაბუნდები, გავტყდები, რითაც ციხის სასაფლაოს კიდევ ერთ უპატრინო და უსახელო ბორცვს შევმატებ. მე კი საბოლოოდ გადავწყვიტე - რაც არ უნდა დამიჯდეს, უნდა გაუძლო ყველაფერს, მედგრად და შეუპოვრად გადავიტანო ყველა ზეწოლა, სიდუხჭირე თუ ფათერაკი... მე არალეგარულმა ცხოვრებამ და მოღვაწეობამ ფიზიკურად გამომბრძმედა და სულიერად გამომაწრთო, უნდა გავუძლო, უნდა გადავიტანო, უნდა ვიცოცხლო, უნდა დავუბრუნდე შეურყეველი, შეურყვნელი ფსიქიკითა და ნორმალური, საღი ჯანმრთელობით ჩემს ოჯახს, ჩემს მშობლიურ გარემოს, მე მათ ვჭირდები, ისინი მე მჭირდებიან!

ნარზე ლეიბი გავშალე, ჩექმები გავიხადე, წამოვგორდი, თავქვეშ ხელები ამოვიდე და ჩავფიქრდი. საბჭოთა ციხეებსა თუ კოლონიების შესახებ საკმაო ლიტერატურა მქონდა წაკითხული, ყოფილი პატიმრებისგანაც ბევრი რამ მსმენოდა, მეტნაკლებად ვერკვეოდი იქ არსებულ წესებსა თუ რეჟიმზე. ისიც ვიცოდი, რომ ასეთ დაწესებულებებში ფაქტიურად შიდა ხელისუფლება კრიმინალური ავტორიტეტების ხელშია. ისინი არიან ციხეების, ბანაკებისა და კოლონიების რეალური ბატონ-პატრონები. ადამიანის ბედიცა და სიცოცხლეც კი მათ ხელშია. იქ ვერ დამალავ რეალურ მიზეზს თუ რატომ ზიხარ, რა დანაშაულის გამო იხდი სასჯელს. თუ შენი კრიმინალური ბიოგრაფია ან განვლილი ცხოვრების წარსული მათი კოდექსისა და ეთიკის ნორმებში არ ჯდება, მათ ლოგიკაში არ ეტევა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშინ მოგჭამა ჭირი შენმა გოლიათუმა ძალამ, ადრინდელმა სოციალურ-ეკონომოკურმა მდგომარეობამ თუ თავისუფლებაზე ყოფნისას მითვლილმა პრივილეგიებმა და ავტორიტეტმა.

მე მთელი სიგრძე-სიგანით გათავისებული და შეგნებული მქონდა ჩემი რეალური ყოფა და გარემოებანი. სრულად მესმოდა, ბოლომდე გავისიგრძეგანე და გავითავისე, ნებისმიერი სახის სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში ყოველგვარი რანგისა თუ მასტის პატიმარ-ტუსაღი თუ გაიგებდა, რომ მე საბჭოთა დაზვერვის სტაჟიანი აგენტი ვარ, თანაც წლების განმავლობაში საბჭოთა რეჟიმის დაცვისა და გაძლიერება-განმტკიცების მიზნით, ზედმიწევნით პირნათლად და შედეგიანად ვასრულებდი სპეცსამსხაურების ყველა დავალებასა და მითითებებს, მოგჭამა ჭირი ყველაფერმა, ერთ დღეში გამასაღებენ, არც მშველელი, არც ქომაგი და არც გვერდში მდგომი არ გამომიჩნდება. ვის გაუჩნდება სურვილი აგენტთან ურთიერთობის ან ახლო კონტაქტის. არამც და არამც...

საღ გონებაზე განსჯა და სწორი დასკვნების გაკეთებაა საჭირო. მივყვეთ ლოგიკას - თვითონ უშიშროების ორგანოები არა თუ მოისურვებენ, არამედ კატეგორიულად არ და ვერ დაუშვებენ ჩემი საიდუმლო თანამშრომლობის გაშიფვრას ან ზოგადად როგორც აგენტის ჩავარდნას... არასდროს და არავითარ შემთხვევაში ციხის, კოლონიის თუ ბანაკის ადმინისტრაციას არ მიაწვდიან ინფორმაციას ჩემს საიდუმლო კონტაქტებსა თუ დაზვერვასთან რაიმე ფორმით თანამშრომლობის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარანტირებოლად დარწმუნებული ვიყავი და ინფორმაციის გაჟონვისა არ მეშინოდა.

ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ მე ხომ ცოცხალი ადამიანი ვარ, რეალურად ვვარსებობ, რეალურად რაღაცის გამო ჩავვარდი, რაღაცის გამო ვიხდი სასჯელს, ბრიყვისთვისაც ცნობილია: აქ ლამაზი თვალების გამო არ ზიან...

რჩება მთავარი: უნდა დავშიფრო ჩემი პიროვნება. უნდა შევძლო სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხვედრის და სამართალში მიცემის რეალური და რაც მთავარია დამაჯერებლური მიზეზების ჩამოყალიბება-შემუშავება და ლეგენდირება. ერთი სიტყვით რომ ვთქვათ, უნდა შევთხზა-შევიმუშავო მარტივი, გამართული, მრავალმხვრივ შესწავლილი-გადამოწმებული და რეალურ ცხოვრებასთან უტყუარად შეხამებული და მორგებული ინფორმაცია თუ ვინ ვარ, რატომ მოვხვდი ციხეში და საერთოდ რაზე ვიხდი სასჯელს. მით უმეტეს საბჭოთა კავშირის სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით!.. ეს მუხლი კი ავტომატურად „ხალხის მტრად“ გამოცხადებას ნიშნავს. ასი თვალი და ასი ყური უნდა გამოვიბა. სიფრთხილე, გამჭრიახობა და მოზომილი ქცევა თუ სიტყვა-პასუხი მმართებს.

შევუდგე საქმეს! ვარ ის, ვისაც მთელი საზოგადოება მიცნობს - ვამეხ ბაქრაძე, სოციალური წარმომავლობა - გლეხი, აჭარის სოფელ მზიანეთიდან. მყავს ოჯახი - ცოლი და ორი ვაჟიშვილი. თავის დროზე ვირიცხებოდი გენერალ ასლან აბაშიძის რაზმში, ვღებულობდი მონაწილეობას ბათუმისა და აჭარის მხარის თურქებისაგან გათავისუფლებისათვის წარმოე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბულ ბრძოლებში. ერთ-ერთი პირველი ჩავები ახალი ცხოვ-
რების ფერხულში: შევედი კომკავშირში. ჩამოვაყალიბე
ახალგაზრდული დამკვრელი ბრიგადა და სოფლის არტელის
მოწინავეთა რიგებში ვირიცხებოდით. შემდეგ ადგილობრივი
ხელმძღვანელობის რეკომენდაციითა და გადაწყვეტილებით
მუშაობა გავაგრძელე ხულოს სატყეო მეურნეობაში, კერძოდ
თეთრობი-გოდერძის სატყეოს უფროსი ეგერის პოზიციაზე.
ვმუშაობდი მუხლჩაუხრელად. მოხდა ისე, რომ ადგილობრივ
ხელმძღვანელს ამ პოზიციაზე მისი კადრის გაყვანა მოუნდა,
შესაბამისად ჩემი მოხსნა გადაწყვიტა და მიზეზად აბსურდული
ბრალდება წამომიყენა - თეთრობის მოიალაღეებმა უკა-
ნონოდ, სატყეო მეურნეობის ნებართვის გარეშე დაამზადეს
საშეშე მერქანიო. მე გაკვირვებულმა შევახსენე, რომ ხსენე-
ბული ტყის უბანი საკოლმეურნეო ტყეა და არა სახელმწიფო.
მაგრამ ჩემს წინააღმდეგ იმანაც იმუშავა, რომ იქ მაღალმთიან,
ძნელად მისადგომ ხევ-ხუვებში, კონკრეტულ უბანზე, ორი
უწყების ტყეთმფლობელობის საზღვრები ზუსტად არ იყო
გავლებულ-განსაზღვრული.

მე გავაპროტესტე. უფროსმა კომკავშირული ორგანიზაციის
კომპენტენციაც ბოროტად გამოიყენა და არა მარტო შეძლო
მისი განზრახვის გამართლება, არამედ ჩემი კომკავშირის
რიგებიდან გარიცხვის საკითხის დაყენებაც. ბრალად დამდეს
დაუდევრობა და მავნებლური დამოკიდებულება სოციალის-
ტური საკუთრების მიმართ. ყოველივე მთიელი კაცის ჩვეული
სიმძაფრითა და კატეგორიულობით გავაპროტესტე. უკი-
დურესად შეურაცყოფილმა და გამწარებულმა სატყეო მეურ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნეობის უფროსსა და მის დამქაშებს უშვერი სიტყვებით ვაგინე და დავემუქრე, რომ სისხლით მოუწევდათ ჩემი შეურაცხყოფისათვის ზღვევა. შედეგად ახალი იარლიყი მომაწეპეს - თანამდებობის პირის შეურაცხყოფა და ანტისახელისუფლებო ლაყბობა! იცოდნენ ამ არამზადა ჩინოვნიკებმა ბრალდების შეთხზა და სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამის მუხლთან შეჯერება!.. საბოლოო ჯამში ჩემს წინააღმდეგ შეთითხნილი მასალები აჭარის ავტონომიის სათანადო სამართალდამცავ ორგანოში მოხვდა, იქ კი ჩემი ბრალეულობა ლაკონურად ჩამოაყალიბეს - „დაუდევრობა და მავნებლური დამოკიდებულება სოციალისტური საკუთრების მიმართ. ანტისახელისუფლებო ლაყბობა და ხალხის მასებში ანტისაბჭოთა აგიტაციის გაწევის მცდელობა“. ასე მოვხვდი ციხეში და „გავინაღდე“ 58-ე მუხლი და „ხალხის მტრის“ იარლიყი. ლეგენდა მრავალჯერ გავატარე გამოცდილი ჩექისტის გონებაში, არაერთჯერ შევაჯერე ფაქტებთან თუ ლოგიკურ შედეგთან და მივიჩნიე, რომ ლეგენდა უბრალო, მწყობრი და უტყუარია, დამაჯერებლურად გამოიყურება... გამთენიისას ნაფიქრ-ნააზრევითა და ნანერვიულებით გათანგულს ჩამძინებოდა.

დილით, როგორც ყოველთვის, ზედამხედველ-კონტროლიორის კარებზე ბრახუნმა და შეძახილმა გაგვაღვიძა - ადგომის დროაო.

ჩემი თანამესაკნეც ზლაზნვით წამოდგა, თვალები მოიფშვნიტა და კონტროლიორს უშვერი სიტყვებით შეუკურთხა. ხელპირი დაიბანა და მხოლოდ ამის შემდეგ მომიბრუნდა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

- ოო, გამარჯობა. აქ მარტო არ ვყოფილვარ. მეძინა. ამის გამო ვერ შეგამჩნიე, ბოდიში, - ცალყბად ჩაიდუდუნა და ღიმილი შემომანათა. აუჩქარებელი, გულგრილი და მედიდური ქცევა, ეტყობა ჩემთან ავტირიტეტის დასაფიქსირებლად დასჭირდა, - ვიაზრე და ჩემის მხვრივ ნიშნისმოგებით ჩავიღიმე. აუჩქარებლად პირსაბანთან მივედი, ხელ-პირი დავიბანე, სხვა საჭიროებანიც მოვითავე და ტაბურეტზე ჩამოვჯექი.

გაცნობა ვერ მოვასწარით. კონტროლიორმა მხოლოდ ჩემთვის განკუთვნილი ბალანდა შემოდო სარკმლის რაფაზე. მეზობელი კი გასასვლელად იხმო, - გამომძიებელი სასწრაფოდ გიბარებსო. ისიც სწრაფად წამოდგა, ისე რომ საწოლიც არ მოუწესრიგებია.

მთელი დღე მარტოობაში გავატარე. მხოლოდ ორჯერ მომაკითხა კონტროლიორმა, სადილ-ვახშმად მთავაზობდა სუფსა და ფაფას.

ჩეკისტური გამოცდილებიდან ვიცი: დაინტერესების ობიექტს სიმართლის დასადგენად ან საჭირო ინფორმაციის წამოსაცდენად სპეციალურად მიუგზავნიან მომზადებულ აგენტს, რომელიც თამაშობს კეთილგანწყობილი და თანამოაზრე პირის როლს, უთანაგრძნობს, ამართლებს, უწონებს ქცევებსა და განზრახვებს, შედის ნდობაში, უსვამს რიგ პროვოკაციულ ან მინიშნებად კითხვებს და ღებულობს დაზვერისა თუ ძიებისათვის საჭირო ინფორმაციას. ეჭვის ჭია მიღრღნიდა გულს, ვაი თუ მოგზავნილია, „პოდსტავას“ მიკეთებენ... ისიც მაეჭვებდა, ბალანდა მისთვისაც რატომ არ მოიტანეს, მშიერი კაცის დაკითხვა რა ბედენაა, მეთქი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთელი დღე ამგვარ ფიქრსა და აზრთა ჭიდილში „ნაომარს“ ჩამძინებოდა, უფრო სწორედ, ჩამთვლემოდა. კარის ბრახუნმა გამაღვიძა. თანამესაკნე შემოაბრძანეს და მჭახე ბრახუნით კვლავ დაადეს საკნის მასიურ კარს კლიტე...

ჩემი თანამესაკნე უხმოდ მიუახლოვდა მის ნარს, უგემურად, შეუდგა დილიდანვე აწეწილი ლოგინის დალაგებას. მოზომილად, დინჯად იქცეოდა, ეტყობოდა მხედრული სიზუსტე და მიხვრა-მოხვრა საწოლის გასწორების თუ ტანისამოსის ჩაცმა-გახდისას. ჩეკისტის დაკვირვებულ თვალს ეს გარემოება არ გამოეპარებოდა, თორემ ჩვეულებრივი ადამიანი ყოველივე ამას ყურადღებასაც არ მიაქცევდა.

მე მაშინვე ვიგუმანე - შემომიგზავნეს უშიშროების სამსახურის თანამშრომელი ან სპეციალურად მომზადებული აგენტი, რათა ჩემთან ნდობაში შემოვიდეს, მეც გული გავუხსნა და გადმოვულაგო სიმართლე, ერთგვარად ამოვალაგო ნადარდევი და სული შევიმსუბუქო. კვლავ დავრწმუნდი ჩემი დიდი პაპის ნათქვამის სისწორესა და სიზუსტეში: - „ეს ქვეყანა ტყუილი დუნიაა, წამსვლელთა საბინადრო, ცხოვრება კი ერთი დიდი თამაშიო“. ციხეშიც თუ თამაში და ყველა სიტყვის აწონ-დაწონა დამჭირდებოდა, ამაზე ყველაზე ნაკლებად მიფიქრია. ახლა კი ისევ ქართული სხარტულა მომაგონდა: - „თეთრსა და წითელ ღვინოსა, განა სულ ყველას სმა უნდა, პირზე მომდგარსა სიტყვასა, განა სულ ყველას თქმა უნდა?!“ მიგიხვდი ჩემო „უბედურობის ძმავ“, მიგიხვდი. მეც ჩემებურ საკენკს არ მოგაკლებ, გწამდეს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

- გამარჯობა მეზობელო. კარგ განწყობას და მომავალს გისურვებ. ისე შენ უნდა თქვა, უდრტვინველი და ხალასი ძილი მცოდნიაო, მთელი ღამე ფეხიც კი არ გაგიტოკავს, მონოტონური ხვრინვა კი მოსასმენად ერთ რამედ ღირდა!

- აფერუმ მეზობელო, ყოჩაღ, პატიმრის კვალობაზე იუმორის გრძნობა, რომ შეგრჩენია. მე კი მთელი დღე გამომძიებელმა სული ამომხადა. ჯერ დამკითხა, შემდეგ კი საგამოძიებო ექსპერიმენტებზე მაბოდიალა პორტსა და ბათუმის სასპეკულანტოდ ვარგის მიყრუებულ კუთხე-კუნჭულებში.

- მესმის შენი. მეორე მხრით, რა ვქნა ძმაო, დარდი და თავზარის ცემა „ ავნებს ხორცსა, მერმე სულსა“, - უადგილოდ ვეესეხე სულმნათ შოთას და ჩემი უეცარი ნაკითხობის თვითონ გამიკვირდა.

- ოო, შენ ამასთანავე ნაკითხი და გონებაგახსნილი კაცი ყოფილხარ, შენთან ნამდვილად არ გამიჭირდება საკნის უღიმღამო ცხოვრება, ალმაცერად შემომხედა, ცალყბად ჩაიცინა და შეფიცულივით თვალი ჩამიკრა.

- გაიხარე ჩემო ძმაო, აქ სხვა არჩევანი არ გვაქვს, უნდა შეეგუოთ და ვზიდოთ ერთმანეთი!..

- სრულად გეთანხმები, ვაი რომ ასეა, სიმართლეს ღაღადებენ ბაგენი შენი. ჩამეცინა. ახლა მე მონუსხულივით ჩავუკარ თვალი. ეტყობა ისიც მიხვდა, მოთელვა საკმარისიაო და ისე, რომ ჩემსკენ არც მობრუნებულა ჩაილაპარაკა:

- მე მიშა კალიკიდი ვარ, შენ?

- მე ვამეხ ბაქრაძე. კეთილი იყო ჩვენი გაცნობა. თუ რაიმე სახეიროს ერთმანეთს ვერ გავუკეთებთ არც რაიმე გვევნოს, -

ეროვნული ბიბლიოთეკა

დინჯად ვთქვი და ხელი გავუწოდე. მანაც მომიბრუნდა, ხელი შემაგება და დასტურო, - შემომცინა.

- აგაშენა ღმერთმა. თვეზე მეტია ხმის გამცემი არავინ მყავს. მარტო ვარ საკანში გამომწყვდეული...

- ეეჰ, თუ კარცერია, ჩემს საკანს ეთქმის კარცერი, სადღაც ჯურღმულში, სარდაფის ბოლოს, ნესტიანი, ტურტლიანი, თანაც ერთ კაცზე გათვლილი...ის იყო რაც იყო...

- მესმის. ახალბედა პატიმრებს იქ ამწყვდევენ ხოლმე. რაც უფრო გაუსაძლისია პირობები ახალი, პირველად სამართალში მიცემული პატიმრისთვის, მით უფრო მძაფრდება მისთვის თავისუფლების საჭიროება და მით უფრო დამყოლი და „პირმორღვეული“ ხდება. მეც გამომიცდია ეგ...

- მიშა, მართალი ხარ. ერთი პირობა ისეთი სასოწარკვეთილება და გამოუვალობა ვიგრძენ, თავი მოვიკლა, მეთქი, - ვიფიქრე.

- ეე, თავის მოკვლა რა ბედენაა, ახლა უნდა დადგე თუ დასადგომია, შენ დაიწყე და დიდ შოთას მეც დავესესხები: „ჭირსა შიგან გამაგრება, ესრე უნდა ვით ქვითკირსა“.

- გაიხარე გენაცვალე. გვარი კალიკიდი, რაღაც უცნაურად ჟღერს, უკაცრავად თუ არ ვიქნები, რომელი ერის შვილი ბრძანდებით?!

- ბრძანება შენდა, რა დასამალ-დასაფარი მაქვს. წალკელი ბერძენი ვარ. ამჟამად ბათუმელი. შენ?

- მე აჭარელი ვარ. მაღალმთიანი, ბედკრული, გაჭირვებული აჭარის შვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

- ესე იგი მუსლიმანი ქართველი ყოფილხარ, გადღეგრძელოს უფალმა! ისე რომ ითქვას, მაგრები ხართ ეს აჭარლები! სამასი წელი ხუმრობა ხომ არაა, ოსმალეთის უღელ ქვეშ გაძლება არ გინდა! რვაჯერ აუჯანყდით ოსმალოს ხონთქარს... თვითმმართველობა, ასკერში სავალდებულო გაწვევის არშემოღება, ენის, კულტურის, ტრადიციების, ადათ-წესების, ქართული ცხოვრების წესებისა და ნორმების, ქართული მორალისა და თვითშეგნების შენარჩუნება შეძელით... მართალია, სარწმუნოებასთან გამოთხოვება კი მოგიწიათ...

- ეს ასეა ჩემო მიშა. ჩვენ სარწმუნოება დავთმეთ, რომ შეგვენარჩუნებინა ქართული მრწამსი, სული და ცნობიერება... წინაპართა მიწა-წყალი. წინააღმდეგ შემთხვევაში ან ამოგვწყვეტდნენ ან გაგვასახლებდნენ. ვინ იცის სად და მაშინ ნახე ყველაფრის დაკარგვა და სრული გადაგვარება-ასიმილაცია. ჩვენს ძველებს უთქვამთ: „წინდახედული, საზრიანი კაცი ორი უბედურებიდან უმცირესს ირჩევსო“.

- მართალი ხარ ვამეხ, მართალი! სარწმუნოება ერთია, ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებაა - მეორე. მიშამ ეს თქვა და ხასიათიც წაუხდა. მაშინვე ვიგუმანე, მეც არ დავახანე:

- მიშა, შე კაცო, ხასიათი წაგიხდა, რა დაგემართა?

- შენმა შეგონებამ დამაფიქრა. აი, მე წალკელი ბერძენი ვარ, ძველი პონტოელების შთამომავალი. ჩვენც იგივე ბედი გვეწვია. ოსმალეთმა პონტოს სამეფოც დაიპყრო. თქვენ, აჭარლებმა გვაჯობეთ. სარწმუნოება დაგათმობინეს, მაგრამ სხვა დანარჩენი შეინარჩუნეთ. ჩვენ, პონტოელმა ბერძნებმა, სარწმუნოება შევინარჩუნეთ. მაგრამ ენა, ტრადიციები და ბევრი სხვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამ დავკარგეთ. ჩვენები ახლაც თურქულად საუბრობენ. ჯერი სარწმუნოებაზეც რომ მიდგა, პონტოელები დაიქსაქსნენ, ვინ სად... ასე მოხვდნენ ჩემი წინაპრები საქართველოში, თრიალეთის ზეგანზე.

- თუ უკაცრავსად არ ვიქნები, ერთსაც გკითხავ, რა საქმიანობას ეწევი?

- პონტოელი ბერძნები, ისევე როგორც სომხები ძირითადად ვაჭრობითა და ხელოსნობით ვართ დაკავებული. ჩემები ოდითგანვე ვაჭრობას მისდევდნენ. დიდვაჭრებიც გვყავდა. საბჭოთა ხელისუფლებამ ქარვასლები, დუქნები თუ სავაჭრო ფარდულები ჩამოგვართვა და მათი ნაციონალიზაცია მოახდინა. მიწის მუშაშად არ დაბადებულაო პონტოელი, ამბობენ. ასე იყო თუ ისე, ბაბუაჩემი ბათუმში გადმოსულა და ვაჭრობისთვის მიუყვია ხელი.

- შენც ვაჭრობის სფეროში ხარ დასაქმებული?

- რა თქმა უნდა. ვმუშაობ ბათუმის ერთ-ერთ უნივერმაღში საქონელმცოდნედ.

- რა გინდა ძმაო, კაი სამუშაო კი გქონია, როგორც მთიან აჭარაში ამბობენ - „მოთოხნე და მოცოხნეო“, კაი ბაგაზე კი ბმულხარ, მეტი რა გინდა?! აქ რას აკეთებ, როგორ მოხდი ამ ჯურღმულებში?

- იოლია სათქმელად. მიზერულ ხელფასზე ქალაქში შეძლებულად ვერ იცხოვრებ. არ მითხრა ახლა, რად გინდა კაი ცხოვრებაო. ჰოდა ჯერ გადამყიდველობა - სპეკულანტობას მოვკიდე ხელი, შემდეგ კი მადამ მსძლია - კონტრაბანდას შევეჭიდე... პორტში სანდო ხალხი გავიჩინე, შესაბამისი კავშირე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბი დავამყარე, უცხო და საბჭოთა გემების ეკიპაჟის წევრებთან ავაწყეთ აღებ-მიცემობა.

- კონტრაბანდისტები ჩვენთან, მთიან აჭარაშიც იყვნენ. ადრე ეგრეთ წოდებულ „მწვანე“ საზღვარზე ჩალიჩობდნენ. ბევრი დააპატიმრეს 30-იან წლებში... შენ როგორღა ჩავარდი?

- ქართული ანდაზისა არ იყოს - „კოკა წყალს ყოველთვის არ მოიტანსო“, სწორედ ასე მოხდა. ვიღაცას არ მოეწონა ჩემი საქმიანობა და დანოსი მიიტანა „სადაც არს“. ჯგუფი სრულად აიყვანეს. გამოძიება ჯერ არ დამთავრებულა.

- თუ უკაცრავად არ ვიქნები, მინდა გკითხო, შენი პირველი პატიმრობაა? - გამოგიტყდებით, ერთთაგვარ აზარტში შევედი, როცა სხვისი ბედით დავინტერესდი, თანაც გამოცდილი პატიმარი მჭირდებოდა, მე ხომ ციხის ცხოვრებას, პატიმართა ურთიერთობებს, ქცევის წესებს თუ სხვათა შესახებ მხოლოდ წიგნში წაკითხულით, სხვების მონაყოლით ვიცოდი ან საერთოდ ვერ ვერკვეოდი.

- საუბედუროდ არა, ჩემო ვამეხ. ეს უკვე მესამე პატიმრობაა - „ხოდკა“, ციხის ტერმინით თუ ვიტყვით. შენ?

- მე კი პირველად. ისიც მგონი დიდ გაუგებრობასთან მაქვს საქმე. არაფერი, რის გამოც კაცის დაპატიმრება რომ შეიძლება არ ჩამიდენია. ხელები გავასავსავე და მის რეაქციას დაველოდე.

- მართალი ხარ. მაღალმთიან ზონაში მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის მეტი არის რამე თუ? არტელის ხარ-ძროხა ან თხა-ცხვარი ხომ არ მოგიპარია, ბიჭო? - სიტყვა „ბიჭო“ ამ შემთხვევაში გაშინაურებას უფრო ნიშნავდა, რადგან ამის თქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის შემდეგ მეგობრულად წამომარყტა მხარზე. ნამდვილად ვგრძნობდი, მიშა ჩემს კეთილგანწყობის მოპოვებას და გაშინაურებას ლამობდა.

- არა კაცო, რა არტელის პირუტყვი. მე სატყეო მეურნეობაში ვმუშაობდი, სახელმწიფო ტყეს ვიცავდი.

- სამასალე ხე-ტყეს თუ გაყიდდი „ლევად“ ე.ი. უსაბუთოდ, თორემ ჩვენს ტყეებში იმდენი ნადირი სადაა, ბრაკონიერობა რომ დაგეწყო, - მიშამ ირონია არ დაიშურა.

- არა კაცო, რა სამასალე ხე-ტყე ან მერქანი, მოიალაღეებმა შეშა დაამზადეს და უბანი სახელმწიფო ტყის კუთვნილება აღმოჩნდა, - ერთი სიტყვით მიშას მთელი სერიოზულობითა და დამაჯერებლურად მოვუყევი ღამით შეთხზული და ლეგენდირებული ზღაპარი. მიშა ჯერ ჰაიჰარად მისმენდა, შემდეგ კი ჩემი ნაამბობისადმი ცხოველი ინტერესი გამოიჩინა. მიუხედავად მცდელობისა, გაკვირვებას ვერ მალავდა, მე კი მის ყველა ჟესტსა და მიმიკას ვაკვირდებოდი.

საბოლოო ჯამში ეგზომ სასარგებლო და ჩემი ეჭვების სრულად დამადასტურებელი დასკვნა გავაკეთე - მიშა ნამდვილი „პადსტავაა“, ნამდვილად მომიგზავნეს. კოვზი ნაცარში ჩაუვარდა საწყალს. ის ჩემგან აღსარებას ელოდა და არა საგანგებოდ შეთხზულ, მაგრამ სრულიად რეალისტურ და სიცოცხლისუნარიან ზღაპარ-ლეგენდის მოსმენას...

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი VII

მე და მიშა კალიკიდი კიდევ დიდხანს ვსაუბრობდით. ბოლოს ჩემთვის ეგზომ საინტერესო და საჭირბოროტო თემას შევეხეთ:

- მიშა ბატონო, მე არასდროს არ ვყოფილვარ თავისუფლების შეზღუდვისა თუ აღკვეთის ადგილებში, შენ კი მესამედ წარსდგები სამსჯავროზე. ციხეებზე და იქ გამეფებულ მდგომარეობაზე კი მსმენია, მაგრამ მაინც ბუნდოვანი წარმოდგენა მაქვს, თუ შეძლებ „გამანათლო“ ამ მიმართულებით. მესმის, შეგონება - „არ ცოდნა, არ ცოდვაო“ აქ უადგილოა. კრიმინალური სამყარო არ პატიობს არცერთ სიტყვას და ქმედებას... ძმობას, თუ არ დაზარდები, მომიყევი ამის შესახებ!..

- ჩემო ვამეხ, ვატყობ გულადი და თამამი კაცი ხარ. რამდენადაც დიდი ცხოვრებისეული გამოცდილება გაქვს, იმდენად ნაკლებად ერკვევი ციხის ცხოვრებასა თუ კრიმინალურ სამყაროში დამკვიდრებულ ყოფასა და კანონებში. მომეწონე როგორც კაცი და პიროვნება. არ მინდა მათი უნებლიე მსხვერპლი გახდე, თორემ განსჯა-ანალიზის უნარი არ გაკლია. ღმერთმა უხვად მოგმადლა ყოველივე. პირველ რიგში ზოგი რამ უნდა იციდე კრიმინალური ავტორიტეტისა და საერთოდ კრიმინალური სამყაროს შესახებ. ისე ციხე-კოლონიებში თავს ვერ გაიტან. სულ არაფრისთვის შეიძლება გაგაფუჭონ ან სიცოცხლეს გამოგასალმონ.

- მიშა ბატონო, დიდად დავალებული დავრჩები თუ შენგან სათანადო ცოდნასა და გამოცდილებას შევიძენ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

- კი ბატონო, მაშინ ყურადღებით მომისმინე: კრიმინალი ადამიანთა მოდგმის განუყოფელი ატრიბუტი იყო. პირველი ადამიანის - ადამის უფროსმა ვაჟმა კაენმა უმცროსი აბელი შურის გამო მოკლა. აქედან მოყოლებული კაცის კვლა, ყაჩაღობა, ქურდობა, ძარცვა-გლეჯა და სხვა დანაშაულებრივი ქმედებები კაცობრიობის ისტორიაში ყოველთვის იყო. ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ზოგჯერ კრიმინალი მინავლდებოდა, ზოგჯერ კი ახალი ძალით იფეთქებდა და ცივილიზებულ სამყაროს თუ საზოგადოებას წალეკვით ემუქრებოდა, ძირითადში იმაზე იყო დამოკიდებული თუ რა ფორმებითა და მეთოდებით ან სიმკაცრით ებრძოდა ამა თუ იმ ქვეყნის გაბატონებული მმართველი ელიტა თუ ხელისუფლება. ასე იყო საქართველოსა და რუსეთშიც.

- მსმენია, როგორც ციხეებსა და კოლონიებში, კრიმინალს აკონტროლებს კანონიერი ქურდი. მისი ძალაუფლება განუზომელია. ის კრიმინალური სამყაროს ფაქტიური მეფეა. ვინ არიან კანონიერი ქურდები, საიდან იწყება მათი სათავე?

- კი ბატონო, ამ საკითხით მეც მრავალგზის დავინტერესებულვარ, სათანადო ინფორმაციის მოძიებაც კი შევძელი: საბჭოთა კავშირში კრიმინალური ტალღა განსაკუთრებით გააქტიურდა მეოცე საუკუნის ოცდაათიან წლებში. საბჭოთა ხელმძღვანელობა დარწმუნდა რა, რომ კრიმინალური სამყაროს მოსპობა ან განეიტრალება შეუძლებელი შეიქნა, გადაწყდა კრიმინალური სამყაროს ელიტის, რაღაც ფორმით გაკონტროლება. ამ პროცესს უშუალოდ ხელმძღვანელობდა იოსებ სტალინი. მან 1929 წელს მთავარი პოლიტიკური სამმართვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოს თავმჯდომრის პირველ მოადგილეს ჰ.იაგოდას მისცა შესაბამისი დავალება. ჰ. იაგოდამ ზედმიწევნით შეისწავლა წამყვანი ქვეყნების კრიმინალური პოლიციის გამოცდილება, განსაკუთრებით კი გერმანელი მოღვაწის - ვილჰელმ შტიბერის გამოცდილება.

ვ.შტიბერმა თავის დროზე შექმნა პრუსიის დაზვერვა, კონტრდაზვერვა და კრიმინალური პოლიცია.

მან შეიმუშავა დამნაშავეობასთან ბრძოლის საკუთარი მეთოდი. ის ამტკიცებდა: „კრიმინალის მოსპობა შეუძლებელია. დანაშაული იყო, არის და იქნება. ამიტომ აუცილებელია კრიმინალური სამყაროს კონტროლი. საამისოდ კი ერთადერთი გზა არსებობს: ჩვენს კონტროლქვეშ უნდა მოექცეს კრიმინალური ელიტა“.

საამისოდ ვ.შტიბერმა უდიდესი სამუშაო გასწია. მან საგანგებოდ შეისწავლა ინდოეთში არსებული ქურდული კასტების სტრუქტურა, ზნე-ჩვეულებანი. ასე ჩამოყალიბდა კრიმინალური სამყაროს ელიტის პორტრეტი.

კრიმინალური ელიტის მოდელი შემდეგში მდგომარეობდა: „არა ოჯახი, არა გაზეთები არა წიგნები, არა მთავრობასთან თანამშრომლობა. ეს უკანასკნელი, რასაკვირველია, დეკლარაციულ ხასიათს უნდა ატარებდეს. ელიტა ძირითადად ჩვენი ან ჩვენს კონტროლქვეშ მოქცეული პირებისგან უნდა შედგებოდეს, რომლებიც გაარჩევენ საქმეებს, გაყოფენ ნადავლს, დასჯიან იმათ, ვინც თავის თავზე მეტისმეტად ბევრს იღებს ან ჩვენ დაგვეხმარებიან მათ დასჯაში“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღნიშნული მოდელი გერმანიაში წარმატებით განხორციელდა. კრიმინალმა იკლო. მთავრობა აკონტროლებდა დამნაშავეობის სიტუაციას.

შტიბერისეული მეთოდი რუსებმაც გადმოიღეს. „ქურდი“ - ასე ეწოდა რუსული კრიმინალური სამყაროს ელიტის წარმომადგენელს.

ჰ.იაგოდამ მიზანშეწონილად მიიჩნია ხელისუფლების აქტიური ძალსხმევით კრიმინალთა ახალი ელიტის შექმნა. წარმოდგებოდა ქურდის ახალი ტიპი, რომელიც კანონის კონტროლქვეშ იქნებოდა.

ასე გაჩნდა ტერმინი „კანონიერი ქურდი“. მალე ვორკუტისა და მაგადანის ზონებში გაჩნდნენ პირები, რომლებიც თავს კანონიერ ქურდებს უწოდებდნენ. კანონიერ ქურდს ეკრძალებოდა ოჯახის ყოლა, პოლიტიკაში მონაწილეობა, გაზეთებისა კითხვა. კანონიერ ქურდად შეიძლებოდა ეკურთხებინათ მხოლოდ ის პირი, რომელიც რამდენჯერმე იქნებოდა ნასამართლევი. კანონიერი ქურდები საგანგებო „სხოდკაზე“ წყვეტდნენ თუ კანდიდატი რამდენად იმსახურებდა კანონიერი ქურდის ტიტულს. კანონიერი ქურდი ხელშეუხებელი პირი იყო. ყველა, ვინც მას შეეხებოდა, სასტიკად ისჯებოდა.

- რა უფლებებით სარგებლობდნენ კანონიერი ქურდები?

- კანონიერი ქურდები ციხეებსა და ზონებში თავს შეფებად გრძნობდნენ. ისინი არ მუშაობდნენ. ჰყავდათ ამალა. გააჩნდათ ძალაუფლება ადამიანთა გარკვეულ ჯგუფებზე.

- თავად კანონიერი ქურდები ვის ემორჩილებოდნენ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

- თავად კანონიერი ქურდები უმკაცრესი ზედამხედველობის ქვეშ იყვნენ. ქურდი, რომელიც გამოდიოდა კონტროლიდან, კარიერას სავალალოდ ამთავრებდა. მას ან „აფუჭებდნენ“ ან ფიზიკურად უსწორდებოდნენ. ასევე სავალალო იყო იმ ქურდის ხვედრი, რომელიც აღარ სჭირდებოდათ. საბოლოოდ, კანონიერი ქურდები მათივე ძმაკაცების ან მილიციელების ტყვიის წერა ხდებოდნენ. ბედნიერნი იყვნენ ისინი, ვინც ნაადრევად დაბერებულნი, ავადმყოფნი, ჭუჭყსა და სიბინძურეში ასრულებდნენ სიცოცხლეს. მათ ადგილს ახალგაზრდები იკავებდნენ, ფინალი კი უცვლელი იყო.

- ამჟამადაც ასეა, ყველა კრიმინალური ელემენტი კვლავინდებურად ექვემდებარება კონტროლს?

- მეორე მსოფლიო ომის დროს კრიმინალურმა აფეთქებამ მოიცვა მთელი საბჭოთა კავშირი. გამოჩნდნენ ისეთებიც, რომლებმაც აღარ მოისურვეს დადგენილი წესებით თამაში. ყოფილ ფრონტელებს გაუტკბათ იარაღი, ისინი ძარცვავდნენ მაღაზიებს, მდიდარ ბინებს, მხეცურად უსწორდებოდნენ ყველას, ვინც გზაზე გადაეღობებოდათ. ასეთებს „ბესპრედელშიკებს“ უწოდებდნენ, რადგან ისინი არც ხელისუფლებას ცნობდნენ და არც კრიმინალური სამყაროს ავტორიტეტებს. მათ მიმართ მთავრობამ ჩამოაყალიბა საგანგებო დამოკიდებულება: „ბესპრედელშიკი“ უნდა მოკვდეს!

- გასაგებია. ამ კატეგორიის დამნაშავეებს ყველას ვერ გაწყვეტდნენ, მათი საქმიანობა კოლონიებსა და ბანაკებშიც გავრცელდებოდა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

- რა თქმა უნდა. ციხეებსა და კოლონიებში მათმა გამოჩენამ მკვეთრად გააუარესა კრიმინალებს შორის დაპირისპირება. მუდმივ ჩხუბსა და ქიშპში არიან დღესაც. ჩხუბი და ხოცვა-ჟლეტაც კი მათ შორის ჩვეულებრივი მოვლენაა...

- კლასიკურმა კრიმინალურმა ელიტამ თუ განიცადა მეტამორფოზა?

- კი. თანაც ძალიან მკვეთრად. მკაცრად განისაზღვრა დაუწერელი კანონი - ქურდული ღირსების კოდექსი. მას საფუძვლად დაედო ძველი ქურდული გაგების მცნებები. ამჟამად ქურდული კოდექსის ძირითადი პოსტულატები შემდეგია: არ იმუშაოს არც ციხეში და არც თავისუფლებაზე ყოფნისას; არავითარ შემთხვევაში არ ითანამშრომლოს ხელისუფლებასთან, განსაკუთრებით სამართალდამცავ ორგანოებთან; არ მოატყუოს თავისიანები; არ აიღოს ხელში იარაღი, ე.ი. არ იმსახუროს შეიარაღებული ძალების რიგებში; არ ჰქონდეს საკუთარი ქონება; არ შექმნას ოჯახი, რათა არ მიიღოს საბუთები და არ დაასმევინოს სადმე ბეჭედი; არ ავნოს მარტოხელებს, ღარიბებს, გაუბედურებულებს; ის თავისუფალი ნების მატარებელია, საკუთარი თავის მეუფე; არ დაღვაროს სისხლი, არ მოკიდოს ისეთ საქმეს ხელი, როცა სისხლის ღვრა გარდუვალია.

კვლავინდებურად ნათლავენ ან გვირგვინს ადგამენ კანონიერი ქურდების „სხოდკაზე“, რის შემდეგაც უკეთებენ სპეციალურ ტატუს - რვაქიმიან ვარსკვლავს. ყველა კანონიერ ქურდს აქვს საკუთარი „პაგანიალო“ - პირობითი სახელი, გინა ზედმეტი სახელი, რომლითაც იცნობენ კრიმინალურ სამყარო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში. ყველა კანონიერ ქურდს ან დანაშაულებრივ დაჯგუფებას აქვს თავისი ქურდული სალარო, ეგრეთ წოდებული „ოფშიაკი“, ურთიერთდახმარების ფონდის მსგავსი რამ. ფონდს ხელმძღვანელობს კრიმინალური ავტორიტეტი, სახსრების განკარგვა ხდება კანონიერი ქურდის გადაწყვეტილებითა და უშუალო მითითებით.

- როგორც სწორად გაგიგე კრიმინალური სამყარო ორ ჯგუფად, გინდა კასტად იყოფა: ქურდული სამყარო და სისხლის სამართლის დამნაშავეთა სამყარო...

- სრული სიმართლეა. ქურდულ სამყაროში მოიაზრებიან ქურდული გაგების მიმდევრები. მათ პრინციპებსა და პოსტულატებზე უკვე ვისაუბრეთ. მათი გაგებით ყველაზე „პრესტიჟულ“ და გავრცელებულ დანაშაულთა ჩამონათვალია: ჯიბის ქურდები, ბინის ქურდობა, ბინების საკეტებისა და სეიფების გასაღების და კლიტეების ოსტატი (ეგრეთ წოდებული „მედვეჟატნიკი“), ბანკის და სხვა საფინანსო დაწესებულების ან ფოსტის „გატანა“- ძარცვა.

სისხლის სამართლის დამნაშავეთა სამყაროს წარმომადგენლები ძირითადად „ბესპრედელშიკები“ - თავზეხელაღებულები, ნაძირლები ე.ი. ქურდული სამყაროს ტერმინოლოგიით თუ ვიტყვით „სუკი“, გინდა „ბოზები“. მათ დანაშაულებრივ ჩამონათვალში მოიაზრება: ბანდიტიზმი, რეკეტი, ყაჩაღობა, ხოცვა-ულეტა, ძალადობა, გაუპატიურება, სადამსჯელო და წამების ჯგუფებში მონაწილეობა პრინციპით - გადავრჩე ნებისმიერ ფასად. თანამშრომლობა სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაციასთან კომფორტის, პრივი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიებისა თუ შეღავათების მიღების მიზნით, სხვა პატიმრების დასჯა, დამონება, ლიკვიდაცია, ქილერობა, კაცის კვლა, შეკვეთილი მკვლელობები.

ოდითგანვე ქურდული სამყაროს წარმომადგენლები და თავზეხელაღებულები ანუ ნაძირლები ერთმანეთზე გადაკიდებულნი არიან.

- ბატონო მიშა, ვიცი დაგღალე ჩემი ცნობისმოყვარეობითა და ამომწურავი ინფორმაციის ცნობისწადილით, მაგრამ კიდევ ერთი, ჩემი აზრით მთავარი შეკითხვა დამრჩა: ამჟამად სამყარო რომელი მასტისა და კასტის დამნაშავეებს აერთიანებს?

- ამასაც მოგახსენებ: პირველი, ყველაზე მაღალი კასტა არიან ე.წ. «ბლატნოები“. როგორც წესი ისინი თავისთავს ასე არ უწოდებენ. მათ მოსწონთ ასეთი ტერმინები: „ბრატვა“- საძმო, „არესტანტ“- ტუსაღი, „ბრადიაგა“ - მაწანწალა, „ჟულიკი“ - თაღლითი. ესენი პროფესიონალი დამნაშავეები არიან. მათი „პროფესიული კარიერის“ სავალდებულო ეტაპებია ციხეები და ბანაკები. ბლატნოების კასტაში უფროსი „პახანიაა“ - ქურდული ავტორიტეტი. პახანის გარემოცვაში არის რამდენიმე ბლატნოი, ყოველი მათგანი თავისი საქმითაა დაკავებული: ზოგი „მუჟიკებს“ აკონტროლებს, ზოგი საერთო სალაროს - „ობშიაკს“ და ასე შემდეგ. მათ ავტორიტეტებსაც უწოდებენ. პახანს და მის გარემოცვას ჰყავს გვარდია: ათლეტები, მებრძოლები, გლადიატორები. ბლატნოი ყველა პატიმარი ვერ გახდება. უპირველეს ყოვლისა, ის უნდა იყოს სუფთა სახელით თავისუფლებაში ყოფნისას. უმაღლესი კასტისკენ გზა გადაკეტილი ჰქონდათ მათ, ვინც მსახურობდა არმიაში, ვინც ერთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელ მაინც ზონაში ყოფნისას გავიდა სამუშაოზე. ბლატნოის ზონებში აქვთ რიგი პრივილეგიები - უფლება არ იმუშაონ, დაიტოვონ ოფშაკიდან ის, რის დატოვებასაც ჩათვლიან საჭიროდ. ბლატნოებს აქვთ თავიანთი ვალდებულებებიც: სამართლიანი, სწორი პახანი ვალდებულია აკონტროლოს, რომ ზონაში „გრევი“ შემოდიოდეს. ე.ი ზონამ არალეგალური გზებით უნდა მიიღოს სურსათი, ჩაი, თამბაქო, არაყი, ტანსაცმელი. პახანი ასევე ვალდებულია მოაგვაროს სხვა პატიმართა შორის წარმოქმნილი დავები, მათ შორის არ დაუშვას შეტაკებები, ასევე თავისიანებს შორის, გააკონტროლოს ზონაზე წესრიგი და წესები, რათა საძმომ მშვიდად იცხოვროს და არ იშიმშილოს.

მეორე, ყველაზე მრავალრიცხოვანია „მუჟიკების“ კასტა. ესენი ზონაში შემთხვევით მოხვედრილი ხალხია. ერთი ცოლმა დააჟინა ლოთობისათვის, მეორემ რაღაც წვრილმანი რამ მოიპარა, მესამემ იჩხუბა და ასე შემდეგ. მუჟიკს ზონაში ხელისუფლებაზე პრეტენზია არ აქვს, არავისი მოსამსახურე არაა, ადმინისტრაციასთან არ თანამშრომლობს, მათ ასევე არ შეუძლიათ ბლატნოების საქმეებში ჩაერიონ, საქმის გარჩევებისას ხმის უფლება არ გააჩნიათ. რა თქმა უნდა, მათ შორის ფრიად დაფასებული ხალხიცაა, რომლთა აზრს ბლატნოები ყურად იღებენ. ერთი სიტყვით, მუჟიკები ის კატეგორიაა, რომლებიც სასჯელის მოხდის შემდეგ აპირებენ დაუბრუნდნენ ნორმალურ ცხოვრებას და პატიოსან შრომით საქმიანობას.

მესამე კასტაა ე.წ. „კოზლი“ (თხები). ისინი სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაციასთან ღიად თანამშ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომლობენ. ისინია, ვინც დათანხმდა იმუშაოს სამეურნეო საქმეების გამგებლად, კლუბის გამგედ, ბიბლიოთეკარად. ეს ის პირებია, რომლებმაც გამოსწორების გზას დაადგნენ. გამყიდველებს ყველგან ცუდად ეპყრობიან. ზოგადად გამყიდველები არავის უყვარს. იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ ყველა დაწესებულებაში პატიმრებსა და ადმინისტრაციას შორის ყოველთვის ცივი ომია გამართული, მათდამი უარყოფითი დამოკიდებულება ახსნადია. კოზლებთან შეიძლება მისალმება, ურთიერთობები ე.ი საუბარი, მათთან შეხებაც შეიძლება, მაგრამ საერთო საფიხვნოზე მათ არ უშვებენ.

მეოთხე კასტაა ე.წ, „პეტუხი“ - ყვინჩილები. ისინი ყველაზე დაბალი კასტაა. ესენია: „ობიჟენნიე“- განაწყენებულები, „ოპუშენნიე“-დაჩმორებულები, „პიდორი“- ჰომოსექსუალისტები და სხვა. ეს გარიყულთა კასტაა - „იზგოი“. გაუკარებლები, მოკვეთილები, გარიყულები. მათ შორის არიან პასიური ჰომოსექსუალისტები და ისინი, ვინც სხვადასვა მიზეზის გამო გააუპატიურეს. მათ დონეზე ზონაში არიან შუალედური კასტა - „ჩუშკი“ - დედაღორები და „ჩერტი“ - ეშმაკები. მათ შორის განსხვავებაა, რომ ამ უკანასკნელებს, როგორც პასიურ ჰომოსექსუალისტებს, ისე არ იყენებენ. ისინი უბრალოდ შეუხებლები არიან. მათთან კონტაქტი და გაკარებაც კი სამარცხვინო და დაუშვებელია. ციხეებში ჰომოსექსუალიზმი ყოველთვის იყო. ის თავის დროზე, როგორც წესი, ნებაყოფილებითი იყო, მაგრამ დროის რაღაც მომენტიდან ის დასჯის ყველაზე ამაზრზენ ფორმად იქცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

- მე ბრალი დამდეს დანაშაულში, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლითაა დასჯადი. მე რა ბედი მელის? როგორ მოვიქცე?

- სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით გასამართლებულებს „პოლიტიკურებს“ უწოდებენ. ადრე ძალიან ცუდი ხვედრი ელოდათ „ხალხის მტრებად“ შერაცხულ „კონტრას“... მათი მასიური განადგურება ხდებოდა როგორც კრიმინალური სამყაროს, ასევე სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაციის მხრიდან. ამჟამად სიტუაცია მკვეთრად შეცვლილია - კრიმინალები და პოლიტიკურები ნეიტრალიტეტს იცავენ, ერთმანეთის საქმეებში არ ერევიან და თავთავიანთ „ოჯახებად“ – „სემეიკად“ ცხოვრობენ. შენთვის მთავარია შენიანთან შეძლო საერთო ენის გამონახვა და დამეგობრება. იყავით მეგობრულად, ერთ მუშტად, ერთ-სისხლ და ერთ-ხორც, მაშინ ვერავინ ვერაფერს გაგიბედავთ, ძალა ერთობაშია. არასდროს არ ჩაერიო „ბლატნოებისა“ და „მუჟიკების“ საქმეებში. ეცადე „ბოზებისა“ და „ყვინჩილებისაგან“ თავი ყოველთვის შორს დაიჭირო. არ იახლობლო, არ დაუახლოვდე, არც სიტყვით და არც ფიზიკური კონტაქტით, ერთი შეხება ან ხელის ჩამორთმევა და, „შენი“ 58-ე მუხლი ვეღარ დაგიცავს, გაგწირავს ყველა... ფრთხილად და საზრიანად იყავი. სანამ რამეს გადაწყვეტ, მოიმოქმედებ ან იტყვი, ასჯერ გაზომე, გააშალაშინე, გაანალიზე და გაშიფრე. შენ ამის უნარი შეგწევს.

- დიდი მადლობა, ბატონო მიშა. შენ კრიმინალური სამყაროს ავან-ჩავანს მაზიარე. სირცხვილი არაა ამისთანა კაცი კონტრაბანდისთვის იჯდეს. მას თავისუფალი კომერციის საშუა-

ლება უნდა მისცე, ხალხსაც წაადგება და ცალკეულ საქონელზე ხელოვნურად შექმნილი დეფიციტიც აღარ იქნება.

- მართალია, ისე ამბობენ მწვანე საზღვარზე კონდრაბანდისტული საქმიანობა უფრო იოლია. ამსიგრძე საბჭოთა კავშირ-თურქეთის სახმელეთო საზღვარს, გამავალს მთებზე, უღრან ტყეებში, ხევ-ხევებზე და კლდე-კაპანებში ვერანაირი მესაზღვრე ფიზიკურად ვერ დაიცავს და გააკონტროლებს. აი, თურქეთის მხარეს, რომ შეიძინო სათანადო კავშირების ხალხი და საზღვარზე გაჭრა კონტრაბანდისტის ბილიკი, მაშინ ნახე როგორ აეწყოს საქმე... ფული მდინარესავით გადმოდინდება... შენ, როგორც აჭარელს თურქული ენა გეცოდინება... ხარ თურქეთის ტერიტორიაზე ნამყოფი?

- მიშა მე დურგალი ვარ და არა კონტრაბანდისტი. თურქეთთან საზღვრის ჩაჭრამდე ისტორიული იმერხევი, შავშეთი, ლივანა, არტაანი, ართვინი და ტაო-კლარჯეთის დიდი ნაწილი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა. მხოლოდ 1921 წლის ჯერ მოსკოვის, შემდეგ კი ყარსის ხელშეკრულებებით გადაეცა თურქებს... მანამდე ძირძველი ქართული მიწები საქართველოს შემადგენლობაში იყო და რა თქმა უნდა, შავშეთ-იმერხევში თუ სხვაგან ჩვეულებრივ თავისუფლად გადავაადგილდებოდით. იქ მე და მამაჩემმა ბევრი ოდა-სახლი თუ სამეურნეო ნაგებობები დავდგით, ცხონებული პირველი მეუღლეც იმერხეველია. სიმართლე გითხრა, ვაჭრობაზე და მით უმეტეს კონტრაბანდაზე, არასდროს მიფიქრია, ეგ არაა ქართველის ხელობა. მე სახლებს ვაშენებდი და ხალხს მომავლის რწმენასა და სიხარულს ვჩუქნიდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

- როგორც ვიცი სახელმწიფო საზღვარი მეოცე საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისში საბოლოოდ ჩაიკეტა. მას შემდეგ პირველი ცოლის ნათესავებთან თუ გქონია კონტაქტი? ან ვინმე ხომ არ გწვევია სტუმრად?

- არა. არც დავუშვებდი. მე კანონმორჩილი მოქალაქე ვარ, მეორე, იქაური ნათესავები უკვე უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე ცხოვრობენ და მათთან კონტაქტით რატომ გავირთულებდი საქმეს ან საცხოდ რატომ გავიხდიდი თავს... ჩემი არ მყოფნის ასეთი მძიმე მუხლით ბრალს მდებენ და არავინ იცის დახვრეტას თუ გადავურჩები. რამე რომ მქონდეს დასამალი კი ბატონო, ამისთანა ამაგიან და მზრუნველ ადამიანს როგორ დაგიმალავდი რამეს. ის, რაც ადრე მოგიყევი წმინდა წყლის სიმართლეა.

მიშა გაოცებას ვერ მალავდა, თუ როგორ მწყობრად და გამართულად ვხსნიდი ჩემს არგუმენტებს ან შესაძლოა, სულ სხვა რამე იყო... ყოველ შემთხვევაში, ყველა ღონეს ვხმარობდი ჩემს ქცევებსა თუ მონაყოლს რამე ეჭვი არ გაეჩინა კალიკიდში...

კიდევ ბევრი ვიბაასეთ მე და მიშამ. ბოლოს საღამოს ძილმა თითქმის ორივეს ერთად წაგვართვა თავი. დილით ისევ კონტროლიორის ხმამ გამომაღვიძა.

ავდექით, ხელ-პირი დავიბანეთ და საუზმეც მოგვართვეს. ლ.ბერიას დადგენილი პატიმრის ულუფა - ერთი მათლაფა წვნიანის შეჭამანდი და 300 გრამი შავი პური.

უხმოდ ვისაუზმეთ. მიშა კალიკიდიმ თავს შეუძლოდ ვგრძნობო და ისევ ნარზე მიწვა. მეც ტაბურეტზე ჩამოვჯექი და ისევ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიქრმა წამიღო. ცოტა ხნის შემდეგ კარების საკეტის ჩხაკუნმა დამაბრუნა ფიქრების ბურუსიდან. კონტროლიორი მიშას უხმობდა გამომძიებელთან.

თავი VIII

მიშა კალიკიდი დაკითხვიდან აღარ დაბრუნებულა. მე კი ჩემს ეჭვებში საბოლოოდ დავრწმუნდი: პირი, მიშა კალიკიდად წოდებული, სპეციალურად მომიგზავნეს, რამე თუ გამწარებული, უსამართლოდ სამართალში მიცემული კაცი ეგზომ სანდომიან, გულგახსნილ და გულმართალ კაცს რამე სიმართლეს ხომ მოვუყვებოდი, გულს გავუხსნიდი, მოვიოხებდი სიმართლეს აღსარებასავით გადმოლაგებით!..

ორი დღე-ღამე სულ მარტომ გავატარე. არც ვინმე შემომისახლეს და არც გამომძიებელმა გამომიძახა. მეძინა, ხან ვფხიზლობდი, ვფიქრობდი, ვნერვიულობდი, ხან კი ბოლთას ვცემდი ციცქნა საკნის ბეტონიან იატაკზე...

მარტოობის მესამე დღეს, ნაშუადღევს, ახალმა კონტროლიორმა დამუშავებული მანერით შემოაღო კარი. მას ორი მებადრაგეც შემოყვა. უსიტყვოდ და უცერემონიოდ კედლისკენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახით მიმაყენეს, გამჩხრიკეს, ხელები ზურგსუკან დამაწყობინეს და ხელბორკილები დამადეს. უსიტყვოდ გამიგდეს წინ და გზას გამიყენეს. სარდაფის ლაბირინთების გავლით მეორე სართულის საკმაოდ ნათელ და კეთილმოწყობილ დერეფანში, ერთ-ერთ დახურულ კართან ისევ ზურგშექცევით კედელს მიმაყენეს. კონტროლიორმა ფრთხილად დააკაკუნა, კარები გამოაღო. შიგნით მყოფთ რაღაც ანიშნა და მორიდებით მიხურა. ორ წუთში გვიხმობენო, - ბადრაგს გადაულაპარაკა და ფანჯარასთან მივიდა.

ორი წუთი ორი საუკუნე მეჩვენა. როგორც იქნა სამაგიდო ზარის ჟღარუნმა გამოგვიყვანა ფიქრებიდან. კონტროლიორმა კარი შეაღო და შესვლა გვიბრძანა. თვითონ გარეთ დარჩა. ერთ-ერთმა ბადრაგმა ოთახში თითქმის შემაგდო, კედელს მიმაყენეს და გვერდით ამომიდგნენ. ცნობისწადილმა მსძლია და სასამართლო ოთახს მყისიერად თვალი მოვავლე. ცვილისფრად შეღებილი კედლები, მასიური მწვანე მაუდგადაფარებული მაგიდა. შუშის წყლიანი სურა და თლილი ჭიქა. მაგიდის ცენტრში დაბალი, იატაკზე მილურსმული ტაბურეტი. სამი მასიური საზურგიანი სკამი და მათზე მედიდურად მოკალათებული სამი ტყავისქურთუკიანი მოსამართლე. ეს იყო სასამართლო დარბაზის მთელი ავლადიდება, თუ არ ჩავთვლით მოზრდილ ფანჯარას გაუმჭვირვალე სქელი ფარდებით. შუაში მჯდომმა ბადრაგს ჩემზე ბორკილების მოხსნა და კარს მიღმა მოცდა უბრძანა.

მარცხვნივ მჯდომმა ტყავისქურთუკიანმა ტაბურეტზე ჩამოჯდომა შემომთავაზა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

- მსჯავრდებულო ბაქრაძე, თქვენს წინააღმდეგ წარმოებაშია სისხლის სამართლის საქმე, აღძრული სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით. საგამოძიებო სამსახურმა საკმარისი მტკიცებულებანი მოიპოვა, შეაჯერა და ძიება დაასრულა. სისხლის სამართლის საქმე განაჩენის გამოსატანად გადასცა საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარიატის სასამართლო კოლეგიას, რომელსაც თავმჯდომარეობს მოსამართლე მაღლაფერიძე, წევრი-მისამართლეები რადჩენკო და გვასალია. მოსამართლე გვასალია: მოგვახსენეთ საქმის არსის ირგვლივ. იგი სპორტული აღნაგობის, მხარბეჭიანი, საშუალო ასაკის, სათვალეებიანი მოხელე გახლდათ. მან მიჩოჩებულ საქაღალდეს ზონარები შეხსნა, გადაფურცლა, საჭიროს მიაგნო და წაიკითხა:

- წინამდებარე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა აჭარის ასსრ სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარიატის საგამოძიებო განყოფილების მიერ სათანადო წესით შემოსული მასალების საფუძველზე. მსჯავრდებული ვამეხ ბაქრაძე წლების განმავლობაში ასრულებდა საბჭოთა სასაზღვრო ჯარების სადაზვერვო სამსახურის საზღვარგარეთის კურიერის მოვალეობებს. უნდა ითქვას, პირველ ეტაპზე საკმაოდ წარმატებულად და ეფექტურად. დროთა განმავლობაში ის მოხვდა თურქეთის რესპუბლიკის სადაზვერვო სამსახურის თვალთახედვის არეში, დაპატიმრების თავიდან აცილების მიზნით მათ შესაბამის სამსახურს თანამშრომლობაზე დათანხმდა. წლების განმავლობაში თურქულ მხარეს, ბრალდებულის მეშვეობით, სასაზღვრო სადაზვერვო სამსახურებთან ოპერატიული თამაში

ჰქონდა გამართული. ბრალდებულის მიზეზით დაიღუპა ერთი აგენტი. ერთმა აგენტმა შესაძლო გაშიფრვისა და დაპატიმრების თავიდან აცილების მიზნით უარი განაცხადა მორიგი დავალების შესრულებაზე, იძალადა ოფიცრებზე, რომლის დროსაც მძიმედ დაიჭრა ცნობილი პროფესიონალი მზვერავი ტულაშვილი. არსებობს გონივრული ეჭვი, რომ სწორედ ბრალდებულის ხელშეწყობით ასევე ჩავარდა ორი ჩვენი საიდუმლო თანამშრომელი, რომლებიც ამჟამად თურქეთის ციხეში იხდიან სასჯელს. ერთი სიტყვით, მსჯავრდებულმა ბაქრაძემ სამშობლოს უღალატა, ჯაშუშობდა მტრულად განწყობილი ქვეყნის სასარგებლოდ და წლების განმავლობაში საბჭოთა დაზვერვას აწვდიდა თურქების მიერ კონტროლირებად ინფორმაციასა თუ დეზინფორმაციას. საგამოძიებო სამსახურმა შეისწავლა მოძიებული და მის ხელთ არსებული მასალები და დოკუმენტაცია, რის საფუძველზეც დაასკვნა: მსჯავრდებული ბაქრაძე მხილებული იქნას დანაშაულში, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლის შესაბამისი პუნქტებით, ცნობილი იქნას სისხლის სამართლის დამნაშავედ და შეეფარდოს სასჯელის ზომა - თავისუფლების აღკვეთა. ხსენებული მუხლი ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ხუთი წლიდან ოცდახუთ წლამდე ვადით. მაგრამ აქ ნიშანდობლივად მეჩვენა ერთი საინტერესო დოკუმენტი. ამხანაგო სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარეე, გთხოვთ, პირადად გაეცნოთ. გვასალიამ გამოსვლა დაამთავრა და სისხლის სამართლის საქმე მინიშნებულ გვერდზე გადაშლილი მიუჩოჩა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოლეგიის თავმჯდომარეს. მაღლაფერიძემ დიდი ინტერესით ჩაიკითხა შეთავაზებული დოკუმენტი. გაოცებას ვერ მალავდა, გაკვირვების ნიშნად კი თავს აქნევდა. კითხვა დაასრული.

ცნობისწადილით დამაკვირდა, თითქის ლამობდა ჩემს შეცნობას, ასეთივე მრავლისმეტყველი მინიშნებით საქაღალდე მოსამართლე რადჩენკოს მიუჩოჩა. ამ საბუთის წაკითხვის შემდეგ კოლეგიის წევრები, ერთი ხანი, დაბალ ხმაზე, რაღაცაზე ბჭობდნენ და დაობდნენ.

ბოლოს კოლეგიის თავმჯდომარემ მოსამართლე მაღლაფერიძემ საბოლოო ვერდიქტი გამოაცხადა: მსჯავრდებული ვამეხ ბაქრაძე ცნობილი იქნას დამნაშავედ, გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით და სასჯელის ზომად განესაზღვროს ოცი წელი მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით. ვითვალისწინებთ რა საქმეში არსებულ რიგ მასალებს, გამონაკლისის ფორმით, პატიმარ ბაქრაძეს მიეცეს ოჯახის წევრებთან მიმოწერის ნება, ასევე ოჯახის წევრებთან წელიწადში ორი მოკლევადიანი და ერთი გრძელვადიანი პაემანის უფლება. განაჩენი საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება. სიტყვა დაასრულა და საქაღალდეც დატყაპუნებით დახურა. +

გაუგონარი ბრალდებით თავზარდაცემულმა წამოდგომა და გაპროტესტება დავაპირე, მაგრამ პირობით ნიშანზე მყისიერად შემოცვივდნენ მებადრაგეები და ტაბურეტზე „მიმალურსმეს“... ხმა კრინტიო, - ბოროტად ჩაისისინა ერთ ერთმა ბადრაგმა და შაშხანის კონდახი მომიღერა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვასალია ადგა. დინჯად მომიახლოვდა და დოკუმენტზე ხელის მოწერა მთხოვა. მე გაპროტესტება გადავწყვიტე. არ გირჩევ ურჩობასო, - ჩაილაპარაკა გვასალიამ და თვალი თვალში გამიყარა. შემოჩეჩებული ფურცელი წავიკითხე. გაუთქმელობის ხელწერილი იყო. სამუდამოდ გულში უნდა ჩამემარხა აბსოლუტურად ყველაფერი, რაც სახელმწიფო უშიშროების ორგანოებთან მაკავშირებდა: სახელმწიფო უშიშროების ორგანოებთან, კერძოდ სასაზღვრო ჯარების დაზვერვის სამსახურთან საიდუმლო თანამშრობლობა, მოწინააღმდეგე ქვეყნის ტერიტორიაზე არალეგალური გადასხმები თუ მივლინებები, საერთოდ ყველაფერი, ასევე ისიც, რომ ჯაშუშობის ბრალდებით ვარ სასჯელმისჯილი. წინააღმდეგ შემთხვევაში დახვრეტა არ ამცდება არც მე და არც ოჯახის წევრებს, - ეს უკვე გვასალიამ დაამატა, თვალი ჩამიკრა, ისე რომ ბადრაგს არ გაეგონა, ჩამჩურჩულა:

- შენ გამოცდილი და ჭკვიანი კაცი ხარ, ლეგენდებისა და ნებისმიერ ქმედებათა შენიღბვა-ლეგენდირების ოსტატი! იმსახურებ იცოდე: გაგწირა ერზრუმელმა და დახვრეტას გადაგარჩინა პონტოელმა, რომელმაც შენში საზრიანი, გონებაგამჭრიახი და წინდახედული პიროვნება დაინახა. თუ ასეთი შემართებით, საზრიანად იქნები, ყველა სიძნელეს გადაიტან და დადგება დრო, ოჯახს საღ-სალამათი დაუბრუნდები. მეტს ვერაფერს გეტყვი. მშვიდობით.

მოსამართლის ნიშანზე მებადრაგეები მომვარდნენ, ხელები ზურგს უკან გადამიგრიხეს, ბორკილები დამადეს. ვითომ ესეც არ მეყო, ერთ-ერთმა გვერდში შაშხანის კონდახი ჩამარ-

ტყა, აქაო და იცოდე, წინააღმდეგობის გაწევა არ გაბედო ან პროტესტის რაიმე ფორმით გამოხატვას არ შეეცადო, მაინც აზრი არა აქვსო. დარტყმა ღვიძლის არეში იყო, სიმწრისგან სუნთქვა შემეკრა, დავრეტიანდი და ჩავიჩოქე. მეორე ბადრაგი უფრო ჰუმანური აღმოჩნდა. წამომაყენა, ტაბურეტზე დამსვა და სულის მოთქმა მაცადა.

გაოგნებული, მორალურად განადგურებული და სულიერად დაცემული მხოლოდღა თვალებს ვაფახურებდი... ნერწყვიც გამიშრა, ხორხში კი მწარე, აქამდე შეუცნობელი ტკივილი ვიგრძენ... ღმერთო, ეს რა ხდება! - სასამართლომ მომიყენა სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული უმკაცრესი და უმძიმესი დანაშაული, მაგრამ განიხილა და იმოქმედა ადმინისტრაციული პროცედურის წესით. ისეთი სერიოზული ბრალდება, როგორიცაა ჯაშუშობა, განიხილეს და გადაწყვიტეს გამარტივებული წესით. ოცი წლით პატიმრობა მომისაჯეს, ვითომ ეს ოცდღიანი ადმინისტრაციული სასჯელი იყოს. ფეხქვეშ გათელეს სამართლის ელემენტარული ნორმები, რომლის მიხედვითაც ნებისმიერ ადამიანს აქვს უფლება სასამართლომ მოუსმინოს, თავი დაიცვას მის წინააღმდეგ ინკრიმინებული, წაყენებული ბრალდებისაგან, იმართლოს თავი და გააპროტესტოს ან გაასაჩივროს გამოტანილი სასჯელი. ადვოკატის აყვანასა და გამოყენებაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია.

ვაა, რა მაგარია - „განაჩენი საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება“! ღმერთო შენ მიშველე! ვერც თავში იცემ ხელებს, ბორკილებით გაქვს ზურგს უკან გაკრული. სიმწრის

ოფლმა ჯერ შუბლი და ღაწვები დამინამა, ცხადად ვიგრძენ გველის სისინივით როგორ ჩადინდა ხერხემალზე სიმწრის ოფლი და კუდუსუნის ძვალს მიღმა ჩაინთქა.

სასამართლო კოლეგიის თავმჯდომრის ნიშანზე მებადრაგეები მხრებში ამომიდგნენ, წამალასლასეს და საკანში მიკრეს თავი. ისიც შეღავათია - ხელბორკილები მომხსნეს!..

აქეთ ღვიძლის არეში აუტანელი ფიზიკური ტკივილი, იქით მორალურად და ზნეობრივად განადგურებული ცნობიერება, გაგლეჯილი გული და გათელილი, აბურდული სული... პირველად ჩემს ცხოვრებაში გულამოსკვნით ავქვითინდი, შემდეგ კი შემზარავი ხმით ავბღავლდი... მჯიღი თავში, მჯიღი გულში... კედელზე თავისცემა და გოდება. არაადამიანური ბღავილი დიდხანს ისმოდა „ჩემი“ წყეული, ჯოჯოხეთად ქცეული საკნიდან...

დილის სხივმა გამომაღვიძა! მზის სხივი ტირილ-ბღავილისა და მარილიანი ცრემლისგან დასიებულ თვალებს მოესალბუნა... მცირედი სითბო ჯერ სულს შემდეგ კი გაგლეჯილ გულს მალამოდ ჩაეღვენთა და გაათბო! სიცოცხლეს დავუბრუნდი, მაგრამ რად გინდა ასეთი სიცოცხლე? თავში და საფეთქლებში რამდენიმე მჭედელი თავის საქმეს ბეჯითად და თავდაუზოგავად აკეთებდა! აზრი, ფიქრისა და განსჯის უნარი ჯერ კიდევ წართმეული მქონდა. კიდევ ერთჯერ ვიღმუვლე და ნარზე წამოვჯექი. არ ვიცი გულწასული და გონებადაბინდული რამდენ ხანს ვეგდე, როგორ, რა ძალამ შემაძლებინა ნარზე გადაწოლა ვერ გეტყვით. სხვა გზა არ იყო. ჩემი თავისთვის მე უნდა მიმეხედა. ბნედა და სასოწარკვეთილი გოდება

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოსავალი რომ არ იყო, ამას ქვეცნობიერად ვხვდებოდი. წელში გავიმართე და პირსაბანთან მივლასლასდი. ჟანგიანი წყალი მაცოცხლებელი ელექსირი მეგონა... ჩამოვიბანე გახურებული ღაწვები, ამოვიწმინდე ჩასიებული და ცრემ-ლშემხმარი თვალები.... კეფასა და გულმკერდზეც ვისხურე მაცოცხლებელი სითხე. ტკივილები დამიამდა. თვალის ბინდი ნელ-ნელა გადაიკრიფა და საგნების გარჩევა ძალუმად, მაგრამ მაინც შევძელი. დავბრუნდი ნარზე. სიგრძივად გავწექი და ხელები თავქვეშ ამოვიდე. არ ვიცი ასე რამდენ ხანს დავ-ყავი. ისევ კონტროლიორის ხრინწიანი, შემზარავი ხმა და საწოლიდან ადგომის მოწოდება... ცოტა ხანში კარში ჩატანე-ბული სარკმელის საგდულიც აჭრიალდა. კონტროლიორმა ალუმინის საინით ბალანდა, ალუმინისვე მათლაფით ჩაიად წოდებული ცხელი სითხე და სამი ნაჭერი შავი პური შემოდგა და ისევ მიიჭახუნა სარკმლის საგდული.

რკინის მაგიდაზე გადავიტანე ყველაფერი და უგემურად მოვსვი ჩაი. ცხელი სითხე მეამა. ჯერ ამოხახული პირი, შემდეგ კი დაგვალული ყელი ჩაალბო და ყლუპის გაკეთება შევ-ძელი... სული მოვითქვი. ჩაი სვენებ-სვენებით მოვითავე, ბა-ლანდისთვის კი ხელი არ მიხლია. ისევ წამოვწექი და თავზეხე-ლამოდებული კვლავ გავინაბე, გონიერება ვერ თოკავდა ცნო-ბიერებას... არ უნდოდა შეეცნო რეალობა, უფრო სწორად ჩემს თავზე დაცემული მეხი და თავზარი... ნელნელა გონებაც განათდა... პირველი, რაც გამოიკვეთა, მოსამართლის აუღე-ლვებელი და მონოტონური ხმა იყო. შემდეგ კი განაჩენი - ოცი

ეროვნული ბიბლიოთეკა

წელი პატიმრობა. ოცი წელი!.. ჯაშუშობა!.. სამშობლოს ღალატი!..

მუხლი 58-ე!.. პოლიტიკური მიზანშეწონილობიდან გამომდინარე, ეს მუხლი სამართალდამცავ ორგანოებს აძლევდა ფართო ინტერპრეტაციის საშუალებას-თითქმის ნებისმიერი ქმედება თუ გამონათქვამი შეიძლებოდა, ჩათვლილიყო სისხლის სამართლის დანაშაულად. ამ მუხლით ასამართლებდნენ ყველას, დაწყებული სამშობლოს ღალატის თუ შპიონაჟის ბრალდებით, დამთავრებული რეჟიმის მიმართ ოდნავ საეჭვო პოლიტიკური არალოიალურობის გამოვლინებით ანუ თავისუფალი აზრით დაწყებული და ანეგდოტის მოყოლით დამთავრებული. ამის გამო ამ მუხლით დაპატიმრებული და გასამართლებული ყველა პირი ითვლებოდა პოლიტიკურ პატიმრად. სოციუმში გაშვანშვალებული ამაზრზენი და ყოვლისმომცველი, გარანტირებული იარლიყი - „ხალხის მტერი“ ან უბრალოდ - „ კონტრა“!

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი IX

ის დღე ტანჯვასა და გოდებაში გავატარე. ბოლოს დავმშვიდდი. აზრებს მოვიხმე, ფიქრები დავალაგე. ბოლოს გონებაც დამეწმინდა, ცნობიერებაც გადაიწმინდა და რეალობა მთელი სიცხადითა და სიცხოველით გავითავისე!..

მაშ ასე: სასამართლო კოლეგიამ, უბრალოდ „ტროიკამ“ ჯაშუშაობის ბრალდებით ოცი წლით პატიმრობა მომისაჯა. განაჩენი საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება. ვერაფერს მოიმოქმედებ-ეს რეალური მოცემულობაა. ვერსად გაექცევი. ვერც გააპროტესტებ და სასამართლოს განაჩენს ზემდგომ ორგანოებში ვერ გაასაჩივრებ. სამართალს ვერ იპოვი! ესაა რეალური მოცემულობა! კიდევ რა გვაქვს? - გამონაკლისის ფორმით მეძლევა ოჯახის წევრებთან მიმოწერის ნება, ხოლო წელიწადში ორჯერ მოკლევადიანი და ერთჯერ გრძელვადიანი პაემანის უფლება. სიმართლე უნდა ითქვას - საბჭოთა რეჟიმისა და მართლმსაჯულების პირობებში თითქმის დაუჯერებელი გადაწყვეტილებაა. ეს ორ რამეზე მეტყველებს: პირველი ის, რომ ჩემი განაჩენი ნამდვილად საბოლოოა და არ გადაიხედება, ესე იგი საბოლოოდ ამცდა გაცხადებული სასჯელის სიკვდილით დასჯით - დახვრეტით შეცვლა და მეორე, მოსამართლეებს თვითონაც შეგნებული ჰქონდათ, კარგადაც უწყოდათ, რომ ჯაშუშობის ბრალდება თითიდან გამოწოვილია და რეალურად სხვა მოტივებთან გვაქვს საქმე. აქ პონტოელის ხელი ნამდვილად ურევია - მასთან მოყოლილი ლეგენდა ჩემს მიმართ წაყენებული ბრალდებებისა თუ დაპა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიმრების მიზეზების შესახებ იმდენად რეალურად და სიცოცხლისუნარიანად ეჩვენათ, რომ საბოლოოდ დარწმუნ-დნენ - ამ ვერსიას ბოლომდე გავყვებოდი და სიმართლეს არ გავთქვამდი! ასე რომ ჩემი ფიზიკურად მოსპობა-ლიკვიდაციის აუცილებლობა გამოირიცხა. ასეა, აღარ ვარ საშიში!..

გავითავისე გვასალიას სიტყვები - დახვრეტას გადამარჩინა პონტოელმა, ესე იგი მიშა კალიკიდიმ. ეტყობა, მან დაწვრი-ლებით მოუყვა ყველაფერი ჩემს ირგვლივ, მაგრამ ვინ გამწი-რა? გვასალიამ ესეც ხომ მითხრა - ერზრუმელმაო. ვინაა ერზ-რუმელი ჩემი გარემოცვიდან? აა, გონება გამინათდა - ერზ-რუმული ფესვები აქვს კარაპეტ ტრაპიზონიანს, კი, ნამდვი-ლად, მაიორი ტრაპიზონიანის წინაპრები წარმოშობით ხომ ერზრუმის პროვინციიდან არიან, რომლებიც მეცხრამმეტე საუ-კუნის დასწყისში საქართველოში, კერძოდ კი ძირძველ ისტორიულ ქართულ კუთხეში - სამცხე-ჯავახეთში ჩამოასახ-ლეს. პირველივე დღიდან სწორედ მან ვერ მიგუა როგორც მუსლიმანი ქართველი. სომხური აგრესიულ-შოვინისტური პარტიის მიმდევრების - დაშნაკების იდეოლოგიით ნასზრდოე-ბი და „დიდი სომხეთის“ აღდგენა-აღორძინების იდეით შეპყ-რობილი და დაავადებული... „სომეხთა გენოციდის“ (საუბარია მეოცე საუკუნის დამდეგს, პირველი მსოფლიო ომის დროს, ოსმალეთის ხელისუფლების მიერ ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიაზე სომეხთა დევნა-შევიწროებისა და მასობრივი დეპორტაციის შესახებ, რომლის დროსაც მრავალი სომეხი ეროვნების ადამიანი დაიღუპა) ორგანიზებასა და განხორ-ციელებაში, რატომღაც ყველას, მათ შორის მუსლიმან ქართ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველებსა და ლაზებსაც ადანაშაულებდნენ (აკი შურისძიების მიზნით მოახერხეს კიდეც ასი ათასზე მეტი მუსლიმანი ქართველების - აჭარელისა და ლაზის ამოწყვეტა ისტორიულ ქართულ მიწებზე - ართვინის, ოლთისის, რიზესა და ტრაპიზონის რეგიონებში), არადა მოსაკითხი და მოსათხოვი მე მქონდა, როგორც მუსლიმან ქართველს, მაგრამ არამც და არამც მას... მაგრამ რას იზამ, ძალა აღმართს ხნავს, მან ოსტატურად გამოიყენა მისი თანამდებობრივი მდგომარეობა და მუხანათურად, ვერაგულად გამწირა... ამით მისი წილი შური იძია ვაუბატონმა! მე და ჩემი ოჯახი კი გაგვაუბედურა და გაგვათახსირა...

... ასე გონებაგანათებული, რეალობა განჭვრეტილი, გათავისებულ-აღქმული და თავისთავში დარწმუნებული არასდროს ვყოფილვარ!.. ჰმ, ჩემი თავი მევე მომეწონა. ვიამაყო...

ყველაფერი დაეწყო, გაიხსნა და გაიშიფრა, მაგრამ ეს რეალობას ვერ შეცლის - რეალობა კი ერთია - ოცწლიანი პატიმრობა! შეუცნობადი მომავალი და უკიდეგანო საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მიმობნეულ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ყოველმხვრივ რთული, ძნელი, სიცივიან-შიმშილიანი და ფათერაკებიანი დიდი გაზა, ოცი წლით განსაზღვრულ-მოზღუდული.

რაღა დროის, უკვე „გვიანღაა თითზე კბენანი“. ახლა მხოლოდ ერთი მიზანი უნდა მამოძრავებდეს - გავუძლო საბჭოთა ციხე-საპყრობილეების უმკაცრეს რეჟიმს, ყოველმხვრივ არაადამიანურს, წარმოუდგენლად უსასტიკესს, შეძრწუნებამდე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაუნდობელს და შეცბუნებამდე გულგრილს... იმ წისქვილს, რომელიც ყველაფერს ფქვავს და ინელებს...

წინმსწრებად გეტყვით, პატიმრის ფსიქოლოგიასა და აზრთა წყობას მხოლოდ ის გაიგებს, ვინც ზონაშია ნამყოფი. შენ იცი ყველაზე საშიში რაა ზონაში? ეს არც გისოსებია და არც მავთულხლართები, არც ბალანდა და არც ავტომატიანი მცველები თუ ბადრაგი, არც კრიმინალური სამყაროს მიერ დადგენილი დაუწერელი კანონები და წესები... ყველაზე საშინელი ისაა, რომ ნელ-ნელა დავიწყებას ეძლევა ის, რომ სხვა ცხოვრებაც არსებობს. შენ, რა თქმა უნდა, შეგიძლია წაიკითხო გაზეთები, თავისუფალი სამყაროდან მიიღო წერილები, მოუსმინო ახლადშემოყვანილი პატიმრების მონათხრობს თავისუფალი სამყაროს შესახებ, მაგრამ ნახევარი წლის შემდეგ ყოველივე ამას აღიქვამ როგორც ზღაპარს... რეალობა კი „ბრატვაა“- საძმო (პატიმართა კონტინგენტი, რომელთაც კრიმინალური წარსული აქვთ და ქურდული მენტალიტეტითა და წესებით ცხოვრობენ), „სემეიკები“- ოჯახები (პატიმართა პირობითი დაჯგუფებები ან გაერთიანებები, ერთდაიგივე ან მონათესავე მუხლით ან დანაშაულისთვის სასჯელმისჯილნი) და სხვა, უფრო დაბალი ფენისა და ღირსების პატიმრები, საცხოვრებელი ზონა, პრომზონა (სამრეწველო, საწარმოო ზონა, სადაც პატიმრები მუშაობენ და ქმნიაან სხვადასხვა სამრეწველო თუ საყოფაცხოვრებო პროდუქციას). ქურდული გაგება, ნათქვამზე პასუხისგების აუცილებლობა, როცა იმის დაჯერებას იწყებ, რომ ციხეში თუ კოლონიაში შექმნილი და გაბატონებული ვითარება შენი ერთადერთი რეალობაა და რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერასდროს ვეღარ იქნები ძველებური, ციხეში მოხვედრამდე, აღქმისა და გაგების პიროვნება. ციხე-საპყრობილეებში შექმნილი ვითარება და გაბატონებული პირობები ადამიანებს მორალურად ამახინჯებენ, ზნეობრივად ანადგურებენ, ფსიქოლოგიურად რყვნიან და პირუტყვულ ინსტინქტებამდე დაჰყავთ პატიმართა უმრავლესობა. ნამდვილი გმირობაა ბოლომდე შეინარჩუნო უბრალო ადამიანური თვისებები, მორალურად არ გატყდე, ფსიქოლოგიურად არ გადაგვარდე და ფიზიკურად ჯანმრთელი და შეურყეველ-შეურყვნელი დაუბრუნდე თავისუფალ საზოგადოებას.

წილი ნაყარია! „რუბიკონი გადალახულია“!.. რწმენა და გამძლეობა, მოთმინება, ჩემო ვამეხ! შემოვუძახე საკუთარ თავს. დავმშვიდდი. დავწყნარდი და მოვემზადე შეუცნობელი და ფათერაკებიანი, ბუნდოვანებითა და ჩემთვის ჯერ კიდევ გაუთავისებელი პატიმრული ცხოვრებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი X

სასამართლო სხდომისა და სასჯელის მისჯიდან ერთი კვირა გავიდა. ისევ ცალკე საკანაში ვარ. გარესამყაროს მოწყვეტილი და გარიყული, ადამიანებთან ურთიერთობებსა და კონტაქტს დანატრებული. მალე გადამიყვანდნენ მაინც საერთო საკანში, ადამიანებთან მაინც ვიქნები... ბევრს აღარ ვფიქრობ. ყოფით პირობებს თანდათან შევეგუე. სხვა გამოსავალი მაინც აღარაა.

ნავახშმევს ზედამხედველ-კონტროლიორი შემოვიდა და მისთვის ჩვეული რიხით „მომახარა“:

- პატიმარო ბაქრაძე მოემზადე ეტაპირებისთვის. დღესვე გაგამწესებენ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში. როგორც იქნა, - ჩემთვის ჩავილაპარაკე და ბადრაგს ცნობისწადილის დასაკმაყოფილებლად მივმართე:

- ამხანაგო ნაჩალნიკო, პატივს დამდებ თუ მეტყვი, რომელ საპყრობილეში გადავყავარ? - მან უხეიროდ და უადგილოდ ჩაიცინა, ჩაახველა და უტიფრად მომახალა:

- მოხარშული წაბლიც ხომ არ მოგართვა, - უტიფრად მომაშტერა მისი წირპლიანი, გველის თვალები და უტიფრად გადაიხარხარა, უადგილოდ ეჩვენა ერთი შეხედვით მისაღები და ბანალური შეკითხვა, გული რომ იჯერა, დაწყნარდა, დასერიოზულებულმა მითხრა:

- ციხე ციხეა, თითქმის ყველგან ერთნაირი პირობებით და მობინადრეებით. შენ, გირჩევნია ეტაპირებისთვის მოემზადო და უფალს შესთხოვო პატიმრის უღიმღამო ყოფისა და ცხოვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რების შემსუბუქება. მოემზადე. მალე ბადრაგი მოგაკითხავს, - თქვა და კარები ჭახუნით მიიხურა. რაც მქონდა, ერთ ფუთაში შვკარ, ტანსაცმელი დავფერთხე და მოხერხებულად მოვირგე, საწოლი და ზეწარი მოვახვიე და ნარზე მივაწყე, ტუალეტიც მოვითავე, დარჩენილი ფულადი თანხა ქვედა საცვლის ხვანჯარში მიკერებულ საიდუმლო ჯიბეში დავიგულე, ჩავთვალე, რომ ეტაპირებისთვის მზად ვარ.

ერთი საათი არ იქნებოდა გასული ზედამხედველი და ორი ბადრაგი, შინსახკომის შინაგანი ჯარების ფორმიანი ორი შეიარაღებული ჯარისკაცი საკანში სულთამხუთავებივით გამომეცხადნენ. საკანი საგულდაგულოდ მოათვალიერეს, ბოხჩა გამახსნევინეს და ყველა ნივთი საგულდაგულოდ შეამოწმეს, კედელთან ზურგშექცევით მიმაყენეს, გამჩხრიკეს, ხელებზე ხელბორკილები დამადეს და გაყოლა მიბრძანეს. უკანასკნელად მოვათვალიერე ჩემი მარტოობის „სავანე“ და ბადრაგს ძუნძულით გავყევი. სარდაფის ლაბირინთით ბეტონის ღობით შემოზღუდულ ეზოში გამიყვანეს და „სტუდაბეკერის“ საგანგებოდ აღჭურვილ ძარაზე შემაგდეს. სულ შვიდი პატიმარი საგანგებოდ გამოგვკეტეს და რკინიგზის სადგურისკენ გაგავაქანეს. იქ, წელში მოხრილმა სირბილით მატარებლის საბადრაგო ვაგონში ამოვყავ თავი. ყველგან ხიშტმოღერებული ბადრაგი იდგა და გამყივანი ხმით წამოსროლილი მოკლე კომანდები ისმოდა. ჩემთვის განკუთვნილ საბადრაგო ვაგონის ცხაურიანი გისოსებით მოზღუდულ განყოფილებაში მიკრეს თავი. ხელბორკილები შემხსნეს. საბადრაგო მატარებლის ბაქანი გარესამყაროსგან მავთულხლართებით იყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემოსაზღვრული, შორიდან დიდხანს ისმოდა პატიმართა განწირული გამოსათხოვარი შეძახილები, ქალების სასოწარკვეთილი შეკივლება და ხმამაღალი მოთქმა-გოდება. გული შემეკუმშა, შემეცოდა საცოდავი ხალხი. კიდევ კარგი ჩემები არ მაცილებენ. წარმოვიდგინე ჩემი მეუღლის სიმწრისგან ჩამოხოკილი ლოყები, ცრემლ-სისხლნარევი თვალები და გული შემეკუმშა. ამ ტანჯვასაც გადავურჩი, მადლობა უფალს!

ბუნებრივია, არცერთი პატიმარისთვის ახლობლებთან გამოთხოვება-დამშვიდობების უფლება არ მიუცით, პირიქით, ყველანაირად ზღუდადდნენ და ბაქანიდან მოშორებით მილიციის კორდონიც კი დაეყენებინათ. თითოეულ ვაგონს ხუთ-კაციანი ბადრაგი და ბადრაგის უფროსი ოფიცერი აცილებდა. ბოლოს როგორც იქნა მატარებელი დაიძრა. ბორბლების ჯერ კანტიკუნტი, შემდეგ კი მონოტონურად ტაკა-ტუკი შეერია წყვდიადს. მშვიდობით, ჩემო ბათუმო! მშვიდობით ჩემო მშობლიურო, უტკბესო და ტკივილამდე საყვარელო აჭარის მთა-ბარო, მშვიდობით ჩემო მშობლებო, ცოლ-შვილო, მოყვარე-მოკეთეებო. ოდესმე გიხილავთ კი შენი ეული, განწირული შვილი. სევდამორეულს, ხალხში ლეგენდად გაბნეული ვიღაც პატიმრის ლექსად თქმული გოდება გამახსენდა:

„ვერ ვიპოვე ჩემოდანი,
ვერ ვიპოვე ტომარაო,
მშვიდობით ჩემო სახლ-კარო,
ან მოვალ და ან არაო!“

ეროვნული ბიბლიოთეკა

სევდიანად წავიღიღინე, გული ამომიჯდა. კაცური ცრემლები ჩემდაუნებურად წამსკდა, ხელი ავიფარე და სახელოში წვეთ-წვეთად, ჩავმალე...

შუადღისას უკვე თბილისში ვიყავით. საბადრაგო ვაგონის ცხაურიანი სარკმლიდან დავლანდე ბებერი მთაწმინდა, ფერდობს მიყუჟული ქათქათა მამადავითი... მოუსვენრობა და ერთგვარი თრთოლვა სხვა პატიმრებსაც შეეტყოთ. დედაქალაქში ასე ჩამოსვლა ნამდვილად არცერთს არ გვინდოდა... თავს იმით ვიმშვიდებდით, რომ ჯერ ისევ საქართველოში ვიყავთ. ისიც შვებაა სოხუმი-სოჭის გავლით რომ რუსეთის უკიდეგანო ტრამალებისკენ არ გაგვიყენეს...

ნავთლუღის სადგურზე ბადრაგი გველოდა. რამდენიმე საბადრაგოდ გადაკეთებული „სტუდაბეკერი“. იგივე პროცედურით, ელვისებური გადარბენით გაგვანაწილეს ავტომანქანებში და გზას გაგვიყენეს.

ძარის ცხაურიანი სარკმლიდან ფრაგმენტებად ვხედავდი ცის ნაგლეჯს, თბილისის ქუჩების აივნიან სახლებს და მდინარე მტკვრის ლურჯ ზოლს...

როგორც იქნა ციხის კარებსაც მივადექით. მასიური რკინის კარები მძიმედ, გულისწამღბი ღრჭიალით გაიღო და ერთი სულის მოთქმით შეისრუტა მანქანების კოლონაც და იქ მოთავსებული ბედდამწვარი პატიმრები...

ჯერ ციხის მაღალკედლიან ეზოში შეგვყარეს. მწყობრად დაგვაყენეს და სახელობითი სია ამოიკითხეს. ხელბორკილები შეგვხსნენ და საკარანტინო საკნებში დაგვანაწილეს.

„ჩემი“ საკარანტინო საკანი ოც პატიმარზე იყო გათვლილი, ორსართულიანი საწოლებით. ჩვენ კი სულ თვრამეტნი ვიყავით. როგორც შემდეგ გაირკვა, ყველა ქართველი. ლეიბი და ბალიში საწოლზე ეწყო. ძველი, გაქუცული, აშმორებული და ცხიმისა და ოფლისაგან გაზინთული. ყველასგან დაუკითხავად საპირფარეშოს მოპირდაპირე კედელის თავში ნარი მოვნიშნე, ნარის პირველი სართული, წინა იარუსი, ავირჩიე. ლოგინი შევამოწმე, ბოხჩა მივაგდე და ჩამოვჯექი. სული მოვითქვი...

პირველი საერთო საკანი ინვენტარითა და აქსესუარებით არაფრით არ გამოირჩევოდა ჩემთვის უკვე კარგად ნაცნობი საკნისაგან, ოღონდ ეს უფრო სივრცითი იყო, უფრო მოზრდილი ცხაურიანი სარკმლით. ორიარუსიანი ნარები კედლების ჩაყოლებაზე ჩაემწკივრებინათ. იარუსებს შორის, თითქმის შუაში მასიური მაგიდა იდგა, ორივე მხრით ჩაყოლებული მასიური ძელსკამებით. კედლის მეორე ბოლოს საპირფარეშო და ხელსაბანი იყო მოწყობილი. უსახური და გაქუცული. საპირფარეშო შემოზღუდული იყო სანახევროდ ამოყვანილი აგურის კედლით, ღია კარითა და მასიური სანაგვე ვარცლით. საპირფარეშოს კედელთან მიდგმული იყო პირსაბანი ჟანგიანი ონკანით და მამაპაპური თუნუქის ხელსაბანით, ეს უკანასკნელი ალბთ, იმ შემთხვევისთვის მოეწყოთ, როცა ონკანში მომდინარე წყალი არ იქნებოდა.

თითქოს ვიღაცის კომანდას ელოდნენ, პირიქით, გაკვირვებული მე შემომცქეროდნენ. სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ბოლოს ერთი, ჩია ტანის, მარჯვენა მკლავზე თვალშისაცემი სვირინგებიანი, უკბილო, საძაგელი შესახედაობის პატი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარი წამოდგა. მას „ჩემი“ რიგის ნარების მოპირდაპირედ, ჩემგან მესამე თუ მეოთხე ნარის მეორე იარუსი შეერჩია. მხრები აათამაშა, გაიზმორა და წრიპინა ხმით წამოიძახა:

-„ქათმებო“ თავიანთი ადგილი მოძებნეთ სანამ ლამაზები ხართ! კვლავ სამარისებური სიჩუმე. ყველა დაძაბული ათვალიერებდა ერთმანეთს, თან იმას შიშობდა, ალბათ, უნებლიეთ ხომ არ „დაეკონტაქტა“ „ქათამს“. მე უკვე მიშა კალიკიდის მონაყოლიდან ვიცოდი კრიმინალური სამყაროს კლანებსა თუ კასტების შესახებ. მათ შორის ურთიერთდამოკიდებულებასა თუ ქცევის წესებზე. მეც იგივე სიფრთხილით ვაკვირდებოდი ჩემს ირგვლივ მყოფთ. როგორც იქნა ყველაფერი გაირკვა: უშუალოდ საპირფარეშოსთან, საკნის ბოლოს ორიარუსიანი ნარის ორი ბინადარი წამოდგა და თავჩაღუნული დაელოდა განაჩენს.

- აი მესმის, სწორედ მოქცეულხართ, პირადი ქანდარა უშეცდომოდ მიგიგნიათ, თორემ ვაი თქვენი დღე, - თქვა, კმაყოფილმა ღაწვებზე ჩამოისვა ხელი და განაგრძო:

- საქვეყნოდ ცნობილია „ბლატნოებისა“ და „პოლიტიკურების“ უპირობო და საუკუნო შეთანხმება. იდეურ ნიადაგზე არსებული ქიშპი თუ მტრობა, გაუტანლობა და შუღლი, ერთმანეთის ხოცვა-ჟლეტა წარსულს ჩაბარდა. ჩვენ თქვენს საქმეებში არ ვერევით, თქვენ - ჩვენს საქმეებში. მოდი ახლაც და აქაც ბოლომდე ვუერთგულოთ შეთანხმებას. ადვილად ცნობადი რომ გავხდეთ, სანამ უკეთ გავიცნობთ ერთმანეთს, „პოლიტიკოსებმა“ საკნის მარჯვენა ნახევარი დაიკავეთ, დანარჩენები კი მარცხენა ნახევარში მოთავსდით. თვრამეტიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

რვა პოლიტიკური პატიმარი აღვმოჩნდით. აი, თურმე ყველა გაკვირვებით რატომ მომჩერებოდა. გამოუცდელობის გამო ჩემს ირგვლივ უხერხულობა და გაუგებრობა ავტომატურად მოიხსნა, კიდევ კარგი, როგორც პოლიტიკური პატიმარი, თავიდანვე არ შევმცდარვარ რიგისა და ადგილის შერჩევაში. ყველანი თავთავიანთ რიგზე და ადგილზე დალაგდნენ.

რა თქმა უნდა, საკარანტინო საკნის პატიმრები ადრე ერთმანეთს არ ვიცნობდით. არც არასდროს ერთმანეთს შევხვედრივართ. პარტიმრები საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან იყვნენ. მართალია, რამდენიმე მათმათგანი ადრეც იყო ნასამართლევ-ნაჯდომი, მაგრამ ძირითადი მასა ჩემსავით ახალბედები იყვნენ. ამას ნებისმიერი ჭკუამყოფელი და დაკვირვებული შენიშნავდა. თითქმის ყველა ფრთხილობდა, ერთმანეთს არ ეკონტაქტებოდა. არც ნდობა იყო, არც ნაცნობობა, არავის უნდოდა ნაადრევად რაიმე შარსა თუ ხათაბალას გადაყროდა. ყველამ იცოდა, რომ დროებით იყვნენ საკარანტინო საკანში. ერთი ან ორი კვირის შემდეგ დაანაწილებდნენ ძირითად საკნებში, სადაც დიდხანს მოუწევდათ ჯდომა. შეიძლება ათეულობით წელიც კი. იქ გამოჩნდება ვინ ვინაა, თეთრი და შავი... ამიტომ პატიმრები უმეტესწილად თავისთვის იჯდნენ. ზოგი ნარზე წამოწოლილი თავის ფიქრებთან იყო დამარტოხელებული, ზოგს ეძინა, ზოგს კი უახლოეს მეზობელთან მოესწრო გაცნობა და დაბალ ხმაზე რაღაცაზე ბაასობდნენ. აქ შეკრებილთ მხოლოდ ერთი რამ გვაერთიანებდა, თავისუფლების აღკვეთა - პატიმრობა. ეს კრებული - სურვილისა და ბედის საწინაღმდეგოდ თავისუფლებააღკვეთილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭრელი მასა დაგუბებული დარდუბალა ჭაობივით იყო. არავინ იცოდა ერთმანეთის სადაურობა ან რის გამოა დაპატიმრებული. ნებისმიერ შემთხვევაში ბედის უკუღმართობამ სხვადასხვა ეროვნების, ჩამომავლობისა თუ აღმსარებლობის, კასტისა თუ მასტის, რანგისა თუ წარსულის მქონე ადამიანები ერთად შეგვყარა, ერთი საერთო ხვედრითა და იარლიყით - ტუსაღი, გინდა „არესტანტი“, გინდა „ბრადიაგა“, გინდა პატიმარი!

იმ დღემ უღიმღამოდ და მდორედ ჩაიარა. ნამგზავრი, დაღლილ-დაქანცულები ნარებზე ჭერეხებად მივეყარეთ და საღამოს ძილმა წაგვართვა თავი. ძილქუშში ვიღაცა ხვრინავდა, ვიღაცა გმინავდა, ვიღაცა რაღაცას ბოდავდა ან სასოწარკვეთილი შეძახილით საწოლიდან წამოიწევდა და ისევ მოცელილივით ეშვებოდა ბალიშზე...

დილაუთენია წამოგვყარეს. ათი წუთი თავის მოსაწესრიგებლადო, - ბრძანების კილოთი შემოგვძახა ზედამხედველმა და გავიდა. ცოცხალი რიგით მოვისაქმეთ ბიოლოგიური მოთხოვნილებანი და ვიბანავეთ. ცოტა ხნის შემდეგ საკნის კარში დატანებული სარკმლიდან ჩამოგვირიგეს ალუმინის ბადია, რუსულად „მისკად“ წოდებული, ალუმინისვე მათლაფა და კოვზი. თანაც გამოგვიცხადეს, ეს თქვენი ინდივიდუალური ჭურჭელია და მოუარეთო. სათითაოდ ჩამოგვირიგეს თითო ნაჭერი შავი პური, ერთი „მისკა“ - მათლაფა შეჭამანდი, რუსულად „ბალანდად“ წოდებული და ერთი „კრუშკა“ - ტოლჩა მღვრიე ცხელი სითხე, „ჩაიად“ წოდებული. ესაა და ეს, მაშინდელი შინსახკოის კომისრის - ლ.ბერიას მიერ დადგე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნილი პატიმრის ულუფა, რუსულად „პაიოკად“ წოდებული. ჩემო მკითხველო, მინდა წინასწარ გაგაფრთხილოთ: ციხეებსა თუ სასჯელაღსრულების სხვა დაწესებულებებში გაბატონებული ტერმინოლოგია თუ ჟარგონი რუსულენოვანი წარმომავლობისაა, პატიმრებიც ძირითადად რუსულენოვან ტერმინოლოგიას იყენებდნენ, მეც იძულებული ვარ ასე მოვიხსენიო, იმედია გამიგებთ...

დანარჩენი ხუთი დღე ერთფეროვანი იყო. ციხის ტერიტორიას ვგვიდით, ვალაგებდით, გაზონებს ვბარავდით, ვკრეჭდით, ნარგავებს ძირებს ვუბარავდით. ზოგნიც დატვირთვა-გადმოტვირთვით სამუშაოებზე გავყავდით. ერთი სიტყვით მოსვენების კი არა, თავის მოსაფხანი დროც არ გვრჩებოდა.

მეექვსე დღეს დილიდანვე დალაქთან გაგვატარეს. სათითაოდ გადაგვხოტრეს. შემდეგ აბანოში წაგვიყანეს. უფრო სწორედ ნესტიან დაორთქლილ სარდაფში მძიმე, აუტანელი სუნი იდგა, გულისამრევი, დეზინფექციას ჩაგვიტარებენო, - რომელიღაც პატიმარმა „გვახარა“. ცხოვრებაში პირველად მომიწია დედიშობილა „ფართო მასების“ წინაშე წავმდგარიყავი. აქეთ სირცხვილი მკლავდა, იქით საჯარო ბანაობის გამო შექმნილი უხერხულობა, მაგრამ სხვა გზა სად იყო, მომიწია ამასთანაც შეგუება. მით უმეტეს, რომ ჩემს გარდა არავის უხერხულობა არა ეტყობოდა. საცვლები - პერანგი და მისი ამხანაგი დასაწვავად სანაგვე ურნებში ჩაგვაყრევინეს, კიდევ კარგი, ამდენი ხნის ნანახ-ნამალავი ფული საწოლის ღრუტნაში შევჩურთე, თორემ საცვალთან ერთად ურნა არ ასცდებოდა, რითაც უკანასკნელ ხელჩასაჭიდ იმედსაც დავკარგავდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანარჩენი ტანისამოსი და ფეხსაცმელი ჯერ დაქლორეს და აირის ღუმელში გაატარეს, შემდეგ კი პატარა თოფრიკებში ჩაგვალაგებინეს და საკუჭნაოს შემნახველ საკანში ჩაგვაბარებინეს, თოფრიკებზე კი ქიმიური ფანქრით სახელ-გვარმიწერილი თეთრი ნაჭრები მიგვაკერებინეს. ციხის სპეცტანსაცმელი, ქოშები, ქვეშაგები, ზეწარი, ბალიში და თეთრეული სათითაოდ ჩამოგვირიგეს, მიღების შესახებ ჟურნალის სათანადო გრაფაში ხელმოწერით. ისევ საკარანტინო ძველ საკნებში ჩამოგვარიგეს. ახალ სამოსში პატიმრები სასაცილონი იყვნენ. ცხადია თავთავიანთი ზომით არავის არ ერგო ტანსაცმელი. ზოგს დიდი ზომის ტანსაცმელი ჩუჩელასავით ეკიდა, ზოგი კი ნახევრად შიშველი ხელ-ფეხით სახალისო შესახედაობისანი იყვნენ. ბოლოს ზოგზოგებმა მოახერხა ერთმანეთში ტანსაცმლის გადაცვლა და მეტნაკლებად მოწესრიგება. მე გამიმართლა. როგორც მაღალსა და ახოვანი აღნაგობით გამორჩეულს, თავიდანვე დიდი ზომის სპეცტანსაცმელი მარგუნეს.

სადილის შემდეგ ციხის ლაზარეთში გადაგვიყვანეს. ექიმებთან ჩამოგვატარეს და თითოეულზე სამედიცინო წიგნაკი აკინძეს. მე ჯანმრთელობას არ ვუჩიოდი, საერთო სამედიცინო დასკვნაც მაკმაოფილებდა, ისეთი, ციხის მთავარმა ექიმმა ჩემი მისამართით რომ თქვა: „ხარივით ჯანმრთელიაო“. ბოლოს დერეფნის შუაში მწკრივად მოგვაწყეს, ციხის განაწესი და ქცევის წესები გაგვაცნეს, თითოეულ პატიმარს ინდივიდუალური ნომერი მოგვანიჭეს, აგვიხსნეს, რომ რობის მარცხენა ჯიბეზე უნდა მივიწეროთ და დღეის იქით ყველა ამოძახებისას

ან მიმართვისას ამ ნომრით წარვსდგეთ. ინსტრუქტაჟის გრაფაში სათითაოდ ხელი მოგვაწერინეს და ციხის საკნებში გადაგვანაწილეს. ზედამხედველმა საზეიმოდ გამომიცხადა:

- ტუსაღი ბაქრაძე, ნომერი 2245, საერთო ტიპის საკანი, ნომერი 125, მესამე სართული!.. მაშ ასე, მოქალაქე „ვამეხ ბაქ-რაძე“ ისტორიას ბარდება, მის ადგილს კი „პატიმარი ნომე-რია 2245“ იკავებს. ღმერთო ჩემო! უფალო შეიწყალე ყველა თავისუფლება და ღირსებააყრილი ადამიანი. ისიც გაგვაფ-რთხილეს - მომართვისას ხმამაღლა უნდა წამოვიყვირო - „პატიმარი 2245“... საკნებში დაგვაბრუნეს. ძირითად საკნებში გადასაყვანად მომზადებისათვის ოცი წუთი მოგვცეს...



ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი XI

სასჯელაღსრულების საკანში შესვლა

კარანტინის საკნიდან მხოლოდ მე გამანაწილეს 125-ე საკანში. ამაზეც რეაქცია არ მქონია. არც დასანანი რამ, არავის გავცნობილვარ. არც მჭირდებოდა, მაინც დროებითი ნაცნობობა იქნებოდა. დათქმულ დროს ბადრაგი შემოვიდა. ჩემი ბარგ-ბარხანის, რუსულად „ვეშჩად“ წოდებული, შეგროვება მიბრძანეს და წინ გამიგდეს. ყველა სართულის გასასვლელ-გადასასვლელი რკინის ცხაურა კარები მასიური ბოქლომებით ჩარაზული იყო. კედლისკენ სახით მაყენებდნენ, კარს ხსნიდნენ, მატარებდნენ, ისევ კეტავდნენ... როგორც იქნა ჩემთვის გამიზნულ საკანსაც მივაღწიეთ. ბადრაგმა ისევ მიბრძანა-სახით კედლისკენო, საკნის კლიტემ აქაც მჭახედ გაიჩხაკუნა და მასიური შეჭედილი რკინის კარი მძიმედ, ჭრიალით გაიხსნა. საკანში შესვლა მიბრძანეს. „სტაროსტა პრინიმაი“ (მამასახლისო მიიღე) - ერთ-ერთმა ბადრაგმა საკნის სიღრმეში შესძახა, მეც ჯიკავით შემაგდო და მაშინვე კარები მიიხურა.

უცაბედად და უეცრად, ნირწამხდარი და გაკვირვებული აღმოვჩნდი საკნის შუაგულში! ათეულობით წყვილმა თვალმა თითქმის ერთდროულად ცნობისწადილითა და ზიზღნარევი ირონიით თავიდან-ფეხებამდე „მომთირა“. ზოგი საკნის ორრიგად ჩამწკრივებული ნარების -„შკონკების“ გასასვლელში დოინჯმოყრილი იდგა, ნაწილი საწოლზე მიწოლილი, ნაწილი მასიური მაგიდის ორივე მხარეს ჩამორიგებულ ძელსკამებზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

წამოყუნტული... ერთი სიტყვით ცნობისწადილით ჟინმორეულებმა თავიდან ბოლომდე შემათვალიერეს, გამ-ზომეს და ამწონ-დამწონეს. შევატყვე, ზოგს საერთოდ რეაქცია არ ჰქონია, აქაოდა ბუზი შემოფრინდა საკანშიო. პატიმართა მზერაში მაინც ცნობისმოყვარეობა, ცნობისწადილი, ზოგიერთებში გულგრილობა, შეფარული ზიზღიც კი გამოს-ჭვივოდა. წუთიერი დუმილი... ჩემთვის კი მთელი საუკუნე. როგორც იქნა მაგიდის ბოლოდან ერთი მაღალი, საშუალო აღნაგობის, თმაშევერცხლილი პატიმარი წამოდგა, იქნებოდა 50-55 წლის, წვერ-ულვაშიანი, გამჭოლი მზერა და სახის დაჭი-მული, მკაცრი ნაკვთები მის შემტევ, მკაცრ და შეუვალ ხასიათ-ზე მეტყველებდა. მბრძანებლური მზერა მტყორცნა, თავიდან ფეხებამდე შემათვალიერა და ხელის მოძრაობით მაგიდის კიდესთან მიხმო. მიშა კალიკიდის რჩევა გამახსენდა: - „რამდენად ღირსეულად და ვაჟკაცურად შეხვალ საკანში და კაცურად „ჩაეწერები“ ისე აეწყობა სხვა პატიმრებთან შენი ურთიერთობები და შესაბამის პატივში იქნები. არ აჩქარდე, დაბალ ტონზე, დამაჯერებლური და ლაკონური პასუხები გაეცი. არ შეგეშინდეს, არ აღელდე, არ დაიბნე, თამამად და პა-ტიოსნად დაიჭირე თავი. შეეცადე ზოგიერთებმა უაზრო და აგდებული რეპლიკებით ემოციაზე არ აგაგდონ, არ აგიყო-ლიონ, მოუზომელ, ქარაფშუტა სიტყვაზე არ „წამოგაბან“, არ გამოგიჭირონ, თორემ გაგაფუჭებენ და მერე მოგჭამა ჭირი... კონფლიქტის პროვოცირება არ დაუშვა, თუ შესაძლებელია ჩხუბსა და საქმის გარჩევებში მონაწილება არ მიიღო, ღირსეულად გადექ განზე, თორემ ქართული ანდაზისა არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყოს - „არამკითხე მოამბეს, მიბეგვეს და მიაგდესო“... ერთი სიტყვით ფსიქოლოგიური ორთაბრძოლისა და საკნური „ნათლობისათვის“ მორალურად მზად ვიყავი. დინჯად, აუჩქარებელად რამდენიმე ნაბიჯი გადავდგი და მონიშნული ადგილიდან ერთ მეტრში გავჩერდი, მშვიდი გამომეტყველება მივიღე და მამასახლისად წოდებულს ცნობისწადილით მივაბჯინე მზერა. ქართულად დაიწყო:

- მე მამასახლისი ვარ, შეგიძლია გრიშა დამიძახო, შენ?

- მე ვამეხ ბაქრაძე ვარ, - მისივე მანერით ვუპასუხე.

- სადაური ბაქრაძე? იმერელი?

- არა ბატონო, აჭარელი, უფრო სწორად მაღალმთიანი აჭარიდან.

- ბევრი მსმენია აჭარლებზე. პატიოსანი, გულიანი და ვაჟკაცი ხალხია. მერე და მთის ლაღი და ამაყი შვილი ამ შმორიან საკანში რამ შემოგაგდო?

- ბედის უკუღმართობამ და ზოგიერთ არამზადა კაცთა მუხანათობამ, ბატონო ჩემო, - წარმოვთქვი და თვალი თვალში გავუყარე. გრიშა არ ელოდა ამ სითამამეს, არ იყო სხვა პატიმრებისგან ჩვეული, ალბათ. გაკვირვებულმა და გაოცებულმა პირველი კანფუზი მოხერხებულად აიშორა, იხტიბარი არ გაიტეხა, გამოწვევა მიიღო და მზერა მომაბჯინა, ბოლოს მაინც ვერ გაუძლო და თვალი ამარიდა, „ჩერტ პობირიო“ (ეშმაკმა დალახვროს) ჩაილაპარაკა და ცხოველი ინტერესით მკითხა, ამჟერად რუსულად:

- „პო კაკოი სტატიი ჩალიშსია“ (რომელი მუხლით ნავსაყუდლობო)?

ეროვნული ბიბლიოთეკა

- საბჭოთა კავშირის სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით, ბატონო ჩემო!

- აჰა, გასაგებია, ესე იგი „პოლიტიჩესკი“?! (პოლიტიკური პატიმარი) მაინც რა დააშავე ასეთი? 58-ე მუხლი ... სერიოზულად ყოფილა საქმე, ჰმ... „ხალხის მტერი“ ან უბრალოდ - „კონტრა“. ისე, ჩემს გამოცდილებასა და დაკვირვებას თუ ვენდობი, მომკალი და ბოროტმოქმედს არ გავხარ...

- რას იზამ ბატონო, აკი მოგახსენეთ, არამზადა კაცების მუხანათობამ, კაცმოძულეობამ, უგულობამ და უჯიშობამ, გაუტანლობამ გამწირა...

- კაი, კაი, მჭერმეტყველება შენთვის შეინახე, პატიოსან ხალხს აუხსენი რა მოხდა, რა შეგემთხვა, რას გედავებიან?! ჩემო მომთმენო მკითხველო დამავიწყდა მეთქვა: სისხლის სამართლის 58-ე მუხლის ხსენებაზე პატიმართა ერთი ნაწილი გამოცოცხლდა, უფრო ცხოველი ყურადღებითა და ცნობისწადილით მომაჩერდა, ზოგი მაგიდას მიუჯდა, ზოგი საწოლზე წამოყუნტდა, ზოგიც ადგა და მისდაუნებურად ბოლთასცემას მოჰყვა. მათი ბედი თუ უბედობა შევახსენე, გონება აურიე და სული ავუფორიაქე, ნეტა რამდენია მათ შორის ჩემსავით დაუმსახურებლად და უსამართლოდ „ხალხის მტრის“ იარლიყმიწებებული... ერთი სიტყვით, საყოველთაო ცხოველი ინტერესით მომაჩერდა არაერთი წყვილი თვალი. მე, ლეგენდისამებრ, მოკლედ მოვუყევი ჩემი „თავგასავალი“ და დავდუმდი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

- გამოდის, „დანოსი“ სატყეო მეურნეობის დირექტორმა გაგიჩალიჩა? მაგისი ნაბოზარი დედა ვატირე, - თქვა მამასახლისმა და გააფურთხა. - რამდენი მოგისაჯეს?

- ოცი წელი შრომა-გასწორების დაწესებულებებში სასჯელის მოხდით...

- რას იზამ ვამეხ, აქ ვისაც ხედავ, უმეტესობა შენსავით ვიღაც ნაძირალას ან რეჟიმის მსხვერპლია. მართალია, ეს ბევრს, მათ შორის პოლიტიკური სტატიით გასამართლებულსაც არ ეხება მაგრამ... - სინანულით ჩაიქნია ხელი და განაგრძო: მინდა იცოდე და გაითვალისწინო, საკავშირო მასშტაბით, საქვეყნოდ და სამარადჟამოთ შეთანხმებული ვართ ჩვენ, ქურდული სამყაროს წარმომადგენლები და „პოლიტიკოსები“, რომ ერთმანეთის საქმეებში არ ვერევით, არც საქმის გარჩევებში და არც განაჩენის სისრულეში მოყვანისას... ამიტომ ზედმეტი შეკითხვებით და საქმის დეტალური „გაიასნებით“- გარკვევა-ჩაკირკიტებით აღარ შეგაწუხებთ, პრინციპი პრინციპია! - თანასაკნელებს მკაცრი მზერა მოავლო, შემდეგ ისევ მომიბრუნდა და მითხრა: - შენი ნაამბობი შთამბეჭდავია და დამაჯერებლურად ჟღერს, ჯერ აქ შევჩერდეთ. დანარჩენს ცხოვრება გვიჩვენებს, „პოლიტიკოსებთან“ დაიდე ბინა... დრო გვიჩვენებს, - თქვა და საკნის მეორე ნაწილისკენ მიმითითა, სადაც რამდენიმე პატიმარი არანაკლები ცნობისწადილით მოჩერებული მელოდა.

კრიმინალების იქედნური ქირქილის, ბილწი ჩახითხითებისა და აგდებული მზერის ქვეშ მითითებული მიმართულებით ვიარე. ძნელი წარმოსადგენი არაა, მამასახლისის მკაცრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაფრთხილება რომ არა, რა სიამოვნებით დამთეთქვავდნენ და სრულად უდანაშაულოზე ამოიყრიდნენ ჯავრს, ბოღმასა და სატკივარს. ვითომ მე ვიყავი მათი უბედურებისა თუ ტანჯვა-ვაების პირველწყარო.

საკნის ბოლოში „პოლიტიკურები“ შემომეგებნენ. ყველას გულითადად და სანდომიანად მივესალმე და ზრდილობიანი თავისდაკვრით მშვიდობა ვუსურვე. ერთი სანდომიანი გამო-მეტყველების ახალგაზრდა პირველი მომიახლოვდა, უხმოდ ჩამომართვა საწოლის მოწყობილობა და ერთ-ერთ თავისუ-ფალ ნარზე დაალაგა. მეორემ, შუა ხნის მამაკაცმა, ხელი გამომიწოდა და კარგად მოწყობა და მოსვენება მისურვა. მე აუჩქარებლად ჩამოვართვი ხელი, - კეთილი, მეთქი, - ჩავილაპარაკე და საწოლის გაშლა-გასწორებას შევუდექი. მიშა კალიკიდის დარიგებიდან ისიც მახსოვდა: - „საკანში ახალშესახლებულმა იქ დამხვდურ თანასაკნელებთან გაც-ნობისას არამც და არამც ინიციატივა პირველმა არ გამოი-ჩინო“. მეც, რამდენიმე წყვილი ცნობისმოყვარე თვალების „ზედამხედველობის“ქვეშ საწოლი გავშალე, ფეხგაუხდელმა წამოვწექი და თავქვეშ ხელები ამოვიდე. ჩემდაუნებურად, უეცარმა გააზრებამ შემზარა: „ჩემი“ ოცი წლიდან ნეტა რამდენის გატარება მარგუნა ბედმა ამ ჩაკეტილ სივრცეში, იმ ხალხთან ერთად, რომლებსაც საერთოდ ვერ იცნობ ან გაეც-ნობი და თუ არაკაცი აღმოჩნდა ან ვიგინდარა, აბეზარა მამაძაღლი, რამდენი ხანი უნდა ითმინო მისი კომპანიონობა, შეგიცვლიან თუ... ეეხ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

უეცრად წამოპარული სევდიანი ფიქრებიდან ზედამხედ-ველის მჭახე ხმამ გამომიყვანა, - „სტარასტა ჟივო, ნა პრაგუ-ლკუ“! - (მამასახლისო ცოცხლად, გასასაეირნებლად!). რო-გორც შემდეგ გავიგე, დასაძინენლად დაწოლის წინ კანონით ნახევარსაათიანი გასეირნების უფლება გვეძლეოდა ციხის პე-რიმეტრზე სპეციალურად მოწყობილ და აღჭურვილ ეზოში. პატიმრები უკვე შეჩვეულები იყვნენ, რომ მამასახლისის მითი-თებები და ბრძანებები უსიტყვოდ და ცოცხლად უნდა შესრულდეს. აჩქარებული ნაბიჯით საკნიდან გავიკრიბეთ...

თავი XII

ეგრეთ წოდებული „სასეირნო ეზო“ სულ რაღაც ოცდაათი კვადრატული მეტრის სწორკუთხოვანი ფართი თუ იქნებოდა ბეტონის უსწორმასწორო იატაკითა და მაღალი, უხეიროდ და უგულოდ, უნიათოდ შებათქაშებული ღობური კედლებით გარშემორტყმული და ზემოდან რკინის მასიური ცხაურით „შეჭედილი“. პატიმრებმა, ზედამხედველისა და სათვალთვა-ლო კოშკურიდან გუშაგის შაშხანამოღერებული მეთვალყუ-რეობის ქვეშ უგულო და უმიზნო ძუნძულს მოჰყვნენ. ვითომ ეს დამთრგუნველი და უსახური გარემო არ გვეყო, კოკისპირულ-მა წვიმამ დაარტყა, რამაც ზედამხედველ-კონტროლიორი აიძულა საკანში შევერეკეთ.

ჩემი „შკონკის“- ნარის მოპირდაპირედ, პირველ იარუსზე საშუალო აღნაგობის, თეთრწვერულვაშიანი მამაკაცი „სახ-ლობდა“. მისმა სიდინჯემ და დარბაისლობამ თავიდანვე მიი-ქცია ჩემი ყურადღება. ასაკით სამოც წლამდე იქნებოდა, მაგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამ უფრო დაბერებული მეჩვენა. უბრალოდ გამეცნო, - მე როსტომ მგალობლიშვილი ვარ ქუთაისელიო და მეგობრულად ხელი გამომიწოდა.

- მე ვამეხ ბაქრაძე ვარ, ბათუმიდან, - მოწიწებით მივუგე და გამართული მარჯვენა შევაგებე.

- კეთილი და პატიოსანი. მე ძალიან მიყვარს და ვაფასებ აჭარლებს, გამბედავი და უშიშარი ადამიანები ხართ. რაც მთავარია, სიტყვის კაცები არიან. აჭარელი ვაჟკაცი თავს მოიკლავს, ვიდრე დანაპირებს არ აასრულებს, - დინჯად თქვა და მხარზე მეგობრულად ხელი მომითათუნა. რა თქმა უნდა მესიამოვნა და მორიდებით მადლობა მოვუხადე:

- დიდი მადლობა ბატონო როსტომ, მესიამოვნა, მარტივად და ზუსტად დაახასიათეთ აჭარელი კაცის ბუნება და ხასიათი.

- ჩემო ვამეხ, მე საინტერესო და შინაარსიანი ცხოვრებით ვიცხოვრე. მთელი საქართველო დავლილი მაქვს, ყველა კუთხე ერთიანად ლამაზია, ხალხი კი - საოცარი.

- აჭარაში, კერძოდ ბათუმში, ნამყოფი ბრძანდებით?

- ჩემო ვამეხ, ნამყოფი რას მიქვია, სისხლიც კი მაქვს ნანთხევი...

- ბატონო როსტომ, სასიამოვნოდ გამაკვირვეთ და ცნობისწადილიც ამიშალეთ, თუ მეტყვით როდის და რა ვითარებაში, გამიხარდება...

- მე, ქართული გვარდიის ოფოცერს, 1921 წლის მარტში ბათუმისა და სრულიად აჭარის გამოსახსნელად მიბრძოლია... მაშინ აჭარლებმა ქართული ეროვნული ჯარის მხარდამხარ ღირსეულად იბრძოლეს და საბოლოოდ დავუბრუნეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მრავალტანჯული აჭარა დედასამშობლოს - საქართველოს. მაგრამ ვაი, რომ ეს დამოუკიდებელი საქართელოსთვის ბრძოლის ბოლო ეპიზოდი იყო. რამდენიმე დღეში ქალაქში წითელი არმიის ნაწილები შემოვიდნენ, ქართული ეროვნული საჯარისო შენაერთები დაშლილად გამოცხადდა, ხოლო დემოკრატიული საქართველოს მთავრობა ბათუმიდან სამი გემით ემიგრაციაში წავიდა, - სევდიანი თვალები მომანათა და უმალვე გაჩუმდა. სიმართლე გითხრათ, ძალიან გამიხარდა, რომ უფალმა საკანში გვერდით თანამებრძოლი და ჭეშმარიტი მამულიშვილი მარგუნა. აი ნამდვილად იღბალა ვარ, რა! კიდევ ერთხელ ამ აზრზე დავიჭირე ჩემი თავი და უნებლიედ ჩამეცინა. ეს გარემოება ბატონ როსტომს არ გამოპარვია. შევნიშნე კიდეც, არ მოეწონა უადგილო ღიმილი. მე კი, ვიდრე ცუდ რამეს იფიქრებდა, შევეცადე მკვირცხლად და ხალისიანად მეპასუხა:

- ბატონო როსტომ, უზომოდ ბედნიერი ვარ თქვენი გაცნობით. ვერ წარმოიდგენთ როგორ გამახარეთ. მე, კახაბრის ველზე, გენერალ ასლან აბაშიძის რაზმის მოხალისეს და თქვენ, ქართული ეროვნული ჯარის ოფიცერს მხარდამხარ გვიბრძოლია საერთო ეროვნული საქმისათვის.

ბატონმა როსტომმა ჯერ ცოტა გაიკვირვა, შემდეგ კი მოწიწებით წამოდგა, ხელები გაშალა და ჩემსკენ წამოიწია, მეც შევაგებე ჩემი ღონიერი მკლავები. ამბორი იმდენადვე გულწრფელი და სადა იყო, რამდენადაც ეს პატიოსან ადამიანებს ჩვევიათ ხოლმე.

- მაშინ აჭარელმა მოხალისეებმა დიდად ივაჟკაცეთ და დიდი სახელიც დაიდეთ. უკუგდებულ მტერს თითქმის რიზემდე ვსდიეთ, მაგრამ რად გინდა, კომუნისტებმა ჯერ სეპარატისტული ბრესტის ზავით მსოფლიო ომს გამოეთიშნენ, მერე ჯერ მოსკოვის, შემდეგ კი ყარსის ხელშეკრულებებით დაუთმეს ქართული ძირძველი მიწა-წყალი: - ტაო-კლკარჯეთი და კოლა-არტაანი, ბაიბურთი და სპერი, საპალაკაციო და ერუშეთი... მხოლოდ აჭარის, ისიც აჭარელი ხალხისა და მისი წინამძღოლების საარაკო სიბრძნისა და ძალისხმევით მოხერხდა აჭარის ავტონომიის სტატუსით შენარჩუნება.

- ბატონო როსტომ აჭარლებს არა მარტო რეგულარულ ოსმალურ არმიასთან გვიწევდა ბრძოლა, არამედ პროვოკატორები, ხოჯა-მოლები და „ჩათნიკები“ სოფელ-სოფელ დაძრწოდენ, ხალხს აშინებდნენ კომუნისტების „უღმერთოობით“, მუსლიმანური სარწმუნოების შევიწროებითა და აკრძალვით, მუსლიმანური ადათ-წესების, მათ შორის ქალებისთვის სარწმუნოების სიმბოლოს -„ჩადრის ახდით“, მედრსეებში და ჯამეებში არაბული ენისა და ყურანის სწავლების აკრძალვით, წითელი არმიის რიგებში ახალგაზრდობის სავალდებულო და საყოველთაო გაწვევით და სხვა ამაზრზენი მოწოდებებითა და პროპაგანდით... მაშინაც აჭარლებს გარე და შინაგან მტრებთან გვიწევდა ბრძოლა. ზოგადად, ფარული იდეოლოგიურ-რელიგიური შემოტევები უფრო საშიშია, ვიდრე აშკარა მტერთან - შეიარაღებულ ნაწილებთან და „ჩათნიკების“ შენაერთებთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მონაყოლმა არა მარტო ბატომი როსტომი, არამედ ყველა „პოლიტიკური“ პატიმარი დააინტერესა და ირგვლივ შემოკრიბა. აღმოჩნდა, რომ პოლიტიკური პატიმრების დიდი ნაწილი ბათუმში, მითუმეტეს აჭარის მთიან ნაწილში, ნამყოფი საერთოდ არ ყოფილა. „ცოცხალ“ აჭარელთან გაცნობა და გასაუბრება ყველამ ისურვა. პირველად ბატონმა როსტომმა მკითხა:

- ვამეხ, მე განათლებულ და გამოცდილ კაცად მომქონდა თავი, მაგრამ ზოგიერთი ფაქტით ნამდვილად დავინტერესდი:- პირველ რიგში ვერ გავიგე, რას ნიშნავს სიტყვა „ჩათნიკი“ და ვინ არიან ისინი?

- თუ მეხსიერება არ მღალატობს და თურქული ენის ცოტა რამ თუ გამეგება „ჩათნიკი“ თურქულად პარტიზანს უნდა ნიშნავდეს. საქმე იმაშია, რომ პირველი მსოფლიო ომის დაწყებისა და კავკასიის ფრონტზე რუსული საიმპერიო ჯარების წარმატებების კვალობაზე, ოსმალეთის მთავრობამ ციხეებიდან და სხვა სასჯელაღსრულების დაწესებულებებიდან ყველა სიკვდილმისჯილი და სამუდამო პატიმრობაში მყოფი პირი სასჯელის მოხდისგან გაათავისუფლა, პირობა დაუდო, რომ იმპერიის სასიკეთოდ იბრძოლებდნენ საერთო მტრების წინააღმდეგ. მათგან ჩამოაყალიბეს რაზმები, შეაიარაღეს, რუსული საიმპერიო ძალების მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე გადასხეს და პარტიზანულ ომში ჩააბეს რუსული რეგულარულური ჯარისა და ადგილობრივი ქართველი მოსახლეობის წინააღმდეგ. ისინი ჩვენი ჯარების მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე აწყობდნენ ტერორისტულ გამოხდომებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამხედრო და სამოქალაქო მაღალჩინოსანთა და წინამ-ძღოლთა მიმართ. ატარებდნენ დივერსიულ ქმედებებს სამხედრო თუ სამოქალაქო სამრეწველო ობიექტებზე, პორ-ტებში. თურქეთიდან მოვლენილ ან ადგილობრივ რეაქციუ-ლად განწყობილ ხოჯა-მოლებთან ერთად ატარებდნენ პრო-ოსმალურ და ისლამურ აგიტაცია-პროპაგანდას, აშინებდნენ ხალხს და მუსლიმანური აღმსარებლობის მოსახლეობას ოს-მალეთის იმპერიაში მასიური გადასახლებისაკენ მოუწოდებ-დნენ.

- ოჰო, აჭარაში უფრო რთულად ყოფილა საქმე, ვიდრე წარმომედგინა. მე როგორც სამხედრო პირი, მხოლოდ შეიარაღებული წინააღმდეგობის პერიპეტიებში ვერკვევოდი. მერე რა დაუპირისპირეთ აჭარლებმა?

- ჩვენ, აჭარის მოწინავე საზოგადოებას და საქართველოს ხელისუფლებას გვიწევდა ბრძოლები, როგორც ღია ისე ფა-რულ ფრონტებზე. მოხერხდა მრავალი ოსმალო პარტიზანის, დივერსანტისა და პროვოკატორის გამოვლენა-განეიტრალე-ბა. ბევრი რამ მოვახერხეთ და შევძელით. რაც მთავარია, თავიდან ავიცილეთ მოსახლეობის მასიური მიგრაცია, რელი-გიური და უკიდურესად სოციალური ფენის ნიადაგზე.

- გავიგეთ, რომ შინაურ თუ გარეშე მტერს მედგრად ედექით. ახალი, საბჭოთა ხელისუფლების მიერაც რიგი რეფორმებიც წარმატებულად განხორციელდა, მაშინ რა მოხდა 1929 წლის მიწურულს, რატომ აჯანყდა აჭარა?

- ბატონო როსტომ, აქ ბევრ გარემოებასთან და შიდა თუ გა-რე ფაქტორთან გვქონდა საქმე. ვითარებას ისევ ძაბავდა, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორც ზემოთ მოგახსენეთ, თურქეთიდან შემოგზავნილი პარ-ტიზანები, პროვოკატორები და რეაქციულად განწყობილი სა-სულიერო პირები, რომლებიც აშინებდნენ მოსახლეობას, ეწეოდნენ ანტიქართულ - ანტისახელმწიფოებრივ აგიტაცია-პროპაგანდას, პირდებოდნენ ერთმორწმუნეებს ოსმალეთში გადასახლებას, ერთი სიტყვით მუჰაჯირობაში წასვლისკენ მოუწოდებდნენ. სამწუხაროდ და საუბედუროდ ახალგაზრდა საბჭოთა ხელისუფლება დეფიციტს განიცდიდა გამოცდილი, მოაზროვნე და პატრიოტულად განწყობილი კადრებით. შედე-გად რიგ თანამდებობაზე, როგორც სრულიად საქართველოს, ასევე აჭარის რეგიონში საბჭოთა, ადმინისტრაციულ თუ სამეურნეო თანამდებობზე მოხვდნენ შემთხვევითი კადრები, რომელთა უნიათობის, გამოუცდელობის, გაუაზრებელი და ზედაპირული აზროვნებისა და საქმიანობის წყალობით მივიღეთ აჯანყება.

- ვამეხ, უკაცრავად თუ არ ვიქნები, საბჭოთა პროპაგანდის-ტული წყაროების მეშვეობიდ გაჩნდა და გავრცდელდა რიგი მოსაზრებები და ვარაუდები... ერთ-ერთი ვერსიით მუსლიმანი აჭარლები ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას, იყო მოსაზრებაც მოსახლეობის ანტიქართულ განწყობასთან დაკავშირებით... - ამ ბრალდებამ, კერძოდ აჭარლების ანტი-ქართულ განწყობაში დადანაშაულებამ უკიდურესად გამაბ-რაზა და აღმაშფოთა, გული გამიხლიჩა. ერთი პირობა ვი-ფიქრე დავუნგრევ თავ-ყბას, მეთქი, მაგრამ საღმა აზრმა და ჩეკისტურმა გამოცდილებამ მიხსნა - ემოციების მოთოკვა, გრძ-ნობების დაოკება, წყენის თუ გულგატეხილობის დაფარვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მორჯულება, საღი აზრი და ცივი გონება ყოველთვის მკარნახობდა რეალური გადაწყვეტილების მიღებასა და ხელსაყრელ ფონზე უდანაკარგოდ გასვლას. მეორეც, ციხის საკანში რა აზრი აქვს აღშფოთება-შეშფოთებას... თუ არგუმენტირებულად და ფაქტებით არ შეგიძლია არსებული მოსაზრების გადაფარვა-გაფანტვა და საპირისპიროში საზოგადოების, თუნდაც უმეცარი, უგუნური თუ გაუნათლებელი პატიმრებისა, პირის მოკეტვა და გაჩუმება მაინც უნდა შეძლო... მით უმეტეს ბატონი როსტომი ფრიად განათლებული და გამოცდილი კაცი იყო. წინმსწრებად გეტყვით, შემდეგ წლებშიც, ეს მოსაზრება შეფარვით და იუმორნარევად ბევრჯერ მსმენია, გულიც მტკენია, მაგრამ ჩემი მოსაზრება და არგუმენტები უშიშრად და მთელი სიმართლით მითქვამს. ახლაც ასე იყო:

- ბატონო როსტომ, მე თქვენდამი დიდი პატივითა და მოწიწებით განვიმსჭვალე, შეგიცან როგორც ჭკვიანი და განსწავლული კაცი. სიმართლე გითხრათ, გამიჭირდა თავის მოთოკვა, მაგრამ პატიება შევძელი და მოდი შევთანხმდეთ: ეს სულელური პროპაგანდისტულ-თავისმართლებლური ჭორი, რითაც მავანმა ხელისუფალმან თავიანთი უნიათობა, უმეცრება და უაზრო, დანაშაულებრივი შეცდომების გადაფარვა გადაწყვიტეს და ამ მიზნით ჩემი კუთხის ხალხზე ასეთი გაუგონარი, ამაზრზენი ცილისმწამებლური ბრალდებები გაავრცელეს, უნდა დაივიწყოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ვერ ვიმეგობრებთ...

- კაი შე კაცო, მხოლოდ გაგონილი გითხარი და არა დანახული...

ეროვნული ბიბლიოთეკა

- ჩვენი წინაპრების შეგონება არ უნდა დაგვავიწყდეს: „სჯობია ერთხელ დაინახო, ვიდრე ასჯერ მოისმინო“, იმ ბრძოლებში მეც ვღებულობდი მონაწილეობას, გენერალ აბაშიძის რაზმის უმეტესობა მთიელი მოხალისები ვიყავით, მერე რა, რომ ჩვენ მუსლიმანები ვართ, ვინმეზე ნაკლები პატრიოტიზმით, სიმამაცითა და გულადობით ვიბრძოდით თუ... ჩვენ მოხალისეები ვიყავით, მხოლოდ მოხალისეები... აჭარელი პატრიოტი თავკაცების მოწოდებაზე, ყოველგვარი გამოსარჩენის ან სარგებლის გარეშე, დღე-ღამე ღელე-ღრანტეებთ ფეხით ვიარეთ და თავგანწირვით ჩავებით ბრძოლაში, ზოგიერთი გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე... ამის გარდა სხვა რამ ნახე? არა! ბევრ რამეს გაიგონებს კაცი: ადამიანის შეურაცხმყოფელ და ცილისმწამებლურ ჭორს, წინასწარ გათვლილ და გამიზნულ პროპაგანდისტულ-ძირიგამომთხრელ სიცრუეს, მაგრამ ყველას კი არ იჯერებს ჭკვიანი კაცი. აღელვებულმა სულისმოსათქმელად გავჩუმდი, ბატონი როსტომიც უხერხულად გრძნობდა თავს. ეტყობა ნანობდა კიდეც, რომ ასეთი დაუფიქრებელი „იაღლიში“ მოუვიდა. დუმდა. მაშინ ახალგაზრდა პატიმარმა, იმან, პირველმა რომ თავაზიანად ლოგინი ჩამომართვა, მორიდებით მკითხა:

- ქართული შეგონება გვამცნობს: „კვამლი ცეცხლის გარეშე არ არსებობსო“, ვამეხ სინამდვილეში რა მოხდა, გვაინტერესებს ფრიად...

- კი ბატონო, მამაო ჩვენოსავით ვიცი. როგორც გითხარით მე თავიდანვე ამ მოვლენათა ეპიცენტრში ვიყავი და რაც ჩემი თვალით ვნახე და ჩემი ყურით გავიგონე იმას გეტყვით მხო-

ლოდ, მაგრამ ვშიშობ ბევრ დროს წაგართმევთ, - ვითავმდაბ-ლე ჩემდაუნებურად.

- ეეხ, ჩემო ვამეხ, შენ „ოცწლიანში“ მე კიდევ „ჩვიდმეტწ-ლიანში“ ვარ გარანტირებულად „გაჩხერილი“. ამ ბიჭებსაც რომ უყურებ, ათ წელზე ნაკლები არც ერთს არაა აქვს მისჯი-ლი, ასე რომ არ ინაღვლო, დროს წავართმევ ბიჭებსო. დრო თავზე საყრელად გვაქვს, ჭკვიან კაცებს კი ყოველთვის ვერ ნახავ, - თქვა და თვალით კრიმინალების მხარეს მიგვანიშნა.

- შევეცდები მოკლედ მოგიყვეთ, თუ სინამდვილეში რა მოხ-და აჭარაში 1929 წლის გაზაფხულზე. მაგრამ სანამ უშუალოდ აჭარის ტრაგიკული ისტორიის ამ პერიოდს შევეხებით, მოკლე ისტორიული წიაღსვლა უნდა გავაკეთოთ. მოგეხსენებათ აჭარა სამასი წელი ოსმალეთის ბატონობის ქვეშ იყო, ისე როგორც მთელი სამხრეთ - დასავლეთი საქართველო, ესე იგი ისტორიული მესხეთი. მიუხედავად ოსმალეთის იმპერიის მკაცრი, არაადამიანური დამპყრობლური და ასიმილაციური პოლიტიკისა, აჭარამ შეინარჩუნა ადგილობრივი თვითმმარ-თველობის ავტონომიურობა, მშობლიური ქართული ენა, ქართული კულტურა, წინაპართა ადათ-წესები და ტრადიციები. ქართული თვითმყოფადობა და მსოფლმხედველობითი პრინციპები.

სხვა გზა არ იყო, მძიმე საგადასახადო და სარწმუნოებრივი დისკრიმინაცია რომ არა, ქართველი კაცი ქრისტიანულ - მარ-თლმადიდებლურ რწმენასაც ბოლომდე შეინარჩუნებდა. ამ ერთმა ციდა აჭარლობამ რვაჯერ აუჯანყდა ოსმალეთის იმპე-რიას, რვაჯერ, მაგრამ მხსნელი და მხარდამჭერი არავინ აღ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოჩნდა. საქვეყნოდ ცნობილია, რომ ამ ძნელბედობის ჟამს სხვა ქართული პროვინციები ურთიერთქიშპითა და ტყვეთა გატაცება-გაყიდვით იყვნენ დაკავებულნი.

ბოლოს როგორც იქნა ნანატრი დროც დადგა. 1877-1878 წწ რუსეთ-ოსმალეთის ომის შედეგად, რუსეთის იმპერიამ შემოიმტკიცა ისტორიული ტაო-კლარჯეთი, კოლა-არტაანი, ერუშეთ-საპალაკაციო და აჭარა-ლაზეთის უდიდესი ნაწილი. აჭარლობა იმედით შეჰყურებდა დედასაქართველოსთან დაბრუნებას, მაგრამ რად გინდა - აქეთ თურქი ემისრებისა და ხოჯა-მოლების გამუდმებული ჩიჩინი, რომ რუსი ვერ აგიტანთ, მას არ სჭირდება მუსლიმანური აღმსარებლობის მოსახლეობა, იქნება შევიწროვება, დევნა, ღირსების შელახვა და ტრადიციული ოჯახის შერყვნა და ა.შ. იქით - რუსი ადგილობრივი თუ სამხარეო მოხელეების უგულო, რიგ შემთხვევაში, უსამართლო, აღვირახსნილი მოქმედება გულს უცრუებდა და საგონებელში აგდებდა მუსლიმან ქართველს. შედეგმაც არ დააყოვნა: რუსეთ-ოსმალეთის შეთანხმების შედეგად 1878-1882 წლების განმავლობაში მუსლიმ მოსახლეობას ნება ეძლეოდა თვითონ შეერჩია საცხოვრისი. შედეგად ასიათასზე მეტი მკვიდრი აჭარელი, აფხაზი და სამცხე-ჯავახეთის მუსლიმანი ქართელობა გაუყენეს მუაჯირობის მწარე და ეკლიან გზას. მეორე მზაკვრობაც ჩადეს შეთანხმებაში რუსმა ჩინოვნიკებმა - მუჰაჯირად წასულ მოსახლეობას ეკრძალებოდა მამა-პაპურ ადგილებზე რეპატრიაცია.

თურქებმა პირველი მსოფლიო ომის დაწყების წინ, 1914 წლის მიწურულს, ჯერ პარტიზანული რაზმები შემოუშვეს აჭა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაში, შემდეგ რეგურალური არმიის ნაწილები მოაყოლეს და დაიპყრეს ქვემო აჭარის დიდი ნაწილი.

მეფის მოხელეები და მათი შეიარაღებული დაცვა იძულებული გახდნენ აჭარის მთიანი რაიონები მიეტოვებინათ და გოდერძის უღელტეხილის გავლით მესხეთს შეაფარეს თავი.

1915 წლის დასაწყისში, თბილისიდან მოსულმა განმათავისუფლებელმა არმიამ აჭარიდან განდევნა თურქები, მაგრამ თურქებმა უკან დახევის დროს გადაწვეს სოფლები. „კახაბრიდან ქედამდე სოფლებში მამალიც აღარ ყივის, სოფლები გადამწვარია და გავერანებული, შენობები გადამწვარი“ - წერდა მაშინდელი პრესა.

რუსეთის მოხელეებმა, რომლებმაც აჭარის მოსახლეობის დროული გაფრთხილება თურქეთის მხრიდან მოსალოდნელი საშიშროების შესახებ ყურად არ იღეს, დროული დახმარება არ აღმოუჩინეს და აჭარა ოსმალო დამპყრობლებს მიუგდეს, თავის გამართლების მიზნით აჭარლებს სამშობლოს ღალატი დასწამეს, მოაწყვეს სახრჩობელები, მირეკეს მოსახლეობის ნაწილი და „თავკაცების“ სამაგალითო დასჯა გადაწყვიტეს. ორი მოთავის ჩამოხრჩობა მოასწრეს. ქართველი ინტელიგენციის დროული ჩარევის შედეგად სხვები ჩამოხრჩობას გადაურჩნენ. მართალია, აჭარლების ერთგულების და უსამართლოდ დასჯის შესახებ ბათუმის ოლქის გენერალ-გუბერნატორმა და კავკასიის მეფისნაცვალმა იმპერატორს მოახსენეს და ბრალდებები მოუხსნეს, მაგრამ ზოგიერთი ქართველთმოძულე მოხელის მხრიდან მაინც დიდხანს იგრძნობოდა აჭარლებისადმი უნდობლობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს და მათ შორის აჭარის გასაბჭოების პირველ წლებში გამოუცდელმა, რიგ შემთხვევაში გააზრებისა და ანალიზის უგულებელყოფის შედეგად მიღებულმა გადაწყვეტილებებმა, კერძოდ: მუსლიმანური აღმსარებლობისა და ადათ-წესების უპრეცედენტო დევნა, რომლის კულმინაციაც იყო ქალებისთვის მუსლიმანობის მთავარი ატრიბუტის - ჩადრის ახდის აქცია, მუსლიმანური სასწავლო დაწესებულების - მედრესეების დახურვა, ახალგაზრდების საყოველთაო სამხედრო სამსახურში გაწვევა. აქ უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება - სამასი წლის განმავლობაში ოსმალოსა და რუსეთის იმპერიას არ შემოუღია საყოველთაო გაწვევა, ეს ხდებოდა ნებაყოფილებით. ხალხმა ეს ვერ გაიგო, სწორი სააგიტაციო კამპანიაც არ იქნა გაწეული. მთის მოსახლეობა აჯანყდა - საბჭოთა რეჟიმს გამოუცხადა უნდობლობა და დაუმორჩილებლობა. აჭარა ისევ დადგა მუჰაჯირობის საშიშროების წინაშე. საბოლოო ჯამში მოხერხდა ხელისუფლებასა და ხალხს შორის შეთანხმება და აჯანყებულები მშვიდობიანად დაიშალნენ. აჯანყებას დიდი მსხვერპლი არ მოჰყოლია. მართალია, მაშინ არ დასაჯეს, მაგრამ რად გინდა - 1936-1938 წლებში ყველას გაუხსენეს, ნაწილი დახვრიტეს, ნაწილი დააპატიმრეს, დანარჩენები კი ოჯახებიანად შუა აზიის რესპუბლიკებში გადაასახლეს. ერთი რამ მაინც უნდა ვახსენთ კომუნისტების სასახელოდ - აჭარაში, როგორც რეგიონში, ყველაზე წარმატებულად და შედეგიანად გატარდა კოლექტივიზაციისა და ინდუსტრიალიზაციის პროცესი!.. აი ასე იყო, დაახლოებით ბატონებო! - წარმოვთქვი დასკვნითი სიტყვის დარად და გავყუჩდი. დამსწრე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზოგადოება დუმილითა და ნაღველით შეხვდა ჩემს ტირადას. თავჩაქინდრული და გარინდული თავთავიანთ მოგონებათა და გასაჭირის მორევში გადაშვებული იყვნენ... მხოლოდ რამდენიმე წუთის შემდეგ, სრული მხარდაჭერისა და თანაზიარობის ნიშნად, ბატონი როსტომი უხმოდ წამოდგა, მკლავები მომხვია და გაირინდა.

ერთიცაა, საკნის კრიმინალ ბინადართ ჩვენი საფიქრალ-საზრუნავისთვის არ ეცალათ - სასადილო მაგიდას გარშემომჯდარნი კარტს თამაშობდნენ და გააფთრებით, უწმაწური სიტყვების კორიანტელით, რაღაც თემაზე კამათობდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი XIII

ბატონი როსტომი იმდენად სერიოზული, დარბაისელი, განათლებული და ზნეამაღლებული პიროვნება იყო, რომ ერთი შეხედვით უბრალოსა და სხვებისაგან არაფრით განსხვავებული პატიმრის მიმართ პირველი გასაუბრებისთანავე მისდამი მოწიწებით, ერთობ რიდითა და ხათრით იმსჭვალებოდი, „თქვენობითა“ და „ბატონობით“ მიმართვა მოგინდებოდა. ეს მაშინ, როცა კომუნისტური იდეოლოგიის მესვეურები ყველაფერს აკეთებდნენ, იმისათვის, რომ „ბურჟუაზიულ-ფეოდალური გადმონაშთები“ ქართველი კაცის ლექსიკიდან და მეხსიერება-ცნობიერებიდან წაეშალათ, იმის მიუხედავად, როცა თვითონ კარგად უწყოდათ, რომ სიტყვა „ბატონი“ ქართველი კაცის ლექსიკაში გამოიყენებოდა განსაკუთრებული დაფასების, განათლების, მორალურ-ზნეობრივი აღმატებულობის აღსანიშნავად და არა მბრძანებლის ან პატრონის სინონიმით.

ბატონ როსტომს, როგორც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული გვარდიის ოფიცერს, განათლება საზღვარგარეთ ჰქონდა მიღებული. გარდა მშობლიური ენისა თავისუფლად ფლობდა რუსულ, გერმანულ და ფრანგულ ენებს. ის პოლიტიკურად აქტიური პიროვნება იყო.

როგორც ოფიცერი საქართველოს დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის თბილისის მისადგომებთან იბრძოდა 1921 წლის იანვარ-თებერვალში. 1924 წლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობილი ანტისაბჭოთა აჯანყების, ქაქუცა ჩოლოყაშვილსა და სხვა ცნობილ პატრიოტებთან ერთად, ერთ-ერთი მოთავე და იდეოლოგი იყო. კომუნისტებმა არ აპატიეს. მართალია, დახვრეტას გადაურჩა, მაგრამ პატიმრობას ვერ ასცდა. ეროვნული გვარდიის ოფიცერი რუსეთში, დასავლეთ ციმბირის ტაიგაში იხდიდა სასჯელს.

მიუხედავად ამისა, როგორც ერთ-ერთმა პატიმარმა თქვა, ლავრენტი ბერიაზე ცუდს ვერ ათქმევინებდი. ეს გარემოება მენიშნა. ერთ საღამოს დრო ვიხელთე ვკითხე კიდეც:

- ბატონო როსტომ, თქვენ როგორც პოლიტიკური პატიმარი, საბჭოთა კავშირის შინსახკომის კომისარს ლავრენტი ბერიას არ უნდა წყალობდეთ, თქვენ კი პოზიტიურად ხართ განწყობილი...

- ჩემო ვამეხ, მე 1924 წლის ანტისაბჭოთა აჯანყებაში მონაწილეობისა და თავკაცობის გამო ემიგრაციაში წავედი. უცხო ქვეყნებში ბინა ვერ დავიდე, ახლობლების მონატრებამ და სამშობლოს სიყვარულმა თავისი ქნა და 1930 წელს საქართველოში დავბრუნდი. მშობლიურ სოფელში მშვიდად და ჩემთვის ვცხოვრობდი, მაგრამ ვიღაცა არ მოასვენა ეშმაკმა და „მიდანოსა“. 1932 წლის გაზაფხულზე ამიყვანეს და ანტისაბჭოთა აჯანყებაში მონაწილეობის გამო დამაპატიმრეს. „ტროიკამ“ გადასახლება მომისაჯა. აღმოსავლეთ ციმბირში, ტაიგაში გამგზავნეს. სასჯელს შრომა - გასწორების სპეციალურ დასახლება-კოლონიაში ვიხდიდი. დისლოკაციის რაიონში მისვლისთანავე ბადრაგმა ტყეში დაგვტოვა, სამუშაო იარაღები დაგვიყარა და გვითხრა, სამ თვეში სოფელი უნდა ააშენოთო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საშინელი სიცივე და აუტანელი შიმშილი იყო. ლავრენტი ბერია საბჭოთა კავშირის შინაგან საქნეთა სახალხო კომისარი რომ გახდა, პატიმრებისათვის „პაიოკი“ (ულუფა) დააწესა და ჩვენც ამოვისუნთქეთ... ლ. ბერიას ბრძანებით ზონები რაზმებად დაყვეს, რაზმები კი ბრიგადებად. ზონასა და რაზმს შინსახკომის ჯარების ოფიცრები, იგივე ოპერმუშაკები ხელმძღვანელობდნენ, ხოლო ბრიგადებს კრიმინალური ავტორიტეტები - „ბუგორები“. თუმცა ზონაში მაინც „ბეზპრედელი“-განუკითხაობა იყო. თავიდანვე „ბუგორებს“ განსაკუთრებით ცუდი ურთიერთობა „პოლიტიკურებთან“ ჰქონდათ. ბოლოს, შევთანხმდით, რომ ერთმანეთის საქმეებში არ ჩავერეოდით...

- ბატონო როსტომ, თქვენ ეგზომ სწავლული კაცი ბრძანდებით, საინტერესოა „კანონიერი ქურდის“ ტიტული პირველად ვინ მიიღო?

- უცნობია, ის კი ცნობილია, რომ „კანონიერი ქურდები“ სწორედ „ბუგორების“ წრიდან გახდნენ. ადრე თითო ბანაკში 50-60 „ბუგორი“ იყო, თუმცა „კანონიერი ქურდი“ ყველაზე „უმწიკვლო მასტი“ ანუ ის გამხდარა, ვისაც არც პასპორტი ჰქონდა და არც ცოლი ჰყავდა... ერთი სიტყვით კომუნისტების ავანტიურამ გაამართლა - ქურდებმა ზონებში „პალაჟენიე“ დაამყარეს.

- კი მაგრამ ამდენ ზონასა თუ ბანაკში, მოკლე ხანში, შესაძლებელი იქნებოდა ამდენი „კანონიერი ქურდის“ „გამოზრდა“?

- რა თქმა უნდა არა, უფრო სწორედ ვერა. თავდაპირველად „კანონიერი ქურდი“ რამდენიმე „ლაგერს“ -

ბანაკს ეგრეთ წოდებული „მაყურებლის“ მეშვეობითა და დახმარებით აკონტროლებდა. მართალია, „მაყურებელს“ „ზონაზე“ გავლენა ჰქონდა, მაგრამ მას არ შეეძლო გადაწყვეტილება ქურდთან შეთანხმების გარეშე მიეღო...

- ასე ხელშესახებია, ქურდების წვლილი ზონებსა და ბანაკებში წესრიგის დასამყარებლად?

- ნამდვილად. „კანონიერმა ქურდებმა“ იმის გაკეთება შეძლეს, რასაც ე.წ „ატრიადის“- რაზმის ხელმძღვანელები ვერ აკეთებდნენ. არადა „ატრიადის“ ხელმძღვანელები და ციხე-ბანაკების ოპერატიული მუშაკები მაღალი რანგის ოპერმუშაკები იყვნენ და ისინი „მასტებს“ სიარულზე ცნობდნენ, მაგალითად, ვინ „ქათამი“ იყო და ვინ „მუჟიკი“...

- „პეტუხს“ ანუ „ქათამს“ ვის ეძახიან?

- ვინც ციხეში გააუპატიურეს, აგრეთვე ბუნებრივად ჰომოსექსუალები არიან.

- „ მუჟიკები“ ვინღა არიან?

- „მუჟიკები“ შავი სამყაროს წესებით ცხოვრობენ, მაგრამ ქურდებს მაინცდამაინც არ ემორჩილებიან, უფრო დამოუკიდებელ ცხოვრებას ეწევიან.

- გამოდის „პოლიტიკოსები“ ჩვენ ვართ, აი „ტრუდიაგები“ - მშრომელები ვინღა არიან?

- მართალია. „პოლიტიკოსი“ ზოგადად ყველა ისინია, ვინც სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით არიან. გასამართლებულნი და სასჯელმისჯილნი. „ტრუდიაგები“, ეს ჩვეულებრივ მშრომელი ხალხია, რომლებიც საამქროებში, სახელოსნოებში და ციხისა თუ ბანაკის ტერიტორიაზე არსებულ

ფაბრიკა-ქარხნებში თუ საბადოებზე მომუშავე პერსონალია. ისინი ციხე-ბანაკებში გამომუშავებული ფულით ოჯახებსაც კი ინახავდნენ...

- აუ, ეს რამდენი გაუგებარი და საინტერესო ტერმინებია! ეს ტერმინები სპეცსამსახურებმა მოიგონეს?

- არა. „კანონიერმა ქურდებმა“ თავიანთი ენა იმიტომ შექმნეს, რომ მათი ლაპარაკი ზედამხედველს ვერ გაეგო, თუმცა ახლა ყველაფერი გაშიფრულია... მოკლედ, „კანონიერმა ქურდებმა“ საბჭოთა სახელმწიფოს განმტკიცებაში ლომის წილი შეიტანეს. მათ ყველა ურჩი პატიმარი დაიმორჩილეს და მუშაობა დააწყებინეს.

- ბატონო როსტომ, ასეთი კასტის შესახებაც მსმენია - „სუკი“ ე.ი. „ბოზები“. ესენი ვინღა არიან?

- ქურდებში ხშირად ხდებოდა „გარჩევები“. ზოგს გადაცდომა მოსდიოდა ან წააგებდა და ვერ ჩააბარებდა „თავანს“ ე.ი. წაგებულ თანხას, ასეთებს ქურდები თავისი ოჯახიდან აგდებდნენ. ერთი სიტყვით „სუკი“ე.ი. „ბოზები“, ის ქურდები და კრიმინალური ავტორიტეტები არიან, რომლებიც ქურდული ოჯახიდან განდევნის შემდეგ ციხე-კოლონიების ადმინისტრაციასთან თანამშრომლობდნენ. ისინი იყვნენ ბრიგადირები, საწყობის, საკუჭნაოს, აბანოს გამგეები და სხვა. „კანონიერი ქურდები“ და „ბოზები“ ერთმანეთის დაუძინებელი მტრები იყვნენ.

- ბატონო როსტომ, ბოდიშს გიხდი, ვატყობ შეგაწუხე და დაგღალე ჩემი მიამიტი და გულუბრყვილო კითხვებით. ერთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კითხვაც და მეტს აღარ შეგაწუხებთ. მსმენია ტერმინი „წითელი ზონა“, ეს რაღაა?

- ჩემო ვამეხ, პირიქით, შენ წინდახედული და ცნობის-მოყვარე კაცი ყოფილხარ. თუ ქურდულ სამყაროსა და საერ-თოდ კრიმინალურ სამყაროს არ იცნობ, ვერ ერკვევი „ქურ-დულ კანონებსა“ თუ ციხე-ბანაკებსა თუ კოლონიებში გაბატო-ნებულ წესებსა თუ ქცევების ნორმებში, მაშინ სასჯელაღ-სრულების ვერც ერთ დაწესებულებაში თავს ვერ გაიტან. პირი-ქით, ნუ დამზოგავ, მკითხე რაც გენებოს. ჩემი რჩევისა და ზოგადად თანადგომის იმედი ყოველთვის გქონდეს. რაც შეეხება „წითელ ზონას“... ქურდული ოჯახიდან განდევნილი კრიმინალური ავტორიტეტები და ყოფილი „კანონიერი ქურდები“ ჯერ დაფანტულები იყვნენ სხვადასხვა ბანაკებსა და ზონებში. მაშინ ხშირი იყო ე.წ. „სუკების“ და მათი მხარდამ-ჭერების, დაპირისპირებულ, ტრადიციულ კრიმინალურ სამ-ყაროსთან კონფლიქტები, კრიმინალური გარჩევები, მასობ-რივი არეულობები და უაზრო ხოცვა-ჟლეტა. ამის გამო ყვე-ლაზე შეურიგებელი და დაუმორჩილებელი ე.წ. „სუკები“ ჩე-კისტებმა ერთად შეკრიბეს, ერთ ბანაკში. ზოგადად, სხვა პა-ტიმრებისგან გამოსარჩევად წითელ სამკლაურებს ატარებდ-ნენ. უმეტეს წილად, ციხე-ბანაკების ადმინისტრაციასთან აქ-ტიური და ნაყოფიერი თანამშრომლობის გამო, ისინი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდნენ. მათ აზრს ითვალის-წინებდნენ და ხშირად გადაწყვეტილებას იმის მიხედვით იღებ-დნენ. მაგალითად, „ბოზების“ დახასიათებით ხდებოდა ხალ-

ხის ზონებიდან გათავისუფლება და მათ შორის პირობით ვადამდე გათავისუფლებაც...

- დიდი მადლობა ბატონო როსტომ ნდობისა და გულის-ხმიერებისთვის. თქვენ სიკეთეს არასდროს დავივიწყებ.

- არაფრის, გენაცვალე. ახლა კი გვიანია, მოდი დავიძინოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი XIV

რამდენიმე დღის შემდეგ ციხის სამეურნეო ნაწილის უფროსმა დამიბარა. ჩემი პროფესიითა და შესაძლებლობით დაინტერესდა და სადურგლო საამქროს ხელმძღვანელობა შემომთავაზა. სიამოვნებით დავთანხმდი. ჯერ ერთი, რა გამაძლებინებდა ოცდაოთხი საათი საკანში უსაქმოდ და მეორეც, ჩვეულ საქმეს გულს გადავაყოლებდი. სამეურნეო ნაწილის უფროსის კეთილგანწყობამ გამაბედვინა და საამქროში როსტომ მგალობლიშვილის გადმოყვანა ვთხოვე. უფროსი მაშინვე დამთანხმდა: - კეთილი და პატიოსანი კაცია, ასაკიანი, მისთვის ეს სულზე მოსწრება იქნებაო.

საკანში დაბრუნებულმა ბატონი როსტომი ვიხმე და სასიამოვნო და სასიხარულო ამბავი ვახარე. ფრიად გაუხარდა. მომეფერა და ძმური თანადგომა აღმიქვა.

სადურგლო საამქრო ციხის მთავარი საცხოვრებელი კორპუსებიდან მოშორებით ეგრეთ წოდებული „ხოზდვორის“ – (სამეურნეო ეზოს) ტერიტორიაზე იყო განლაგებული. საშუალო ზომის ფიცრული აღჭურვილი იყო სხვადასხვა დანადგარმოწყობილობით. ჩემი და როსტომის გარდა საამქროში კიდევ სამი კაცი მუშაობდა. ორი ეროვნებით რუსი იყო, მესამე კი ქართველი კახეთიდან. მალევე შევეწყეთ. ისინიც პოლიტიკური პატიმრები აღმოჩნდნენ. ვმუშაობდით დინჯად. თავიდანვე დავუთქვი ბიჭებს - არავითარი საბოტაჟი ან მინდობილი საქმისადმი უგულო დამოკიდებულება. პატიმრის ისედაც დატანჯულ სვე-ბედს ზედმეტი პრობლემები ნაღდად არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვჭირდებოდა. მეორეცაა, ყველა პატიმარს პირადი ბარათი გვქონდა, რომელზეც ციხის ბუღალტერიის მიერ გვერიცხებოდა შრომადღეები, გარკვეული ფულადი თანხა გამომუშავების კვალობაზე, რითაც შეგვეძლო ეგრეთ წოდებულ „ლარიოკში“, გარკვეული სახის პროდუქტის, ტანსაცმლის თუ ჰიგიენური საშუალებების შეძენა. თუნდაც ამიტომ არ ღირდა საქმისადმი უგულო დამოკიდებულება. კრიმინალური სამყაროს წარმომადგენლები კი პირიქით, სულ წინააღმდეგობაში იყვნენ ციხის ადმინისტრაციასთან, სამუშაოს თავს არიდებდნენ, უხარისხო და წუნიან პროდუქციას უშვებდნენ, რის გამოც ხშირად კარცერისა თუ საჯარიმო საკნების ბინადარნი ხდებოდნენ. წინმსწრებად გეტყვით, „გუბერნსკიზე“ სამი წლის პატიმრობის დროს ერთხელაც არ დავუსჯივარ ადმინისტრაციას, კარცერსა თუ საჯარიმო საკანში მოხვედრაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო. მე დიადი მიზანი მამოძრავებდა - ოცი წელი უნდა გავძლო, ფიზიკურად და მორალურად ჯანსაღი უნდა დავუბრუნდე ოჯახსა და მშობლიურ მხარეს!.. მხოლოდ ერთხელ შეექმნა საფრთხე მონოტონურ, ციხის ერთფეროვან ცხოვრებას...

მე და როსტომი (შემდეგში ასე მოვიხსენიებ, რადგანაც როსტომმა კატეგორიულად მომთხოვა „ბატონობით“ აღარ მიმემართა, ორივე პატიმრები ვართო. მეც ნელ-ნელა შევეჩვიე), ერთხელ გვიან ღამით დავბრუნდით. ერთ-ერთი ციხის მაღალჩინოსანის დაკვეთით წიგნების კარადას ვაკეთებდით და არ გვინდოდა გაწბილება. დაკვეთა დროულად შევასრულეთ.

ღამის სამი საათი იქნებოდა, რომ კრიმინალების მეორე ნახევარში ჩოჩქოლი ატყდა, რაც არაადამიანურ კივილსა და უწმაწური სიტყვების კორიანტელში გადაიზარდა. ყველანი წამოვცვივდით. შუქი ავანთეთ. საზარელი სურათი გადაიშალა. „პარაშასთან“ ერთი, საკნის კარებთან კი ორი პატიმარი სისხლის გუბეში ცურავდნენ. მამასახლისი მაგიდაზე ავარდა. ყველას სიმშვიდისკენ მოუწოდა, წინააღმდეგობის შემთხვევაში ყელებს დაგღადრავთო. პირველადი სამედიცინო დახმარება უშედეგო გამოდგა. სამივეს მიებარებინა ეშმაკისთვის მათი ცოდვილი, უხეირო სული.

გრიშამ პატიმრები დააშოშმინა და გადაწყვიტა სანამ დაცვას იხმობდა, მანამდე გაერკვია თუ რა მოხდა. „პოლიტიკოსები“ კრიმინალების საქმეში ახლაც არ ჩავრეულვართ. ნარებზე შორიახლოს ჩამოვჯექით და კრიმინალურ გამოძიებას - „რაზბორკა-გაიასნებას“ მივაყურადეთ. სამივე გარდაცვლილი კრიმინალი ქურდული სამყაროს წარმომადგენლები იყვნენ, ეგრეთ წოდებული „ბლატნოები“. ერთი ქართველი - მეტსახელად „მიშა კუტაისსკი“, მეორე საქართველოში დაბადებული და გაზრდილი რუსი „საშკა სუხუმსკი“ და ახალციხელი სომეხი „სურენ სხვილისსკი“... სამივე რეციდივისტი, არაერთხელ მჯდარა ციხე-კოლონიებში. აქ, როგორც მშობლიურ სახლში, ისე გრძნობდნენ თავს. საზოგადოებრივ-სასარგებლო საქმეს თავს არიდებდნენ, „ბეზდელნიკობდნენ“, ჩაის ნაყენით - „ჩიფირით“ იჭერდნენ „კაიფს“, მთელი დღეები სხვადასხვა აზარტულ თამაშებით, განსაკუთრებით კი კარტის თამაშით „კლავდნენ“ დროს. ეს ერთი შეხედვით „ კლავდნენ დროს“,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თორემ „ინტერესის“- მატერიალური სარგებლის გარეშე არც კამათელს გააგორებდნენ და არც ბანქოს ერთ ქაღალდსაც არ ჩამოვიდოდნენ. აბა „ხავკა“ - საკვები და თავისუფლების ადგილებიდან „გრევი“ ან „კაბანჩიკი“ - სურსათ-სანოვაგე და სპირტიანი სასმელები, საიდან უნდა მოხვედრილიყო საკანში.

თურმე „სურენ სხვილისსკიმ“ თავის დროზე, ასე ხუთი წლის წინ „საშკა სუხუმსკი“ ბანქოში წაგებული „თავანის“ არ-ჩაბარების გამო „პეროზე - (დანის წვერზე) დააყენა“, თუ დანიშნულ დროზე წაგებულ თანხას არ ჩააბარებდა, ის მას გააუპატიურებდა და „დააჩმორებდა“ ან მოკლავდა... ამ საქმეს დიდი რეზონანსი და გარჩევები მოჰყოლია. სლავური წარმოშობის ავტორიტეტები „საშკა სუხუმსკის“ თავდებში დაუდგნენ და წაგებული თანხის დროზე შეგროვება თავის თავ-ზე აიღეს. მეორე მხარეს სომხური წარმოშობის ავტორიტეტები იდგნენ, რომლებიც მტკიცედ და კატეგორიულად მოი-თხოვდნენ „ წმინდა წესი“ ესე იგი, „თავანის“ - წაგებული თანხის, ჩაბარება უნდა აღსრულდესო. პრაგმატული მოსაზ-რების გამო, იმ დროს ხსენებულ ციხეში თავმოყრილმა ქარ-თულმა კრიმინალურმა დაჯგუფებამ ნეიტრალური - ოქროს შუალედის პოზიცია დაიკავა. თანხა იმდენად დიდი იყო, რომ სლავური წარმოშობის კრიმინალურმა დაჯგუფებამ ვერ შეაგ-როვა, სომხური კრიმინალური დაჯგუფება კი რაიმე დათმობაზე წასვლას არ აპირებდა. ამასობაში რუსეთის შრო-მა-გასწორების ერთ-ერთი კოლონიიდან ორთაჭალის „გუბერ-ნსკი“ ციხეში გადმოუყვანიათ კრიმინალური ავტორიტეტი და საქვეყნოდ ცნობილი რეციდივისტი „მიშა კუტაისსკი“. თურმე ის

„საშკა სუხუმსკის“ ძველი მეგობარი - „კორიში“ ყოფილა. ციხის მოსალოდნელი სისხლიანი, კაცთამკვლელი „რაზბორკების“ შესახებ მისთვის მაშინვე გამხდარა ცნობილი. „მიშა კუტაისსკი“ გამოექომაგა „საშკა სუხუმსკის“, არ დაუშვებდა მეგობრისა და ძველი „სარატნიკის“- თანამოაზრის შესაძლო „ჩაშვება“ - ჩაძირვას ან უარესი, ქურდული პატივის აყრას, გაუპატურებასა და „გაქათმებას“. ამიტომ ქართველი თანამოაზრე კრიმინალების თანადგომითა და დახმარებით მოახერხა თავანის შეგროვება, სომხური კლანისთვის ჩაბარება და მეგობრის გამოხსნა. მართალია, ასეთი რამ კრიმინალურ სამყაროში მოსული თემაა, წმინდათაწმინდა პრინციპი „მოსასვლელი უნდა მოვიდეს, ჩასაბარებელი - ჩაბარდეს“. „თავანის“ ჩაბარების შემდეგ ინციდენტი ამოწურულად ითვლება და კლანებს თუ ცალკეულ კრიმინალურ ავტორიტეტებს შორის გადამტერების ან შურისძიების საბაბიც ქარწყლდება.

მართალია, ხუთი წლის წინანდელი ინციდენტი წარსულს ჩაბარდა და მხარეებმა კვლავინდებურად და შეხმატკბილებულად გააგრძელეს თანაცხოვრება, მაგრამ პიროვნულ დონეზე ორივე კრიმინალს - „მიშა კუტაისსკის“ და „საშკა სუხუმსკის“ გველის ნაკმენივით დაამახსოვრდათ „სურენ სხვილისსკის“ მაშინდელი შეუპოვრობა და დაუნდობლობა.

კრიმინალები აგერ ერთი წელია ერთ საკანში ზიან და „ბლატნოობენ“. კარტის თამაში ხომ მოსულა. „მიშა კუტაისსკიმ“ და „საშკა სუხუმსკიმ“ გადაწყვიტეს „სურენ სხვილისსკისთვის“ სამაგიეროს გადახდა. მთელი წლის განმავლობაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიზნობრივად, შეთანხმებულად ეთამაშებოდნენ სურენას, სანამ არ წააგებინეს სოლიდური თანხა. თანხა იმდენად დიდი იყო, რომ ჩაბარება ნაკლებად მოსალოდნელი იყო. „სურენ სხვილისსკი“ ციხის პირობებში რა მოგახსენოთ და თავისუფლებაზე მყოფიც კი ვერ შეაგროვებდა წაგებულ თანხას.

ერთი სიტყვით, სამჯერ დაუთქვეს „თავანის“ ჩაბარების ვადა და „სურენ სხვილისსკიმ“ სამივეჯერ ვერ ჩააბარა. მაშინ „საშკა სუხუმსკიმ“ ის „პეროზე“ დააყენა. ვადა გავიდა, მაგრამ „სურენ სხვილისსკი“, „თავანის“ ჩაბარებას არ ჩქარობდა. გაფრთხილებისას ორივე კრიმინალი მასხრად აიგდო და მათი ნათესავებიც აუგად, შეურაცმყოფელი, უწმაწური სიტყვებით შეამკო. ეს უკვე ბოლო წვეთი იყო. ავტორიტეტიანმა კრიმინალ-რეციდივისტებმა გადაწყვიტეს დამნაშავის უხმოდ, ზედმეტი გარჩევებისა და აყალ-მაყალის გარეშე ლიკვიდაცია. ბოლო სამი დღე-ღამე მშვიდად და წესიერად იქცეოდნენ, რომ დანარჩენების ყურადღება მოედუნებინათ. მეოთხე ღამეს, როცა ყველამ დაიძინა, „მიშა კუტაისსკიმ“ და „საშკა სუხუმსკიმ“ მძინარე „სურენ სხვილისსკი“ გაკოჭეს, პირში ჩვარი ჩატენეს, „პარაშასთან“ გადაათრიეს, ჯერ სასტიკად სცემეს, შემდეგ კი ორივემ გაუკუღმართებული, სადისტური წესით გააუპატიურეს. მომაკვდავი იქვე დააგდეს, ჟინმოკლულები „შკონკაზე“ არხეინად მიესვენნენ და საღათას ძილით დაიძინეს.

მოფხიზლდა სურენა, რომელმაც ბოლომდე გაითავისა მისი შერცხვენა და სამუდამო გათახსირება. იმდენი ეწვალა, რომ თოკები შეიხსნა, იატაკის ღრიჭოდან გამოიღო ადრე საგან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გებოდ გადამალული ბებუთი, ჯერ მძინარე მიშას გამოჭრა ყელი, შემდეგ საშას, ბოლოს კი თვითონ გამოიჭრა ყელი... აღ-მოჩნდა, ყოველივე ამას ერთი „ქათამი“ ხედავდა, მაგრამ რას მიეხმარებოდა ან რას მოიმოქმედებდა, ეს ხომ მისი შურის-ძიებაც იყო, კრიმინალების მხრიდან მისდამი ეგზომ დამცირე-ბის, გათახსირებისა და მუდმივი შეურაცყოფა-აბუჩად აგდების საფასური... მან კიდევ ერთხელ ხელები მიიტყაპუნა უკანალზე და „მშობლიურ გარემოს“ – „პარაშას“ დაუბრუნდა.

გრიშა მამასახლისმა გამოძიება ჩატარებულად ჩათვალა და კარებზე ბრახუნით იხმო ზედამხედველები და მომხდარის შესახებ მოკლედ მოახსენა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი XV

აუტანელ შრომასა და ციხის ერთთვეროვანი ცხოვრების პირობებში სამი წელი უცებ გავიდა!..

1948 წლის მარტის მიწურულს ციხის ადმინისტრაციამ ყველა პოლიტიკური პატიმარი სამწყობრო მოედანზე მოგვაწყო და გამოგვიცხადა: საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობის დადგენილებით პატიმრები, გასამართლებულნი სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით, მიჩნეულნი არიან განსაკუთრებით საშიშ სახელმწიფო დამნაშავეებად. მათთვის იქმნება განსაკუთრებული დანიშნულების შრომა-გასწორების ბანაკები. პირველი ასეთი ბანაკი საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს 1948 წლის 28 თებერვლის ბრძანებით უკვე შექმნილია. ტერიტორიულად განსაკუთრებული დანიშნულების შრომა-გასწორების ბანაკი პირობითი სახელდებით „მინერალნი - მინერალური“ უკვე შექმნილია რუსეთში, კომის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კოჟვინის რაიონის დაბა ინტაში. ეტაპირებულთა სია ამოიკითხეს და სამეურნეო განყოფილებას გასცეს განკარგულება პატიმართა მომზადების თაობაზე. ეტაპირებისთვის მზადყოფნის ბოლო ვადად 12 აპრილი დაინიშნა. ჩემი საკნიდან იმ ავადსახსენებელ სიაში მე და როსტომ მგალობიშვილი მოვხდით. მაშ ასე, შეთითხნილი ბრალდება და პოლიტიკური პატიმრის სტატუსი არ მეყო, ახლა განსაკუთრებით საშიშ სახელმწიფო დამნაშავედაც მცნეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიის ამოკითხვის შემდეგ სხვა პატიმრები დაშალეს, დაა-ბრუნეს თავთავიანთ საკნებში. ორთაჭალის ციხიდან ხსენებულ სიაში სულ 17 პატიმარი მოვხდით. ერთმანეთს ვერ ვცნობდით, რადგან სხვადასხვა საკნებში ვიყავით განთავსებულნი, გადაკეტილი სართულებითა და სარდაფებით. სამუშაოზეც კი ბრიგადებად და ჯგუფებად გადავყავდით.

ადმინისტრაციული განყოფილების თანამშრომელი მაშინვე ეტაპირების მომზადებისთვის თადარიგს შეუდგა. ჯერ ბუღალ-ტერიაში გადაგვიყვანა. ბარათებზე რიცხული თანხები დაგვიჯამეს, გასაქვითი გაქვითეს. ნაწილი ხელზე მოგვცეს. დანარჩენი კი ოჯახებზე გადასაგზავნად გადადეს.

ცხადია, საშიში დამნაშავეების სტატუსის მინიჭების შემდეგ, თავიანთ საკნებში აღარ დაგვაბრუნებდნენ. ასეც მოხდა. თი-თოელი პატიმარი საგანგებო კონტროლის ქვეშ, წყვილი ბადრაგის მეშვეობით ძველ საკნებში გადაგვიყვანეს. ბარგი-ბარხანის შეგროვება და საკუჭნაოდან პირადი ნივთების გამო-ტანა გვიბრძანეს და ეტაპირებისებისთვის განკუთვნილ საკანში გაგვგზავნეს, რომელიც მეორე კორპუსის ნახევრად სარდაფის ტიპის კუთხურ ბარაკს წარმოადგენდა.

საღამომდე ეტაპირების საკანში მოწყობა-განთავსებით დავკავდით. ვახშამიც ცალკე მივირთვით. ერთი სიტყვით, სიკვ-დილმისჯილი განწირულებივით სხვა პატიმრებისაგან სრულ იზოლაციაში მოგვაქციეს. აღარც სამუშაოზე გავუყვანივართ. იმ დღესვე ჩვენს სამუშაო ადგილებზე სხვა პატიმრები გაამწესეს.

ჩვიდმეტივე ქართული წარმოშობისანი აღმოვჩნდით. თით-ქმის მთელ საქართველოს წარმოვადგენდით. აჭარიდან მარ-

ტო მე გახლდით. განწირულები ძუნწსიტყვაობდნენ. ყველას საკუთარი სადარდებელი და საფიქრალი გვქონდა.

ერთი კი ვიგუმანეთ და შვებით ამოვისუნთქეთ. განსაკუთრებული დანიშნულების შრომა-გასწორების ბანაკი „ინტლაგი“ - გინდა „მინერალნი“ შეიქმნა სპეციალურად სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით სასჯელმისჯილთათვის, ესე იგი იქ მხოლოდ პოლიტიკური პატიმრები ვიქნებით განთავსებულნი და ერთჯერ და სამუდამოდ მოვისვენებთ სხვადასხვა ჯურის, კასტისა თუ მასტის კრიმინალებისა თუ „ბეზპრედელებისაგან“. პოლიტიკურებს კი ერთმანეთთან არც არაფერი გვაქვს გასაყოფი და სადავო... ჩვენი მძიმე უღელიც გვყოფნის. პირიქით, ერთმანეთის ატანა-გატანას და თანადგომას, ხელის შეშველებას მივეჩვიეთ. მაშ ასე, შეუცნობადისა და შორეულის განცდით გათანგულები ველოდით ეტაპირებას.

როგორც იქნა დადგა 12 აპრილი. შებინდებისას ორი საბადრაგოდ გადაკეთებულ-აღჭურვილი „სტუდაბეკერი“ მოადგა მეორე კორპუსის ფლიგელს. უხმაუროდ და ზედმეტი ემოციების გარეშე, ბედსდამორჩილებულნი, ერთრიგად, ძუნძულით მოვკალათით გისოსებიან ძარებზე. ისევ ნავთლუღის სადგური... სათადარიგო ლიანდაგზე „ჩვენი“ საბადრაგო ვაგონი გველოდა. იქაც მთელი სიმკაცრის დაცვით, სათითაოდ, ერთმწკრივად წაგვაბუნძულეს საეტაპო ვაგონში. ტუსაღთა დიდ მანძილზე გადაზიდვისთვის განკუთვნილი მატარებლის ვაგონი გვერდებზე რკინის ფირფიტებით გამაგრებული და რკინის ცხაურ-გისოსებიანი ორი გვერდითი პატარა სარკმელით ნახევრადჩაბნელებულ სარდაფს ემსგავსებოდა. ვაგო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნის ერთ ბოლოში განთავსებული იყო ნახევრად ღია საპირფა-რეშო, წესისამებრ ჩაჟანგებული პირსაბანითა და ონკანით. ვა-გონის მეორე ბოლოს განთავსებული იყო ბადრაგისთვის გან-კუთვნილი ცხაურკარებიანი სათავსი პატარა მაგიდითა და ორი საწოლით. პატიმართა სათავსო, თითქმის მთელი ვაგონი, მთელ პერიმეტრზე ჩამორიგებული, ორიარუსიანი რკინის საწოლებით - „შკონკებით“ იყო წარმოდგენილი. ვაგონის შუაში მიდუღებული რკინის მასიური მაგიდა ორივე მხარეს ჩარიგებული ძელსკამები. ეტყობა სადილის მისართმევად... ვაგონში შესასვლელი კარი მოწყობილი იყო ერთ-ერთი გვერდული კედლის შუაში, რომელიც გარედან მიჩოჩებით იხურებოდა და ღვედებით იკეტებოდა მასიურ ბოქლომზევე. ვაგონი ოფლისა და პარაშისაგან აშმორებული, გულისამ-რევად ხრჩოლავდა. ტუსაღთა შორს მანძილზე გადასაყვანად აღჭურვილ ვაგონებს „ტეპლუშკებს“ - „დათბუნებულ“ ვაგონსაც უწოდებდნენ. ეს იმიტომ, რომ ერთ-ერთ კედელთან მოწყობილი იყო რკინის ჩაჟანგული ქვანახშირის ღუმელი. სითბოსა და ცეცხლის ერთადერთი წყარო. გვსმენოდა, რომ ქალაქი ინტა რუსეთის ევროპული ნაწილის თითქმის უკიდუ-რეს ჩრდილოეთში მდებარეობდა, პოლარეთის მიმდებარედ, სადაც დღე-ღამის მცნებაც კი თავისებურია... პოლარულური ღამეების გამოძახილით. ამიტომაც პირველ რიგში ღუმელის გამართულობა და ქვანახშირის მარაგი შევამოწმეთ.

ღამის სამი საათი იქნებოდა, ეშელონი დაიძრა. ვტოვებდით დედაქალაქს, ვტოვებდით დედასამშობლოს სრულ გაურკვევ-ლობასა და კვლავ ხილვის მიზერული პერსპექტივით... საბად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაგო ეშელონს თითქმის არ აჩერებდნენ. მხოლოდ სამტრედიის საკვანძო და გუდაუთის დისატანციაზე ცოტა შეგვაყოვნეს შემადგენლობათა რიგიანობის რეგულირების მიზნით... დღის 11 საათი იქნებოდა, რომ ჩვენმა ეშელონმა „ფსოუს“ ხიდზე - საქართველო-რუსეთის საზღვარზე უკანასკნელად შეჰკივლა, რითაც თითქოს გვამცნობდა, დაემშვიდობეთ მშობლიურ საქართველოს, ვინ მკვდარი და ვინ ცოცხალიო. გულდამძიმებულნი, გულამომჯდარნი, ცრემლმორეულნი, დარდითა და ვარამით დამძიმებულნი მივვკროდით გისოს-ცხაურიან სარკმელებს და ვცდილობდით მეტი დაგვენახა მშობლიური, რათა მტკიცედ ჩაგვებეჭდა მეხსიერებაში მარად სანატრელი და მარადმოსაგონარი ღვთაებრივი ქართული გარემო. ფილტვების დახეთქამდე ვისრუტავდით მშობლიურ სურნელს, აუჩქარებლად და შეხსენების გარეშე შეთანხმებულივით მორჩილად ვუთმობდით ერთმანეთს ეგზომ ჯადოსნურს, მომაჯადოებელ სარკმელებთან ადგილებს.

ქალაქ როსტოვამდე ვაგონში ხალვათად ვიყავით, მხოლოდ 17 ქართველი. ვაგონი კი უფრო მეტ პატიმარზე იყო გათვლილი. სარწმუნო იყო, რომ ადრე თუ გვიან სხვა პატიმრებს შემოგვიმატებდნენ. საბადრაგო ეშელონი როსტოვში რამდენიმე საათით გაჩერდა. აქვე მოხდა ვაგონების შევსებაც. ჩვენს ვაგონში ოცდაათამდე პატიმარი „შემოგვისახლეს“. კონტინგენტი ფრიად ჭრელი იყო. კრიმინალები და ქურდული სამყაროს წარმომადგენლები ჭარბობდნენ. ამას შეუიარაღებელი თვალითა და გონების განსაკუთრებული დაძაბვის გარეშეც გაარკვევდით - კრიმინალური სვირინგებით დამშვე-

ნებულნი და ქურდული ჟარგონით უხვად გაჯერებული „ბაასი“ უტყუარად მიანშნებდა.

ეშელონში, რომელიც ძირითადად პოლიტიკური პატიმრებით იყო დაკომპლექტებული და კონკრეტული დანიშნულების ადგილზე მიდიოდა, კრიმინალებით აღრევა ცოტა არ იყოს გვეჩოთირა, გაგვაკვირვა ფრიად. მართალია, ჩვენ არავინ არაფერს გვეკითხებდა, მაგრამ მაინც... ბევრი ვიმსჯელე და ერთი აღმოჩენა ამეკვიატა: ეგებ ჩვენი კიდევ ერთხელ დაშინება ან ეგზეკუცია განიზრახეს ამ ქვეყნისანმა, რათა ცხოვრება ახალ პირობებში „თაფლად“ არ გვეჩვენოს...

კრასნოდარის მხარის სარკინიგზო სადგურ „კავკაზსკაიაში“ კრასნოდარისა და სტავროპოლის მხარეებსა და ჩრდილოკავკასიურ რესპუბლიკებში განლაგებული სასჯელაღსრულების დაწესებულებებიდან შეგროვილი პოლიტპატიმრებით სავსე რამდენიმე სპეცვაგონი ჩვენს ეშელონს ჩაუბეს. იმ ვაგონებში პატიმართა სიჭარბის გამო, რამდენიმე პოლიტიკური პატიმარი ჩვენც შემოგვისახლეს.

ჩვენი „ტეპლუშკა“ - გინდა „ჩათბუნებული ვაგონი“ მთლიანად გადაიჭედა. მართალია, ქართველებს ვერ გაგვიბედეს ჩაჩოჩება-შევიწროება, მაგრამ ახალშემოსახლებულები აირივნენ, ზოგმა თავისუფალი „შკონკა“ გაითავისა, ზოგი კი პირდაპირ იატაკზე, კედლების გასწვრივ მოეწყო. ამჯერად გაგვიმართლა, „საქათმე“ არ მოუწყიათ. ბადრაგისთვის განკუთვნილი სათავსოც კი გამოათავისუფლეს, სადაც „პახანი“ რამდენიმე ავტორიტეტთან ერთად განთავსდა. ბადრაგი ტამბურებში დააყენეს. კრიმინალები განცალკევებით მოეწყვნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც მოგახსენეთ, ვაგონი პირთამდე გადაიჭედა. აქ უკვე ყველა ჯურის, მასტის თუ კასტის პატიმარს იხილავდით. კრიმინალები თავის ჩვეულ საქმიანობას როგორ მოიშლიდნენ: ქვანახშირის ღუმელი აანთეს, „ ჩიფვირი“ მოადუღეს. მასიურ მაგიდას მიუჯდნენ და ბანქოს თამაშს შეუდგნენ. ჯერ უწყინარი ფორმით, „ინტერესის“ გარეშე თამაშობდნენ, შემდეგ კი ფსონებისა და კონების ჩამოდება დაიწყეს. აზარტში შესული თამაში თანდათან სახიფათო ხასიათს იღებდა. კონში ყველაფერი მოდიოდა. ლამის ერთმანეთი გააშიშვლეს. ერთ-ერთმა მოთამაშემ, უსიამო გარეგნობის ახმახმა, აზიური გარეგნობის, ფართეყვრიმალიანმა, ჭრუტათვალებიანმა ნახიშტარნაჩათლახარმა, სახენაჭრილობევმა ტუსაღმა, რომელიც, მისი აგრესიული, გამომწვევი ქცევებით თუ ვიმსჯელებთ, თავზეხელაღებული დებოშირი და ჩხუბისთავი უნდა ყოფილიყო, უახლოეს „შკონკაზე“ წამოწოლილ პატიმარს უჩვეულოდ მიაჩერდა, მას პირში ოქროს კბილი აღმოუჩინა და აი საოცრება, უცნობი კაცის ოქროს კბილი კონში ჩამოვიდა. თანამეინახეები ფრიად შეცბუნებულები და აღშფოთებულები, უარზე დადგნენ მიეღოთ უცნაური ფსონი, მაგრამ ახმახმა გულზე მჯიღი იკრა და საზარლად დაიღრიალა, - ვერ გავიგე „მონღოლ პეტკას“ არ ენდობით თუ რა გეტაკათო.

ოქროსკბილიანი პატიმარი მართლაც უცნაური ვინმე იყო. საშუალოზე მაღალი, ბრგე, მხარბეჭიანი, შავი წვერ-ულვაშითა და არისტოკრატიული თლილი სახე-იერით რამდენადაც შთამბეჭდავად გამოიყურებოდა, იმდენად დაჩაგრულ-დაოსებულად-გაუბედურებულად იქცეოდა. თავისთვის იყო, „შკონ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაზე“ მისავათებული, მატერიის ზურჩანთას თავქვე იდებდა, ბღუჯავდა. არც ჩიფირი მოუთხოვია, არც ბანქოს თამაშში ერეოდა, იწვა თავისთვის და მალიმალ თუთუნის წეკოს აბოლებდა. მასაც ეხამუშა და ეჩოთირა მისი კბილის ფსონად ჩამოსვლა, მაგრამ ზედმეტი ემოციების გარეშე, წეკო გაზეთის ნაგლეჯში გაახვია, გააბოლა, რამდენიმე ღრმა ნაფაზი დაარტყა და ისევ თავის საზრუნავ-სადარდებელსა და ფიქრს მიჰყვა. თუ ყურადღებით დავაკვირდებოდით, ადვილად ვიგუმანებდით, რომ მისი ქცევის მანერა და სიდარბაისლე მისი წარმომავლობისა და სოციალური მდგომარეობის განსაკუთრებულობაზე მიანიშნებდა. რატომღაც „ჩემს“ პატიმრად მოვინიშნე.

ბანქოს თამაში კი ამასობაში უფრო და უფრო აზარტულ და დრამატულ ხასიათს იღებდა. საბოლო ჯამში ახმახმა „ჩემი“ პატიმრის ოქროს კბილი პირწმინდად წააგო.

რატომღაც ყველას ეგონა, რომ კბილის კონში ჩასვლა რაღაც ტუნგუცური ღადავი იყო. წაგების შემთხვევაში კი ამგვარი „თავანის“ ჩაბარება მხოლოდ „მონღოლ პეტკას“ ხუმრობა ან ახირება ეგონათ, მეტი არაფერი. მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა.

წაგებული „მონღოლ პეტკას“ მეტოქე, ესე იგი „თავანის“ მიმღები, ცნობილი კრიმინალური ავტორიტეტი და „პახანის“ მარჯვენა ხელი იყო. ეს გარემოება კი თავისთავად გამორიცხავდა რაიმე სახის დათმობას, კომპრომისსა თუ პატიებას. თანაც ეტაპის დანიშნულების ადგილამდე ჯერ კიდევ საკმაო მანძილი იყო. თაზეხელაღებულ რეციდივისტებსა და ცხოვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებაზე ხელჩაქნეულ, მომავალზე იმედგაცრუებულ, დღე-ვანდელი დღით მცხოვრებ პატიმრებს სახალისოდ და საღა-დაოდაც ექნებოდათ ეს ინციდენტი. მან კატეგორიულად და უპირობოდ მოითხოვა „თავანის“ ჩაბარება, მოკვლითაც დაე-მუქრა.

თავის მხვრივ, არც მონგოლოიდური რასის ინდივიდი ხუმ-რობდა. ის ნამდვილად მონგოლოიდური რასისა აღმოჩნდა - ეროვნებით ბურიატი. უკან დახევას არც ის აპირებდა. ბევრი არც უფიქრია, ამპარტავნულად, იქედნურად თავი გადააქნია, გაბერილ-გადაპენტილი სქელი ტუჩები უჩვეულოდ, ამაზრზენად დაგრიხა, ზიზღითა და სარკაზმით კარისკენ გაა-ფურთხა, მის ორ ამფსონ-თანამზრახველს თვალით ანიშნა, თავდაჯერებულად, ამპარტავნული ჩორთით ნარზე მიწო-ლილ „მსხვერპლთან“ ჯიქურ მიიჭრა. ჯერ თვალები ააბრია-ლა, ზიზღითა და მთელი სიძულვილით ჩააშტერდა. მხრების კუნთები აათამაშა. ხელები მჯიღად მოკუმშა, თითები აატ-კაცუნა, „ჩემს“ პატიმარს პირის ფართოდ გაღემა უბრძანა და სახელდახელოდ, საიდღანაც მოძიებული, კაპრონის ზონარი თითზე გადაიხვია.

„ჩემი“ პატიმარი არც განძრეულა. მოძალადეს ქვემოდან ზემოთ ცისფერი თვალები დამცინავად შეანათა და მრავლის-მეტყველი სარკასტული გრიმასი მოირგო ნატიფ, არისტოკრა-ტიულ ბაგეებზე. მსხვერპლის ამგვარმა რეაქციამ „მონღოლი პეტკა“ მთლად გადარია, თვალები საზარლად გაქაჩა, ცხვირ-წინ მუშტები აუთამაშა, იმის ნიშნად, რომ თუ არ დანებდებოდა,

ჯერ თვალებს დასთხრიდა, შემდეგ კი მოგუდავდა. შემზარავად დაიღრიალა:

- შენ, რა, ჩემი არ გესმის?! ახლავე გააღე შენი მყრალი „სანაგვე“ თორემ გადაგიხიე ლაყუჩები! - მონღოლს მისი თანამზრახველები წამოეშველნენ, მსხვერპლი საწოლიდან წამოაგდეს, აქეთ-იქიდან ბადრაგივით ამოუდგნენ. ერთ-ერთმა მსხვერპლს მხრებში სწვდა, შეანჯღრია, მოქაჩა და დაუსისინა:

- შენ რა, წერას აუტანიხარ თუ სიცოცხლე მოგწყინდა, დააღე მეთქი, სალობიე!

ამასობაში მონღოლი მსხვერპლს ყელში სწვდა, თითქოს მოხრჩობა დაუპირა, უეცრადვე ყელზე ხელები უშვა და ყბებში ჩააფრინდა, პირის ძალით გაღება სცადა. ერთ-ერთმა თანამზრახველმა კაპრონის ზონარი ითრია და ოქროს გვირგვინიან კბილზე მორგება სცადა. მსხვერპლი ერთი პირობა არც გაძალიანებულა, ვითომ დანებდა ბედსა, მაგრამ უცებ აიშვა და აზვავდა: მონღოლს მთელი ძალით წიხლი ლაჯებში ამოსდო, ხოლო ზონარმომარჯვებულს ისე მძლავრად ხეთქა თავი შუბლში, რომ საცოდავმა ერთი სასოწარკვეთილად ამოიხავლა და იატაკზე გაიშხლართა. მონღოლიც საშინელ დღეში იყო, ლაჯებში ხელამოდებული იატაკზე გორავდა და არაადამიანურად ღრიალებდა. მესამემ უკნიდან მიეპარა, კისერში სწვდა და მახრჩობელა ფანდის ჩატარება სცადა, მაგრამ „ჩემმა“ პატიმარმა თავისმხვრივ თავზე სწვდა, კისრულით გადმოიღო და იატაკზე დაანარცხა. მთელი ვაგონი ბრბოდ აიჯაგრა. არავინ ელოდა „ჩემი“ უწყინარი პატიმრის თავზეხელაღებულ სიმამაცესა და თავგანწირვას. ერთი პირობა გა-

ოგნებულ-გახევებულნი იდგნენ. ბოლოს კრიმინალები გამოთვ-ხიზლდნენ, ვერ აიტანეს მათი ერთ-ერთი ლიდერის შეურაცჰყოფა, უმოწყალოდ დამცირება და მსხვერპლს ჯგროდ მიესივნენ. „ჩემი“ პატიმარი მოხერხებულად იგერიებდა „მუმლი მუხასა“... ზოგი მუცელზე ხელებშემოჭდობილი დაგორდა, ალბათ წიხლი ჩააზილა, ზოგი ყბებს იზელდა, ალბათ მაგრად მოხვდა ვაჟკაცის მუშტი, ზოგიც თავზეხელშემოჭდობილი იატაკზე გორავდა, ალბათ ურროს მსგავსი მუშტი მოხვდა საფეთქელში, ლანძღვა-გინების კორიანტელს კი ვინ მოთვლის, „შეწირულის“ მისამართით. მაგრამ თქმულა - „ძალა და სიმრავლე აღმართს ხნავსო“, ვიღაცამ უკანიდან წამოეპარა, დრო იხელთა და ორივე მუშტი გამეტებით თავში სთხლიშა. მსხვრეპლი დარეტიანდა, მაგრამ თავდამსხმელი ორივე ხელით ითრია და მოგუდვა დაუწყო, ამასობაში რამდენიმე პატიმარმა ერთდროულად ზემოდან დააცხრა, იატაკზე მოჭრილი მუხასაცით წამოაქციეს და წიხლებით უმოწყალოდ დაუწყეს ცემა „ჩემს“ პატიმარს, გარდაუვალია, ცემით ამოხდიდნენ სულს. კრიმინალები არავის პატიობდნენ „რამკიანი ქურდის“ ან განსაკუთრებულ „ცვეტში“ მყოფ კრიმინალური ავტორიტეტის ფიზიკურ შეურაცხყოფას. განწირული მოძალადეების წიხლებს ქვეშ ფართხალებდა, ერთი ხელით სახეს, მეორით კი საზარდულს იფარავდა და განწირული კვნესოდა. ბოლოს ერთმა პატიმარმა დრო და მომენტი იხელთა, მთელი ძალით მუცელში წიხლი ჩააზილა და თავში ურროსავით დიდი მუშტიც ჩასცხო. ეს ბოლო წვეთი აღმოჩნდა. განწირულმა ერთი არაადამიანურად ამოიხავლა, ხმამაღლა ღაღადისით

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშობლიური ქართულით - „ ვაი, ნანაო !“ ამოიგმინა და კედელთან მიესვენა.

მშობლიური ბგერები და ყველა ქართველთათვის სათაყვანებელი სიტყვა - „ნანა“! - ზემოდან ჩაგვესმა, თითქოს თვით ზეცა რეკდა... ჩვიდმეტი ქართველი ერთდროულად წამოცვივდ-წამოიჯაგრა ნარებიდან. მანამდე ჩვენ, პოლიტიკური პატიმრები, ადრე პირობამიცემული საერთო-საყოველთაო შეთანხმების თანახმად, კრიმინალების საქმეებში არ ვერეოდით, ამიტომ ნარებზე წამოწოლილნი, ჩვენი საფიქრალითა და სადარდებელით ვიყავით გართულნი. მაგრამ ახლა?! - ვაი რომ სასიკვდილოდ განწირული მსხვერპლი ქართველი - ჩვენი თანამემამულე ყოფილა, ჩვენი სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი, თანაც უდანაშაულოდ და უთანასწოროდ დაჩაგრული და სასიკვდილოდ გამეტებული... განა ოქროს გვირგვინიანი კბილის ქონა ან ტარება თავად დანაშაულია?!. აქ უკვე პირობები და შეთანხმებები აღარ მოქმედებდა, არც რაიმე შეგონება ჭრიდა... ერთ-ერთმა ჩვენთაგანმა ეკლესიის დედო ზარივით დააგუგუნა:

- ძმებო, ქართველებო, ჩვენს სისხლსა და ხორცს უდანაშაულოს ცხვირწინ გვიკლავენ, ცოცხლად გლეჯენ და ჭამენ, მიმიფურთხებია ყველასა და ყველაფრისთვის, ჰკა მაგათ! - დაიღრიალა და ვეფხვისებურად ისკუპა. აღარც დრო იცდიდა - ცოტაც და კრიმინალთა გამხეცებული ბრბო ცოცხლად გაგლეჯდა ჩვენს თანამემამულეს. მეც ვისკუპე, ელვის სისწრაფით ზედახორასთან გავჩნდი, სხვა ქართველებთან ერთად მარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დად ვეკვეთე, სისხლმოწყურებულ „აფთრებს“ ზემოდან დავაცხრით და ელვის სისწრაფით მიმოვფანტეთ.

ნაგვემი და დასისხლიანებული, მისავათებული თანამემამულე ხელში ავიტაცე, ჩემს ნარაზე დავაწვინე და მის მოსულიერება-მოვლას შეუდექით. დამავიწყდა მეთქვა, ჩვენ შორის ერთ-ერთი ქართველთაგანი პროფესიით ექიმი იყო. მან ოპერატიულად იმუშავა და გონზე მოიყვანა „ჩვენი ქართველი“. როგორც შევძელით ჭრილობები და ჩალურჯებული ადგილები მოვბანეთ და სახელდახელოდ შევუხვიეთ.

„ომგადახდილი“ ვაგონი ბორგავდა. გმინავდა... ზოგი შველას ითხოვდა. ზოგი წყალს. ზოგიც შემზარავი ხმით ილანძღებოდა და იგინებოდა უცენზუროდ და უმისამართოდ... ქართველები კი!.. ქართველები ერთად შეკრებილნი, ერთ მუშტად მომჯიღულნი, მკლავებწაკაპიწებულნი, ერთსულ-ერთსისხლოვნებით გაცისკროვნებულნი მზად ვიყავით ნებისმიერი შემოტევის მოსაგერიელებლად და თანამემემულის დასაცავად, სიცოცხლის ფასადაც კი...

ხმაურზე მეზობელი „ვაგონ-ტეპლუშკიდან“ შაშხანა-ხიშტმოღერებული ბადრაგის წევრები შემოცვივდნენ, მოჩხუბრები დააშოშმინეს. გამოცდილმა ოპერატიულმა მუშაკმა „ნასედკების“ მეშვეობით მალევე გაარკვია მტყუან-მართალი!.. შემდგომი გარჩევებისა და შესაძლო სისხლისღვრის თავიდან აცილების მიზნით აგრესიულ კრიმინალთა ჯგუფი, მათ ლიდერთან ერთად, ჩვენგან გაიყვანეს და სხვა ვაგონში გამოკეტეს. ვაგონში მხოლოდ პოლიტიკური პატიმრები დავრჩით, ჩვენი თანამემამულის ერთად. ოპერრწმუნებულმა გაიზიარა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი მოსაზრება და თხოვნა, რომ დაზარალებულს მეტი ყურადღება სჭირდებოდა. უჩვენოდ შესაძლოა კრიმინალებს მისთვის კიდევ რამე ხიფათი წამოეწყოთ. გაგვიმართლა - ისიც პოლიტპატიმარი აღმოჩნდა, ოღონდ სასჯელს სტავროპოლის მხარის რომელიღაც ციხეში იხდიდა...

* * *

კომის ავტონომიის დედაქალაქის, სიკტივკარის გზაგასაყარზე, სადგურ მიკუნზე ჩვენი ეშელონი სარეზერვო ხაზზე გადაიყვანეს. პატიმრების გადაყვანა-გადანაწილება-გადაჯგუფების შემდეგ ყველა პოლიტიკური პატიმარი ერთად შეგვყარეს, ახალი ეკიპაჟი ჩამოაყალიბეს და ისიც რამდენიმე ხანში დაიძრა დანიშნულების ადგილისკენ - დაბა ინტაში განლაგებულ N 1 საგანგებო (განსაკუთრებული) დანიშნულების შრომა-გასწორების ბანაკ „მინერალნიში“...

თავი XVI

ზოგი რამ საბჭოთა ბანაკთა სისტემის ისტორიიდან.

საბჭოთა ბანაკთა სისტემის პირმშოდ შეიძლება ჩაითვალოს სოლოვცის იძულებითი სამუშაოების განსაკუთრებული დანიშნულების ბანაკი, რომელიც მდებარეობდა არხანგელსკის ოლქში, სოლოვცის კუნძულებზე. ბანაკი ორგანიზებული იქნა საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წლის 13 ოქტომბრის დადგენილებით. მის დაქვემდებარებაში იყო ორი - არხანგელსკისა და კემის გადამგზავნ-გამანაწილებელი პუნქტი. ბანაკის ხელმძღვანელობა დაეკისრა სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კავშირო მთავარ პოლიტიკურ სამმართველოს. საყურადღებოა ის გარემოება, რომ ამავე ბანაკში სასჯელს იხდიდა ბანაკის, ესე იგი შრომა-გასწორების დაწესებულების, სამეურნეო ანგარიშსწორებაზე (თვითკმარობის, თვითდაფინანსების, თვითკმაყოფის ფორმის ერთ-ერთი პრინციპი) გადასვლის პროექტის ავტორი ყოფილი ვალიუტის მაქინაციების ოსტატი ნ.ფრენკელი. ის ბანაკში დაინიშნა საექსპლოატაციო-კომერციული განყოფილების უფროსად. მოგვიანებით კი სამსახურიდან გადადგა საინჟინრო ნაწილების გენერალ-ლეიტენანტის ჩინით.

მეოცე საუკუნის 20-ან წლებში საბჭოთა კავშირის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში პატიმართა საერთო რაოდენობა არ აღემატებოდა ორი ათას კაცს.

მომდევნო წლებში პატიმართა რაოდენობამ საგრძნობლად იმატა. ეს დაკავშირებული იყო საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ მიღებულ მთელ რიგ დადგენილებებთან, რამაც დაუდო სათავე საბჭოთა კავშირში ბანაკების სისტემის გაფართოებას.

1929 წლის 28 ივნისს საკავშირო მთავარმა პოლიტიკურმა სამმართველომ ჩამოაყალიბა განსაკუთრებული დანიშნულების ჩრდილოეთის ბანაკების სამმართველო, დისლოკაციის დროებითი ცენტრით ჯერ უსტ-სისოლსკში (ახლანდელი სიკტივკარი), შემდეგ კი კოტლასში - კომი ასსრ.

1929 წლის ივლისის მეორე ნახევარში შეიქმნა ვიშერსკის განსაკუთრებული დანიშნულების ბანაკთა სამმართველო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცენტრით ურალის ოლქის (ამჟამად პერმის) ქ. კრასნოვიშერსკი. იმავე წლის ბოლოსთვის კი - შორეული აღმოსავლეთის განსაკუთრებული დანიშნულების ბანაკის სამმართველო, ცენტრით ქ. ხაბაროვსკი; ციმბირის განსაკუთრებული დანიშნულების ბანაკის სამმართველო, ცენტრით ქ. ნოვოსიბირსკი; შუა აზიის განსაკუთრებული დანიშნულების ბანაკის სამმართველო, ცენტრით ქ. ტაშკენტი და ყაზახსტანის განსაკუთრებული დანიშნულების ბანაკის სამმართველო, ცენტრით ქ. ალმა-ატა.

1930 წლის 25 აპრილს ბანაკთა სისტემის სახელმძღვანელოდ ყალიბდება საკავშირო მთავარი პოლიტიკური სამმართველოს ბანაკების სამმართველო. 1930 წლის 1 ივნისისთვის ბანაკთა სამმართველოს ექვემდებარებოდა 7 ბანაკი. მათში პატიმართა საერთო რაოდენობა შეადგენდა 168 163 ადამიანს. პატიმრები დაკავებული იყვნენ ხე-ტყის დამზადებით, გზების მშენებლობით, ჭაობების ამოშრობით, ცელულოიდ-ქაღალდის კომბინატის მშენებლობით, ოქროსა და ქვანახშირის მოპოვებით, თევზჭერით, საბჭოთა მეურნეობებში მუშაობითა და მელიორაციით.

1931 წლის შემოდგომის მიწურულს მოხდა საკავშირო პოლიტიკური მთავარი სამმართველოს ბანაკების სამმართველოს რეორგანიზაცია და ჩამოყალიბდა საკავშირო მთავარი პოლიტიკური სამმართველოს ბანაკების მთავარი სამმართველო.

„გულაგის“ ჩამოყალიბების შემდეგ მისი სისტემა დაჩქარებული ტემპებით ფართოვდებოდა და მოიცვა ქვეყნის ყველაზე მოშორებული ჩრდილოეთის რეგიონებიც კი.

1934 წელს მოხდა რეორგანიზაცია და საკავშირო მთავარი პოლიკური სამმართველოს ბაზაზე ჩამოყალიბდა საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი - შინსსახკომი.

მაგალითისთვის, საარქივო მასალების მონაცემებით, 1940 წლის 1 მარტისთვის სისტემაში ირიცხებოდა 53 ბანაკი, რომელიც მოიცავდა 600-ზე მეტ ფილიალსა და 475 შრომა - გასწორების კოლონიას. მათ შორის 172 - ე.წ. „კონტრაგენულს“, რომელთა პატიმრები მუშაობდნენ სხვადასხვა სამშენებლო და სამეურნეო უწყებებში: - 170 სამრეწველო, 83 - სასოფლო სამეურნეო და 50-არასრულწლოვანთა კოლონიებს. გარდა ამისა ამ სისტემაში მოქმედებდა 90 „ახალშობილთა სახლი“. მათში 1940 წლის 1 მარტისათვის იმყოფებოდნენ 4595 ბავშვი, რომელთა დედები სასჯელს იხდიდნენ.

საბჭოთა ბანაკებში მდგომარეობის შესახებ საერთო წარმოდგენა რომ შეგექმნათ, ძვირფასო მკითხველო, მოვიყვან მხოლოდ ერთ ეპიზოდს: 1940 წლის 1 აპრილის მინაცემებით „ნკვდ გულაგის“ სისტემაში პატიმართა საერთო რაოდენობა შეადგენდა 1 300 000 ადამიანს. აქ იყვნენ როგორც სხვადასხვა ეროვნების საბჭოთა მოქალაქეები, ასევე ევროპის, აზიისა და ამერიკის რიგი ქვეყნების მოქალაქეები, რომელთა ეროვნული შემადგენლობა ასეთ სტატისტიკას იძლეოდა:

367 553 რუსი,

179 951 უკრაინელი,

45 623 ბელორუსი,

26 175 თათარი,

25 040 უზბეკი,

21 301 ყაზახი,

20 820 ებრაელი,

18 149 გერმანელი,

15 621 პოლონელი,

11 122 ქართველი,

10 858 სომეხი,

10 599 აზერბაიჯანელი,

9 855 თურქმენი,

4 978 ლატვიელი,

4 765 ბაშკირი,

4 522 ტაჯიკი,

4 034 ჩინელი,

2 808 ყირგიზი,

2 707 კორეელი,

2 601 ესტონელი,

2 994 ფინელი,

1 891 ბურიატი,

1 475 ირანელი,

1 009 ლიტველი,

389 რუმინელი,

334 ავღანელი,

128 მონღოლი,

20 იაპონელი.

გარდა ამისა 61 706 ადამინი მიეკუთვნებოდა სხვადასხვა ეროვნებას, ხოლო 11 457 ადამიანზე ეროვნული კუთვნილების შესახებ საარქივო მასალებში მონაცემები არ შემონახულა.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ საბჭოთა კავშირში 1947 წლის 26 მაისს ოფიციალურად გაუქმდა სასჯელის უმაღლესი ზომა - სიკვდილით დასჯა, რამაც თავის მხვრივ ხელი შეუწყო შრომა-გასწორების დაწესებულებებში პატიმართა რაოდენობის მკვეთრ ზრდას.

ასევე სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნის, რომ ქვეყანაში განსაკუთრებით იჩაგრებოდნენ ე.წ. „ სოციალურად გაუცხოებულნი“ და „ხალხის მტრები“, რომელთა უმრავლესობა გასამართლებული იყო შეთითხნილი, გამოგონილი ბრალდებებით. ბევრი მათგანი 1937-1938 წლებში დახვრიტეს, როცა მთელი ქვეყნის მაშტაბით მძვინვარებდნენ „ნკვდ-ს სამეულები“, რომლებიც ახორციელებდნენ არასაიმედო კონტინგენტის მასიურ წმენდას. ხშირად მათ შეადგენდნენ უბრალოდ ფიზიკურად დაოსებულ-დაუძლურებული ადამიანები, რომელთაც აღარ შეეძლოთ დაწესებული ყოველდღიური სამუშაო ნორმის გამომუშავება. მათ რიცხვში იყვნენ მეცნიერები, მწერლები, პოეტები, მხატვრები, ექიმები, პედაგოგები და ინტელიგენციის სხვა ფენის წარმომადგენლები.

წინმსწრებად ვიტყვით, რომ 1956 წლის 25 ოქტომბერს სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრკ მინისტრთა საბჭომ მიიღეს ერთობლივი დადგენილება, რომლითაც აღიარეს

„სსრკ შსს-ს შრომა-გასწორების ბანაკების შემდგომი არსებობის მიზანშეუწონლობა, რამაც ვერ უზრუნველჰყო საციცოცხლო სახელმწიფო ამოცანის შესრულება - შრომაში ჩაბმით პატიმართა აღზრდა-გამოსწორება“. ამ დადგენილებით გაუქმდა „გულაგი“ და მის მაგივრად შეიქმნა შრომა-გასწორების კოლონიების მთავარი სამმართველო.

„გულაგის“ 26 წლიანი არსებობის განმავლობაში ბანაკებში, კოლონიებსა და ციხეებში სასჯელს იხდიდა თითქმის 20 მილოინი ადამიანი. მათგან ყოველი მეხუთე, თითქმის 4 მილიონი ადამიანი იყო გასამართლებული და დაპატიმრებული „კონტრრევოლუციური მოღვაწეობისათვის“, ესე იგი სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით. გულაგ-ში 1930 – 1956 წლებში დაიღუპა 1 მილიონზე მეტი ადამიანი, რაც იმას ნიშნავს, რომ სიკვდილიანობის საშუალო დონემ პატიმართა საშუალო რაოდენობის 5 პროცენტი შეადგინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი XVII

ზოგი რამ კომის ასსრ ტერიტორიაზე განლაგებული შრომა-გასწორების ბანაკთა ისტორიიდან.

კომის ავტონომიური ოლქის ტეროტორიაზე პირველი შრომა-გასწორების ბანაკი შეიქმნა 1929 წლის 28 ივნისს. ეს იყო საკავშირო მთავარი პოლიტიკური სამმართველოს ჩრდილოეთის განსაკუთრებული დანიშნულების ბანაკი. სამმართველო განლაგებული იყო ქ.უსტ-სისოლსკში (ამჟამად ქ.სიკტივკარი), 1929 წლის ბოლოდან - დ. კოტლასში, ხოლო 1930 წლის ბოლოსთვის - დ. სოლვიჩეგორსკში. ბანაკის საწარმოო ამოცანებში შედიოდა პინიუგი - უსტ-სისოლსკის რკინიგზისა და უსტ-სისოლსკი - უხტას ტრაქტის მშენებლობა, უხტა-პეჩორის აუზში გეოლოგიური სამუშაოებისა და უხტის რაიონში ნავთობის მოპოვებითი სამუშაოების ორგანიზება.

სევლონ-ი გაუქმდა 1931 წელს. მის ბაზაზე შეიქმნა უსტ-ვიმის შრომა-გასწორების ბანაკი, იქ მყოფი პატიმრების გადმოცემით, რომელთაც უნდა დაესრულებინათ პინიუგ-სიქტივკარის რკინიგზის ხაზის მშენებლობა.

1932 წლის 5 მარტიდან ყალიბდება უხტა-პეჩორის შგბ რომლის სამმართველო განლაგდა დ. ჩიბიუში. ეს იყო ერთ ერთი ყველაზე დიდი შგბ საბჭოთა კავშირში. მის სამრეწველო მასშტაბებში შედიოდა უხტის რაიონში ნავთობის საბადოების დაზვერვა და ნავთობმოპოვებითი სამუშაოების ორგანიზება, პეჩორის ქვანახშირის აუზში მადანის მოპოვება, საავ-

ტომობილო და სარკინიგზი გზების მშენებლობა კოტლას-ჩიბიუსა და კოჟვა-ვორკუტას მონაკვეთზე. ასევე ხე-ტყის დამ-ზადება და ბარჟების მშენებლობის ორგანიზება მდინარე პეჩორაზე ნაოსნობის გამართვის მიზნით. პატიმართა კონტინ-გენტი და რაოდენობა ცვლებადი იყო. მაგალთისთვის: 1932 წლის ბოლოსთვის - 13 400; 1934 წლის 1 იანვრისთვის - 23 800; 1937 წლის1 იანვრისთვის - 31 000; 1938 წლის 1 ინვრისთვის - 54 800 პატიმარი.

1938 წლის 10 მაისს განხორციელდა უხტა-პეჩორის შგბ-ს ლიკვიდაცია. მის ბაზაზე ჩამოყალიბდა: უხტა-იჟემსკის, ვორ-კუტის, ჩრდილოეთი რკინიგზისა და უსტ-ვიმის შგბ-ები.

უხტა - იჟემსკის შგბ-ს, ცენტრით დ. ჩიბიუ (1943 წლიდან ქ. უხტა), ჰქონდა შემდეგი ძირითადი საწარმოო ამოცანები: ნავ-თობისა და ასფალტიტების დაზვერვა და მოპოვება, რადიუმის წყლების მოპოვება და გადამუშავება, გაზისა და ნავთობის გადამამუშავებელი ქარხნებისა და ნავთობსადენების მშენებ-ლობა, ასევე სამშენებლო მასალების წარმოება. პატიმართა რიცხოვნობა: 1938 წლის 1 ივლისისთვის - 30 400; 1941 წლის 1 ივლისისთვის - 39 900; 1945 წლის 1 იანვარისთვის - 12 900; 1950 წლის 1 იანვრისთვის - 37 100; 1954 წლის 1 იანვრისთვის - 16 700.

ვორკუტის შგბ, ცენტრით დ. ვორკუტა (1943 წლიდან ქალაქის სტატუსით) სპეციალიზირდებოდა პეჩორის ქვანახ-შირის აუზში ქვანახშირის მოპოვებით, ასევე პასუხს აგებდა სამ-რეწველო, ბინათ და საგზაო მშენებლობებზე. პატიმართა რიცხოვნობა: 1938 წლის 1 ივლისისთვის - 15 000; 1941 წლის 1

ივლისისთვის - 25 300; 1945 წლის 1 იანვრისთვის - 39 700; 1950 წლის 1 იანვრისთვის - 62 600; 1955 წლის 1 იანვრისთვის - 52 400; 1960 წლის 1 იანვრისთვის - 15 400.

ჩრდილოეთის რკინიგზების შგბ ცენტრით დ. კნიაჟპოგისტში, პასუხს აგებდა ჩრდილო-პეჩორის რკინიგზის კოტლასი - ვორკუტას მონაკვეთის მშენებლობაზე. პატიმართა რიცხოვნობა: 1939 წლის 1 იანვრისთვის - 29 400; 1941 წლის 1 ივლისისთვის 66 900; 1945 წლის 1 იანვრისთვის - 12 400; 1950 წლის 1 იანვრისთვის - 27 700.

უსტ-ვიმის შგბ ცენტრით დ. ვოჟაელში, დაკავებული იყო პეჩორის ქვანახშირის აუზის საწარმოებში ხე-ტყის დამზადებამიწოდებით, ასევე ხეტყის დამუშავებითა და მშენებლობით. პატიმართა რიცხოვნობა: 1938 წლის 1 იანვრისთვის - 5 200; 1941 წლის 1 ივლისისთვის - 24 100; 1945 წლის 1 იანვრისთვის - 15 300; 1950 წლის 1 იანვრისთვის - 19 900; 1955 წლის 1 იანვრისთვის - 19 600; 1960 წლის 1 იანვრისთვის - 17 900.

მეორე მსოფლიო ომის დაწყების წინ განხორციელდა რიგი რეორგანიზაცია. 1940 წლის 17 აგვისტოს გაუქმდა ლოკჩიმის შგბ, რომლის ყველა ქვედანაყოფი გადაეცა უსტ-ვიმის შგბ-ს 1940 წლის 14 მაისს შეიქმნა ჩრდილო-პეჩორის შგბ ცენტრით დ. აბეზში (მოგვიანებით - პეჩორის სადგური). მის ამოცანებში შედიოდა კოჟვა - ვორკუტის რკინიგზის მონაკვეთის მშენებლობა, მდინარე პეჩორაზე გემთსაშენის მშენებლობა და სამშენებლო სამუშაოების წარმოება. პატიმართა რიცხოვნობა: 1940 წლის 1 ივლისისთვის - 3 800; 1941 წლის 15 ივნისისთვის -

91 600; 1945 წლის 1 იანვრისთვის - 33 500; 1950 წლის 1 იანვრისთვის - 42 000.

მეორე მსოფლიო ომის წლებშიც მოხდა რიგი რეორგანიზაცია.

1941 წლის 17 ნოემბერს ვორკუტის გამოეყო ინტის შგბ.

ინტის შრომა-გასწორების ბანაკი ცენტრით დ. ინტა (დ. ინტა შეიქმნა 1942 წ., 1954 წ. -ქ. ინტა), შეიქმნა ინტის ქვანახშირის საბადოს გამართვა-დამუშავება-ექსპლუატაციისთვის. პატიმართა რიცხოვნობა: 1943 წლის 1 ინვრისთვის - 6 500; 1945 წლის 1 იანვრისთვის - 9 200; 1948 წლის 1 იანვრისთის - 18 600.

საბჭოთა კავშირის შინსსახკომის 1943 წლის 11 ივლისის ბრძანებთ ვორკუტის შრომა-გასწორების ბანაკის შემადგენლობაში ჩამოყალიბდა 10 000 პატიმარზე გათვლილი და დაკომლექტებული კატორღულ სამუშაოთა სპეციალური ქვეგანყოფილებები. (საბჭოთა კავშირის უმაღლესის საბჭოს პრეზიდიუმის 1943 წლის 19 აპრილის ბრძანებულებით 15-დან 20 წლამდე ვადით კატორღულ სამუშაოებზე განაწესეს ფაშისტი ოკუპანტების დამქაშები, შპიონები და სამშობლოს გამყიდველები - მოღალატეები). 1945 წლის 1 ივლისის მდგომარეობით ვორკუტის შგბ-ის კატორღელთა ქვეგანყოფილებაში სასჯელს იხდიდა 12 900 პატიმარი.

საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 21 თებერვლის დადგენილებით საბჭოთა კავშირში იქმნება განსაკუთრებული (საგანგებო) ბანაკები „შპიონების, დივერსანტების, ტროცკისტების, მემარჯვენეების, მენშევიკების, ესერების, ანარქისტების, ნაციონალისტების, ბელოემიგრანტებისა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვა ანტისაბჭოთა ორგანიზაციების მონაწილეებისათვის“. ესე იგი საგანგებო ბანაკებში უნდა მოეთავსებინათ მხოლოდ პოლიტიკური მუხლებით გასამართლებული პატიმრები, განსაკუთრებით საშიში პოლიტიკური დამნაშავეები.

N 1 საგანგებო(განსაკუთრებული) ბანაკი - შგბ „მინერალური“ შეიქმნა 1948 წლის 28 თებერვალს ინტის შგბ-ს ბაზაზე და მის შენობა-სათავსოებში.

ასევე კომის ასსრ ტერიტორიაზე მოქმედებდა:

N 6 საგანგებო (განსაკუთრებული) ბანაკი - რეჩნოის შგბ, რომელიც შეიქმნა 1948 წლის 27 აგვისტოს ვორკუტის შგბ-ის რიგი ბანაკის ქვედანაყოფების ბაზაზე.

N 12 საგანგებო (განსაკუთღებული) ბანაკი - ვოდორაზდელნის შგბ. ის ბაზირებდა და ეწეოდა ხე-ტყის დამზადებას.

საგანგებო ბანაკებში გადაიყვანეს კატორღელები, შესაბამისად ადრე არსებული კატორღელთა ქვედანაყოფები დაიხურა.

ინტის-შგბ „მინერალურ“- ში ირიცხებოდა: 1948 წლის 1 სექტემბრისთვის - 9 300; 1950 წლის 1 იანვრისთვის - 28 300; 1955 წლის 1 იანვრისთვის - 15 200, ხოლო 1957 წლის მარტის ბოლოს - 6 800 პატიმარი.

აქვე დავამატებთ, რომ ი.ბ. სტალინის გარდაცვალების შემდეგ კომის ასსრ-ის ბანაკთა სისტემა იწყებს მნიშვნელოვან შეკვეცებს:

-1954 წლის 12 თებერვალს დაიკეტა ობის შგბ. (მისი ქვედანაყობების ნაწილი გადაეცა პეჩორის შგბ-ს);

-1954 წლის 25 მაისს ლიკვიდირებული იქნა N 6 - რეჩნოის შგბ (ის გაერთიანდა ვორკუტის შგბ-თან);

-1955 წლის 18 მაისს თავისი არსებობა შეწყვიტა უხტა-იჟიმ-სკის შგბ-მა. (დარჩენილი ქვედანაყოფები გადაეცა პეჩორის შგბ-ს);

-1957 წლის 6 მარტს დაიკეტა საგანგებო ბანაკი - N 1, მისი ნაწილი ქვედანაყოფების პეჩორის შგბ-სთვის გადაცემით.

-1959 წლის 5 აგვისტოს დაიკეტა პეჩორის შგბ-იც მისი ქვე-დანაყოფების ნაწილი გადაეცა ვორკუტის შგბ-ს.

1960 წელს მოხდა ბანაკების მთავარი სამმართველოს ლიკ-ვიდაცია. რის შემდეგაც ქვეყნის მაშტაბით განხორციელდა თა-ვისუფლების აღკვეთის ადგილების ახალი სისტემის შექმნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი XVIII

ბანაკში დამკვიდრება

საგანგებო (განსაკუთრებული) დანიშნულების ბანაკი N 1 - „მინერალური“ განლაგებულია კომის ასსრ კოჟვინის რაიონის ვრცელ ტერიტორიაზე, რომელიც მოიცავს სხვადასხვა ადგილას განფენილ რიგ საბანაკო პუნქტს, ქვედანაყოფსა და სამრეწველო-სამშენებლო ობიექტს.

ბანაკის კომენდატურა და ადმინისტრაცია განთავსებულია დაბა ინტას ტერიტორიაზე.

შრომა-გასწორების N1 საგანგებო ბანაკი „მინრეალური“ მოიცავდა რამდენიმე ათეულ საბანაკო პუნქტს, საბანაკო განყოფილებას, სამივლინებო ქვეპუნქტს, ხე-ტყის დამამზადებელ უბანს, მდინარე დიდ ინტაზე ხე-ტყის დაცურების ქვედანაყოფს, სასოფლო-სამეურნეო და კიდევ რამდენიმე დამხმარე უბანს, რომლებიც იყო კოჟვინის რაიონის ვრცელ და უკიდეგანო ტაიგასა თუ ტუნდრა-ტყის ზონაში მიმოფანტული.

დაბა ინტა მდებარეობს ტყე-ტუნდრაში, ურალის მთების დასვლეთით, კომის ასსრ-ის ჩრდილო-აღმოსავლეთში. მდინარე დიდი ინტას მარცხენა სანაპიროზე. აქვეა სარკინიგზო სადგური ინტა.

დაბა ინტა განეკუთვნება უკიდურესი ჩრდილოეთის რაიონებს. განლაგებულია კონტინენტალური კლიმატის სარტყელში. აქ დამახასიათებელია მკაცრი ხანგრძლივი ზამთარი მდგრადი თოვლის საფარითა და გრილი ნესტიანი ზაფხული,

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმნიშვნელო უღრუბლო დღეებით. ჰაერის საშუალო ტემპერატურაა - 3,9 *C, ჰაერის ტენიანობა - 77,2%, ქარის საშუალო სიჩქარე -3,7 მ/წ.

ინტა მდებარეობს მოსკოვის დროის საათის სარტყელში.

და აი, ამ დაბის რკინიგზის სადგურს 1948 წლის 21 აპრილს მიადგა პოლიტიკური პატიმრებით გაძეძგილი საბადრაგო-ეტაპირების ეშელონი.

ბანაკის ადმინისტრაცია გველოდა. ყველაფერი წინასწარ გათვლილი, ორგანიზებული და დამუშავებული ჰქონდათ. არცაა გასაკვირი. აქ ხომ ყველაფერი ბანაკებსა და მის კონტინგენტის ირგვლივ ტრიალებდა.

ჩვენი ვაგონის ბინადარნიც ბადრაგის უფროსის ბრძანებით ჩამოგვსხეს და იქვე ორ მწკვრივად მოგვაწყეს. გაგვაფრთხილეს დავმორჩილებოდით, გაქცევის მცდელობის შემთხვევაში-გვესროდნენ გაფრთხილების გარეშე. ფეხით წაგვიყვანეს. ჯერ საკარანტინო პუნქტში მოგვათავსეს, მეორე დღეს კი გაგვანაწილეს სხვადსხვა პუნქტებში.

მე და კიდევ ექვსი ქართველი, რომელთაც უკვე თბილისიდან მოყოლებული ვიცნობდი, გაგავანაწილეს სამშენებლო და საწარმოო ხე-ტყის დამამზადებელ საბანაკო პუნქტ „დალნიში“. კონვოიში რვაასამდე პატიმარი ვიქნებოდით. ოთხრიგად, რამდენიმე კოლონად მოწყობილნი გრუნტის გზით ბანაკისკენ მივდიოდით. ყინული ახალ გალღობილი იყო. შავმიწა-თიხიანი მასა კაცს მწებავ ლაფს უფრო მოგაგონებდა. გვიან ღამემდე ვიარეთ. დაღლილ-დაქანცულებმა, როგორც იქნა მივაღწიეთ დანიშნულების ადგილზე. ზონის მძიმე, უხეში

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარები ფართოდ გამოაღეს და შეიარაღებული, ხიშტ-შაშხანა მოღერებული ორმხვრივი ბადრაგის კონტროლის ქვეშ „მიგვიღეს ახალი კონტინგენტი“. ზონის ადმინისტრაცია გველოდა. ისევ ორმწკვრივად მოწყობა. სახელობითი სია და ბრიგადების მიხედვით გადანაწილება!. ჩემთან ერთად ბრიგადაში სამოცამდე პატიმარი მიგვითვალეს. შუაღამე გადაცილებულს, როგორც იქნა ბარაკებში შესვლის უფლება მოგვცეს. ერთ ბრიგადაზე ერთი ბარაკი იყო გათვალისწინებული. ბარაკი მართკუთხა ჯარგვალს წარმოადგენდა. ჯარგვალის სიგრძივი კედლების ჩაყოლებაზე მოწყობილი იყო ორმაგი-ორიარუსიანი ნარები მრგვალი წვრილი ძელებისაგან დამზადებული. კარის მოპირდაპირე კედელთან მოწყობილი იყო ღუმელი, უფრო სწორედ ბენზინის კასრისგან სახელდახელოდ შედუღებული საკვამურიანი დანადგარი. ბარაკში თხუთმეტამდე პატიმარი დაგვხდა. ჩვენი შესვლისას მხოლოდ ერთიღა წამოდგა, ისიც თურმე მეორე გვერდზე გადაბრუნებას ლამობდა. დანარჩენებს კი პატიმრისთვის ჩვეული ტანჯული ძილით ეძინათ. ბრიგადირმა ცარიელ ნარებზე მიგვითითა და მოსვენება გვისურვა. თვითონ კი ღუმელს შეუკეთა, მადიანად თამბაქოს წეკო გააბოლა და მის ნარზე ტანისამოსიანადვე გაიშოტა.

მართალია, უკვე აპრილი იწურებოდა, მაგრამ აქ ისევ ზამთრის სუსხი და სიცივე პოზიციების დათმობას არ აპირებდა. ისე ვიყავით დაღლილ-დაქანცულები, რომ გაცნობა-საუბრისა კი არა და საწოლის მოწყობის თავი სადღა გვქონდა. ბამბიან მათბუნარაში - „ტელეგრეიკაში“ გავეხვიე, საქართველოდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

წამოღებული ზურქჩანთა თავქვე ამოვიდე და საღათას ძილით ჩამეძინა.

გარიჟრაჟზე უსიამო სიცივემ გამაღვიძა. ხელ-ფეხი გამთოშოდა. ბარაკის სამი პატარა ცხაურიანი სარკმლიდან მბჟუტავი ათინათი დაფლეთილ სხივს ალიცლიცებდა და ეს თუ მამცნობდა ჩემთვის უცხო გარე სამყაროსთან კავშირის არსებობას. ყველას ეძინა. ჩემი გაღვიძება მხოლოდ ერთი პატიმრის ფხიზელ სმენასა და თვალს არ გამოჰპარვია. ისიც წამოდგა, ხელით მიხმო და ღუმელის გასახურებლად დახმარება მთხოვა. მეც ფეხაკრეფით მივედი, არ მინდოდა დაღლილ-დაქანცულ ტუსაღებს დროზე ადრე გაღვიძებოდათ. - მე პაშას მეძახიან, ამ ბარაკის ბრიგადირი გახლავართ, - დაბალი ბარიტონით მითხრა და ხელი გამომიწოდა. ბრიგადირი სლავური წარმოშობის ახმახი, ძალზე გამხდარი, ყბა-ყვრიმალჩაცვენილი, ცხვირწვეტიანი რატომღაც უსიამო, უგემურ, უხასიათო ტიპად აღვიქვი. ღუმელს ხმელი ფიჭვის შეშა შევუკეთეთ და ისიც ხალისიანად აგიზგიზდა. ვეთბუნები, საამო სითბო ნელ-ნელა შემოდის ძარღვებში, მაგრამ რად გინდა - უეცრად საშინლად მჭახე, ტვინსა და ძვალ-რბილში გამტანი მზარდი საზარელი ჟღერადობის ხმა გაისმა... ესეც ტაიგის „მაღვიძარა“ - ლითონის ნაჭერს უზარმაზარ ეროს ურტყამდა მორიგე. ამ საზარელ ხმიანობაზე მკვდარიც კი შეტოკდებოდა... წამიც და ბარაკი აფუთფუთდა: ძლივს ჩათბუნებული ნარიდან, ჯერ კიდევ რიჟრაჟზე, სუსხიან, გაყინულ, დათრთვილულ ეზოში გასვლა არ გინდოდა!.. დილის პროცედურებისთვის სულ რამდენიმე წუთი გვეძლეოდა: ფეხისალაგი, ხელ-პირის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბანა და მოწესრიგება... გამიკვირდა, უმეტოსობა პირ-საბანთან არც კი მისულა. პირდაუბანელი, ჩამჭვარტლული, დაუვარცხნელ-გაბურძგნილი წვერ-თმით საწყალი და საპყარი ხალხის ბრბოს უფრო ჰგავდნენ ეს საცოდავები, ვიდრე შეგნებულ და ღირსებაშენარჩუნებულ მუშახელს, რომელთაც სახელმწიფო დოვლათი უნდა შეექმნათ!.. თუმცა მათ მდგო-მარეობას ბანაკის ხელმძღვანელობა არას დაუდევდა, არც უცდიათ ერთი მისხალით მაინც შეემსუბუქებინათ პატიმართა ყოფა და ცხოვრების პირობები. როგორც შემდეგში გავარკვიე, ბანაკის ადმინისტრაციას მხოლოდ ერთი სადარდებელ-საზრუნავი ჰქონდა: - ნებისმიერ ფასად საწარმოო გეგმის შესრულება!..

საუზმეზე მოწყობა ბრძანეს. ჩამოგვირიგეს ულუფა - 600 გრამი ჭვავის პური და მეზობელ შენობაში გადაგვიყვანეს, სა-დაც ბალანდა - პურის ფქვილისგან მოდუღებული წვნიანი ჩამოგვირიგეს ალუმინის ბადიაში, გინდა „მისკაში“. თითქმის ოთხწლიანმა პატიმრობამ ბევრი რამ მასწავლა, მათ შორის თადარიგიანობაც. თეფში და კოვზი, პირადი ჰიგიენის ნივთები და საპონიც კი წინასწარ მომარაგებული, საქართველოდან მქონდა წამოღებული. ზოგადად, ქართველები თადარიგიანად ვიყავით, აი ზოგიერთი სლავური და შუააზიური წარ-მომავლობის პატიმარი კი უკოვზოდ და უბადიოდ -„უმისკოდ“ ჩადგნენ რიგში. საბოლოოდ იძულებული გახდნენ ძველი პატიმრებისთვის ეთხოვათ „მისკა“ და კოვზი, რაზედაც საზღაური გადაიხადეს -200 გრამი პური. ცხელი ბალანდა

ცოტა რამ ხსნა მაინც იყო შიმშილისაგან გაფშეკილი კუ-ჭისთვის.

ზონაში ანუ საბანაკო პუნქტში პატიმრების განთავსების, ცხოვრებისა და იქ გამეფებული პირობების წარმოსადგენად, ურიგო არ იქნებოდა გავცნობოდით 1939 წლის 2 აგვისტოს საბჭოთა კავშირის შინსსახკომის მიერ გამოცემულ ინსტრუქ-ციას „შრომა-გასწორების ბანაკებში პატიმრების ყოლა-შენახ-ვის რეჟიმის შესახებ“ სადაც ვკითხულობთ:

„ 1. საბანაკო პუნქტი გარესამყაროსგან ეკლიანი მავთულხ-ლართებით უნდა იყოს იზოლირებულ-შემოზღუდული. შემოზ-ღუდულ ზონას უნდა ჰქონდეს მართკუთხედის ან კვადრატის ფორმა, რამაც უნდა უზრუნველყოს საუკეთესო ხილვადობა. ტერიტორიის დაცვისა და თვალთვალის უზრუნველსაყოფად გარე პერიმეტრზე იდგმება პოსტ-კოშკურები მეთვალყურე-ბადრაგებისთვის;

2. პატიმრები უნდა განთავსდნენ ბარაკებში. ბარაკიდან ბარაკში გადასვლა პატიმრებს ეკრძალებათ. საბანაკო პუნქ-ტის ზონაში პატიმრების თავისუფლად გადაადგილება დასაშ-ვებია ძილის მაუწყებელი სიგნალის გაცემამდე.

3. დაძინებამდე ტარდება საღამოს შემოწმება, რისთვისაც პატიმრები ეწყობიან ბარაკის წინ. სახელობით შემოწმებას ახორციელებს ბანაკის ქვედანაყოფის მორიგე. შემოწმება უნ-და გაგრძელდეს არაუმეტეს 30-40 წუთს;

4. შემოწმების შემდეგ სპეციალურ სიგნალზე პატიმრები მი-დიან დასაძინებლად. ამ სიგნალზე პატიმარები ვალდებულნი არიან იმყოფებოდნენ თავ-თავიანთ ბარაკებში და დაწვნენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასძინებლად. იკრძალება ნებისმიერი გადაადგილება, ხმაური და გადალაპარაკება. ძილად წასვლისა და გაღვიძების დრო ისე უნდა იყოს გათვლილი, რომ პატიმარმა არანაკლებ შვიდი საათი იძინოს;

5. შინაგანი განაწესის დარღვევის, შრომისადმი არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულების ან მუშაობაზე უარის თქმის შემთხვევაში პატმრების მიმართ გამოყენებული იქნას შემდეგი სახის სჯელი:

ა) ექვსი თვის ვადით მნახველებთან შეხვედრის, მიმოწერის, ამანათის მიღების აღკვეთა, მიყენებული ზარალის ანაზღაურებით;

ბ) საერთო სამუშაოებზე გადაყვანა (თუ ის სპეციალობით მუშაობს);

გ) საჯარიმო საბანაკო პუნქტში გადაყვანა ექვსი თვის ვადით;

დ) საჯარიმო იზოლატორში გადაყვანა ოცი დღის ვადით;

ე) გაუარესებული მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობებში გადაყვანა (საჯარიმო ულუფა, ნაკლებად კეთილმოწყობილი ბარაკი და სხვა)“.

ამ შემთხვევაში ერთი რამ უნდა გვქონოდა უპირობოდ გასათვალისწინებული, როგორც წესი, ასეთი ტიპის იზოლატორსა თუ საჯარიმო ზონებიდან პატიმარი უკან ვეღარ ბრუნდებოდა. წამებას „გადარჩენილებს“, როგორც წესი, ასაფლავებდნენ ტყის პირას, საგანგებოდ გათხრილ დიდ ორმოში.

საჯარიმო ულუფა სიტყვაზე არცაა მოსატანი, რადგანაც პატიმრებს ისედაც ცუდად კვებავდნენ. გარდა იმისა, რომ მათზე

ეკონომიას აკეთებდნენ, მათ კიდევაც ქურდავდნენ. მაგალითისთვის, 1937 წლის მიწურულს, მხოლოდ ერთ ბანაკში, გამოავლინეს სასურსათო საწყობებიდან 400 000 მანეთის ღირებულების სურსათის დატაცების ფაქტი!..

პატიმრის ულუფა კი... საბჭოთა კავშირის შინსსახკომის 1939 წლის 14 აგვისტოს ბრძანებით, ერთ პატიმარზე, რომელიც დაკავებული იყო ძირითად საწარმოო სამუშაოზე და დღიურ შრომადღეს ასრულებდა, გათვლილი იყო: - 1200 გრამი ჭვავის პური, - ხორბლის ფქვილი 60 გრ., - ბურღულეული 130 გრ.,- ხორცი 30 გრ., - თევზი 158 გრ., - მცენარეული ზეთი 12 გრ., - მაკარონი 10 გრ., - შაქარი 13 გრ., - ჩაი 2გრ., - კარტოფილი და ბოსტნეული 600 გრ. მაგრამ რად გინდა, რიგ შემთხვევაში ულუფა მხოლოდ პურსა და ფქვილის ნახარშის წვნიანს (ბალანდა) შეადგენდა. დანარჩენს ან სამეურნეო ნაწილის მესვეურები ითვისებდნენ ან იპარავდნენ და მაღაზიაფარდულებში არალეგალურად ყიდნენ...

ის დღე ბარაკის მოწესრიგებასა და მოწყობისთვის დაგვითმეს. შუადღე იქნებოდა, მე და კიდევ სამი პატიმარი მებადრაგე-კონტროლიორმა სადღაც წაგვიყვანა. გზადაგზა ზონას ვეცნობოდი და ჩემეულ დასკვნებს ვაკეთებდი. ზონაში თხუთმეტამდე ბარაკი იქნებოდა, სხვადასხვა ზომისანი, მაგრამ ერთნაირად უსახური, მრგვალი მორებით უწესოდ და უხარისხოდ ნაშენი ჯარგვლები... რიგ შემთხვევაში ფარღალალა მოშლილი ან მორყეული ყავრის სახურავებით. ბანაკის ადმინისტრაცია შედარებით უკეთეს შენობაში იყო განლაგებული. პატიმართა ბარაკები პირდაპირ მიწაზე „იდო“. ადმინისტრაციისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ბანაკის დაცვის შენობები, ასე ერთი მეტრის სიმაღლის ბოძებზე „წამოესკუპებინათ“, ეტყობა სინესტისა და ხშირი წვიმებისას დატბორვის თავიდან აცილების მიზნით. ზონის ერთ მიყრუებულ კუთხეში სამრეცხაო, აბანო და ლაზარეთი იყო განლაგებული. სამრეცხაოში ჩავედით. ორრიგ ძელურ თაროებზე თეთრეული და ზეწრები დასტებად ელაგა. ახალ-მისულებზე გადათვალეს და საწოლის თეთრეული და ზეწრები გადმოგვცეს.

ძველი პატიმრების გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა. აღ-მოჩნდა, რომ საბჭოთა საბანაკო სისტემაში პირველი პატიმ-რები ვართ, ვისაც ქათქათა თეთრეული და ახალი ზეწრები დაგვირიგეს. ეტყობა ახლადშექმნილი საგანგებო დანიშნულე-ბის ბანაკების ორგანიზებისას, პატიმართა შენახვის პირობებში იყო გათვალისწინებული. აკი ამის შესახებ პირველსავე მოწყობაზე არ დაახანა საბანაკო პუნქტის უფროსმა - ახალი დებულება გულისხმობს პატიმართა მოვლა-შენახვის პორობე-ბის მკვეთრ გაუმჯობესებას, რამაც თავის მხვრივ უნდა განა-პირობოს მინდობილი საქმისადმი მეტი კეთილსინდისიერება და შრომის ნაყოფიერების ზრდა... ქართველები ბარაკის ერთ კუთხეში კომპაქტურად მოვეწყეთ. ბრიგადირის დახმარებით თხელი ფიცრები მოვიძიეთ და ნარებზე დავაკარით, შემდეგ კი ბარაკის სარკმელები შევფუთეთ ყველა ჭუჭრუტანა და ხვრელი საგულდაგულოდ ამოვგმანეთ.

ახლადმოსულები პოლიტპატიმრები ვიყავით, ესე იგი გასა-მართლებულნი 58-ე მუხლით, დამხვდურნი კი ეგრეთ წო-დებული „საერთო კონტინგენტი“ იყო, ესე იგი გასამართლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბულნი სისხლის სამართლის კოდექსის სხვა მუხლებით. მათ სხვანაირად „ბიტოვიკებსაც“ ეძახდნენ, რაც იმაზე მიგვანიშნებდა, რომ ისინი გასამართლებულნი არიან შედარებით მსუბუქი, სხვადასხვა სახის საყოფაცხოვრებო დანაშაულისთვის. დამხვდური პატიმრები - „ბიტოვიკები“ ჩვეულებრივ „კრიმინალურ - ბლატნოი“ ჟარგონით საუბრობდნენ, რაც ჩვენთვის ძირითადად მიუღებელი იყო.

მესამე დღიდან ჩვეულ რიტმში, დიდი ხნის დადგენილ-დახვეწილი განრიგით დავიწყეთ მუშაობა. ბადრაგს გავყავდით ტაიგაში ხე-ტყის დამამზადებელ სამუშაოზე და მთელი დღე მუხლჩაუხრელად ვშრომობდით. მხოლოდ ნაშუადღევს, ნახევარი საათით ვისვენებდით, ისიც სადილის მისაღებად ძლივს გვყოფნიდა. ბრიგადაში, სამოცდათხუთმეტ კაცამდე ვიყავით, მაგრამ ყველანი ერთდროულად როდი ვმუშაობდით, ზოგი ავადმყოფობდა, ზოგი კი ადმინისტრაციის მითითებით სხვა საყოფაცხოვრებო-სამეურნეო სამუშაოებზე იყო განაწილებული. ვინც ხე-ტყეზე ვმუშაობდით, მთელი ბრიგადის ნორმა უნდა შეგვესრულებინა.

ორი თვე არ იქნებოდა გასული, ერთ სისხამ დილით ბარაკში ჩოჩქოლო ატყდა: ბრიგადირი პაშა „ჩაბარდა პატრონს“ გინა „გავიდა მარილზე“... ქართველებს გული დაგვწყდა - პაშა ბრიგადირი სამართლიანი და ღირსეული კაცი იყო. თვითონაც პატიმარი, ყველა ღონეს ხმარობდა ავადმყოფი თუ ფიზიკურად სუსტი პატიმრები ნაკლებად დაეტვირთა, შედარებით მსუბუქ საქმეზე ანაწილებდა. თვითონ კი თავს ვერ მიხედა, თურმე საწყალს ჭლექმა ბოლო მოუღო. ის დღე არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვიმუშავია. პაშა დავასაფლავეთ. დღის დარჩენილ დროში ბარაკისა და ზონის დალაგება-მოწესრიგებით ვიყავით დაკავებულნი... სხვა ბრიგადებიც ასევე მუხლჩაუხრელად მუშაობდნენ „დელიანკაზე“ - ხე-ტყის დამზადების უბნებზე.

პაშას გარდაცვალების შემდეგ ბრიგადირად მე დამნიშნეს. ბრიგადირად დანიშვნა განაპირობა საქმისადმი კეთილსინდისიერმა დამოკიდებულებამ, პატიმრებზე უანგარო ზრუნვამ და თავისთავად მოხვეჭილმა უპირობო ავტორიტეტმა. მე დანიშვნის წანააღმდეგი იმთავითვე არ ვყოფილვარ, ასე უფრო ვიზრუნებდი ჩვენი ბიჭებისა და საერთოდ ბრიგადის წევრების უკეთესი, ასატანი პირობების შექმნისათვის. სანამ ვბრიგადირობდი რაიმე განსაკუთრებული არ მომხდარა, იმ საბედისწერო შემთხვევამდე, რომლის შესახებაც ვრცლად ტრილოგიის პირველი წიგნის მესამე თავშია მოთხრობილი.

მიუხედავად იმისა, რომ შრომა-გასწორების ბანაკი „მინერალნის“ ხელმძღვანელობამ საბანაკო პუნქტ „დალნის“ ადმინისტრაციის მხრიდან პატიმართა მიმართ უგულო და არაადამიანური მოპყრობა, უადგილოდ და უმიზეზოდ იარაღის გამოყენება, რასაც პატიმართა მასობრივი ხოცვა-ჟლეტა და დასხიჩრება მოჰყვა, ადეკვატურად მიიჩნიეს პატიმართა მხრიდან ბუნტისა და მასიური გაქცევის მცდელობის აღკვეთის მიზნით, შედეგად ჩინ-მედლები და სოლიდური წახალისებაც მიიღეს, სიმართლემ მაინც გაჟონა. სამართალმა მაინც პური ჭამა. სიმართლე დადგინდა. შედეგად ბანაკისა და ჩვენი საბანაკო პუნქტის მთელი ადმინისტრაცია შეცვალეს. ზოგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასაჯეს, ზოგიც სამსახურიდან დაითხოვეს ან სხვაგან გადაიყვანეს.

ახალი ადმინისტრაციის წარმომადგენლები შედარებით ლოიალურები და დამთმობნი ჩანდნენ. პატიმრების მიმართ მეტ ყურადღებასა და თანადგომას იჩენდნენ. ამას ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ შრომა-გასწორების ბანაკი „მინერალნის“ ხელმძღვანელად დანიშნეს მეურნე კაცი - ადმინისტრაციული სამსახურის პოლკოვნიკი ხალეევი.

1948 წლის შემოდგომის მიწურულს, ზონაში ჩოჩქოლი ატყდა. ბანაკის ადმინისტრაციის სარევიზიო კომისია პოლკოვნიკ ხალეევის ხელმძღვანელობით ჩვენს ზონას ეწვევაო. ხეტყის დამამზადებელ სამუშაოებზე დროებით აღარ გავუყვანივართ. ვემზადებოდით სარევიზიო კომისიის დასახვედრად. ფართო ასპარეზი დაეთმო ბარაკების, ადმინისტრაციის შენობის, დაცვის ყაზარმებისა თუ სხვა დამხმარე და სამეურნეო სათავსოების შეკეთებასა და მოწესრიგებას.

საღამო ჟამს კონტროლიორმა მიხმო და საბანაკო პუნქტის უფროსთან წამიყვანა. პუნქტის უფროსი მაიორის ჩინით იყო. საშუალოზე მაღალი, სპორტული აღნაგობის, ცივი გამოხედვით. კონტროლიორმა უფროსის კაბინეტში შემაცილა, თვითონ კი ჩაკეტილ კარის მიღმა დარჩა. მაიორი მასიურ სამუშაო მაგიდას მიმჯდარი, რაღაც ქაღალდებს ქექავდა. მე ოთახის შუაგულში გავჩერდი და ცნობისწადილით შეპყრობილი ოთახის სერვისს ვათვალიერებდი. როგორც იქნა მოიცალა ჩემთვის:

ეროვნული ბიბლიოთეკა

- მაშ თქვენ ხართ პატიმარი ვამეხ ბაქრაძე, მეტსახელად „იღბალა“? - ბოლო სიტყვა დამარცვლით წარმოთქვა და მზერა მომაბჯინა. განა პირველად ვიყავი უფროსობასთან გასაუბრებაზე, გულგრილად ვუპასუხე:

- გახლავართ „მოქალაქე უფროსო“...

- არ გინდა ტუნგუცობა და ციხეებში მიღებული „ფამილიარობა“, შენ ასაკიანი და გამოცდილი კაცი ხარ. სერიოზული ბრალდებით კი ხარ გასამერთლებული, ვენდოთ ამ საბრალდებო დასკვნას?

- „ტროიკამ“ ენდო და ოცი წელიც გამომიწერა...თქვენი ნებაა. რა აზრი აქვს თავის მართლებასა თუ წუწუნს, - ვთქვი და გავჩუმდი.

- მესმის შენი. რას იზამ, მოცემულობა გასაგებია. ერთი ეს მითხარი, თბილისში, ორთაჭალის ციხეში ავეჯის საამქროში ბრიგადირად მუშაობდი, კონკრეტულად რა ხელობას ფლობ?

- მე დურგალი ვარ. საცხოვრებელი და საყოფაცხოვრებო დანიშნულების შენობა-ნაგებობათა ოსტატი. თბილისის ციხეში კი ავეჯის საამქროში ახალი ხელობაც ავითვისე.

- ძალიან კარგი. ადმინისტაციისა და ბადრაგის ჯარისკაცებისთვის განკუთვნილი აბანო, ეგრეთ წოდებული „პარილკა“ (ორთქლის აბანო) სიძველის გამო სავალალო მდგომარეობაშია. შეძლებ ახალი ააშენო?

- თუ მეყოლება თანაშემწეები, სათანადო მასალა, რა პრობლემაა! - ხმაში აღტაცებაც კი დამეტყო, ეტყობა იმის გააზრებამ გამამხნევა, რომ ტყე-ღრეში ხეტიალსა და მძიმე სამუშაოებს გადავრჩებოდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

- მაშ ასე, „ფარტოვი“ (ქართულად - „იღბალა“) დღეიდან სამშენებლო ბრიგადას ჩამოაყალიბებ და შენვე უხელმძღვანელებ. თანაშემწეები თვითონ შეარჩიე, ოღონდ შრომისუნარიანი და კეთილსინდისიერი ხალხი.

- უფროსო, ერთი თხოვნა მექნება, ოღონდ თავის გაყადრებასა და თავხედობაში ნუ ჩამომართმევთ. საქართველოდან მოყოლებული, ექვს თანამემამულესთან ერთად ვიხდი სასჯელს, ზოგიერთებთან ერთად ავეჯის საამქროებშიც ერთად ვმუშაობდით და ხე-ტყის დამამზადებელ ბრიგადაშიც, აქაც ნუ დაგვაშორიშორებთ. თავის მხვრივ პირობას ვდებ, რომ ჩვენი მხრიდან რამე დარღვევას თუ გადაცდომას ადგილი არ ექნება! - ვთქვი და ცოტა ემოციურად წამოვენთე.

- უბრალო აბანოს მშენებელთა ბრიგადაში შვიდი კაცი?! ბევრი არ იქნება? - გაკვირვებულმა უფროსმა თავი გააქნია და ალმაცერად შემომხედა.

- მართალი ბრძანდებაა. რუსული აბანოს ასაშენებლად შვიდი კაცი მართლაც ბევრია, მაგრამ ეს ხომ დასაწყისია. ჩვენ უფრო სერიოზული შენობა-ნაგებობის აშენებასაც შევძლებთ...

- მართალი ხარ. ბანაკის ადმინისტრაცია, ცენტრალური ხელისუფლების განკარგულებით, რიგ ღონისძიებებს გეგმავს პატიმრების, განსაკუთრებით კი სპეცკონტიგენტის ცხოვრებისა და მუშაობის პირობების გასაუმჯობესებლად. ისე ყველაფერი თქვენზეა დამოკიდებული. ვნახოთ ჯერ აბანოს მშენებლობას როგორ გაართმევთ თავს.

მე კიდევ ერთხელ დავუდასტურე ჩვენი მზადყოფნა, თანაც სანდომიანი და მრავლისმეტყველი მზერა მის უკან ჩამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიდულ დიდი ბელადის - სტალინის პორტრეტს მივაპყარი. ალბათ, უფროსმა მიმიხვდა ჩემი ნააზრევი!.. წამოდგა. შეტრიალდა, ისიც უსიტყვოდ მიაჩერდა სტალინის პორტრეტს და საბოლოო გადაწყვეტილების ნიშნად ხელი მოიქნია:

- ზოგადად ქართველებს ვაფასებ და ვენდობი. სიტყვის ხალხი ხართ, პატიოსანი და მოწესრიგებულნი, შრომისმოყვარე... იყოს ასე. ხვალიდან მშენებელთა ბრიგადა ჩემი თანაშემწის, კაპიტან სოლოვიოვის განკარგულებაში იქნება, ის იზრუნებს საჭირო მასალების, იარაღ-მოწყობილობებით მომარაგებასა და მუშაობის სათანადო პირობების შესაქმნელად, - თქვა და ხელით კარისკენ მანიშნა, რაც აუდიენციის დასასრულს ნიშნავდა.

ბარაკში გახარებული დავბრუნდი. შემოვიკრიბე ჩემი მეგობარი ქართველი პატიმრები და ახალი ამბავი ვახარე. დანარჩენი პატიმრების რეაქცია სათანადო იყო - ზოგს ჩვენი სამუშაო გულწრფელად გაუხარდა, ზოგს შეშურდა კიდეც, ზოგი კი გულგრილად შეხვდა, მათ უჩვენოდაც თავიანთი საზრუნავ-საფიქრალი ყოფნიდათ...



ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი XIX

მშენებელთა ბრიგადა

მეორე დღეს უთენია კაპიტანმა სოლოვიოვმა მიხმო. სამშენებლო მოედანზე გამიყვანა და სამუშაოთა მოცულობა გამაცნო. კერძოდ: ძველი ნაგებობა უნდა დაგვეშალა, რაც გამოდგებოდა საშეშედ გადაგვეწყო, უვარგისი კი იქვე შამბნარში გადაგვეყარა, მის ადგილას კი, მის მიერ მომზადებული ნახაზით, აბანო-საუნის ახალი შენობა აგვეგო. მასალას და საჭირო ინვენტარ-იარაღებს, რომლის ჩამონათვალიც მე წინასწარ თადარიგიანად მოვამზადე, უახლოეს მომავალში ბანაკის ცენტრალური ბაზიდან გამოიწერდა.

ბიჭებს გამოცოცხლება დაეტყოთ, შემართებაც იგრნობოდა. სად მშენებლობა და სად ტაიგაში ხე-ტყის დამზადება!.. სადილის შემდეგ ძველი აბანოს დაშლას შევუდექით. ბიჭებს წინასწარ ავუხსენი, რომ კეთლისინდისიერი, მუყაითი შრომაა საჭირო. ისიც განვუმარტე, თუ ბანაკის ადმინისტრაციის ნდობას მოვიპოვებთ, ბანაკის ცენტრალურ ოფისში, დაბა ინტაში გადაგვიყვანენ. ამით, ჯერ ერთი, არაადამინაურ პირობებში ხე-ტყის დამამზადებელი სამუშაოებიდან საბოლოოდ თავს დავაღწევდით, მეორეც და მთავარი, შრომის ანაზღაურება საგრძნობლად მოგვემატებოდა. ეს კი თავისთავად გულისხმობდა კვებისა და საყოფაცხოვრებო პირობებს მკვეთრ გაუმჯობესებას. ჩვენი მიზანი კი ერთი იყო: ფსიქოლოგიურად და ზნეობრივად არ გავმტყდარიყავით, შეგვენარჩუნებინა

ჯანმრთელობა და საღ-სალამათები დავბრუნებულვიყავით სამშობლოში.

ბევრი რომ არ გავაგრძელო, აბანოს შენობა და სათავსოები, მართლაცდა შესაშური ლაზათითა და სისადავით გამორჩეული გამოგვივიდა, რის გამოც ზონის ხელმძღვანელობის შექება და წახალისებაც კი დავიმსახურეთ. სარევიზიო კომისიის ჩამოსვლამდე შევაკეთეთ და კეთილმოვაწყეთ სამედიცინო პუნქტი და ზონის სამზარეულოს სათავსოები. განსაკუთრებული ზედამხედველობის ქვეშ მოგვიწია ზონის ადმინისტრაციული შენობის შეკეთება-კეთილმოწყობა. აბანოსა და სხვა სათავსოებთან ერთად ადმინისტრაციის შენობაც მშვენიერი უნდა ყოფილიყო. ერთი სიტყვით, ჩვენი ნაშრომით ზონის ხელმძღვანელობა კმა-ყოფილებას არ მალავდა.

როგორც იქნა დადგა სარევიზიო კომისიის მოსვლის დღეც. პატიმრები ბარაკებიდან გამოგვრეკეს, ზონის მოედანზე ორ მწკრივად მოგვაწყეს და ბადრაგის მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ, ბანაკის ხელმძღვანელობას წარგვადგინეს. კომისიის მუშაობის პერიოდში ტაიგაში სამუშაოებზე არ გავუყვანივართ. ბარაკებში ვისხედით და კომისის მითითებისამებრ ვმოქმედებდით.

კომისია ხუთი დღის განმავლობაში მუშაობდა. შედეგების შეჯამების შემდეგ კი მაიორმა ხელმძღვანელობა აბანოში მიი-წვია. რა თქმა უნდა აბანო-საუნა ქეიფის გარეშე სად გაგო-ნილა!.. აბანოს შენობა, სათავსოები და ინვენტარი პოლკოვნიკ ხალეევს მოსწონებია და უკითხავს: ვისი ნახელავიაო? მაიორს

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი მოუწონებია - ჩვენი ბრიგადისო. შეზარხოშებულმა პოლკოვნიკმა ხალეევმა ჩემი ნახვა მოინდომა. მეც სასწრაფოდ წარმადგინეს და საგანგებოდაც გამათრთხილეს, უფროსობის წინაშე წესიერად მოვქცეულიყავი. პოლკოვნიკმა მუშტრის თვალით გამზომ-ამწონა, მასთან მიხმო, წახალისების მიზნით მხარზე მომითათუნა და ჩაიბუხუნა:

- ყოჩაღ ქართველებო, ბეჯითი და მუყაითი ხალხი ყოფილხართ, ასეთი გულმოდგინებითა და სიმშვენიერით შესრულებული საქმე, მით უმეტეს პატიმრების მიერ, ჯერ არ მინახავს, ყოჩაღ! - არაყის ბოთლს წვდა, მოზრდილი ჭიქა რიხით პირთამდე შეავსო და გამომიწოდა, - აბა დაილოცეო. თითქმის ხუთი წელია პატიმარი ვარ, სპირტიან სასმელს ვინ გამაკარებდა, ჯერ შემეშინდა, ამდენი არაყი ერთდროულად როგორ უნდა დამელია, მაგრამ ქართველი კაცის სიამაყემ და თავმოწონების ალღომ თავისი გაიტანა. ჭიქა ერთი გაქნევით გამოვცალე, ულვაშებზე ხელი დავისვი და მაიორის მოწოდებული დამწნილებული კიტრი მადიანად ჩავახრამუნე. პოლკოვნიკს ესეც მოეწონა. მასთან მიხმო, მხარზე ხელი მომითათუნა და ყველას გასაგონად განაცხადა:

- ქართველების სამშენებლო ბრიგადა ხვალიდან ბანაკის კომენდანტის განკარგულებაში დაბა ინტაში გადაიყვანეთ, იქ გადავწყვეტთ სად და როგორ გამოვიყენოთო. კიდევ უნდოდა არაყის შემოთავაზება, მაგრამ მე თავაზიანად ვივუარე, დიდი ხნის თავშეკავების შემდეგ, ამდენი არაყი წამახდენს,მეთქი. ჩემი თავმდაბლობა ენიშნა, პოლკოვნიკმა კარისკენ ხელით

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანიშნა - თავისუფალი ხარო, თვითონ კი მეინახეებს მიუბრუნ-და.

შეზარხოშებული და ახალი ამბით გახარებული, პირდაპირ ბარაკში გავქანდი და ქართველებს გავანდე ეგზომ სასიამოვნო ამბავი. მართალია, პატიმრის მძიმე ხვედრს და ბედს ვერსად გავექცევთ, მაგრამ შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების საგრძნობი გაუმჯობესა გვექნებოდა. რაც დიდ ფასად ღირდა.

მეორე დღეს, პირობისამებრ, ჩვენი ბრიგადა პატიმრის მწი-რი ბარგი-ბარხანით სატვირთო მანქანის ძარაზე ორი მებად-რაგის მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ დაბა ინტისკენ მივე-ქანებით.

ინტის განსაკუთრებული დანიშნულების შრომა-გასწორების ბანაკი „მინერალნის“ კომენდატურა განთავსებულია დაბა ინტის რკინიგზის სადგურის მიმდებარედ. ბანაკის კუთვნილი მთელი ტერიტორია შემოზღუდულია მავთულხლართებით მასიური ჭიშკრებითა და ერთსართულიან ნაგებობაში გან-თავსებული საკონტროლო-გამშვები პუნქტით. დაცულ სივრ-ცეში, გარდა ბანაკის ადმინისტრაციულ-სამეურნეო შენობა-ნაგებობებისა, აქვეა წყვილი მავთულხლართებით შემოზ-ღუდული, ტრადიციისამებრ მართკუთხედის ფორმის, კუთ-ხეებში ბადრაგის კოშკურებით, საბანაკო პუნქტი. ზონის ტე-რიტორიაზე კომპაქტურად, ერთმანეთის პარალელურად გან-ლაგებულია რამდენიმე ტიპური ერთსართულიანი ჯარგვალა ყავრით დახურული ბარაკები. ზონის მეორე მხარეს გან-ლაგებულია ეგრეთ წოდებული სამრეწველო ზონა, სადაც ცალკ-ცალკე ნაგებობებში განთავსებულია სხვა და სხვა სახე-

ლოსნო, სამრეწველო საამქროები, სამეურნეო საწყობები, ლაზარეთი, პატიმართა და მოსახურე პერსონალისთვის განკუთვნილი აბანოები, სამრეცხაო, ცენტრალური გათბობის საქვაბე და სხვა. სახელოსნოების რიგში ერთ-ერთი ჩვენი სადურგლო-სამშენებლო სახელოსნოა. ამ სახელოსნოში მომუშავე პატიმრები ცალკე ბარაკში ვცხოვრობთ. მშენებელთა ბრიგადასაც გამოგვიყვეს ცალკე სათავსო, სადაც სამშენებლო ინვენტარ-იარაღებსა და მოწყობილობებს ვინახავდით. რამდენიმე დღეში ტანისამოსისა და ჭურჭლეულის კარადები, ტახტი, მასიური მაგიდა და სკამები შევმატეთ. ერთი სიტყვით შეძლებიდაგვარად მოვეწყეთ.

მგონი დროა გაგაცნოთ „ჩემი“ ქართველები...

როსტომ მგალობლიშვილს უკვე იცნობთ.

მუხრან რჩეულიშვილი თბილისელია. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი. ქართული ლიტერატურისა და საქართველოს ისტორიის ცნობილი მკვლევარი. 1941 წლის შემოდგომის მიწურულს, ერთ წვიმიან ღამეს, პირდაპირ ოჯახში აიყვანეს. დააპატიმრეს. ბრალად დასდეს ანტისაბჭოთა აგიტაცია-პროპაგანდა, ხალხის მტრის იარლიყი მიაწებეს და 18 წელი მიუსაჯეს. თბილისში, ორთაჭალის ციხეში იხდიდა სასჯელს. ერთად ვმუშაობდით ავეჯის საამქროში. ერთხელ დრო ვიხელთე და მუხრანს ვკითხე, თუ რაში მდგომარეობდა მისდამი ინკრიმინირებული ანტისაბჭოთა აგიტაცია-პროპაგანდა. მუხრანი ჩაფიქრდა, მრავლისმეტყველი მზერა მომაბჯინა და საინტერესო მონოლოგის თანაზიარი გავხდი: თუ შენი სამშობლო, ქართველი ერი, მისი ისტორია, ენა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტერატურა განსხვავებულად გიყვარს, მისი კვლევა-ძიების, შესწავლისა და გავრცელებისთვის შრომობ ეს ნაციონალიზმია?! თუ გინდა, რომ ქართველი სტუდენტი-ახალგაზრდობა ძირეულად იცნობდეს და სწავლობდეს საქართველოს ისტორიას, ქართულ ლიტერატურასა და მართლმადიდებლურ ჰაგიოგრაფიას, ეს ნაციონალ-ექსტრემიზმია? ქარველ სტუდენტ-ახალგაზრდობაში თუ ეროვნული იდეოლოგიისა და საქართველოს - ჩვენს დედასამშობლოს სიყვარულის შესწავლა-გაღვივება საშიში სახელმწიფოს ძირგამომთხრელი ტენდენციურობაა, ნაციონალისტური და ანტისაბჭოთა აგიტაცია-პროპაგანდაა, მაშინ რაა პატრიოტიზმი და სამშობლოს ერთგულება? თუ ქვეყანა - სამშობლოს ისტორიისა და ტრადიციების მცოდნე და ერთგული ადამიანი საშიშია, მაშინ ვინაა სანდო და მისაღები?! თუ მშობლიური ერისა და სამშობლოს სიყვარული და მისი ისტორიისა და დღევანდელობის სწორი გააზრება ხალხის მტრობაა? მაშინ რაა მოკეთეობა და მამულიშვილობა?! - მხოლოდ ესაა ჩემი დანაშაული, ჩემო ვამეხ, - თქვა მუხრანმა და მწარედ ამოიოხრა.

გოდერძი ამაშუკელი ქუთაისელია. ქუთაისის ერთ-ერთი ქარხნის მთავარი ინჟინერი იყო. დაადანაშაულეს საბოტაჟში, რაც გულგრილობასა და საქმისადმი ზერელე დამოკიდებულებაში გამოიხატებოდა, რის შედეგადაც ქარხანამ დიდი რაოდენობით წუნიანი პროდუქცია გამოუშვა. არადა ამის მიზეზი ქარხნის დირექტირი იყო, რომელსაც გამოშვებული პროდუქციის ხარისხი სულაც არ ანაღვლებდა. ოღონდ საწარმოო გეგმა წარმატებით გადაეჭარბებინა და სათანადო პატივი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩინ-მედლები მიეღო... რევიზიისას კი ყველაფერი მთავარ ინ-ჟინერს გადააბრალეს, აქაოდა გულგრილობა და საქმისადმი ზერელე დამოკიდებულება - შეგნებული საბოტაჟის გამოვლი-ნებააო, ვინაიდან ის ნაციონალისტურად განწყობილი ძალების გულშემატკივარი და თანამოაზრეაო... საბოლოო ჯამში, 1942 წლის დამდეგს პატიმრობა 17 წლით „გამოუწერეს“ და „ხალხის მტრის“ იარლიყიც საგულდაგულოდ მიაწებეს. თბილისში, ორთაჭალის ციხეში ერთმანეთს ვერ ვიცნობდით. პირველად ეტაპირებისას, ვაგონში შევხვდით ერთმანეთს. იქ დავმეგობრდით.

მალხაზ ჩოჩიშვილი გორელია. ალალო, მშრომელი კაცი. დაპატიმრებამდე გორის რაიონის ერთ-ერთი სოფლის კოლ-მეურნეობის მეცხოველეობის ფერმის გამგედ მუშაობდა. მუ-ყაითი და გამრჯე, მზრუნველი მეოჯახე და გულკეთილი, ჭირისა და ლხინის გამზიარებელ-გამნაღლებელი მეზობელი იყო. კოლმეურნეობას ცხვარი ჯავის რაიონში, როკის უღელ-ტეხილის მიმდებარე საზახულო საძოვრებზე დაუდიოდა. 1943 წლის ზაფხულის მიწურულს, ოსეთიდან გადმოსულმა ბანდამ მწყემსების სადგომი დაარბია, მწყემსები დახოცეს, სადგომი გადაწვეს და ცხვრის ფარა გაიტაცეს. მალხაზი იმ დროს პირად საქმეზე ქალაქ გორში იმყოფებოდა. ხელისუფლებისა და სამართალდამცავი ორგანოების მაღალჩინოსნებს უშუალო დამნაშავეები უნდა ეპოვნათ და სათანადოდ დაე-საჯათ. სამი მწყემსის დაღუპვასა და ფარის უგზო-უკვლოდ გაუჩინარებას ვინ აპატიებდა, მათი თავები „დაგორდებოდა“. საჭირო იყო „წვრილფეხობის“ შეწირვა. მათაც არ დააყოვნეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოლმეურნეობის თავმჯდომარე და ფერმის გამგე გაწირეს. საქმე შეუთითხნეს მავნებლობისა და სოციალისტური ქონების განზრახ გაუფრთხილებლობისა და განიავების მუხლით, დანაშაულს ამძიმებდა ადამმიანთა მსხვერპლი. ერთი სიტყ-ვით „ტროიკამ“ საველე პირობებში „სამართალი ქნა“ და სას-ჯელმაც არ დააყოვნა. მალხაზი 17 წლით გაამწესეს, კოლ-მეურნეობის თავმჯდომარეს კი სოციალური დასჯის უმაღლესი ზომა - დახვრეტა შეუფარდეს. მალხაზი გამოირჩეოდა ჯან-ღონითა და რაინდული აღნაგობით. ისიც ეტაპირებისას ვაგონში გავიცანი.

პეტრე ნაკაშიძე ბათუმელია. ადრე პირადად არ ვიცნობდი, მაგრამ მასზე ბევრი მსმენოდა. ის აჭარაში ავტორიტეტიანი და ცნობილი პიროვნებაა. ის, სხვა აჭარელ პატრიოტებთან ერ-თად 1915 და 1921 წლებში თურქთა აჭარაში შემოჭრისას, სხვა აჭარელ პატრიოტებთან ერთად, აქტიურად იბრძოდა აჭარის რეგიონის დედა-საქართველოს წიაღში დასაბრუნებლად გამართულ საომარ მოქმედებებში. მახსოვს, 1921 წლის მარტ-ში, კახაბერში გამაგრებულ თურქულ პოზიციებზე, პირველები სწორედ ნაკაშიძის მოხალისეთა რაზმის მებრძოლები შეიჭრნენ და ქართულ ლაშქარს გმირობისა და თავგანწირვის მაგალითები აჩვენეს...

პეტრე გამოცდილი სამეურნეო და ადმინისტრაციული მუ-შაკი იყო. მას სერიოზული ამაგი მიუძღვის აჭარის რეგიონში ახალი პოლიტიკური წეს-წყობილებისა და ცხოვრების დამკვიდრებაში. გასამართლებამდე მუშაობდა ბათუმის საზ-ღვაო პორტის პარტიული ორგანიზაციის მდივნად. საუბე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დუროდ, წარმატებულ ადამიანსა და ცნობილ პიროვნებას ყოველთვის ჰყავს მოშურნე და მოქიშპე... ასეთებს რა გამოლევს!.. ისიც, 1943 წლის მიწურულს, ცრუ ბრალდებით, არაკეთილმოსურნის დასმენით, თითქოსდა თანამდებობრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით, პორტის მუშებში სეპარატისტული, ნაციონალისტური იდეების გავრცელებით, ფარული საბოტაჟისა და მავნებლური ქმედებებისაკენ მოუწოდებდა და რაზმავდა, დააპატიმრეს და საგანგებო „ტროიკამ“ 15 წლიანი პატიმრობა მიუსაჯა. ეტაპირებამდე რუსთავის ციხეში იხდიდა სასჯელს.

ალუდა ფიცხელაური ხევსურია. მუცოს ხეობის ერთ-ერთი სოფლიდან. ის ცნობილი ქართველი გენერლის ქაქუცა (ქაიხისრო) ჩოლოყაშვილის „შეფიცულთა“ რაზმის წევრი და 1924 წლის ანტისაბჭოთა, ეროვნულ-განმათავისუფლებელი აჯანყების აქტიური მონაწილე იყო. ალუდა, როგორც მთის შვილი, ჩემში განსაკუთრებულ ნდობასა და პატივს იმსახურებდა. ისიც ეტაპირებისას გავიცანი. მანამდე ხონის ერთ-ერთ ციხე-კოლონიაში იხდიდა სასჯელს. კოლონიის დაქვემდებარებაში იყო ჩაის ვრცელი პლანტაციები. ალუდას მისჯილი ჰქონდა 21-წლიანი პატიმრობა. სასჯელს იხდიდა 1932 წლიდან. ალუდას, როგორც მთის შვილს, მოსდგამს გოროზი, ამაყი ხასიათი, უმწიკვლო, ნაღდი ქართული ზნე და მორალი. ის შეუპოვარი და ერთგული, სხვისი ჭირის გამკითხავი და ქომაგი, სამართლიანი და სანდო, რაინდული სულის პატრონია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი უშუალო ხელმძღვანელი იყო კომენდანტის მოადგილე სამეურნეო-სამშენებლო დარგში, ადმინისტრაციული სამსახურის კაპიტანი სტეფანე დანილისძე დიკოევი.

კაპიტანი დიკოევი ეროვნებით კომი იყო. ტაიგის მკვიდრი და ადგილობრივი მოსახლეობის ზნე-ჩვეულებებისა და ადათწესების ზედმიწევნით მცოდნე. თბილი და უბრალო მიდგომით გამოირჩევოდა როგორც პატიმრების, ასევე ადგილობრივი მცხოვრებლების მიმართ. უყვარდა გულახდილი, გულღია საუბარი და ყოველი ჩვენგანისგანაც იგივეს მოითხოვდა. როგორც შეეძლო, ცდილობდა პატიმრის მძიმე ხვედრისა და ყოფის შემსუბუქებას, საცხოვრებელი და ყოფითი პირობების გაუმჯობესებას.

ქართველების მიმართ განსაკუთრებულ სითბოს, პატივისცემასა და ნდობას იჩენდა. შეიძლება იმიტომაც, რომ ისიც ეროვნულ უმცირესობას წარმოადგენდა და მეორეც, ალბათ სმენოდა, რომ ჩვენ, ქართველები სიტყვის კაცები ვართ, პატიოსანი და ინტელიგენტი საზოგადოება, არაკაცურს და უზნეო რამეს არ ვიკადრებდით, არც დავუშვებდით და არც ჩავიდენდით. ისიც მიხვედრილიყო, რომ პატიმრის გაუსაძლის, უმეტეს შემთხვევაში არაადამიანურ, ჯოჯოხეთურ ყოფას არ გავუტეხივართ, არ შევგუებივართ, არ დავმონებივართ ყოფით რეფლექსებსა თუ ინსტიქტებს, ერთი წუთითაც ხელები არ ჩამოგვიშვია, არც მორალურად დავცემულვართ და ფიზიკური შესაძლებლობები და ჯანის სიმრთელე შევინარჩუნეთ.

როგორც ბრიგადირს, კაპიტან დიკოევთან უშუალო კონტაქტი მე მქონდა. დავალებებსაც მე ვიღებდი. მე განათ-

ლებითა და წარმომავლობით უბრალო კაცს, ჩემს პატარა, ინტელიგენტურ საზოგადოებაში, დიდი პატივი და ნდობა მქონდა. მე ხომ მათზე ვზრუნავდი, როგორც საკუთარ თავზე. ისინიც სითბოსა და პატივს უშურველად მიბრუნებდნენ და რაც მთავარია, ჩემი სჯეროდათ, მენდობოდნენ და უპრეტენზიოდ და ვაჟკაცური შემართებით ასრულებდნენ ჩემს გულიან მითითებებსა თუ დავალებებს. ერთი შეხმატკბილებული, პატიოსანი ქართული სამეგობრო ვიყავით. ჩვენთან სიტყვასა და საქმეს ფასი ჰქონდა.

ჯერ კომენდატურის, ბანაკის ადმინისტრაციის და სამხედროთა ყაზარმების შენობა-ნაგებობების მიმდინარე შეკეთებით ვიყავით დაკავებული, შემდეგ კი დაბაში გავყავდით სხვადასხვა სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებზე. რა თქმა უნდა, ბადრაგის თანხლებით, მაგრამ დაზოგვითა და ზედმეტი სალდაფონური გამოხდომების გარეშე, რამე თუ ისინიც დარწმუნდნენ, რომ ჩვენ სერიოზული, პატიოსანი, ინტელიგენტი საზოგადოება ვართ და გაქცევის თუ სამუშაოებზე თავის არიდების მცდელობას ადგილი არ ქონდა. ჩვენ ნორმირებულად ვმუშაობდით, საგრძნობი შრომადღეებითა და ნორმალური პირობებით. ჩვენს გეგმებში დაუმორჩილებლობა, საბოტაჟი, არაკეთილსინდისიერება გამოირიცხებოდა. მალე უშაშხანოდ და უხიშტოდ მხოლოდ ერთი ბადრაგი გვაცილებდა. მართალია, დაზღვევის მიზნით, მხოლოდ პისტოლეტით შეიარაღებული.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი XX

ღვაწლმოსილი ქართველი მწერლის სვე-ბედი...

1949 წლის თებერვლის მიწურულს მორიგი დავალების მისაღებად კაპიტან დიკოევის კაბინეტში მიხმეს. კაპიტანმა, წესისამებრ თბილად მიმიღო. დაბაში ადგილობრივი თვითმმართველობის ორსართულიანი შენობის აგება გვევალებოდა. სამშენებლო პროექტი გადმომცა და მეორე დღეს ჩვენი მოსაზრებების მოსმენა ისურვა. ჩაით გამასპინძლების შემდეგ საქართველოსა და ქართველებზე ჩამოაგდო საუბარი და წუხილი გამოთქვა, რომ ბევრი გამოჩენილი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის სიცოცხლე შეიწირა ჩრდილოეთ ტაიგის სიმკაცრემ... ისიც აღნიშნა, რომ თბილ კლიმატში დაბადებულგაზრდილები ძნელად ეგუებით ჩრდილოეთის ყინვებსა და მკაცრი ყოფა-ცხოვრების პირობებსო. სხვათა შორის გაიხსენა მეგობრის ამასწინანდელი საუბარი ერთ ქართველ მწერალზე. საცოდავი ვორკუტას კატორღაში იხდიდა სასჯელს. კატორღელთა განყოფილებები 1948 წლის მიწურულიდან გაუქმდა. კატორღელები სხვა ბანაკებში გადაანაწილეს, მათ შორის ჩვენთანაცო. ეს მწერალი უკიდურესად დაძაბუნებული და ავადმყოფი ყოფილა. ამჟამად ტაიგაში ბანაკის დავრდომილთა ზონაში ღაფავსო სულს. ამ მწერლის შესახებ, საუბედუროდ გაკვრით მსმენოდა მხოლოდ, მაგრამ თანამემამულის სავალალო ყოფამ მეტად ამაღელვა. კაპიტანს სოლიდური პატივისცემა დავპირდი, თუ ჩვენთან მის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადმოყვანას შეძლებდა, მანაც მთელი გულისყურით მომისმინა და დახმარებას დამპირდა.

ერთი კვირის შემდეგ მოხერხდა თანამემამულის ბანაკის ლაზარეთში გადმოყვანა. იქ ჩვენი თანამემამულე, ჩემი მეგობარი ექიმი ზრუნავდა მასზე. ბრიგადის ბიჭები ხშირად ვაკითხავდით. სურსათი მიგვქონდა. ჩვენ თითქმის ყველა პროდუქტზე თვისუფალი წვდომა და შეძენის შესაძლებლობა გვქონდა, მათ შორის ალკოჰოლურ სასმელებზეც, მაგრამ არც ვავრცელებდით და არც ბოროტად ვიყენებდით.

ჩვენმა საყოველთაო ზრუნვამ და ინტენსიურმა მკურნალობამ შედეგი გამოიღო. ორი თვის შემდეგ, კაპიტანი დიკოევის ძალისხმევითა და მისი პირადი პასუხისმგებლობის ქვეშ ქართველი მწერალი ჩვენი ბრიგადის წევრი გახდა.

ბატონი ლევანი სულ რაღაც ორმოცდაათი წლის იქნებოდა, მაგრამ იმდენად გაჭაღარავებული და მოტეხილი იყო, რომ ღრმად მოხუცებული გეგონებოდათ. ყველა „მოხუცს“ ეძახდა.

ბრიგადაში სამუშაოთა მწარმოებლის ფუნქცია დავაკისრეთ. ყოველმხვრივ განათლებულს, ერუდირებულსა და საქმეში გამოცდილ-გამობრძმედილს არ გასჭირვებია ტიპური პროექტებისა და სამშენებლო მასალების გამოთვლა-აღრიცხვა. ფიზიკურად საერთოდ არ ვამუშავებდით. ბუნებით თავმდაბალი, მორიდებული და უპრეტენზიო კაცი იყო. სულ ერიდებოდა, როცა სამშენებლო ან ფიზიკურ სამუშოაებს ვარიდებდით, გვეუბნებოდა: ბიჭებო, ძმობას გაფიცებთ, ნუ მზოგავთ, ძალიან მეუხერხულება, ხომ გსმენიათ - ლუკმა მაშინაა გამრიელი, როცა საკუთარი ოფლითაა მოძიებულიო. მაგრამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ დონის მწერალსა და ერის ღირსეულ, ღვაწლმოსილ შვილს ვინ კადრებდა მძიმე სამუშაოების შესრულებას ან ხარაჩოებზე მოძრაობას. კაპიტან დიკოევის ნებართვითა და ხელშეწყობით საამქროში ცალკე სათავსო გამოვყეთ და სამუშაო ოთახი მოვუწყეთ. მოვამარაგეთ მწერლისთვის საჭირო საშუალებებით.

ერთ რამედ ღირდა ძილის წინ ბატონი ლევანის შეგონების მოსმენა. ჩვენ ვიყავით მისი პირველი მკითხველებიც, რეცენზეტებიცა და კრიტიკოსებიც... მისი ნაწერები ისტორიულ-პატრიოტულ თემებზე იყო მიმართული. დალოცვილი დაბალი, შთამაგონებელი ხმით წაკითხული მორიგი რომანის გმირებად გვაგრძნობინებდა თავს... მისდამი უნებურად მოკრძალებული ხდებოდი და მოწიწებით განეწყობოდი... მისი წყალობით ვეზიარეთ საქართველოს წარსულსა და აწმყოს, ქართულ ისტორიას, ჩვენი ერისა და ენის სიდიადეს, ჩვენს უძველეს კულტურასა და ქართული მორალს, ზნე-ჩვეულებებსა და ტრადიციებს... მისი დარიგებებით ვმაღლდებოდით და ვკეთილშობილდებოდით... თვითონაც ხუმრობდა: „ლევანის აკადემიის“ წარმატებული და წარჩინებული მსმენელები ხართო...

ერთ გარემოებას ვერ ვგუობდი მხოლოდ: მორიგ რომანზე მუშაობისას ან უკვე შექმნილი შედევრის ჩვენთვის კითხვისას, მოულოდნელად კითხვას შეწყვეტდა, გაირინდებოდა, ერთ წერტილს მიაპყრობდა დაღლილ, დამძიმებულ სევდიან მზერას და იმ დროს აქ, ჩვენთან აღარ იყო. ეს გარემოება გვაშფოთებდა, მისი ჯანმრთელობის გაუარესების და მეტიც, ფსი-

ქოლოგიური მდგომარეობის გართულებისა ან გადახრებისა გვეშინოდა.

ერთხელ მომენტი ვიხელთე და შევბედე კიდეც მოულოდნელი გარინდებისა და უეცრად ღრმა ფიქრთა მორევში გადაშვების მიზეზი. ბატონმა ლევანმა ღრმად ამოიოხრა, სპეტაკ, ჭაღარა თავზე და წვერებზე ხელი გადაისვა, ღაწვები მოიმჯიღა და სევდიანი, დაბალი, დანანავებული ხმით ჩაიდუდუნა:

- ეეხ ჩემო ვამეხ, ჩემს თავზე კევრით პური არ გაულეწიათ, თორემ ამ უკუღმართი, შეუბრალებელი და უსამართლო ცხოვრებისაგან ყველაფერი, ადამიანის შესაძლებელზე ბევრად მეტი, ვიწვნიე. რა ვქნა, ბავშვობიდანვე ვერ ვეგუე ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლობის ხელყოფას და წითელი რეჟიმის გაბატონებას. ჯერ კიდევ ოცდაექვსი წლისა, ძმასთანა და მეგობრებთან ერთად კოჯორსა და ტაბახმელაში ვებრძოდი ბოლშევიკებს. ვერ გავითავისე საქართველოს დამოუკიდებლობისა და ქართული სახელმწიფოს სუვერენიტეტის დაკარგვა, ვერ ვიგუე ქართველი ხალხისათვის გაუგებარი და მენტალურად მიუღებელი ბოლშევიკური რეჟიმის დამყარება. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის რიგებში შევედი და ამ პოზიციიდან ვებრძოდი ბოლშევიკურ რეჟიმს.

1924 წლის აჯანყების ერთ-ერთი მონაწილე და მებრძოლი ვიყავი. რის გამოც იმავე წლის აგვისტოში დამაპატიმრეს და მეტეხის ციხეში ჩამსვეს საბჭოთა რეჟიმისადმი მტრულად განწყობისა და აჯანყებაში მონაწილეობის გამო. მართალია, ბოლო ბრალდების დამტკიცება ვერ შეძლეს, მაგრამ ანტისაბჭოთა განწყობისთვის ექვსი თვის ვადით პატიმრობა მომისაჯეს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დილეგში გამომკეტეს. გამომძიებელ - ჩეკისტებს ხშირად დავყავდი ქალაქის კომენდატურაში. გამომძიებლები მაწამებდნენ, სხვადასხვა მაპროვოცირებელ სიტუაციებს მიქმნიდნენ, მაიძულებდნენ მეღიარებინა აჯანებაში მონაწილეობა, გამეთქვა თანამოაზრეები და თანამებრძოლეები და მიმეწოდებინა ინფორმაცია საერთოდ ქართული ანტისაბჭოთა იატაკქვეშეთის წევრებისა და მოღვაწეების შესახებ. ვერ გამტეხეს და კრინტიც ვერ დამაძვრევინეს. ექვსი თვის თავზე იძულებული გახდნენ გავეთავისუფლებინე.

ჩეკისტთა ჯაშუშებისა და მაბეზღარა-დამსმენებით გარშემორტყმულს გასაქანს არ მაძლევდნენ. ბევრს ეცადნენ, სხვა მტკიცებულებანი რომ ვერ გამომიჩხრიკეს, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრობის გამო 1925 წლის მიწურულს კვლავ დამაპატიმრეს და რუსეთში გამამწესეს. მომაშორეს საქართველოს და მშობლიურ გარემოს.

მოსკოვში, ავადხსენებულ ბუტირკის ციხეში გამომამწყვდიეს. ორი თვის კვლევა-ძიების შემდეგ გამასამართლეს და როგორც პოლიტიკური პატიმრი, იმ დროისთვის ერთადერთ პოლიტსაპყრობილეში, იმიერპოლარეთში, სოლოვეცკის კუნძულებზე გამამწესეს და გარე სამყაროსთან სრულიად იზოლირებულ გარემოში მომათავსეს. იქაური მკაცრი, არაადამიანური პირობების შესახებ თხრობით თავს არ შეგაწყენთ. ერთს გეტყვით მხოლოდ, რომ არა თანაბანაკელი ქართველი ბიჭების - პოლიტპატიმრების თანაგრძნობა და ურთიერთ თანადგომა, სოლოვციდან ცოცხალი თავს ვერ დავაღწევდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვადის მოხდის შემდეგ ოსეთში, ქალაქ ორჯონიკიძეში გადამასახლეს. ქართულ სკოლაში ვმასწავლებლობდი, ქართულ ენასა და ლიტერატურას ვასწავლიდი, იქ მცხოვრებ ქართველ გოგო-ბიჭებს. სკოლის ადმინისტრაცია და ოსეთის ავტონომიის კომუნისტური მმართველობა ვერ იგუებდნენ, რომ დედასამშობლოს მოწყვეტილ ქართველ ბავშვებს ეროვნული სულისკვეთებით ვზრდიდი, ვუნერგავდი ქართული სიტყვის მადლსა და ქართველ ბავშვებს ვაზიარებდი საქართველოს ნამდვილ ისტორიასთან. ვუღვივებდი დედასამშობლოს - საქართველოსადმი სიყვარულისა და ერთგულების დიად გრძნობებს. თავისუფალ დროს ვწერდი ნარკვევებს, ლექსებს, ნოველებსა და პიესებს.

ჩემი ნებისა და ღირსების საწინააღმდეგოდ ცხოვრება აღარ შემეძლო. გადავწყვიტე ემიგრაციაში წასვლა. იქ, საფრანგეთში, ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციასთან ერთად მეტ სიკეთეს მოუტანდი ჩემს სამშობლოსა და ერს. რაც მთავარია, თავისუფლად შევძლებდი არჩეულ საქმიანობას. კიდეც ვცადე. 1931 წლის გაზაფხულზე ორ მეგობარ-თანამოაზრესთან ერთად ბათუმში ჩავედი, მაგრამ იქაც არ გამიმართლა - თურქეთთან სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთისას დაგვაკავეს, გამასამართლეს და ხუთი წლით პატიმრობა მომისაჯეს. ჯერ ტაშკენტში, შემდეგ კი ციმბირში, ნორილსკის შრომა-გასწორების კოლონიაში ვიხდიდი სასჯელს. კოლონიის ადმინისტრაციამ კატეგორიულად ამიკრძალა წერა და ნებისმიერი სახით კალამთან შეხება. მაგრამ იქაც, ქართველი პატიმრების მეშვეობით, ვახერხებდი წერას. ჩემს ლექსებსა და მოთხრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბებს მორებში სპეციალურად მოწყობილ სამალავში ათავსებ-
დნენ და ინახავდნენ, შემდეგ კი ნაცნობების მეშვეობით მალუ-
ლად, ხე-ტყით დატვირთულ ეშელონში ათავსებდნენ და
თბილისში აგზავნიდნენ.

1936 წელს პატიმრობის ვადა ამომეწურა. საქართველოში
ჩამოსვლის უფლება მივიღე, მაგრამ თბილისში დასახლებისა
და ცხოვრების უფლება - ვერა. გამამწესეს ქვემო ქართლში.
ჯერ წალკაში, შემდეგ კი ბოლნისში დავსახლდი. იქაც სკო-
ლაში ვმასწავლებლობდი. დიდი შვება იყო, რომ შემოქმედე-
ბით საქმიანობას არ მიკრძალავდნენ. ამ საქმიანობაში მაინც
არ მზღუდავდნენ. ორი წლის შემდეგ თბილისში დაბრუნების
უფლება მომცეს. იქაც ჯაშუშების მუდმივი თვალთვალის ქვეშ
მიხდებოდა საქმიანობა.

1941 წლის 22 ივნისს ომი დაიწყო გერმანია-საბჭოთა კავ-
შირს შორის. ეს ომი შემგომში ისტორიაში შევიდა როგორც
დიდი სამამულო ომი.

1942 წლის ივლისში ფაშისტურმა გერმანიამ ჰიტლერის
ხელმძღვანელობით კავკასიისთვის გადამწყვეტი ბრძოლები
დაიწყო. გერმანიის შეიარაღებული ძალების რიგებში საბრ-
ძოლველად ქართველებსაც ამზადებდნენ. ქართულ ლეგიონ-
ში, რომელსაც პოლკოვნიკი შალვა მაღლაკელიძე მეთაუ-
რობდა, 20 000-მდე ქართველი მეომარი ირიცხებოდა.
ქართული ლეგიონი ემიგრაციაში წასული ეროვნული
გვარდიის მებრძოლებისა და ფაშისტურ ბანაკებში
მოთავსებული და შემდგომში გადმობირებული ყოფილი
სამხედრო ტყვეებისგან შედგებოდა. გერმანიის მხარეზე მყოფ

ქართველთათვის ამ ბრძოლას ორი მიზანი ჰქონდა: გერმანიისა და თურქეთის ჯარების სამხრეთ კავკასიაშია საომარი მოქმედებისას საქართველოს მოსახლეობის დაცვა და ქვეყნის აოხრება-განადგურების თავიდან აცილება და გერმანელთა მეშვეობით საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა. ემიგრანტი, პატრიოტი ქართველებისთვის ეს საქართველოს დაცვისა და დამოუკიდებლობის აღდგენისათვის წარმოებული-ბრძოლა იყო, ხოლო კომუნისტების გადასახედიდან - ღალატი და შეურიგებელი მტრობა.

ოპერაციას შორს მიმავალი მიზანი და იდეოლოგიაც ჰქონ-და. ჩრდილოეთ კავკასიაში აქტიური საბრძოლო მოქმედებე-ბისა და მიღწეული წარმატებების წყალობით გერმანიას სურდა მეორე მსოფლიო ომში თურქეთის ჩართვა. ამით ის თურქეთს არწმუნებდა, რომ საბჭოთა კავშირის დამარცხება გარდაუვა-ლია, რომ დროა საზღვრებთან მომდგარმა მილიონიანმა თუ-რქულმა არმიამ საქართველოში შემოიჭრას და დაიკავოს ამიერკავკასია.

იალბუზის დაპყრობა და კავკასიონის მთავარი ქედის გად-მოლახვა ვერმახტის 49-ე მსროლელ კორპუსს დაევალა, რო-მელსაც გენერალი კონრადი მეთაურობდა. საბრძოლო დავა-ლების მიხედვით დარტყმები უნდა განხორციელდეს:

- საქართველოს სამხედრო გზით თბილისზე;

- მამისონის უღელტეხილით, საქართველო-ოსეთის სამხე-დრო გზით, ქუთაისზე;

- კავკასიონის დასავლეთ უღელტეხილების (მარუხისა და ქლუხორის) გადალახვით სოხუმზე.

სტალინის აზრით „კავკასიონის დაკარგვა მოსკოვის აღების ტოლფასი“ იყო. ამიტომ საქართველოს მთელი რესურსი - ადამიანური და ეკონომიური, მიმართული იყო კავკასიონის ქედის დასაცავად, მტრის მოსაგერიებლად ჩრდილოეთ კავკასიაში და საქართველოს ტერიტორიაზე მტრის ჯარების შემოჭრის თავიდან ასაცილებლად. შეიქმნა არაერთი ქართული დივიზია, ჯარისკაცთა უმეტესობა ქართველი იყო. ყველა ქვედანაყოფს თუ შენაერთს ქართველი ოფიცრები და გამოცდილი გენერლები ხელმძღვანელობდნენ. კავკასიონის დაცვისა და სამხედრო მოქმედებების კოორდინაცია-ხელმძღვანელობა ლავრენტი ბერიას დაევალა.

აქ უადგილო არ იქნება გავიხსენოთ 1942 წლის 28 ივლისს იოსებ სტალინის მიერ გამოცემული N227 ისტორიული ბრძანება, რომელსაც მსოფლიო ომების ისტორიაში ანალოგი არ მოეძებნება. სტალინი ბრძანებაში მიუთითებდა: „ჩვენ არ გვაქვს ჯარისა და ხალხის უსაზღვრო გამოკვების რესურსი, ჩვენ არ გვაქვს ტერიტორია, რომელსაც საზღვარი აქვს, ჩვენი ჯარები პოზიციურად იხევდნენ უკან, მაგრამ ყველაფერს აქვს თავისი საზღვარი, ჩვენ უნდა დავიცვათ ჩვენი მიწა, ჩვენი ხალხი - არც ერთი ნაბიჯი უკან!“

საყოველთაო მობილიზაცია მეც შემეხო. მე ბავშვობიდანვე მთამსვლელობა მიტაცებდა. ამ სარბიელზე საკმაო წარმატებებსაც მივაღწიე. თბილისის გარნიზონის სამხედრო ხელმძღ-

ვანელობამ ჩემი მთამსვლელობის გამოცდილება გაითვალისწინა და ალპინისტთა საგანგებო რაზმში ჩამრიცხეს.

1942 წლის ზამთარში კავკასიის მთებიდან საქართველოში გერმანელ დივერსანტთა გადმოსვლა გახშირდა. მათ წინააღმდეგ ხელისუფლებამ და სამხედრო სარდლობამ ალპინისტები დარაზმა. ჩვენმა მთამსვლელთა რაზმმა არარერთი დივერსანტი გამოავლინა და დააკავა.

ერთხელ რაზმმა დავალება მივიღეთ - უნდა შეგვეპყრო მტრის ერთი მზვერავი. მამისონის უღელტეხილის მისადგომებთან მტრის მზვერავს ორი დღე ველოდით. დივერსანტი გამთენიისას გამოჩნდა. ალპინისტები მოულოდნელად დავესხით, დავაკავეთ და იარაღი ავყარეთ. დივერსანტი ჩემი ბავშვობის მეგობარი აღმოჩნდა, რომელთან ერთად ოდესღაც კავკასიონის მწვერვალებს ვლაშქრავდი. ჩემი სიყრმის მეგობარი ომის დასაწყისშივე ტყვედ ჩავარდნოდა გერმანელებს, შემდეგ კი გერმანალებმა ჯაშუშობა აიძულეს. ჩემი თხოვნით რაზმის წევრებმა მისი გათავისუფლება ერთხმად გადაწყვიტეს. მეგობარს პირობა დავადებინე, რომ ის საქართველოში აღარასოდეს დაბრუნდებოდა. იარაღი დავუბრუნეთ და უკან გავისტუმრეთ.

გავიდა ოთხი წელი. სიყრმის მეგობარი სამშობლოში დაბრუნდა. ერთ-ერთ წვეულებაზე, შეზარხოშებულმა, მთაში გადახდენილი ამბავი პირწმინდად და დაწვრილებით მოჰყვა. ამის შესახებ ვიღაცამ სახელმწიფო უშიშროების სამსახურს შეატყობინა და 1946 წლის ზაფხულში ისევ დამაპატიმრეს. ამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯერად სამშობლოს ღალატის ბრალდებით 10 წელი მომისაჯეს და ვორკუტაში კატორღულ სამუშაოებზე გადამასახლეს.

ვორკუტის შრომა-გასწორების ბანაკში, კატორღულ სამუშაოთა სპეციალურ ქვეგანყოფილებაში არაადამიანური პირობები იყო გამეფებული. კატორღელების სიცოცხლე სახელმწიფოს ჩალის ფასადაც არ უღირდა. კატორღელთა ნაწილი რკინიგზის მშენებლობაზე, ნაწილი კი ქვანახშირის მომპოვებელ მაღაროში მუშაობდნენ. იქ, ქართველი გავლენიანი პატიმრების ძალისხმევით, ერთ-ერთ მაღაროში ელექტრიკოსის თანამდებობაზე გამამწესეს. ქაღალდი და საწერ-კალამი არ ინახებოდა. პატიმრების ნაწილი ხან მუყაოს ქაღალდს მაძლევდნენ, ზოგიც-თხელ ფიცარს. მელანი კი ტექნიკურ სპირტში გახსნილი ქვანახშირის მტვერით დამზადდა. კალამი კი ძვლიდან გამოვთალეთ. მაღაროში სამწერლობო საქმიანობისათვის სამუშაო პირობები რომ შემექმნა, ასეთ ხერხს მივმართე: მაღაროში, მაღალი ძაბვის ელექტროტრანსფორმატორი და მიმდებარე ტერიტორია, სადაც ელექტრომექანიკოსად ვმუშაობდი, ეკლიანი მავთულით შემოვღობე, გარედან მაღალი ძაბვის გამაფრთხილებელი წარწერა გავუკეთე, ტრანსფორმატორის გვერდზე ორმო გავჭერი და შიგ მჯდომი არხეინად ვწერდი, სხვები, მათ შორის ინსპექტორ-ზედამხედველები, შემოსვლას ვერ ბედავდნენ. დროთა განმავლობაში, რეჟიმი საგრძნობლად შესუსტდა, შესაძლებელი გახდა მუყაოს ქაღალდზე და თხელ ფიცრებზე ნაწერი თაბახის ფურცელზე გადამეტანა, რასაც მთელი თვე მოვანდომე. მოგვიანებით, ერთ-ერთი სასჯელმოხდილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეგობრის მეშვეობით, ჩემი რომანის თბილისში გადაგზავნა მოხერხდა.

1948 წლის გაზაფხულზე ცენტრალური ხელისუფლების ბრძანებით, მთელი ქვეყნის მაშტაბით კატორღულ სამუშაოთა სპეციალური ქვეგანყოფილებები დაიხურა. ასეთივე ბედი ეწია ვორკუტის შრომა-გასწორების ბანაკის კატორღულ სამუშაოთა ქვეგანყოფილებას. ლიკვიდაციის შემდეგ 200-მდე კატორღელი გადმოგვიყვანეს ახლადშექმნილ ინტის საგანგებო დანიშნულების ბანაკში, კოჟვინის რაიონის ტერიტორიაზე ვრცელ ტაიგაში განთავსებულ ერთ-ერთ საბანაკო პუნქტში, რომელიც სამშენებლო და სარეწაო ხე-ტყის დამზადებაზე სპეციალიზირდებოდა. ჯანგამტყდარი, საბოლოოდ მისავათებული, უკიდურესად დასნებოვნებული, უიმედოდ დაავადებული, დისტროფიის თვალშისაცემი ნიშნებით, სიკვდილ-სიცოცხლის სარეცელზე მიჯაჭვული თქვენ შემოფარეთ!..

თავი XXI

ქალი - სამლოცველო...

კაპიტანი სტეფანე დიკოევი და მე დავმეგობრდით. ერთხელ სამუშაო კაბინეტში მიხმო და ერთი დელიკატური დავალება მომცა, უფრო პირადი თხოვნა იყო: დაბაში მისი დის სახლის სახურავი უნდა შეგვეკეთებინა. იგი ქვრივი იყო და ცალკე ცხოვრობდა დედასთან და პატარა ქალიშვილთან ერთად. ქმარი ადრე გარდაცვლობა. კაპიტნის და - ნადეჟდა დანი-

ლოვნა დაბის სავაადმყოფოში ექიმ-თერაპევტად მუშაობდა. მე საწინააღმდეგო რა მქონდა. ორი დღის შემდეგ კაპიტანმა ისევ მიხმო. გადაწყდა, მე და როსტომი ვიმუშავებდით ნადეჟდას სახლზე, ბრიგადის დანარჩენი წევრები კი პეტრე ნაკაშიძის ხელმძღვანელობით ძირითად სამუშაოს გააგრძელებდნენ. კაპიტანმა ერთი სასიკეთო საქმეც გამიკეთა: როგორც უკვე სანდო და ავტორიტეტიან პატიმარს, სამშენებლო - სარემონტო ბრიგადის ბრიგადირსა და მის ერთგულ მეგობარს დაბაში გასვლისა და თავისუფალი გადადგილების ნებართვა გამიჩალიჩა, ესე იგი თავისუფალი საშვით მომამარაგა. დილის 10 საათიდან საღამოს 9 საათამდე შემეძლო ნებისმიერ დროს დამეტოვებინა ზონის ტერიტორია და დაბის ადმინისტრაციის ფარგლებში თავისუფლად მემოძრავა. შეზღუდვები ვრცელდებოდა საგანგებო სიტუაციების ან საგანგაშო შემთხვევების დროს. ასევე, ერთჯერადი ჯგუფური საშვით, ნება მეძლეოდა დაბის ტერიტორიაზე ჩემი ბრიგადის წევრები სამუშაოზე გამეყვანა, რა თქმა უნდა, ბადრაგის გარეშე, პირადი პასუხისმგებლობის ქვეშ.

ნადეჟდა დანილოვნას ოჯახში თავად კაპიტანმა მიგვაცილა. დედა, დიდმამიშვილი გაგვაცნო და ამცნო, რომ სახურავის შეკეთების სამუშაოებს ჩვენ შევასრულებდით. სამშენებლო მასალა, საჭირო ხელსაწყოები უკვე მოემარაგებინათ. ჩაითა და ტკბილეულით გამასპინძლების შემდეგ კაპიტანი დიკოევი კომენდატურაზე დაბრუნდა, ჩვენ კი საქმეს შეუდექით. მართალია, ჩვენ მშრალი ულუფა თან გვქონდა, მაგრამ ვინ დაგანება - ვალია დეიდამ (თვითონ გვთხოვა ასე მიგვემართა)

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადღესწაულო სუფრის დარი სადილი გაგვიწყო. ნადეჟდა დანილოვნა სამსახურში იყო, მისი 5 წლის ქალიშვილი, ტანია კი - საბავშვო ბაღში. სადილობის შემდეგ ისევ გავაგრძელეთ სახურავის შეკეთება. სახლს უკაცობა თვალშისაცემად ემჩნეოდა. სახურავის გარდა ფანჯრები, დარაბები, კიბის საფეხურები, აივნის მოაჯირი და ოთახებში განთავსებული ავეჯეულობაც კი დიდი ხანია შეკეთებასა და განახლებას მოითხოვდა. როსტომის წინადადებით გადავწყვიტეთ უსასყიდლოდ შეგვეტანა ჩვენი წვლილი სახლისა და სამეურ-ნეო სათავსო-ნაგებობების გაკეთილშობილებაში.

საღამოს ხუთი საათისთვის დღის სამუშაოებს მოვრჩით. ხელსაწყოები სახლზე მიდგმულ საკუჭნაოში დავაბინავეთ და ის იყო ზონაში დაბრუნებას ვაპირებდით, გამოსამშვიდობებ-ლად ვალიასთან სახლში შევედით, რომ ეზოში ბავშვის მხია-რული შეძახილი და მადლიანი კისკისი შემოგვესმა. ნადეჟდა დანილოვნა და ქალიშვილი დაბრუნდნენ. ღმერთო! როგორ მომნატრებია ბავშვების ჟრიამული და მადლიანი კისკისი! ახლა ვიგრძენ, რომ ციხესა და ზონებს ვერ გავუტეხივარ, ვერ ჩაუკლავთ სიხარულისა და მშვენიერების შეგრძნებისა და აღქ-მის უნარი! ტანიას მადლიანმა კისკისმა და ტიტინმა, წამით საქართველოში გადმომისროლა, ჩემს ოჯახში, მის ადგილას ჩემი ბიჭები წარმოვიდგინე და სასიამოვნოდ გამაჟრჟოლა. მაგრამ ეს მხოლოდ წამით... პატიმრის ყოფა და ყველაფერი მშობლიურის გაუსაძლისი მონატრება ულევ და უშრეტ დარ-დად და კაეშანად მოეფინა ჩემს გრძნობა-გონებას. უმწეობამ და მწარე რეალობის აღქმამ უფრო დამთრგუნა. ფანჯრიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკიდეგანო, ერთფეროვან ტაიგას მივაჩერდი და მზერა გამეყინა. ამასობაში დედაშვილი ოთახში შემონიავდნენ! ნადეჟდა დანილოვნამ თავაზიანად და მოწიწებით მოგვესალმა და მეორე ოთახში გავიდა. პატარა ცუგრუმელამ მორიდებით გვეამბორა და ტახტზე ჩამოჯდა. ონავარმა წყნარად ჯდომა დიდხანს ვერ შეძლო, ჯერ ფეხების ბაკუნს მოჰყვა, შემდეგ ჯიქურ წამოჭრა, ცოტა გაკვირვებულმა და შეცბუნებულმა ცნობისწადილის დაკმაყოფილება სცადა:

-ბებო, ბებო ეს ბიძები ვინ არიან, ჩვენთან რატომ მოვიდნენ? - ბებია ვალიამ ტანია ხელში აიტაცა, მოეფერა და დაუყვავა:

-ნუ გეშინია შვილო, ესენი კეთილი ბიძები არიან, შენ არაფერს დაგიშავებენ, პირიქით ჩვენი სიკეთე უნდათ, სახლის სახურავს შეაკეთებენ, წვიმა აღარ შეგვაწუხებს.

-აა, გასაგებია, კეთილი ბიძიები არიან?! მინდა გავეცნო, - წკრიალა ხმით დაიტიტინა და ბებოს იატაკზე ჩამოსმა თხოვა. ბებომ ტანია ჩამოსვა. პატარამ თმა შეისწორა, მხრები გაშალა და:

-მე ტატიანა დიკოევა ვარ, თქვენ? მე და როსტომმა ერთმანეთს გადავხედეთ. გვესიამოვნა პატარას გამბედაობა და ხალისიანი შემართება. როსტომმა ტანიას დასწვდა, უძვირფასესი არსება ხელში აიტაცა, მადიანად ჩაკოცნა და მოწყლიანებული თვალები ამარიდა.

- მე ბაბუა როსტომი დამიძახე პატარავ! - და ისევ ჩაკოცნა-ჩაიკონა ტანიუშა. არ ემეტებოდა მოსაშორებლად. მე რიგს ველოდი. მოფერებასა და ამბორს მოყირჭებულმა, როგორც იქნა იკადრა ბავშვის ჩამოსმა. ახლა მე ავიტაცე. საოცარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სითბო და მშობლიურობის განცდა დამეუფლა. ჩემი პატარა ბიჭიც ხომ ამისტოლა იქნებოდა, ჩეკისტებმა რომ მკერდიდან მომგლიჯეს... გრძნობამორეული და თვალცრემლიანი დიდხანს ვკოცნიდი და გულში ვიკრავდი ტანიას. მხოლოდ ახლა შევნიშნე ოთახის ცენტრში გაშეშებული ვალია დეიდა და ნადეჟდა დანილოვნა. მათაც თვალებში ცრემლი ჩასდგომოდათ და უხმოდ, უსიტყვოდ მოგვჩერებოდნენ. ჩვენი ტკივილი და სიხარული მათაც გადასდებოდათ. როგორც იქნა ტანიას მოფერებითა და ალერსით გული ვიჯერეთ. ამ თბილ იდილიას ერთი გარემოება „აფერმკრთალება“ მხოლოდ, ტანიუშამ ვერა და ვერ წარმოსთქვა ჩემი სახელი -„ვამეხ“... ეწვალა, არაფერი რომ არ გამოუვიდა, მისეული კომპრომისი შემომთავაზა:

-ბიძია თუ ნებას დამრთავ, ვანია ბიძიას დაგიძახებ, შეიძლება? - მე ბავშვის უშუალობა და გამბედაობა მხიბლავდა, ისევ ავიტაცე, მოვეფერე და დავუყვავე:

-ჩემო ძვირფასო, ჩემო საოცნებო ანგელოზო, შენთვის ყველაფერი შეიძლება! აი ასე, ერთი ხელის მოსმით, ვამეხი გავხდი „დიადია ვანია“...

მაგიდასთან დაგვპატიჟეს. როსტომი თავისი მჭერმეტყველებითა და მადლიანი სადღეგრძელოებით და ენაკვიმატობით განსაკუთრებული იყო. მან საბოლოდ მოხიბლა ქალები, დაიპყრო მათი გულები და უცხოობის ნატამალი ყინულივით გაადნო და აორთქლა. ნადია განსაკუთრებულად მომხიბლველი იყო! არაყმაც ლოყები აუფაკლა და სულ გაზაფხულის ფერიას დაამსგავსა. მისი სინაზე, სინატიფე და ქალური კდემა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსილება და მიმზიდველობა მხიბლავდა. ნაცნობმა, ნაცადმა სითბომ გულში ჩამეღვარა, სისხლს გაჰყვა და და მთელი სხეული ნეტარი სითბოთი გაუღინთა. ოოხ, რამდენი წელია ქალთა გარემოცვაში არ ვყოფილვარ! როგორ დამნატრებია მდედრი და საერთოდ ქალის მოფერება და ალერსი...

აჩქროლებული სისხლის ძარღვებში აღვირახსნილმა ბორიალმა თავის აპოგეს მიაღწია... თავს სიზმრისეულ ნეტარებაში ვგრძნობდი. მიწას აღარ ვეკუთვნოდი... იმედი და უკეთესი მომავლის თუ პერსპექტივის ზმანება მხიბლავდა და მანეტარებდა. ვატყობ, ნადიასაც გადაედო ჩემი გრძნობები. აფაკლებულ ლოყებს ღაწვების ვარდისფერობა შვენოდა. თხელი ალისფერი ბაგეები დაებერა და ვარდის კოკორს დაემსგავსა, აქაოდა წუთიწუთზე აპირებს გასკდომა-გაფურჩქვნას და სურნელებით არემარის მოჯადოებასო... როსტომსა და ვალია დეიდასაც გასჩენოდათ საერთო განცდა, გრძნობები და ნეტარი საფიქრალი...

დათქმულ დროს, საშვის მოქმედების ვადის დაცვით, ორი გრძნობამორეული ქართველი საკონტროლო, გასაშვებ პუნქტზე, პირველად პატიმრის ამპლუაში, გაბრწყინეული თვალებითა და გახსნილი შუბლით, უკვე სხვანაირად აღიქვამდა ზონის პირქუშ გარემოს და იქ გაბატონებულ ატმოსფეროს...

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ნადია სახლის შეკეთების მიზეზით, შვებულებაში გავიდა. ყოველ ნასადილევს, სანამ ტანიუშა ბაღში იყო, დიკოევების სახლიდან მახვილი სმენის პატრონი მოისმენდა ახალგაზრდების ვნებიან კვნესა-ხვნეშას

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ხანშიშესულთა მორიდებულ, მიბნედილ ვნებიან შეკვ-ნესებას...

მე და როსტომი სათაყვანებელ, სანატრელ ქალბატონთა ვნებების მორევში განბანილნი, ჩვეულებრივ ადამიანურ ბედ-ნიერებას წილნაყარნი, განედლებულნი, გაშლილ-გაფურჩქვ-ნილნი, ცხოვრების სიამტკბილობასა და ქალის საიდუმლო მადლსა და სურნელებას ნაზიარებნი უკვე სულ სხვანაირად აღვიქვამდით სამყაროს... მხოლოდ ხანდახან, ზონის რეა-ლობასთან პირისპირ დარჩენილნი, სევდამოძალებულნი ჩავფიქრდებოდით ცხოვრების ამოებასა და ტუსაღის ტანჯულ ყოფასა და ცხოვრებაზე. ნამდვილად სწორედ უთქვამთ წინაპართ: ქალი ღირსება და ქალი სამლოცველო!!!

* * *

პატიმრობის მომდევნო წლები მონოტონურად და ერთ-ფეროვნად მიდიოდა. ორჯერ გვქონდა სიხარულითა და სევ-და-მონატრების ნაზავით გაჯერებული ცრემლი: 1953 წლის შე-მოდგომაზე - სასჯელის ვადის გასვლის შემდეგ ჯერ ალუდა ფიცხელაური და 1956 წლის გაზაფხულზე - ჩვენი ღვაწლმო-სილი და საყვარელი მწერალი ლევანი სამშობლოში, დედა-საქართველოში გამოვაცილეთ. ყველა პატიმარი ქართველის სახელით დანატრებული მოკითხვა, მშობლიური ამბორი და სულისა და გულის ნაფლეთები გამოვატანეთ. ალუდასა და ლევანისთან ურთიერთობებსა და მიწერ-მოწერას ვაგრ-ძელებდით, რა თქმა უნდა!..

* * *

მხოლოდ ერთხელ მომაგონდა პროლეტარიატის ბელადის იოსებ სტალინის ცნობილი სიტყვები - „ჩვენს ქუჩაზეც იქნებაო დღესასწაული“.

ჩვენი დღესასწაული 1957 წლის მარტში დადგა. სტალინის სიკვდილის შემდეგ საბჭოთა ბანაკების სისტემის მოშლა-ლიკვიდაცია დაიწყო. შრომა - გასწორების ბანაკები თითქმის ყოველდღიურად იხურებოდა. ჩვენთვისაც დადგა ეს ბედნიერი დღე - მრავლის მეტყველი, მრავალი შეპირებებითა თუ იმე-დებით აღსავსე: 1957 წლის 6 მარტს ინტის საგანგებო დანიშ-ნულების შრომა-გასწორების ბანაკი „მინერალნი“ ოფიცია-ლურად დაიხურა. დარჩენილი ქვედანაყოფები, მათ შორის ჩვენი საბანაკო პუნქტი, გადაეცა პეჩორის შრომა-გასწორების ბანაკს. იმავე წლის აპრილში როსტომი, მუხრანი, გოდერძი, მალხაზი და პეტრე ამნისტიით გაათავისუფლეს. ქართველთა-გან მარტო მე დავრჩი. ეს გასაგებიც იყო, რადგან ყველაზე დიდი სასჯელითა და ყველაზე მძიმე ბრალდებით მე ვიყავი დაპატიმრებული.

1957 წლის შემოდგომაზე ჩემი გაზაფხულიც დადგა. ბანაკის უფროსმა კაბინეტში პირადად მიხმო. მომილოცა ამნისტიით გათავისუფლება და სათანადო საბუთებიც გადმომცა. დიდება უფალს! დიდება შემოქმედს! მე უკვე თავისუფალი ვარ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმავე დღეს დავტოვე ბანაკი, სადაც ცხოვრებისა და ახალგაზრდობის ულამაზესი ათი წელი გავატარე. ვინმესთვის იოლია ორი ხელის მტევანზე ათი თითის დათვლა, აბა მე მკითხონ რას ნიშნავს შორეული ჩრდილოეთის მკაცრ პირობებში ათი ზაფხული და ათი ზამთარი...ეეხ!

ნადიასთან ათი დღე დავყავი. ბედნიერებისა და სევდიანი მოფერების ათი დღე! ამათაც გამოვემშვიდობე. ვორკუტა-მოსკოვის მატარებელზე დიკოევების მთელი ოჯახი მაცილებდა: გადამდგარი მაიორი სტეფანე დანილოვიჩი, დედამისი ვალია დეიდა, ჩემი მერამდენე სიხარული, მაგრამ მაინც ერთადერთი გამართლება - ნადეჟდა დანილოვნა და უკვე წამოჩიტული თორმეტი წლის ტანაყრილი, აშოლტილი, დედამისივით ტანადი და სათნო ტანიუშა... ცრემლი და განშორების სირთულე, გულსმოგლეჯილი ახლობლობა და ათწლიანი ხმაშეტკბილებული ურთიერთობები ნამდვილად იოლი დასათმობი არ იყო. ნადიას მეცადინეობითა და ძალისხმევით საგამოფენო-საჩვენებლად გამოწყობილსა და მოწესრიგებულს, გაპარსულ-დავარცხნილს გარეგნულად პატიმრის არაფერი მეცხო... ხოლო სული?! სული რა მოსაკითხია!.. ის ხომ გარეგნულად არ შეიმჩნევა და არ შეიცნობა!

კინაღამ დამავიწყდა მეთქვა: - მე, ნადიამ და სტეფანემ ერთგვარი ბიზნესგარიგება მოვიფიქრეთ: ნადია მეზობლებ-თანამშრომლებსა და სანდო მომხმარებლებში სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებს გვიჩენდა, სტეფანე ბანაკგარეშე მუშაობის საშუალებას აგვარებდა, ჩემი ბრიგადით კი ზედმიწევნით ხარისხიანად და დათქმულ ვადებში სამუშაოებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვატარებდით. მიღებულ თანხას კი ძმურად ვინაწილებდით. ერთი სიტყვით, გათავისუფლების მომენტისთვის მე სოლიდური თანხა დამიგროვდა. ჩემი კუთვნილი თანხა ნადიასა და ვალიას შესაშური ოსტატობითა და მონდომებით პალტო-პიჯაკის სარჩულებსა და ჩანაკერებში და საგანგებოდ შეკერილ სარტყელში გადამალული უცხო ხელისა და თვალისთვის უჩინარი ხდებოდა. მხოლოდ ხელჩანთა, სხვა არავითარი ბარგი...

მოსკოვშიც არ დავყოვნებულვარ. არ ვიცი, ბევრისთვის ეს ქალაქი „მოსკვა ზლატოგლავაიას“ (ოქროსთავა მოსკოვი) სინონიმით ასოცირდება, მაგრამ ჩემთვის ეს ქალაქი ბოროტების იმპერიის სიმბოლოდ და ბუდედ ასოცირდება და ასეთად დარჩება, მანამ პირში სული მიდგას... მაშინვე ტაქსი ვიქირავე, კურსკის რკინიგზის სადგურზე გადავედი, სადაც სამხრეთის მიმართულებით მიმავალი მატარებლები ჩერდებიან, მოსკოვი-ბათუმის მატარებელზე ბილეთი შევიძინე, ცოტა წავიხემსე, საგზლად გამოსადეგი პროდუქტი და არაყი შევიძინე და მატარებლის კუპეში მოვკალათდი. მშვიდობით წყვდიადო! დიდება, მართალია, ჯერ კიდევ შეუცნობად, მაგრამ ჭეშმარიტ სინათლეს და ნათელ, ბედნიერ მომავალს!!!

თავი XXII

ისევ მივლინება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბედად, ვაგონის ორადგილიან კუპეში, ბათუმელი რუსი, როგორც თვითონ გამეცნო, ივან პეტროვიჩი დამემგზავრა. არაფრისმთქმელი საუბრის შემდეგ წახემსება და მოსვენება შევთავაზე. არაყი ჩემთვისაც მისწრება იყო, დავიტანჯე ამდენი ფიქრითა და განცდებით. მართლაც ნახევარი ლიტრა არაყის წყალობით გვარიანად გავბრუვდი და საღათას ძილით ბალიშს მივესვენე.

სადგურ გელენჯიკთან გამეღვიძა. ამის შესახებ ვაგონის გამ-ცილებელმა ჩამსვლელ მგზავრებს შეახსენა. გულში გამკრა - ესეც ძირძველი ქართულ-კოლხური ციხე-სიმაგრე! ასეცაა, კოლხურ-მეგრულად გელენჯიკ - გელენჯიხა გარე, მენაპირე ციხეს ნიშნავს, აკი კოლხეთის მიდა პროვინციაში - დღევან-დელი სამეგრელოს ცენტრალურ ნაწილში გვაქვს დაბა და ციხე-სიმაგრე - წალენჯიხა, რაც შიდა, მთავარ ციხეს ნიშნავს.

ივან პერტოვიჩსაც გაეღვიძა. ნაბახუსევს თავი უბრუოდა და ბანცალებდა. ნაბახუსევს „ასგრამიანით ვუმკურნალე“ და მისი მადლი დავიმსახურე, მეც გადავკარ. მართლაც „მაცოცხ-ლებელმა სითხემ“, მთელ სხეულში დამიარა და საამოდ გამა-ქიზინა...

გამცილებელი მორიგი გაჩერების შესახებ წინასწარ ამცნობ-და მგზავრებს. შემდეგი გაჩერება სადგური ტუაფსეო, ძილღვიძილში შესულს გამცილებლის მყივანა ხმა ყრუდ ჩამესმა. ტუაფსე... მეხსიერებაში ამოტივტივდა ჩვენი სამშობ-ლოს ზეობის ხანა! საქართველო გადაჭიმული „ნიკოფსიიდან დარუბანდამდე და ოვსეთიდან არაგაწამდე“! ტუაფსე-ნიკოფ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სია ქვეყნის დასავლეთის საიმედო ციხე-ბურჯი და ნავსადგური. ნიკოფსის მიმდებარედ, მდინარე მაკოფსეს ხეობა.. თვალწარმტაც და საარაკო სილამაზის ბექობზე მეექვსე საუკუნეში აგებული ქართული მართლმადიდებლური ორნავიანი ბაზილიკა, დამშვენებული მშვენიერი და საამაყო ასომთავრულით, რომელიც უტყუარი არტეფაქტია. მოყვარეს ამცნობს - აქედან იწყება წმინდა ქართული სამანები!.. დავით აღმაშენებელის ეპოქა ვინატრე - ნიკოფსიიდან დარუბანდამდე გადაჭიმულ-გაჭენებული, ერთიანი, ძლიერი, ამაყი, ანგარიშგასაწევი, მოყვარის ბედნიერი ნავსაყუდელი და თავშესაფარი, მტერთათვის კი „მრისხანე ბაასი“...ეეხ! გული მომეწურა. ვინატრე... ოცნებაში წასულს არც ივან პეტროვიჩი მახსოვდა არც მისი დაჟინებული თხოვნა, ერთი სირჩა კიდევ გადავკრათო.

აი ესეც ჩვენი სოჭი, გნებავთ სოჩა...ეს ხომ სულ ახლოს იყო, 1920 წლის მიწურულს, ღალატისა და გამცემლობის მხვერპლი. რუსების მომხრე დაშნაკებმა ჯერ ღვინითა და სურსათით უმასპინძლეს ქალაქ სოჭში განლაგებული ქართული გარნიზონის ჯარისკაცებს, შემდეგ კი ღამით, მიპარვით, მუხანათურად, ლაჩრულად მძინარე მხედრობას ყელები დასჭრეს, რამაც დენიკინის თეთრარმიელებს საშუალება მისცა უბრძოლველად დაეკავათ ქალაქი სოჭი და მთელი „იმერეთის ველი“. მაშინ დემოკრატიული საქართველოს ჯარებმა მდინარე ფსოუზე მოახერხეს მტრის ჯარების შეჩერება.

სოჭის სადგურში არ ჩამოვსულვარ. აშლილი მოგონებანი და მწველი სევდიანი ფიქრები მოსვენებას აღარ მაძლევდნენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

და გონებას მიფორიაქებდნენ. სინანულისა და უსუსურობის ბოღმამ გული მომიწურა. ცრემლის კურცხალი ისევ აკიაფდა შეწითლებულ, ანთებიან თვალებზე... ივან პეტროვიჩმა, ჩემი თხოვნით, შეავსო არყისა და სურსათის სამგზავრო მარაგი. რა დამაძინებდა!.. გაფაციცებით, ვაგონის ფანჯარაზე მიმხობილი, ლამის ცხირმიჭყლეტილი გულის ფანცქალით ველოდი მდინარე ფსოუზე გადადებულ ხიდს... და აი, როგორც იქნა, ფსოუს ხიდზე არაკრაკდა მატარებლის ბორბლები! ეს ხმა აღარ მაღიზიანებდა, პირიქით, საამო მაცნე იყო დიდად ნანატრი მოვლენისა! ოო, რა მშობლიური და საყვარელია მდინარე ფსოუს ხეობა! აქედან იწყება ჩემი სათაყვანებელი, სიკვდილამდე სანატრელი და საყვარელი სამშობლო! საყვარელი, ერთ ხანს მივიწყებული სიმღერის სიტყვები ამოტივტივდა გახალისებული მეხსიერებიდან -„საქართველოვ, როგორ მომნატრებიხარ!..“ თვალცრემლიანი, სევდიანი და ფრიად ბედნიერი ვაგონის ფანჯარას მიმხობილი ნეტარ ვქვითინებდი!.. ივან პეტროვიჩის განწყობისა შემშურდა - არყით გაბანგული, საწოლზე წამომჯდარი არხეინად ცმუკავდა და დიდი მონდომებით მორიგ ულუფას იმზადებდა. ალბათ უნდოდა არაყიანი ჭიქის ერთი მოქნევით გამოცლის ოსტატობით მოეწონებინა თავი. ივანე გაკვირვებული, ცოტა სარკასტული, ღიმილიანი თვალებით მომშტერებოდა და ვერა გაეგო რა, მხოლოდ ერთხელ ჩაიქირქილა - „ვოტ, ჩუდაკ გრუზინ“-ო (აი საოცარი ქართველი-ო) და მორიგი სირჩა გაქნევით გლიჯა ჟანგიან ყბაში. მას ვერ გაეგო და ვერც ვერასდროს გაიგებდა სამშობლოსა და ყოველივე ქართულის, სულის შემძვრელად მშობ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიურის, დანატრებული ქართველის სულის, გრძნობებისა და აზრების მოძრაობას...

როგორც იქნა მატარებელმა მიაყვირა მშობლიურ ბათუმს. ჩემი ბათუმი! ყველა ქართველის და მით უმეტეს აჭარელის სანატრელი და აგრერიგად მშობლიური. ბათუმი - ქართველთა სიამაყე და საოცნებო წალკოტი, სულისშეძვრამდე მშობლიური და ამასთანავე მწარე ფიქრებისა და მოგონენების აღმძვრელი, სევდა და ტკივილი... გრძნობამორეულმა მაშინვე დავტოვე ვაგონი, ივან პეტროვოჩს გამოვეთხოვე, იქვე პარკში, მოფარებულ მყუდრო კუთხეში პალმის ხეს მოვესიყვარულე, შემდეგ ორთავ ხელები მოვხვიე და ავქვითინდი!.. უხმოდ ვტიროდი. დავსტიროდი სომეხის ღალატს, „კოლეგა“ ადამიანის მიერ აგრერიგად უნამუსო გაწირვას, „ტროიკის“ უსამართლობას, ციხე-ბანაკების მესვეურთა უგულობასა და სისასტიკეს, დაკარგულ თოთხმეტ წელსა და მრავალ უბედურებას. როგორც იქნა გული ვიჯერე. ახლა სიცილ-ტირილი წამსკდა. მიხაროდა, როგორც იქნა კოშმარი დამთავრდა! ცრემლი მოვიწმინდე. გული გავიმხნევე. უკვე იმედიანად ჩავიღუღუნე: კიდევაც შეძლებს ლუხუმი ლაშარის გორზე შადგომას! ავტოსადგურში გადავედი. ცნობათა ბიუროში დავაზუსტე რაიცენტრამდე ავტობუსის მოძრაობის გრაფიკი. ბილეთი შევიძინე. ავტობუსის გასვლამდე გარკვეული დრო მქონდა. პირველ რიგში ქალაქის ბულვარში გავედი, შემდეგ კი ზღვაზე. აქაც მოვიოხე გული. სევდისა და დარდის კაეშანი ზღვის ტალღებს გავატანე. უკანდაბრუნებულმა, ავტოსადგურის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გზაზე, სასადილოში შევიარე, მონატრებული ქართული კერძი დავაგემოვნე.

ჩემი თოთხმეტწლანი იძულებითი იზოლაციის პერიოდში რამდენი რამ შეცვლილა! ქალაქსა და დაბა-სოფლებს თითქმის ვეღარ ვცნობ! მხოლოდ გზა იყო ისევ უხეირო. ბრეზენტგადაფარებული, ამორტიზებული ავტობუსის ჯანჯღარი და ორმოებში ლაზათიანი ზღართანი მოთრგუნავდა გულს და ხელს მიშლიდა ფიქრსა და თვლემაში... როგორც იქნა მშობლიური შუახევის რაიონულ ცენტრს მივაღწიე. ჩემი არყოფისას რაიონის ყველა ხეობაში, უკიდურეს სოფლებამდეც კი სამანქანე გზები გაუყვანიათ. ელექტროდენი ჯერ მხოლოდ დაბასა მის მიმდებარე სოფლებშია. სასიკეთო ძვრები და პროგრესი თითქმის ყველგან და ყველაფერში იგრძნობა. დიდება უფალს! როგორც იქნა გლეხკაცისისთვისაც დადგა დღესასწაული და შვება. მშობლიურ სოფლამდე გზა ქვეითად უნდა გამეგრძელებინა. არავისი ნახვა, ოჯახსა და ახლობლების გარდა, არ მსურდა. ბედად ნაცნობიც არ შემხვედრია. ახალგაზრდობას საერთოდ ვერ ვცნოდი. ჩემი დროის ბავშვები უკვე დავაჟკაცებულან და დაქალებულან!.. სანამ რაიცენტრამდე ამოვაღწევდი, მგზავრობამ საგრძნობლად დამღალა. გვარიანადაც მომშიებოდა. იქვე სასადილოში სახელდახელოდ დავნაყრდი და უკვე შებინდებულზე დავადექი მშობლიური მარეთის ხეობის გზას.

შუაღამე კაი ხნის გადაცილებული იქნებოდა, როცა მშობლიურ სოფელს მივადექი. სოფელში ჩამი-ჩუმი არ ისმოდა. მხოლოდ ძაღლების კანტი-კუნტი ყეფა თუ წკავწკავი არღვევ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და იდუმალებით მოცულ სიჩუმეს. აი ჩემი სახლიც! ბექობზე კვლავინდებურად აზიზად, ყელმოღერებული პატარძალივით იდგა. მხოლოდ ერთი სარკმლიდან გამოკრთოდა სინათლე. ალბათ მეუღლეა. ბოლო წერილით ვატყობინებდი ჩემი გათავისუფლებისა და სახლში დაბრუნების სავარაუდო თარიღს. ბექობისკენ მიმავალი აღმართი სულის ერთი მოთქმით ავირბინე. გული ამოვარდნას ლამობდა. დაღლამ და ოჯახის წევრებთან შეხვედრის მოლოდინმა სული და გონება ამიფორიაქა. და აი, მამაჩემის გამოჩორკნილ ძელსკამზე ჩამოვჯექი. ცოტა სული მოვითქვი და უმალვე ფიქრებმა წამიღო. მე პატიმართა იმ უმცირესობას ვეკუთნოდი, ვისაც მიწერ-მოწერისა და ამანათ-გზავნილების მიღების ნებართვა ჰქონდათ. რეგულარული მიმოწერა მქონდა ოჯახთან და ახლობლებთან. ასე, რომ თითქმის აქ მომხდარი ყველა ამბისა და საქმის კურსში ვიყავი. ვიცოდი, რომ შვილები დამიფრდიანდნენ, ახლობლები და მეგობრები, იშვიათი გამონალკისის გარდა, ცოცხლები და საღ-სალამათები იყვნენ. განსაკუთრებით გულს ის მითუთქვადა, რომ ჩემს საყვარელ, ამაგდარ მშობლებს უკანასკნელი პატივი ვერ მივაგე. ჩემი ხელით ვერ მივაბარე მშობლიურ მიწას. ნელ-ნელა გამოვცოცხლდი, დავმშვიდდი, მშობლიური, სუფთა და გამჭვირვალე ჰაერი ნესტოებში საამოდ მესალმუნებოდა, უკანასკნელამდე მიბერავდა ფილტვებს. გრძნობები დავიოკე, ვნებები მოვთოკე და მეორე სართულის ოდნავ დაქანებულ კიბეს ავუყევი. ვცდილობდი, ფიცრის საფეხურებს არ ეხმაურა.

ფრთხილად გადავწიე ნაცნობი, მაგრამ წლობით მიტოვებული, შესასვლელი კარის ურდული და სახლში შევაბიჯე. ჩამიჩუმი არ ისმოდა. ოდნავ ღრიჭოდ დატოვებული კარის საშუალებით საბავშვო ოთახიდან წყნარი, უშფოთველი ფშვინვა ისმოდა. ბავშვებს ეძინათ. ჩემი საყვარელი არსება კი კერიასთან ზურგშექცევით მჯდარი წინდას ქსოვდა და იავნანას ღიღინებდა. სუსტი, ტანმორჩილი, ტანჯვისა და გულისგამწყალებელი ლოდინისგან ჩამომხმარი, მხრებჩამოყრილი, შავებში გამოხვეული არსება... ჯერ შემეცოდა, შემდეგ კი სიამაყის, უდიდესი და უსპეტაკესი პატივის, მადლიერების გრძნობამ წამლეკა: ამ კაფანდარა, გალეულმა ქალმა უკაცო ოჯახში დავრდომილ დედამთილსა და მამამთილს ბოლომდე უპატრონა, მოუარა, ღირსეულად მიაბარა მშობელ მიწას. ორი ვაჟი გვარსა და სამშობლოს ღირსეულად აღუზარდა, დააფრთიანა, ოჯახს უპატრონა, კერია არ გამიცივა, ქართველი ქალის ნამუსი და ღირსება ბოლომდე დაიცვა და უშურველად შემომინახა ოცი წლით პატიმრობაში გამწესებულ კაცს. დაძახება ვერ შევბედე, მხოლოდ ჩავახველე. ქალი წამით შეცბა. გაშეშდა. მერე უცბად მოტრიალდა, ეშხიანი, დარდისაგან მილეული და მიბნედილი თვალები მომანათა, წამიერად დაიბნა კიდეც, ერთი წამიც და გონს მოეგო. უცებ წამოვარდა - ვაიმე დედა, - შეჰკივლა, ფეთიანივით მომმვარდა, მომეხვია და აქვითინდა. ერთსულ და ერთსისხლ გავხევდით. მეც დამრია ხელი სპეტაკმა ცრემლმა და მოზღვავეულმა, სინაზისა და სიყვარულის მორევმა გამიტაცა. ბედნიერი ვიყავი. ბედნიერი და ამაყი! თითქოს სიგნალს ელოდნენო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედის შეკივლებაზე, ბიჭები საწოლიდან წამოიშალნენ, საცვლების ამარა მომცივდნენ და ანგარიშმიუცემლად მოზღვავებულ გრძნობებს მიენდვნენ. კოცნა-ხვევნა-ამბორით გულნაჯერებმა და მოყირჭებულებმა, გრძნობებდაცლილებმა როგორც იქნა ტახტზე ჩამოვლაგდით და მონატრებული მასლაათი გავაბით. გათენებამდე ბჟუტავდა ჭრაქი. ვგონებ მასაც გადაედო საერთო სიხარული და აღტაცება!..

ორი კვირის განმავლიბაში ჩვენს ოჯახს სტუმარი არ გამოლევია. ახლობელი, შორებელი ნათესავი თუ მოყვარე ჩვენსკენ მოიჩქაროდა, ეშურებოდათ ენახათ და მოფერებოდნენ იმ ქვეყნიდად მობრუნებულს, უკვე ლეგენდად ქცეულ ძვირფას ნაპატიმრალ-ნაციმბირალ ნათესავს, მეგობარს, მოყვარეს, მეზობელს.

კიდევ ერთი კვირაც და ბრიგადირმა მომაკითხა, კოლმეურნეობის თავმჯდომარემ შემოგითვალა - როდის აპირებს საერთო-სახალხო შრომის ფერხულში ჩაბმასო. ამან გამაცოფა და გადამრია:

- თქვენ მამაცხონებულებო, თქვენმა ხელისუფლებამ გამწირა, ცოცხლად დამმარხა და ახლა კიდევ საერთო, კოლექტიურ ჭაპანწყვეტაში გინდათ ჩამაბათ? თქვენთვის და თქვენი მთავრობისთვის ვამეხ ბაქრაძე დიდი ხანია მოკვდა, ჩაესვენა, დღეის იქით მხოლოდ ჩემთვის და ჩემი ოჯახისთვის ვიცხოვრებ, დანარჩენებს ჯანდაბამდეც გზა გქონიათ, ასე გადაეცი კოლმეურნეობის თავმჯდომარეს. მიჩივლეთ სადაც გენებოთ და სადამდც ხელი მიგიწვდებათ, - შევუღრიალე და ბრიგადირს ცხვირწინ კარი მივუჭახუნე. ვგრძნობდი, ეზოში შემო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულსა და სახლის კარზე მომდგარს ასე არ უნდა მოვქცეოდი, მაგრამ ბრიგადირი უბრალო მომსვლელი არ იყო, ის ჩემთვის ყოვლად მიუღებელ, ძირმომპალ სისტემას განასახიერებდა.

კიდევ ერთი თვე და რაიონის უშიშროების სამსახურიდან უწყება მომივიდა, გასაუბრებაზე მიხმობდნენ. კი გავბრაზდი, მაგრამ ვნებები მალევე დავიოკე, ნათელი გონებითა და ფხიზელი თვალით ყველაფერი გავისიგრძეგანე, ავწონ-დავწონე და ჩათრევას ჩაყოლა ვამჯობინე.

დანიშნულ დროს გამოვცხადდი სახელმწიფო უშიშროების სამსახურის რაიონულ განყოფილებაში. აქ ყველაფერი შეცვლილიყო, დაწყებული ახალი შენობით, ადამიანებით და ადამიანებთან ურთიერთობებით. უფრო კაცთმოყვარენი და თავაზიანები მეჩვენენ.

რაიგანყოფილების უფროსის ოფისში ორი, მესაზღვრისფორმიანი სამხედრო პირი დამხვდა.

- რაიგანყოფილების უფროსი უშიშროების სამსახურის მაიორი ავთანდილ თაფლაძე, - ხელი გამომიწოდა საშუალო ასაკის, მხარბეჭიანმა მამაკაცმა და ცარიელი სკამისკენ დასაჯდომად მიმითითა. მეც უსიტყვოდ მივიღე პატიჟი და სამხედროფორმიანების მოპირდაპირედ დავჯექი. მაიორი თაფლაძე მომიბრუნდა და დამსწრე საზოგადოება გამაცნო:

- სასაზღვრო რაზმის სადაზვერვო სამსახურის უფროსი, პოლკოვნიკი ლიოვინი და მისი მოადგილე პოდპოლკოვნიკი უბილავა. ოფიცრები თვალებში შემომცქერიროდნენ. მეც ზედმეტი თავაზით არ მომიკლავს, მხოლოდ თავის დაკვრით მოვესალმე. გეგონება, შეთანხმებული იყვნენ, ერთად მოისურვეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიგარეტის გაბოლება და მეც შემომთავაზეს. თავპატიჟი არ დამიწყია. წეკოსა და მახორკას შეჩვეულს, ძალიან სუსტი მოქმედებისა მომეჩვენა მათი შემოთავაზებული ფილტრიანი სიგარეტი. სიჩუმე ისევ მაიორმა თაფლაძემ დაარღვია.

- ვამეხ, შენ სანამ აქეთკენ არ იყავი, აქ ბევრი რამ შეიცვალე. ბევრმა წყალმა ჩაიარა. შენი ისტორია და თავსდამტყდარი უბედურება საქვეყნოდ ცნობილია, ისიც ვიცი, შენ ცამდე მართალი იყავი, შენი ამნისტიის დასკვნაც მოწმობს, მაგრამ რას იზამ, რაც იყო იყო... ვერ გამოასწორებ და ვერც წარსულს დააბრუნებ. ვიცი გაგიძნელდება ამის გაგება, უფრო სწორედ აღქმა და მით უმეტეს პატიება, მესმის შენი, მაგრამ მხოლოდ ერთი რამ შემიძლია გაგანდო, შენი დამამქცევრები სათანადოდ დაისაჯნენ, მათ საფლავებზე მგონი ეკალ-ბარდის მეტი არა ამოვა რა, მათ იმდენი ადამიანი გაამწარეს, გაწირეს და დაღუპეს, საფლავის ღირსნიც არ იყვნენ, მაგრამ რას იზამ, დრო ყველაფრის მკურნალია. უფალს დიდება იმ ჯოჯოხეთს გაუძელი და საღსალამათი დაუბრუნდი ოჯახს. ახლა გთხოვთ, პოლკოვნიკ ლიოვინს მოთმინებით მოუსმინოთ. ჩემს მოპირდაპირედ მჯდომი პოლკოვნიკი შეირხა, ოდნავ ჩაახველა და დაიწყო:

- ვამეხ ბატონო, მეც ვიზიარებ იმ მოსაზრებას, რომ უსამართლოდ მოგექცნენ და ალალ-მართალი კაცი გაგწირეს. შენს ამომგდებებს საკადრისად მიეზღოთ. მე დაწვროლებით ვარ ინფორმირებული შენი საქმიანობის შესახებ, იმ წვლილის შესახებ, რაც შეგიტანია ჩვენი სამსახურისა და ქვეყნის წინაშე. მეც ვიზიარებ და ვწუხვარ ყოველივე იმაზე, რაც გადაგხდა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციხე-ბანაკებში გადაიტანე. პოლკოვნიკი წამოდგა, თავი დამიკრა და შერიგებისა და პატიების ნიშნად ხელი გამომიწოდა. სიმართლე გითხრათ ბოღმა და აღშფოთება მახრჩობდა, მაგრამ რა ბედენაა, გვიანღაა თითზე კბენანი, თანაც ესენი ჩემს უბედურებაში უშუალოდ არ იყვნენ დამნაშავეები, მაინც მიმძიმდა ხელის ჩამორთმევა, ესენიც ხომ იმ სისხლიანი რეჟიმის მსახურნი არიან. ბოლოც თავს ვსძლიე, თავაზიანობას მოვუხმე და ხელი მივაგებე. პოდ.პოლკოვნიკი უბილავაც წამოდგა და უსიტყვოდ გამომიწოდა ხელი.

- ვამეხ ბატონო, მესმის შენი, ჩვენი სამსახურის თანამშრომლები სათოფეზეც რომ არ გაიკარო მართალიც იქნები, ის რაც შენ ჩვენი სამსახურისთვის გაგიკეთებია, ყველაზე ცოტა მადლიერებით მაინც უნდა აღენიშნათ. მესმის შენი და ვიზიარებ შენს აღშფოთებას, მაგრამ ერთი თხოვნა მაქვს, ბევრი მიკიბვ-მოკიბვა და ლაილაი არ მიყვარს, უკანასკნელი სამსახური უნდა გაგვიწიო, ჩვენ კი გპირდებით, შენი, გონივრულ ფარგლებში, ნებისმიერი თხოვნა მისაღები იქნება და ჩვენი თანადგომის იმედი ყოველთვის გქონდეს.

- პირდაპირ მაკვირვებთ, ამხანაგო პოლკოვნიკო, ის რაც თქვენმა წინამორბედებმა და თქვენმა სამსახურმა გამიკეთეს, სასიკვდილოდ გამწირეს და ალალ მართალი ჩეკისტი სიკვდილის ეშაფოტზე მომისროლეს, რა პირით მეუბნებით, მიყურებთ თვალებში ან რას მთხოვთ, - განრისხებულმა თვალები დავაკვესე და ხელები მოვიმჯიღე.

- გვესმის შენი, მაგრამ დაღვრილი წყალი ვისღა აუხვეტია, შენ ერთი სამსახური გაგვიწიე, ჩვენ კი სათანადო პატივს მოგა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გებთ და გპირდებით მესაზღვრეების მხრიდან სრულ, მუდმივ პატივში იქნები, - ახლა პოდპოლკოვნიკი უბილავა შეეცადა ჩემს მორჯულებას.

- მე კიდევ ერთხელ გიდასტურებთ, რომ თქვენთან საერთო არაფერი მინდა, იმაზე უარესი რა უნდა გამიკეთოთ, რაც გადამახდინეთ, მე დიდი ხანია ცოცხლებშიც აღარ ვირიცხებოდი. მაინც რა ვქნა, რომ საბოლოოდ დამანებოთ თავი, - საღ აზრს მოვუხმე და რეალური მდგომარეობა აღვიქვი.

- ერთი თხოვნა გვექნება მხოლოდ. შენზე უკეთ ვის უწყის: ჩვენი რეზიდენტურის ჩავარდნის საფრთხის შესახებ, შენ და მაიორმა ცხოვრებაშვილმა რეზიდენტურის აგენტურული ქსელის მასალები დააარქივეთ და საიმედოდ გადამალეთ, გაიხსენე აბა. ჩვენდასაუბედუროდ მაიორი სამი წლის წინ მოულოდნელად გარდაიცვალა, მაგრამ რომც ცოცხალი ყოფილიყო ამ საქმეში ვერ გამოდგებოდა, ჯერ ერთი, ჯანი საგრძნობლად შერყეული ჰქონდა და მეორეც, მან არც ადგილმდებარეობა, არც გადასხმის ადგილები და მოძრაობის მარშრუტები იცოდა, შენ კი „მარტოხელა მგელი“ ხარ, პროფესიონალი მზვერავი და კურიერი. უკანასკნელად მიგავლენთ თურქეთში, არქივი გადმოიტანე და პირობას გაძლევთ, არამც თუ ოდესმე ვინმე შეგაწუხებს, შენს ნებისმიერ, გონივრულობის ფარლებში, თხოვნას შეგისრულებთ.

დავფიქრდი. მე მესმოდა მათი. ჩემს გარდა არვინ იცოდა დაარქივებული მასალების სამალავის ადგილმდებარეობა და ამ მასალების ფასდაუდებელი მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნის სადაზვერვო სამსახურისთვის. იქ ხომ ჩვენი დაზვერვის სამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახურში მყოფი ათეულობით აგენტის საქმეები ინახებოდა. მესმოდა მათიც და საქმის უდიდესი მნიშვნელობაც, იქ დაცული მასალების ფასდაუდებლობა, სასიცოცხლო საჭიროებაც, მაგრამ ამ ორგანოებსა და საერთოდ საბჭოთა სისტემაზე იმ-დენად ნაწყენი, გულგატეხილი და გაბრაზებული ვიყავი, ენით ვერ ვიტყვი! ბოლოს წყალწაღებულივით ამოვღერღე:

- სარწმუნოა და დამაჯერებელური თქვენი შემოთავაზება და არგუმენტები. მესმის თქვენი. დაარქივებული მასალები ნამდ-ვილად ფასდაუდებელია სადაზვერვო სამსახურებისათვის. ამ საქმეს მე და მალხაზმა საუკეთესო წლები შევალიეთ, რა მოსატანია ძილნატეხი ღამეები და ტიტანური შრომა. სიმართ-ლე გითხრათ მეც მენანება ის ნაამაგარი, მალხაზის ხსოვნასაც ვერ აუვალ, ის ჩემი ძმადნაფიცი, უღალატო, უერთგულესი მეგობარი იყო. მისი გამოხსნისას ჩემი სიცოცხლე სასწორზე დავდე. დრო დამჭირდება ყველაფერი ავწონ - დავწონო და მივიღო თქვენთვის შესაფერისი გადაწყვეტილება. სამი დღის შემდეგ, თუ ჩემგან დასტური იქნება, ნალიის აივანზე თეთრ ბაირაღს გამოვკიდებ და თქვენთვის მისაღებ დროსა და ადგილას შევხვდეთ.

ჩემი გადაწყვეტილებით ოფიცრები კმაყოფილნი დარჩნენ. თაფლაძის დავალებით, გვიან ღამით უშიშროების საგანგებო ტრანსპორტით სოფლამდე მიმაცილეს.

მე ბოლომდე გავითავისე მზვერავთა თხოვნა. მესმოდა მა-თი. ახლა იმასღა ვფიქრობდი მაქსიმალური სარგებელი მიმე-ღო მათგან. საბოლოოდ მოთხოვნები ასე ჩამოვაყალიბე: ჩემს უმცროს ვაჟს ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ფილო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოგიურ ფაკულტეტზე მომიწყობენ, კოლექტიურ შრომაში ჩაბმაზე საბოლოოდ აიღებენ ხელს და რა თქმა უნდა, სოლიდურ, გაწეული სამსახურის ადეკვატურ, ფულად საზღაურს, შემდეგ კი პენსიას მივიღებ. სათანადო ეკიპირება და ტანსაცმელი მოვიძიე, ბოხჩაში გამოვნასკვე და სანდო ადგილას გადავმალე. დათქმულ დროს ბაირაღი გამოვკიდე. პაროლზე საძახისი მომივიდა. მეორე დღეს, ნასადილევს, მეუღლეს ვამცნე, რომ გადაუდებელ პირად საქმეზე ხუთი დღით ბათუმში მივემგზავრები, მეთქი და სოფელი დავტოვე. შეპირებულ ადგილას პოდპოლკოვნიკი უბილავა და კიდევ ერთი ახალგაზრდა ოფიცერი მელოდნენ.

ისევ კლდის ქვაბები. ისევ დეტალური ინსტრუქტაჟი, ისევ მზვერავის ტრადიციული სამი სირჩა და გზა მშვიდობისა ვამეხ!.. მაჭარულის ველი, ჭანჭახის გადასასვლელი, მესაზღვრეთა მიბჯენილი, უხილავი მზერა და თავგადადებული სიმხნევე და საჭიროების შემთხვევაში თავგანწირვისთვის მზაობა...

თურქეთის ტერიტორიაზე არაფერი შეცვლილა. არც ახლი გზები, არც ახალი სახლები, არც საზღვრის დაცვის სისტემაში რაიმე ცვლილება. მეტიც, 1949 წელს ჩრილოატლანტიკურ სამხედრო ალიანსში გაწევრიანების შემდეგ, თურქეთის ხელისუფლებამ საერთო უსაფრთხოების გარანტიის ფონზე, კიდეც შეასუსტა საზღვრის დაცვა და ოპერატიული კონტროლი. დავალების შესასრულებლად თურქეთის ტერიტორიაზე ორი დღე ღამე დამჭირდა. სამალავს მაშინვე მივაგენი, იქ დაცული მასალები უსაფრთხოდ შევფუთე და ტანზე მოვირგე და ჰერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშობლოსკენ. მესამე დღეს, შუაღამეგადაცილებულზე, დათქმულ დროსა და ადგილას, ხელდამშვენებულმა გადმოვკვეთე საბჭოთა კავშირი - თურქეთის სახელმწიფო საზღვარი.

* * *

მესაზღვრეებმა და უშიშროების სამსახურის მესვეურებმა ვამეხზე მიცემული სამივე პირობა პირნათლად შეასრულეს. უმცროსი ვაჟი პირველი კურსის სტუდენტია! სოლიდური საზ-ღაურიც გადასცეს და რაც მთავარია, კოლექტიური შრომა უკვე აღარ აღელვებს. მატერიალურადაც არ უჭირს: ჯერ ერთი, პატიმრობის ადგილიდან დიდძალი ფული ჩამოიტანა, ამას ემატებოდა სპეცსამსახურების მიერ გაღებული სოლიდური საზღაური და პენსია.

* * *

ადგილობრივი მცხოვრებნი და ხეობის სტუმრები კიდევ დიდხანს ნახავენ მთის ფერდობზე შეფენილ ცხვრის ფარას, კომბალზე დაყრდნობილ სპეტაკ, ბრგე, მხარბეჭიან მოხუცს... ხშირად შენატრებენ სახლის აივანზე მოქეიფე თანამეინახეებს შორის ტახტზე მოკალათებულ ხელში ჯიხვისყანწიან დათოვ-ლილ, სპეტაკ, თმაწვერიან მოხუცს. ყურს ეამება იმ აივნიდან გადმოფრქვეული მშობლიური ჰანგები და ცხვირის ნესტოებს საამოდ გაუღიტინებს მაყალზე აშიშხინებული ცხვრის მწვადის სურნელი!

ჭეშმარიტად, მან ეს დაიმსახურა! მამაცობის, ერთგულების, სამშობლოსადმი უანგარო სიყვარულისა და მისთვისვე თავ-განწირვის ხარჯზე!

შეერგოს!

ბათუმი

2015-2020